

მონასტერი

გამოცემის რედაქტორი:
ვაჟა ოთარაშვილი

შემდგენელ-რედაქტორი:
ლია გოგიჩაიშვილი

რედაქტორები: ზაზა ქინქლაძე
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი:
გიორგი ქადაგიშვილი

ISBN 978-9941-0-0392-9

გაზაფხულის დარი იდგა. არ ციოდა, მაგრამ მზეს თავის ნაქებ მცხუნვარებამდე ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აკლდა. ქალაქში ისე რა ამინდი იყო. ალბათ, მაინც უფრო ჭუჭყი ჭამდა იქაურობას, ხოლო მონასტრის ახლად გამწვანებულ მოლზე კი სულ სხვა ამინდი იდგა. ამინდი, რომელიც იყო არა მხოლოდ დარისა და ავდრისა, არამედ რნმენისაც.

- ჩაალაგე ბარგი და წავედით.
 - დილით ადრე გავალთ?
 - ჰო, აბა, სანამ იქ ჩავალთ, საღამოც მოატანს. ფეხით უნდა ვი-აროთ და ბევრ დროს წაილებს. პრინციპში, მანქანითაც შეიძლება წასვლა, მაგრამ ფეხით საერთოდ სხვა მულამი აქვს. გადასახვე-ვამდე ვინმე აგვიყვანს, იქიდან კი ტემპში დავეშვებით.
 - რამდენ საათს მოვუნდებით?
 - სამი-ოთხი საათი ყელამდე გვეყოფა, თავისი დასვენებებით და წამოკოტრიალებებით. ისე, გააჩნია, რომელი გზით წავალთ. თუ სამანქანო გზას გავუყვებით, უფრო დიდ დროს მოვანდომებთ და თუ ბილიკებით დავეშვებით, მინიმუმ ერთ საათს მოვიგებთ. აუ, ფეხით მაგრა ასწორებს, ტო, ბუნება და რამე.
 - ვინ და ვინ მივდივართ?
 - მე, შენ და კიდევ ერთი. არ იცნობ, მაგრამ ხვალ გაგაცნობ.
 - კარგი, ესე იგი დილით გამომივლი?
 - ჰო, ათისთვის გამზადებული იყავი და გამოსვლისას და-გირეკავ.
 - კიდევ რამე ხომ არ არის, რომ არ დამავიწყდეს?
 - არაფერი. პროდუქტი ხომ დაითრიე? თეთრეული? აბა, მაშინ წითელი ღვინო არ დაგავიწყდეს და ეგ არის. გზაში ერთი მაგარი ადგილი ვიცი და იქ მივცეთ. მაგრა გაასწორებს.
- გაზაფხულის დარი კი იდგა, მაგრამ ადრიანი. საერთო მეგობრის ძველმა მანქანამ ბევრი კი იბლუილა, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე მაინც მიიყვანა. გადასახვევთან დაემშვიდობნენ გამცილებელს და ერთმანეთს წარმატება უსურვეს. როგორც კი ჩამოქვეითდნენ და ბილიკს დაადგნენ, კოჭებამდე თოვლში აღმოჩნდნენ. არ მოელოდნენ. თანაც თოვლი აი, ისეთი იყო, მეორადი. უნინდელი სილამაზისა და სისპეტაკის მხოლოდ ფორმალა რომ აქვს შე-

ნარჩუნებული. უფრო სწორედ კი ელფერი და ისიც რუხი. თოვლი, არც ცას რომ სჭირდება და აღარც მიწას. შვეიცარული ყველივით დახვრეტილი საზიზლარი გვამი და ჭახანი უხილავი ძვლების მსხვრევისა.

- აუ, ამის დედა ვატირე, თოვლი მინდოდა ახლა მე? მაგარი ლეტნი ფეხსაცმელები მაცვია და თანაც მოშნად მიცურავს. რა ვუყო ახლა, მე ამის... - ამის თქმა იყო და ორი უშველებელი ფეხი ჯერ ზევით აიჭრა, ხოლო შემდეგ კი მთვარისებრ მოირკალა. ისეთი სირთულის ილეთი იხილა დანარჩენმა ორმა, რომ რის ორმაგი მალაყი და რა მერცხლის კამარა. იმისთანა კუთხე გაჭიმა, რომ ბატუტზე მხტომელ სპორტის დამსახურებულ ოსტატსაც კი შეშურდებოდა.

- რამე ხომ არ იტკინე? ძალიან ყრუ ხმა კი იყო და...

- არაფერი. წავედით. მმმ...

- როგორც შენ იტყვი.

ქალაქის ჭუჭყში ნაგანგლ ფილტვებს თავიდან, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ სუფთა ჰაერთან დამეგობრება და ამიტომაც იყო, სამივეს ქოშინი და ხველა რომ აუტყყდა. შემდეგ პაპიროსი მიაშველეს განსაცდელში ჩავარდნილ ტრაქეას და იმანაც, გააცნობიერა თუ არა, ეს ნამდვილად იმ ნაჩვევი სიმყრალის ბოლია და არა ის რაღაც ოხერი სუფთა ჰაერი, უმაღლ თავის ძველებურ ყაიდას დაუბრუნდა.

- ასწორებს მაგრად ბუნება და სუფთა ჰაერი. იცი, როგორ მენატრება ხოლმე ერთი კაი ცხელი ნეხვის სუნი. ბოიშვილი ვიყო, თუ ვატრაკებდე.

- ნამდვილად, რა ჯობია ახლა ერთ კარგა მოზრდილ, მზეზე შემთბარ ფუნას და თანაც მასზე გაფანტულად, წვრილად მოყრილ თხის კურკულს. იიფ!

- შენ იცინე და მე მართლა მევასება სოფელი და ეგეთი პონტები.

- მეც, ტო. განსაკუთრებით ვეცემი ჩეჩიმა ტვალეტებზე. იმენნა თანაც ისეთებზე, აი, უნიტაზის მაგივრად ამოჭრილი სკამი რომ უდგათ... აღარ გავაგრძელებ... კლასიკა, ტო!

- ბანდი ხარ, მაგარი.

- ვიცი.

რა თქმა უნდა, ხშირ-ხშირად ისვენებდნენ, ზანტად მიათრევდნენ ხელ-ფეხს და ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ პოლიტიკა

მაგარი მურდალი რამეა და პოლიტიკოსები კიდევ უფრო მაგარი მურდალი როჟები არიან. იყო ამაში რაღაც სიმართლისმაგვარი... პოლიტიკაზე ლაყბობაში გართულთ გზა აერიათ და დაიკარგნენ. ფუჭად საუბარი გონებას წყენსო და იმათაც სადღაც სხვაგან გადაუხვიეს. ბილიკი ჯერ შევიწროვდა და შემდეგ საერთოდ გაქრა. შედგნენ სახედრებივით და ფიქრს დაუწყეს წვალება. არადა უკან დაბრუნება სავსე ჩანთებით არცთუ ისე სახარბიელო პერსპექტივა გახლდათ. იმათაც ინტუიცია ამჯობინეს კომპასს, ქვაზე მოდებულ ხავსს და მისთანებს. ადგნენ და იმ მიმართულებით წავიდნენ, რომელიც გაზარმაცებულმა უკანალებმა უკარნახეს. ანუ სწორი, გრძელი და უეკლო.

- აუ, სიმონ, მე მგონი ნამდვილად დავიკარგეთ.

- აკი, ვიციო გზა?

- რავი, მაგის დედაც. წინაზე თითქოს ეგრე მოვდიოდით და ახლა რა პონტში ავიჭერით, აზრზე ვერ მოვდივარ.

- ატრაკებ, რა.

- მე მგონი, აი იქ, ზემოთ, ქვასთან უნდა გადაგვეხვია.

- მერე ახლა იძახი მაგას. აუ, შენ რა როჟა ხარ, ტო. ახლა იქ რა ავა.

- წამო, წამო, მე მგონი აი, ასე თუ დავეშვებით, მაინც იმ ადგილამდე მივალთ, სადაც გადასახვევია.

- შენ უფრო მაგრა დაგვკარგავ. ხან გადასახვევი და ხან გადასახედიო. არ შეიძლებოდა, ჩვეულებრივად, მანქანით ჩავსულიყავით?

- მორჩი წუნუნს. ასე დაგომით იქ ვერ მოვხვდებით და უკან დაბრუნებას მთელი დღე დასჭირდება. წამო, ასე დავეშვათ.

- კარგი, ჰო, ჯანდაბას, მაგრამ ის ჩემისა სადღა გაქრა?

- ოე, ოე, არ გესმის, ბიჭო, წავედით!

- ცვეტში დებილია. ახლა მაგის დაკარგვალა გვაკლდა რა, ჯერ ხომ ისედაც მაგარ ჯიგრულ პონტში ვართ და ახლა ეს!

- აქ ვარ, აქ. მოდით ერთი ნახეთ, რას მივაგენი. რას ღრიალებთ, თქვე გოიმებო. მადლობას უნდა მიხდიდეთ.

გასწიეს იქით, საიდანაც ხმა ისმოდა. მცირე მანძილი რომ გაირეს, პატარა მდელოზე აღმოჩნდნენ. იქ კი ერთგვარი გზაჯვარედინი დახვდათ, სადაც რამდენიმე ბილიკი კვეთდა ერთმანეთს. მათი მეგობარი ერთ-ერთ ბილიკთან მდგარ ხესთან იდგა და რაღაცას მისჩერებოდა. ის რაღაც კი, თავისწილ, წარმოადგენდა ხის

პატარა გადანაჭერს, რომელზეც საკმაოდ გარკვევით იყო ამოტვი-ფრული იმ ადგილის სახელი, საითქენაც ისინი მიემართებოდნენ. ამ სასიამოვნო დამთხვევასა თუ ზევიდან ნიშანს თან ერთვოდა ერთი პატარა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი დეტალი, ანუ ლითონის მომცრო ისარი, რომელიც ერთ-ერთ ბილიკზე მიანიშნებდა.

- აუ, გაიხაროს აქ ამის გამკეთებელმა. აზრზე ხარ, ის ვინც აქ ეს ნიშანი დაკიდა, რა მაგარი ტიპია? ცვეტში იცოდა, რომ აქ ბევრი ჩვენაირი შემობოდიალდებოდა და აპა, სიკეთე.

- იქნებ თვითონ იქაურებმა გააკეთეს?

- კარგით, მორჩით ახლა და წავედით. დროზე ვქნათ, თორემ დაგვიანებაც ტეხავს. იქ სულ სხვა დღის განრიგია და მისი დარღვევა უხერხულია.

- რა დღის განრიგია, აბა, მიდი ერთი, ჩამოყარე.

- მერე გეტყვი, დავიძარით.

- მშია.

- იცეკვე.

- წადი შენი.

- მალე მივალთ?

- წინ დაჯექი და ჰო.

უხმოდ მიაპიჯებდნენ და ყველა თავის ფიქრს ფიქრობდა. ბილიკი სულ უფრო ვიწროვდებოდა და ადგილ-ადგილ საერთოდაც იკარგებოდა. ტყეც სულ უფრო მუქ მწვანედ ფერადდებოდა და გაუვალი ხდებოდა. დიდი გაჭირვებით დაძლიეს მომცრო გორაკი და საცალფეხო ბილიკით გვერდი აუარეს თვალუწვდენელ უფსკრულს. მალე გადასახედიც გამოჩნდა. ახლა მოსვენებაც შეიძლებოდა. ეს სწორედ ის გადასახედი იყო, რომელსაც, ერთ-ერთი მეგზურის თქმით, სხვას ვერაფერს დაარქმევდი, თუ არა წითელი ღვინის სმის სამოთხეს. იმათაც დაუჯერეს და სუფრაც გაიშალა, არადა, წესით, ღვინო იქ, დანიშნულების ადგილას უნდა ჩაეტანათ. არა უშავსო, გაიფიქრა ერთმა და დანარჩენმა ორმაც ტყემალში პური ამოანო. მართალია, სუფრა ღარიბული ჰქონდათ, მაგრამ რომელ მუცლის ამოყორვაზე იყო ლაპარაკი, როდესაც გარშემო ასეთი ულამაზესი ხედი გადაშლილიყო. მთას, რომელზეც ისინი იმყოფებოდნენ, ცალ მხარეს მდინარე ჩამოუდიოდა შხუილ-შხუილით, ხოლო მეორე გვერდს დაბალი და მეჩხერი ხეებით შეფენილი ხეობა უმშვენებდა. მთის წვერზე კი უზარმაზარი ხის ჯვარი იყო აღმართული. ჯვარზე რამდენიმე ლურსმანი... თანაც სწორედ

იმ ადგილებში, სადაც მაცხოვარს სამსჭვალი ჰქონდა დანარტყამი. მეტად ამაღლევებელი რამ იყო მათ თვალშინ გადაშლილი სანახაობა. ჯერ ეს უცნაურლურსმნებიანი ჯვარი და შემდეგ კი მთის ძირში აღმართული დიდებული სამონასტრო კომპლექსი. საყდარი და ეზო-კარი ყოველმხრივ მთა-გორით იყო შემორაგული და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს საერთოდაც არ არსებობდა. ჩაკარგულიყო ბუმბერაზ მცველთა შორის და ალბათ, მხოლოდ ამ ადგილიდან თუ შეიძლებოდა მისი შემჩნევა, თორემ ისე, იმდენად დაბლა, ხეობაში იყო განთავსებული, რომ სანამ კაცი ცხვირს არ მიადგებდა, საერთოდაც ვერ იფიქრებდა მის არსებობაზე.

- ისე, მაინც, რა ჭკვიანი ხალხი იყო ეს ჩვენი წინაპარი?! რამ მოაფიქრათ აქ ამის აშენება?!?

- ცვეტნოს ბაზრობ. აბა, აქ ვინ ოხერს და გადამთიელს მოაფიქრდებოდა ამოსვლა და მერე იქ ჩასვლა.

- შენ ამის აშენება თქვი?! ალბათ, იმ დროს გზაც კი არ იყო და აბა, როგორლა ახერხებდნენ ამხელა ქვების აქ ჩამოზიდვას? ან კი, საერთოდ, საიდან ეზიდებოდნენ? შენ აზრზე ხარ, რომ აქაურობის არსებობა საერთოდ არ იცოდნენ საუკუნების განმავლობაში, მხოლოდ გასულ საუკუნეში აღმოაჩინეს და უკვე მერე ააღორძინეს, როგორც მოქმედი მონასტერი.

- აუ, სიმონ, ჩერეზჩურ მაგარი ხედია და თან ეს ჯვარი როგორ სხვანაირ პონტშია?! ჰა, იქით ნახე, იმფერდობზე ის ნაძვებიროგორ ასწორებს?! რაღაცნაირად სიმეტრიულად არიან გაზრდილები და თითქოს სტრანი ხუთკუთხედს კრავენ. სადღაც მაქვს გაგონილი, რომ ესეთ მიუსვლელ ადგილებში, როცა მშენებლობას იწყებდნენ, დიდ ქვებას და ხის მასალას მდინარეს აყოლებდნენ. აი, დააგუბებდნენ, გააკეთებდნენ ტივს, დაალაგებდნენ ზედ ამ ქვებს და მერე კალაპოტს გაუხსნიდნენ. ისიც მიცურავდა კონკრეტულ ადგილამდე და მერე ისევ იგივე. ოღონდ ახლა სხვა მონაკვეთზე და ასე გრძელდებოდა დანიშნულების ადგილამდე.

- შენ საიდან ეგეთი ენციკლოპედიური ცოდნა? დისქავერი და ამბავი? მოდი, ამ სასმისით ამ სილამაზეს, ჩვენ გადაწყვეტილებას აქ წამოსვლაზე და უფლის წყალობას გაუმარჯოს.

- გაუმარჯოს. ეგერ ნახე, მონასტრის ეზოში ბერები ფუსფუსებენ. მიდი და ხელი დაუქნიე. იცი, იქიდან როგორ ჯიგრულად ჩანს ეს ადგილი.

- აეეე... აეეე... მე მგონი, ვერ მხედავენ. ან მხედავენ და ყურა-

დღებას არ მაქცევენ. ჰა, ბიჭო, რამეს ხომ არ მივქარავთ, აქ რომ ვზივართ?

- არა, ტო. შენ მიდი, მიდი, დროზე დალიე და ეგ ჭიქა მომაწოდე. არ გამიხადეს ეს ბოთლის გადანაჭერი სანატრელად?

- ისე, რა ხელისგულზე გადაშლილივით ჩანს აქედან მონასტერი. აი, უყურე, ის ხომ არის ერთი დიდი საყდარი და იქით, უკანა კუთხესთან, კიდევ მეორე პატარა სამლოცველო. ეს სატრაპეზოა და მასზე მიბმული ქვედა სენაკები. ესეც ზედა სენაკები. იქით შენობაში, მგონი, რაღაც ოთახებია და ბიბლიოთეკა, ხოლო მის გასწვრივ რომ მდელოსავითაა, ბერების საფლავებია. აგერ, კიდევ, მოშორებით, მიწებია და ბოსელი. დანარჩენს კიდევ თქვენით ნახავთ, რა. ისე, არ არის ახლა ეს მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ადგილი? ჰა, არა? ნახე, ეს მთავარი გზა ფერდობს როგორ კულაკნილად მოუყვება. საერთოდ ვერ ხედავ მონასტერს და მერე უცებ ეგრევე ამ სავანეში ეძრობი. ძალიან მაგარია, რა.

მონასტერი მართლაც რომ ძალიან ლამაზ ადგილზე იყო აგებული, სრულიად მოწყვეტილი ამქვეყნიერებას, როგორც გონითი სფეროთი, ისე ფიზიკური არსებობით. ერთი შეხედვითა და ერთი შეხებითაც კი ნათლივ აღიქმებოდა ის გასაოცარი სიმშვიდე და დროის სულ სხვა დინება, რომელიც იქ მარადებამს სუფევდა. საოცრად თბილი მზე და მინის თვალში ჩამდგარი სურნელოვანი სითბო. მარტობა და ამავე დროს არამიტოვებულობა. უცხო ხილის გემო და დაკორუილი ხელისგულები. და თვით უფალიც კი ყველაზე მაძფრად სწორედ აქ შეიგრძნობოდა. ალბათ, ამიტომაც, ადამიანის ყოფის საზრისხე მსჯელობაც, უსათუოდ, ყველაზე მართებული აქ იქნებოდა, ვიდრე სხვაგან.

- აუ, ძალიან მაგრა დავიღალე.

- მიდი, მიდი, ამ დაღმართს ჩავივლით, მერე პატარა ფერდობზე ავალთ და იქვართ.

- მე მგონი, არ უნდა დაგველია. ბიჭო, მომეკიდა და პახოდუ მაგრა დამენდრა სიარულის პონტში. თანაც იქ ღვინის სუნად აყროლებული მისვლა, არა მგონი, რომ ასწორებდეს. მერე პახმელია და კაროჩე რა...

- აქ თუ არ ჩავირბინეთ, ისე შეიძლება ჩანთებმა გადაგვდლიოს.

ბოლო ფერდობზე ჩარბენით კი ადვილად ჩაირბინეს, მაგრამ ბორცვზე ასვლისას მართლა ძალიან იწვალეს. ძაღლებივით ენა-

გადმოგდებულები მიბობლავდნენ მწვერვალისკენ და მათი სხეულებიც მთელი ძალით ცდილობდნენ, გამოედევნათ ორგანიზმიდან ის სისაძაგლები, რომლებიც წლების მანძილზე ნელი მოქმედების შხამივით წამლავდნენ მათ ჯანმთელობას. როდესაც მონასტრის ეზოს მიატანეს, იმდენად განადგურებულები და თავში ალკოჰოლავარდნილები იყვნენ, რომ ჩანთების მოხსნის თავიც კი აღარ ჰქონდათ. იქვე, ხის ძირში მიეყარნენ.

დაალეს პირები და ამოუშვეს დაფჩჩენილი ხახებიდან სიგარეტის ნამწვავები, არყის პატარა ჭიქები, ღვინის განსხვავებული სასმისები, ლუდის ხუთლიტრიანი ბალონები, მოსაწევის გაბუჩქული თავთავები, ინსულინის სისხლინი ბაიანები, „მომენტი“ წებოს პარკები და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი სისაძაგლე. დაიწყო მათი განწმენდა.

- გამარჯობათ, მამაო, ჩვენ ფერისცვალების დედათა მონასტრის წინამდლვარმა გამოგვაზარა თქვენთან. თუ არ ვცდები, უნდა დაერეება კიდეც. - ქოშინებდა და ალკოჰოლის იმდენად მძაფრ სუნს გამოსცემდა, რომ თავად შეწუხდა და იქვე, ხეებს შორის გადებულ ფიცრულ სკამზე ჩამოჯდა. გადაწყვიტა, ხმა აღარ ამოელო მანამ, სანამ არ დამშვიდდებოდა და პირში წყალს არ გამოივლებდა.

- მოისვენეთ, შვილებო, ნუ მოგერიდებათ. კარგია, რომ მოახერხეთ ჩამდენ ხანს აპირებთ დარჩენას? იმიტომ გეკითხებით, რომ ძალიან ბევრი ხალხი ჩამოდის და ადგილების უქონლობის გამო, უარი რომ არავის ვუთხრათ, სამ-სამი დღით ვიტოვებთ ყველას, რათა შემდეგ სხვებმაც მოახერხონ დარჩენა.

- მოძლვარმა ძალიან თბილად მიმართა ყმაწვილებს და სათითაოდ მიაგება თავისი უძირო მზერის ნეტარება. თითქოს არაფერი, მაგრამ გამოხედვის მეათიათასედში მაინც იგრძნობოდა შემპარავი შეთვალიერება. მიზეზიც მრავალი იყო და დედათა მონასტრის წინამდლვრის სიტყვები გაახსენდათ: „ჩემგან იმიტომ უნდა აიღოთ კურთხევა, რომ მონასტერში მრავალი ულირსი ადამიანი ჩადის და თავისი უგუნური ქცევით სულ თავდაყირა აყენებენ იქაური ცხოვრების ადათ-წესს, რაც ყოვლად მიუღებელია ეკლესიისთვის.“

- ალბათ, ერთი კვირა. ხუთი დღე დანამდვილებით. ჩვენ ორნი ასე ვაპირებთ, ამას კიდევ სამსახური აქვს და თანაც ფეხმძიმე ცოლი ჰყავს და ალბათ, სამ დღეზე მეტს ვერ გაჩერდება.

- დიდი სიამოვნებით მიგიღებთ. ძალიან გვიხარია ხოლმე, როდესაც ახალგაზრდებს სურვილი უჩნდებათ ჩვენთან ჩამოსვ-

ლისა და მონასტერში ცხოვრებისა. უბრალოდ ჩემი ვალია, რომ გაგაცხოთ ჩვენი ტიპიკონი და წესები, რათა მონასტერში სიმშვიდე არ დაირღვეს. თუ არ იცით, აგიხსნით და თუ იცით, შეგახსენებთ, რომ ჩვენთან საკმაოდ გამკაცრებული ტიპიკონი მოქმედებს. იკრძალება ყველანაირი მოქმედება მოძღვრის კურთხევის გარეშე. აკრძალულია ერთმანეთთან საუბრები და ყველანაირი თავშეყრა. ლოცვები იწყება დილის სამის ნახევარზე და საღამოს ექსტეზი. ტრაპეზი ათზე და ხუთზეა, დანარჩენ დროს კი მორჩილებაში ვატარებთ. ვიძინებთ ცხრაზე, რათა ადგომა არ გაგვიჭირდეს. შაბათ-კვირას წირვას აღვავლენთ დილის ცხრა საათზე. ადვილი განაწესი ნამდვილად არაა, თუმცა თუ მოინდომებთ, არ გაგიჭირდებათ. როცა თავისუფალი დრო გექნებათ, შეგიძლიათ სენაკებში მოისვენოთ და ან ჩვენი ბიბლიოთეკით ისარგებლოთ. ოღონდ, არ დაგავინცდეთ, რომ ყველაფერი ეს ხდება მოძღვრის კურთხევით. ახლა ცოტა მოიცადეთ, მოვა ჩვენი წინამდღვარი, მცირედს გაგესაუბრებათ და შემდეგ სენაკებში გაგანაწილებთ. მანამდე შეგიძლიათ ფურცელზე ჩამონეროთ თქვენი გვარ-სახელები, ეკლესია, რომელშიც დადიხართ, მღვდელი, ვის მრევლშიც ხართ და ჩამოსვლის თარიღი. ამის მერე და თქვენი აქ ყოფნის მთელ მანძილზე, თუკი რამე კითხვები გაგიჩნდებათ, მხოლოდ მე მომმართავთ, მე კი ყველა საკითხს შევათანხმებ წინამდღვართან. ასევე მინდა გთხოვთ, რომ ჩამაბაროთ ტელეფონები და რამე დანა, ან იარაღი თუ გაქვთ თან. ყველა ნივთი დაგიბრუნდებათ წასვლისას, ხოლო როცა დარეკვა მოგინდებათ, მთხოვთ და მეც დროებით მოგცემთ თქვენს მობილურებს. ეს ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ გარეშე პირობებმა ხელი არ შეგიშალოთ ლოცვასა და ცოდვებზე ფიქრში. ახლა კი მოისვენეთ. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

- ჩემი დედა ვატირე, მაგარი დაგვენდრა. მე რომ ბოლოს აქ ვიყავი, ასეთი სიმკაცრე ნაღდად არ იყო, ტო. შვიდზე ვდგებოდით ლოცვისთვის და მერე მთელი დღე კელიებში ვისხედით. აუ, მაგარი გაგვიჭირდება აქ გაქაჩა. აზრზე ხარ, არც ბაზარი და არც დვიუნია? გავგიუდებით უეჭველი.

- მე უკვე წელი მტკივა. მაგრა მინდა გაჩერვა. - არ უნდა დაგველია, მოვკედი კაცი. უკვე მაგრა მეძინება. - რა ადგება სამის ნახევარზე?! მე ვითიქრე, ცოტას დავისვენებ-მეთქი და აქ კიდევ მუდმივი გამოუძინარობა უნდა ავიკიდო.

მონასტერში ოთხი ბერი, ორი მღვდელი და ერთიც მორჩილი

მოღვაწეობდა. ამას ემატებოდა ოთხი, მათსავით რწმენის მაძიებელი ახალგაზრდა და ასევე წირვა-ლოცვაზე მიმსვლელ-მომსვლელი მრევლი. მოკლედ, იყო ასე, ოცკაციანი ძმობა და მცდელობა ერთი დიდი უღლის ზიდვისა. მცდელობა ეს მათვის, ჩასულთათვის, ორერემ ბერებისათვის ეს ხომ ცხოვრების წესი გახლდათ?!

- ღმერთმა დაგლოცოთ. – მონასტრის წინამძღვარმა სათითაოდ დალოცა მოსული და ასევე სათითაოდ შეახო ხელი სველსა და გაბურდგნულ თავებზე. შემდეგ ცოტაოდენი გაესაუბრა და ასევე შემპარავად შეათვალიერა ახალგაზრდები. ბოლოს რუდუნებით მოუთათუნა სამივეს ხელი მკლავზე და სიტყვებით, დარწმუნებული ვარ ბევრ სიკეთეს შეიძენ ჩვენთან თანაცხოვრებისასო, გაისტუმრა მოშორებით მდგარ ზედა სენაკში.

სენაკამდე მორჩილმა მიაცილა. ჩამოართვა შესაწევნად ჩატანილი ზეთ-წინიბურ-ბრინჯ-მაკარონ-შაქარ-ლობიო და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა სიტყვებით — უფალმა შეგენიროთო. აჩვენა სად იყო ხელსაბანი, საპირფარეშო და შეშა ღუმელისათვის. სანამ მეგობრები ჩაბნელებულ სენაკს ათვალიერებდნენ, მორჩილი სადღაც გაუჩინარდა. იმავ წუთს ასევე იღუმალად გაუჩინარდა მათი წარმოდგენები მონასტერში არსებული კომფორტისა და მოხერხებულობის შესახებ. სენაკი წარმოადგენდა საკმაოდ მომცრო ოთახს, სამი ორსართულიანი საწოლითა და ერთიც, ცეცხლგამძლე ფილებით გაწყობილი ღუმელით. ერთი შეხედვით, ყველაფერი იმდენად მინიატურული ჩანდა, რომ პატარა სარკმლიან სათამაშო სახლს წაგავდა, რომელშიც კაცუნებს უნდა ეცხოვრათ. თავის მხრივ ეს ყველაფერი ცხადყოფდა, რომ აქ კოტრიალსა და ფიქრებში ნავარდს ვერავინ დაიწყებდა. აშკარა იყო, რომ ძილსაც კი სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა. მკაცრი, ღრმა და უემოციო ანუ სხეულის ძილი.

- კიდევ კარგი, მარტო ვართ სენაკში. თქვენ არ იცით, რას ნიშნავს, როცა ამ მოცუცქნულ ოთახში რვა კაცს სძინავს. როდესაც ოთახში თექვსმეტი დაუბანელი ფეხის სუნი დგას?! საშინელებაა. ახლა კი მაგრა ასწორებს ცალკე, თან მოშორებითაც ვართ და ჩვენ ხმაურსაც ვერავინ გაიგებს. მე ამ კუთხეში დავწვები. აუ, და ახლა ფეჩი რომ არ დავანთოთ, ღამე იმენნა გავიყინებით.

- კარგი აზრია. მე წავალ შეშას და წყალს მოვიტან. მაგარი სუშნიაკი მაქვს.

- მე კიდევ ცოტას წამოვუწვები და თუ ჩამეძინა, ტრაპეზისთვის გამაღვიძეთ.

დალაგებით ადვილად დალაგდნენ. აბა, თითო ბალიშისა და თითოც შალის გადასაფარებლის თეთრეულში ჩადებას ნებისმიერი ურნმუნოც კი გაუმკლავდებოდა და ისინი კიდევ ხომ თითქოს რწმენის უფრო მაღალ სიბრტყე-საფეხურზე დამდგარიყვნენ?! - აე, ვიში პილოტაჟ - იტყოდა მათი ერთი მეგობარი, იქრომ ყოფილიყო, მაგრამ არ იყო. მერე ცოტა იწვალეს და დიდი ცეცხლი გააჩალეს ღუმელში. დახარბებულებმა შეუკეთეს და შეუკეთეს ჯირკები, გამნოვს კარი გამოულეს, რათა სითბო ოთახში დატრიალებულიყო და წამოუწვენენ. იწვენენ ასე, თვალმილულული და დუმდნენ. დუმდნენ იმიტომ კი არა, რომ ტიპიკონს იცავდნენ, არამედ უბრალოდ საუბრის თავი არ ჰქონდათ. რაღაცნაიდან შფოთავდნენ და თითქოს ნანობდნენ კიდეც თავიანთი გადაწყვეტილების გამო.

„რა მინდოდა მონასტერში, რას მოვეთრეოდი? ვერ დავეტიე ერთი სახლში? ფუ, ჩემი სულელი... ახლა რა ვქნა მე აქ? ბეზპონტობით გავგიშვდე, თუ ლომქაში დავიბრიდო?“ — ფიქრობდა ერთი.

მერე მეორემ გაიფიქრა: „აუ, სიმონ, ახლა ღამის სამ საათზე ადექი და იღლცე, მერე მთელი დღე ვირივით იპახავე, წყალ-წყალა სუფი შეისხი და ბოლოს კიდევ ამინო თქვი. მე დასვენება მინდოდა, ფრთების ამოსვლა კი არა.“

მესამე: „დამენძრა, მე აქ გავიჭედე და იქ ჩემს თავნებს ვინ გადაიხდის, მამაჩემი? მაგის დედაც... გადაიხადოს მამაჩემმა, აბა, რა უნდა ქნას?!“

მერე ცოტა ჩაეძინათ და სიზმრად ჩაესმათ:

დდტტ... დდტტ... დდტტ... დდტტ... დდტტ...

- ჰა... ჰა... რა ხმაა? რა ხდება? — გაიღვიძა ერთმა და დაფეთებული მოჰყვა თვალების ფშვერტას. მოიფშვენეტდა, აბა რას იზამდა, შემა სველი მოეტანათ და ოთახი გაბუღულიყო.

- არ მომიტეხო... არა, არა, დამაკლდება... მერე, მერე გადმოგიყრი... - მეორე, გამოფხიზლების პირველ ნაწილში ბოდავდა და მეორეში კი ცდილობდა სიტუაციაში გარკვევას. შემდეგ წამოჯდა და ადგილზე გახევდა. ნელ-ნელა გაუნათდა გონება და „სასოწარეკვეთა“. - აუ, მონასტერში ვარ.

- ტრაპეზი დაიწყო, წავედით. - მესამე ეღლდანაკრავივით წამოვარდა, ჩაიცვა და კარს მიაშურა. ის ორი კი პირდაფჩენილი უყურებდა, ვითომ რატომ ეგრეო. იმან კი შუა გზიდან მოაძახა, დაგვიანება არ შეიძლება, უჭმელი დარჩებითო. ისინიც აფართხალდნენ, რადგან შეეშინდათ, ეს ხომ ტურბაზის ბუფეტი არ არის, რომ შენი წილი დახლიდარმა გადაინახოსო?!

- მაგრა კი მომშივდა და ნეტა, აქ რას აჭმევენ?

- ეს კვირა მძიმეა და უზეთო ექნებათ. მარხვის ბოლოს კი საერთოდ აღარ ტრაპეზობენ და მხოლოდ წყალზე და პურზე არიან. მერე ნახე წყალ-წყალა ბორშის მონატრება და პირის გემოს გახსნა?!

- მე რაღაცნაირად მიტყდება და რა ვიცი, იქნებ ჯერ თქვენ შეხვიდეთ და მერე მე შემოვალ. არავის არ ვიცნობ და რა ვიცი...

სატრაპეზო არ გამოირჩეოდა ნაირ-ნაირი და გემრიელი კერძებით, თუმცა კი მონასტერში სწორებ იმ ადგილს წარმოადგენდა, სადაც პატარა ხორციელი ვნების დაკმაყოფილება იყო შესაძლებელი. სადილად ჰქონდათ, ასე ნაქები, „ბორშისდამაგვარი უცხიმობა, წინიბურა-მაკარონის ასორტი, მოტკბო ჯემი, საშუალოდ ახალი პური და რაღა თქმა უნდა, თბილი ჩასარეცხი, ანუ მცენარეული ჩაის მიბაძვა“. ესეც შენი პატარა ხორციელი ვნება! თუმცა კი სრულიად საკმარისი არსებობისთვის. მეტიც, აქ ხომ ძღომა-ნაყროვანება საერთოდ გამორიცხული იყო? აბა, რა ჭამა-ყლაპვაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც სატრაპეზოს ყველა კედელი ფრესკებით იყო მოხატული და თან პარალელურად წნინდანთა ცხოვრება იკითხებოდა?! აღბათ, ესეც ნაწილი იყო ბრძოლისა. დიდი ბრძოლისა. თუნდაც კუჭთან ბრძოლისა.

- აე, ნახე, ტო, სულ ფრესკებში კედლები. თავი ცვეტში საყდარში მგონია. იმმენა მადა წამერთვა. რაღაცნაირი პონტია აქ საჭმლის ჭამა. თითქოს ასწორებს და პახოდუ მაგარი ტეხავს. აბა, ეკლესიაში ლუკმაობა როგორ გამოვა? - დაიჩურჩულა ერთმა უკვე მერამდენედ.

- არა, ტო, მაგარია ძალიან. ეს იმიტომ არის, ალბათ, რომ წაყროვანებას არ მიეცე და მუცელლმერთობაში არ გადავარდე. წმინდანების ნეტარი სახეები თითქოს რაღაცნაირად გზლუდავენ. აქ სულ სხვა რაღაცით უნდა გაძლე. ჰა, არა ვარ სწორი? - მეორემ უფრო ხმადაბლა დაიჩურჩულა, აქამდა მე უფრო.

- ჭამე, ჭამე. დღეს ეს ბოლო კვება. ფრესკები საყდარში ნახე, თორემ აქ საჭმელად შემოდიხარ და არა სალოცავად. და საერთოდ ნუ ლაპარაკობთ, თორემ ხომ იცით, ეგრევე ყვითელ ბარათებს დაგვირიგებენ და მერე პაკა... - მესამემ ვითომც ყველაზე მოკლედ და ხმადაბლა ჩაისისინა.

მართლაც, ძალიან ლამაზი სატრაპეზო იყო. ოთახში ორი გრძელი მაგიდა და ასევე ორ-ორი გრძელი სკამი იდგა. სუფრაზე ელაგა რკინის ჯამები, ჭიქები და დანა-ჩანგალი. ქვაბებით ჩადგმული იყო წვნიანი და უშველებელი ჩაიდნებით კი სურნელოვანი

მცენარეული ნაყენი. მაგიდებისგან ოდნავ მოშორებულ კუთხეში იდგა დიდი, სამგანყოფილებიანი ღუმელი, ზედ შემოდებული ასევე დიდი ალუმინის ქვაბებით, მეორე კუთხეში კი მოწყობილი იყო ფარდაგვადაფარებული საკუჭნაო. ყველაზე უცხო და მომხიბვლელი, ამ უჩვეულო გარემოში, უდავოდ გახლდათ კედლის მხატვრობა. ის, ყველა წინ ჩამოთვლილი, უფრო ამქვეყნიური, ფიზიკური არსისა იყო, ხოლო ეს ბოლო ფრესკები კი, ჰოი, რა სულ სხვა მადას აღძრავდნენ?! მაგრამ საყდრის ხიბლი აქ არ მთავრდებოდა. მაგიდასთან მსხდომ ბერთაგან ერთ-ერთი არ ტრაპეზობდა. იგი იჯდა და საეკლესიო ლიტერატურიდან წმინდანთა ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებს კითხულობდა. კითხულობდა დაუღალავად და შთაგონებით. მონოტონურად და ლოცვასავით. კითხულობდა მთელი ტრაპეზის განმავლობაში და თითქოს მადლი თეფშებსაც კი ეფინებოდა. სწორედ ეს ორი გასაოცარი გარემობა, ანუ წმინდანთა გულუბრყვილო სახეები და ლოცვად აღვლენილი მარტვილობანი იმდენად აპატიოსნებდა ისეთ მდაბიურ ქმედებას, როგორიც იყო მუცლის ამოყორვა, რომ სანახავადაც კი სასიამოვნოს ხდიდა.

- შენ ახლა ამ უცხიმო საჭმლის მონელება თქვი? ჰი, ჰი, ჰი.

- ეს ბერი კითხვას რომ დაამთავრებს, ჭამას თავს გაანებებთ და ფეხზე წამოდგებით, როგორც დანარჩენები. მერე ისევე როგორც დასაწყისში, პატარა ლოცვას წაიკითხავენ და მხოლოდ ამის შემდეგ გავალთ სატრაპეზოდან. გაიგეთ?

- სახლში მინდა დარეკვა. გავიგო ერთი, ცოლი როგორ არის. ხომ შეიძლება, როცა გავალთ, ტელეფონი ვითხოვო?

- ითხოვე რა, განა ვინმე გიშლის? ხომ გითხრეს დაგარეკინებთო?!

მედავითნემ კითხვა გაასრულა და წიგნი დახურა. ყველა ფეხზე წამოდგა და წარმოითქვა მოკლე ლოცვა. მოსალამოებულიყო. პირველი სუსხი გარეოდა ჰაერს. ჩიტები საამურად ჭიკიკებდნენ. საქონელი გაბმულად ბლაოდა. ახლად გაშლილ ყვავილებს თავი მოეხარათ, თითქოსდა მადლობას სწირავენ უფალს კიდევ ერთი მშვიდი დღისთვის. სატრაპეზოს კარი მოიხურა. უკან დარჩა წმინდანთა იდუმალი ცხოვრება და ბიბლიურ-სახარებისეული ეპიზოდებით მოხატული კედლები. თითქოს არც არაფერი იყო განსაკუთრებული ჭამა-სმაში, თუმცა კი წამიც საკმარისა გახლდათ, რათა კაცს ნათლივ აღედგინა გონებაში ის უჩვეულო განწყობა, რაც სატრაპეზოში სუფევდა. განწყობა იმისა რომ მარტო არასდროს არა ხარ.

ყველა მდუმარედ დაიშალა და სხვადასხვა მიმართულებით გაემართა. დარჩნენ მხოლოდ ისინი. დარჩნენ ყოვლად უაზროდ და ყოველგვარი დანიშნულების გარეშე. იმდენად უაზრო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ საღამოს გრილი მზე მათთვის მწვავე გახდა. — გახარებს ლერთი, — თითქმის ერთდროულად აღმოხდა სამივეს, როდესაც ობლად დარჩენილთ მოძღვარი მიუახლოვდა და გაათავისუფლა უაზრობისაგან.

- როგორც ახლად მოსულებს, შეგიძლიათ, სენაკებში მოისვენოთ საღამოს ლოცვამდეო.

- წავედით, ცოტა დავისვენოთ. აქ ბირჟაობა არ გამოვა. თან რაღაცნაირად აცივდა და შემოვიცმევსავით.

- მე დარეკვა და სიგარეტი რომ მინდა?

- ტელეფონს საღამოს მოგცემენ და სიგარეტი, აბა, მე რა ვიცი, სად უნდა მოვწიოთ. ჩემ დროს ვაბშე კელიასთან ვაბოლებდით, ოღონდ ჩუმად და ახლა რომ აქ ეგეთი რამე ქნა, ხომ აზრზე ხარ? მერე ვეკითხოთ ვინმეს, რა.

სენაკში იმდენად ცხელოდა, რომ კარის ღიად დატოვება მოუნიათ. ტანსაცმლიანა დაეყარნენ საწოლებზე და ბანგნასვამებივით ჩაეძინათ. ეძინათ კი უშფოთველად და უსიზმროდ. იკრებდნენ ძალებს მომდევნო დღეებისათვის, რადგან ძირითადი ბრძოლები და ცდუნებები ხომ მათ ჯერ კიდევ წინ ჰქონდათ?! გაეღვიძათ შებინდებისას, როდესაც სატრაპეზოსთან ჩამოკიდებულ ზარს შემოკრეს. ზარი კი საღამოს ლოცვის დაწყებისა იყო.

- ადექით, ლოცვა იწყება.

- უკვე, ტო?

- მაგრა საკაიფოდ ჩამოვლიმა. იქნებ ლოცვამდე გაგვებოლებინა პაპიროსი, თორემ უკვე მაგარი დამენძრა. რაც ჩამოვედი, არ მომიწევია.

პაპიროსი მართლაც გააბოლეს. თითო-თითო გაიძურნენ მონასტრის ჭიშკრის გარეთ და დათემული ბუჩქის ძირას აახრიოლეს ეშმაკის საკმეველი. ვიღაც მათსავით მოხერხებულმა, „ძმბის წევრმა“ ასწავლა, გარეთ გადით და იქ გააბოლეთო. ოღონდ ისე ქენით, რომ ცალ-ცალკე გახვიდეთ და ერთად არავინ შეგნიშნოთ, თორემ თუ დაინვით, სიგარეტი ჯანდაბას, მაგრამ ბირჟაობისთვის უეჭველი სახლში გაგაბრუნებენ. ისინიც ასე მოიქცნენ, მაგრამ, ჰაი, რომ ბერები უფრო ყოჩაღები აღმოჩნდნენ. სამივენი ისე შელაგდნენ მონასტრის ეზოში, ვითომცდა სუფთა ჰაერზე გავისეირ-

ნეთო.

- ხომ გითხარით, რომ ერთად სიარული და საუბრები ჩვენთან იკრძალება? თუ მაინცდამაინც ვერ ითმენთ უსიგარეტოდ, შეგიძლიათ, მონასტრის ტერიტორიის მოშორებით გახვიდეთ და იქ მოსწოროთ. ოლონდ, ეს თქვენი ცოდვა და სირცხვილი ისე უნდა დამალოთ, რომ საყდარში მომსვლელს განწყობა არ წაუხდინოთ. გაფრთხილებთ, კიდევ ერთხელ დაარღვევთ ჩვენს განაწესს და მამინ უკვე ნამდვილად მოგიწევთ მონასტრის დატოვება. ახლა კი დროზე საყდარში, ლოცვა იწყება.

- ბოდიში, მამაო, ეს აღარ განმეორდება. – სკოლის მოწაფესავით აიტუზა ერთი და ფეხის ცერს დააცექრდა.

- ნამდვილად აღარ ვიზამთ. — მეორემ ჯერ კუდი გააქიცინა, ორი ნაბიჯის მოშორებით კი წაინუტუნა. – აჲა, ყვითელი ბარათებიც დავირტყით. როგორ არის, გარჩიჩნიკიო, არა?

- დროზე, დროზე შევიდეთ, თორემ ერთი ყვითელიც და მერე „დალონი სპოლია“. არადა, რას ვყარვართ ახლა სიგარეტის სუნად? იქ შესაშვებები ვართ? დააა... – ჭკვიანურად აღნიშნა მესამემ.

საღამოს აცივდა და ალბათ, ასე იქნებოდა მთელი თვე. დილით მზე, ღამე კი სუსხი. ამიტომაც წირვა-ლოცვა პატარა საყდარში გადაიტანეს, რომლის დათბობას ერთი ღუმელიც კი ჰყოფნიდა. სამლოცველო იმდენად პატარა და ძველი იყო, რომ ათ კაცზე მეტს ვერ იტევდა. სივიწროვის გამო საყდარში საკურთხეველი გამოყოფილი არ იყო. უბრალოდ, გამოსვენებული ხატის უკან დარჩენილი სივრცე მოიაზრებოდა საკურთხევლად. კედლები არ იყო მოხატული, ან იყო, ოლონდ ძალიან დიდი ხნის წინათ და უკვე შემდგომ შეეთეთრებინათ რუს „მალიარ“ ქალებს, როგორც ეს ხშირად ხდებოდა. ხატებიც არ იყო დიდი ისტორიული ლირებულებისა. ერთი-ორი თუ იყო ადრინდელი და ისიც ძლიერ დაზიანებული, ხოლო დანარჩენი — შედარებით ახალი, სტამბური წესით დაბეჭდილი. სამლოცველოს ოთხი, ძალზე პატარა სარკმელი ჰქონდა. შუაში უშველებელ ჯაჭვზე ჩამოეკიდათ სანთლის ჭაღი, რომელსაც ალბათ ძალზე იშვიათად და ისიც წარსულში თუ ხმარობდნენ. კედელთან იდგა ერთი მაღალი და გრძელი მაგიდა, რომლის უჯრებშიც აურაცხელი საეკლესიო წიგნი და ლოცვანი ინახებოდა. კართან ახლოს მიჭიდებულ ტანსაცმლის საკიდზე, მღვდლების სამოსელი ეკიდა. კუთხეში მდგარი მომცრო ღუმელი, სრულიად ჰყოფნიდა ამ მცირე ფართობს. საყდარს სანთლები და ერთი ნავთის ლამპა

ანათებდა. ბნელოდა, მაგრამ ეს ნახევრადწყვდიადი და მოკიაფე ალების ციმციმი უფრო მეტ სანდომობასა და სილრმეს მატებდა იქაურობას.

ლოცვა დაიწყო და ბერებიც შეიმოსნენ. მედავითნემ ფსალმუნების კითხვა დაიწყო, ხოლო მოძღვრები ლოცვას შეუდგნენ. ფერად მოსასხამებში შემოსილი ბერები იმდენად სხვანაირად გამოიყურებოდნენ, რომ ერთი შეხედვით კაცს შეიძლება ვერც კი ეცნო ისინი. შავ და შელახულ კაბებში გახვეული წვეროსნები, მატერიალური ყოფის თვალსაზრისით, სილარიბეს განასახიერებდნენ, ხოლო როცა შეიმოსნენ და მოირგეს მდიდრული ფერებით განწყობილი ანაფორები, კაცი იფიქრებდა, მათზე შეძლებული და მდიდარი სხვა აღარავინაო. რაღა თქმა უნდა, ეს სიმდიდრე სულის, რწმენის და თვალში ჩამდგარი სხივისა იყო, თორემ აბა, განა შავი კაბა, თუ ფერადი მოსასხამი შეცვლიდა ესოდენ ადამიანს!?

- აუ, სიმონ, აქ ძალიან გრძლად კითხულობენ ლოცვებს და ალბათ, სამ საათზე მეტ ხანს გასტანს. გამატარე, უნდა ჩამოვჯდე, თორემ დავიბრიდე.

- მაგრა მიჭირს ამ პატარა ოთახში. ძალიან დახუთულია და თან ეს ლამპა ხრჩოლავს. თვალები მეწვის და პირში მაგარი ბანძი გემო მაქვს. მიმიშვი ერთი, იქნებ პატარათი კარი მაინც გამოვალო, თორემ გავიგუდე.

- მოვრჩეთ ახლა ბაზარს და ვეცადოთ, საკუთარ ცოდვებზე ვიფიქროთ.

- ნნ, ნნ, ეს რა სერიოზული როჟაა. ნელა ქენი, არ გაფრინდე.

ლოცვა მათთვის მართლაც ძალიან გრძელი, დამღლელი და უჩვეულო აღმოჩნდა. თითქოს დროც შეჩერდა და დარჩა მხოლოდ მონოტონურად წარმოთქმული სიტყვები. აღარც დასაწყისი იყო და მით უმეტეს, აღარსად ჩანდა დასასრული. მერე სადღაც გაქრა დაღლა და ზედ მიჰყვა ფიქრით გაჭედილი თავი. წარმოიშვა ერთგვარი სიბრტყე. უფრო კი სანთლის შუქითა და ლოცვით განათებული უხილავი მასა. მასა, რომელმაც მთლიანად მოიცვა მათი გონება და სხეული. ერთადერთი, რაც მათ ფიზიკურ არსებობას ადასტურებდა, ეს გახლდათ მეტანიები. დიდი და მცირე, ბევრი და თითო-თითო. თითქოს ამ დროს უბრუნდებოდა მათი სულები მათსავე სხეულებს. ამ დროს ესმოდათ მათ ყურებს და ამ დროს ხედავდნენ მათი თვალები. კედელი, იატაკი, კედელი; სადღაც

შუალედში — ჭერი და მერე ისევ მოძღვრის ბაგეები და სიტყვები „ყოველი სული აქებდით უფალსა“.

მედავითნემ სათითაოდ დახურა წიგნები და უჯრებში ჩაალაგა. მღვდელმა საღამოს ლოცვაზე უკანასკნელად მოიხსენია ყოველნი წმინდანი და დალოცა მრევლი. ლოცვა დასრულდა და ხალხიც გარეთ გამოვიდა. ეზოში წყვდიადი იდგა და სუსხი სახეს წინქნიდა. სუფთა ჰაერმა მთქნარება მოჰვარა დაღლილობისაგან განელილ სახეებს. ყველამ საკუთარ სენაკებს მიაშურა. ისინი კვლავ მარტო დარჩნენ. მოეძალათ უაზრობა და ქუთუთოებზე დაკიდებული მძიმე ძილი. სწრაფი ნაბიჯით აიარეს აღმართი და სენაკში შეიყუშენ.

- ისე სწრაფად გაუჩინარდა ეს ხალხი, რომ ტელეფონის გამორთმევაც ვერ მოვასწარი. რა ვუყო ახლა, სახლში როგორ დავრეკო?

- ხვალ დარეკავ. თითოც ხომ არ გაგვებოლებინა? მაგრა ცივა! რა გავა გარეთ?!

- ბრრ... ბრრ... წა-ვე—დი—თ... მაგის დედაც.

- ძილი წებისა. ახლა მთავარია ცისკრის ლოცვაზე არ ჩაგვეძინოს. უააა...

ოთახში სასიამოვნოდ თბილოდა. ბოლომდე ჩანეული ლამპა ოდნავლა ბჟუტავდა. მათ ჩაეძინათ. ყოველგვარი მთქნარებისა და თვალების სრესვის გარეშე. უსიტყვოდ და მომავალი დღის დაუგეგმავად. მერე იყო სიზმრები. არეული და ეროტიკული. მგზნებარე და აგრესიული. ცხადი და ბუნდოვანი. გარეთ გაწვიმდა, ხოლო შიგნით მოილრუბლა. ანუ დაიწყო უამი დიდი ბრძოლებისა, ცდუნებებისა და განსაცდელებისა. უამი დაცემისა და უამი აღდგინებისა. უამი ლოცვისა და უამი სინანულისა. უამი სიკვდილ-სიცოცხლისა და ვეღდრებისა ღვთისმშობლისადმი: „მიართუ ლოცვაი ჩუენი ძესა შენსა და ღმერთსა ჩუენსა, რაითა აცხოვნენ სულნი ჩუენნი“.

მონასტერში დამკვიდრებული სიმყუდროვე და ლამის შიშნარევი სიმშვიდე უჩვეულო კაკუნის ხმამ დაარღვია. ხმა ყრუ და უხეში იყო, თუმცა კი რიტმული და გამოზომილი სიძლიერის. ერთი, ორი, სამი. ერთი, ორი, სამი — მიახლოებით ასე წანილდებოდა დარტყმების ჯერადობა, ოღონდ — საკმაოდ მჭახედ და ჩეარ-ჩეარა. მართალია, ზედა სენაკის ბინადარი თავიდან ვერ გაერკვნენ ვითარებაში და კარგა ხანს ვერც კი იღვიძებდნენ, თუმცა მონასტრის ძმობის სხვა წევრებისთვის ეს ხმა საკმაოდ წაცნობი გახლდათ. დილის ლოცვა იწყებოდა. ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც

ერში მოღვაწეობდა და ახლა მონასტერში ბერად აღკვეცილიყო, უჩვეულო ფორმის ხის გადანაჭერთან იდგა და ასევე უჩვეულო ფორმის ორ პატარა ჯოხს ურტყამდა. ის, რაც ესოდენ საუცხოო ხმას გამოსცემდა, წარმოადგენდა ძალზე დიდ და თევზის ფორმის მოყვანილობის ორნამენტებიან, სქელ ფიცარს. ხე, ალბათ, პატიოსანი ჯიშის იყო, თორემ წლების განმავლობაში ვერ გაუძლებდა ამდენ ბრაგაბრუგს. ეს უშველებელი რაღაც ორ დიდ ჯაჭვზე ეკიდა და თავისი სიმძიმის შემწეობით, იერიშის მიტანისას არც კი ინძრეოდა. ის ორი პატარა ჯოხი კი, რომელიც უფრო გადაჭრილ ცომის საზელს წააგავდა, ვიდრე რამე მუსიკალურ-ინსტრუმენტულ დასარტყამს, მშვენიერ საშუალებას წარმოადგენდა თევზ-ხეზე დასაკრავად. სწორედ იმ თევზ-ხეზე, რომლის დანიშნულებაც სხვა არა იყო რა, თუ არა იმგვარი ხმის გამოცემა, გულის ძილით მძინარე კაცის ყურთასმენასაც რომ მისწვდებოდა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაცი და მისტიკური მომენტი ლამის მონასტერში. წყვდიადი და სადღაც მის კალთებს ამოფარებული სიჩუმის დამრღვევი ბერი. ბერი, რომლის უცნაური მოძრაობები შობენ ხმას. ხმას, რომლის მსგავსი არც მუსიკაშია და არც ხელობაში. ის თან საქმე-შრომა და თანაც ჰანგები-სიმფონია. მონასტრის სუნთქვა. შავი ანაფორის ძლიერ გასაგონი შრიალი და გამჭოლი, ფორიაქა ხის ხმა. რიტმი მსგავსი გაქცეული, „განურული გულისა.“ დარტყმების ძალა, ჯვაროსანთა ლაშქრის ცხენების თქარათქურისა და ხმა დაუღალავ-შეუბოვარ მორწმუნეთა ლაღადისისა. საზარელი ხმა. ყოვლისშემძლე ხმა. ყველაფრისაგან გამომაფხიზლებელი ხმა.

- აუ, ჩემი კაი, ეს რა ხმაა? გამისკდა თავი. დაგვესხნენ, თუ რაშია საქმე? - გვერდი იცვალა და ბალიში თავზე წაიფარა.

- მე მგონი, შეშას ჩეხავენ, თუ არადა, მართლა მონღოლების ურდო შემოგვსევია და ვერ გაგვიგია. ტყვილად კი არ მაფრთხილებდა ბებიაჩემი, არ წახვიდე მონასტერში, ბერებს თავს ყაჩალები და ავარები ესხმიანო. - გულზე დაიკრიფა ხელები და ჭერს მიაშტერდა.

- დროზე ადექით. ეს ლოცვის დაწყების ნიშანია. - მთქნარებით წამოდგა და გულიანად გაიზმორა.

- და ეს უცნაური ხმა რატომ?

- სატრაპეზოსთან რომ უცნაური ხის გადანაჭერი ეკიდა, ხომ გახსოვს? აი, ამან რომ თავი წყვიტა, რა? აი, მაგას სცემენ ჯოხებით და მაგიტომ არის ეგეთი მურდალი ხმა.

- ჩემი ფანარი ხომ არ გინახავთ? ვერსად ვერ ვპოულობ.

ლოცვა დაიწყო და იყო ისეთივე განსაკუთრებული, როგორც მონასტერში გატარებული თითოეული დღე. იკითხებოდა კრიტელის კანონი. უჩვეულო თავისი ხანგრძლივობით, ლოცვის აღვლინების წესით და მრავალი დიდი მეტანით. სანთლის შუქი სუსტად კრთოდა. მობეზრებისა და სიამოვნების გრძნობები ერთმანეთში გადახლართულიყო. მლოცველები თითქოს ერთმანეთს დამსგავსებოდნენ — დასიებული თვალები, გაბურდგნული თმა-წვერი და ნამძინარევი სახეები. ბერები უფრო ყოჩალად გამოიყურებოდნენ, ვიდრე საერონი. შუალამის სიმძიმეში ისინი თითქოს უფრო მეტი მადლიერებით ლოცულობდნენ და თვალებშიც სულ სხვა ნაპერნკალი უკრთოდათ. პირველი საათი მართლაც ძალიან მძიმე გამოდგა. ფიქრების დამორჩილება და ლოცვაში ჩართვა საკმაოდ რთული აღმოჩნდა მთენარებით გამოტენილი პირებისათვის. დანარჩენი სამი თუ ოთხი საათი კი უკვე დროის აღქმის გარეშე გავიდა. პროცესია იმდენად ითრევდა საკუთარ თავში, ანუ ლოცვაში მსმენელს, რომ მრავალსაათიანი ფეხზე დგომა და ერთი უხილავი წერტილის დაჟინებით ცქერა ერთობ სასიამოვნოც კი ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ეს მათ ეგონათ ასე, რომ უძრაობა იწვევდა ერთგვარ მოძრაობას სულში, თორემ აბა, განა ფიზიკური დაღლა იყო წეტარების მომტანი?! რა თქმა უნდა, არა და შემპარავი შეგრძნება ზიარებისა რაღაც ძალზე დიდთან და მნიშვნელოვანთან აღძრავდა ამ უცნაური ინტიმის განცდას.

- თენდება. ნახე, რა ლამაზად ადგება მზის სხივები ხატებს. წელან მამაოსაც ადგა ნათელი და ისე ჩანდა, თითქოს სულიწმინდა გადმოვიდა მასზე.

- ჰო, გათენდა. უკვე ნახევარი საათია, რაც სარკმელს ვუყურებ და მაგარი დავამუდამე, როგორ შემყვანად ირიურავა. ჯერ განაცრისფრდა და მერე კი რძესავით აიჭრა. ჩიტებიც აჭიკეტიკენ და ლამის დარდებიც გულზე მომეშვა, თორემ რაღაც მაგარი დაგრუზული ვიყავი. მძიმე, ნამთვრალევი სიზმარივით მახსენდება გუშინდელი ლამე.

- ახლა სიგარეტი გაასწორებდა არა, მაგრა?!

- არ გაბედო გარეთ გასვლა. აყროლდები მერე სიგარეტის სუნად და გაბანდები. ალპ-კლუბის კრებაზე ხომ არ ვგონია თავი?!

- ამის მერე ცოტა ხანს მაინც ხომ დაგვაძინებენ?

- ჰო, აბა, მერე დანექი და იძინე ცხრამდე.

- ბიჭო, რა კრებაზე, რაებს მიედ-მოედები? მე პროსტო ვთქვი, რომ მეწევინება-მეთქი, თორემ ესეთ დროს, გარეთ გასვლას საერთოდ არ ვაპირებდი. და ვაბშე ნუ ახურებ, რა. ამან ხომ გაატრაკა თავისი სიჭკვიანებით და კაი ტიპობით?!

ლოცვა რომ დამთავრდა, უკვე კარგა ხნის გათენებული იყო. დადგა უამი ლოცვით თრობიდან გამოსვლისა და ცოდვილმა ნაბახუსეობამაც არ დააყოვნა. ათასი არეული აზრი დაიძრა თავში და ცდუნების მზეს მიეფიცხა ნებიერა რამ ცხოველივით. რატომ? იმიტომ, რომ ბრძოლების დრო იდგა. დიდი ბრძოლებისა და განსაცდელების დრო. მოძღვარმა ყველას ურჩია, რომ სენაკებში დაბრუნებულიყვნენ და კიდევ ცოტაოდენი წაეძინათ. მოკლედ, აუნყადლის განრიგი: ათზე იქნებოდა ტრაპეზი და შემდეგ მორჩილება. საყდრის კარი მძიმედ გამოიხურა და ყველა ლასლასით გაემართა თავისი კელიებისკენ. გარეთ თბილოდა და იყო რაღაც გულისამრევი ასეთ მშვენიერ დილას ლოგინად ჩანოლაში. ძილი და წოლა ზამთრისა იყო, ახლა კი გაზაფხული დგებოდა და გულიც ბუნების ცქვიტ რიტმში სცემდა.

- აუ, ახლა დაინება იმენნა მაგრა ტეხავს. ნახე, რა საკაიფო ამინდია.

- არადა რომ არ დავიძინო, მერე მაგარი დამენძრევა.

- ჰა, მოგწონთ მონასტრის ცხოვრება?

- კი, ძალიან. ჰო, მართლა, რაუნდა მეთქვა, იცი? აი, ბრძოლებიონ რომ იძახი, გუშინ გავწამდი, დედას გეფიცები. ერთი სული მქონდა, როდის დაინყებოდა ლოცვა, რომ ავმდგარიყავი. მთელი ლამე ისეთი ეროტიკული სიზმრები მესიზმრებოდა, გულით რომ გინდოდეს, ვერ წარმოიდგენ. ხან ვის ვეხვეოდი და ხან ვის. გადავირიე. მთელი მსოფლიო უსიტყვოდ ემორჩილებოდა ჩემს გარყვნილ ფანტაზიას. მეტიც, თვითონ ითხოვდნენ და მაძალებდნენ. ესე იგი, ყოველ ხუთ წუთში ერთხელ მეღვიძებოდა იმის შიშით შეცყრობილს, რომ აი, ახლა მარცხი მომივა ლოგინში და მაგარს გავპანდები-მეთქი. რავარია, მონასტერში რომ ხარ და ასეთი უხერხული რამე მოგივა, თქვი?

- ჰა, ხომ არ დაცემულხარ?

- არა, არა, გადავრჩი. წამებით ვცდებოდი მაგ მომენტს და გამელვიძებოდა თუ არა, გაუნძრევლად ვიწექი. თორემ ერთი პატარა დვიუქენია და... სირცხვილი და თავისი მოჭრა.

- შენ, ძმაო, აქ რისთვის ხარ ჩამოსული? პორნოგრაფიული

ფილმის გადაღება თუ გინდოდა, აქ რაღას მოდიოდი. აქ ხალხი განსაწმენდად მოდის და არა შენი გარყვნილი ისტორიების მოსას-მენად?!

აი, დღეს რომ თოხს დაგაჭერინებენ და მთელი დღე გაპახ-ავებენ, სიზმარი მერე იკითხე.

- აუ, დიდი იმედი მაქვს, რომ ამაღამ იგივე განსაცდელში არ ჩავვარდები. ცხოვრებაში არ მქონია ასეთი კოშმარული და ამორალური სიზმრები. ცვეტში საკუთარი თავის მეშინია. იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ნიუჟელი, მთელი ეს გარყვნილება ჩემში ბუ-დობს-მეთქი?

- კარგით, მორჩით ახლა ლაპარაკს და დაიძინეთ, თორემ მერე, მთელი დღე ქათმებივით იქნებით. შენ კიდევ რით ვერ მიხვდი, რომ მარხვაში და მონასტრად, მართლაც ძალიან დიდი ბრძოლებია და უნმინდურიც სულ სხვა მხრიდან გიტევს, ვიდრე გგონია. ყველას გვექნება ჩვენ-ჩვენი ბრძოლები; მთავარია, არ დავმარცხდეთ, ვებებს და სისუსტებს არ ავყვეთ და იმას მივაღწიოთ, რისთვისაც ყველაფერ ამას ვაკეთებთ, ანუ სული ვიცხონოთ.

- ბიჭო, ეს მართლა ძალიან სერიოზული როჟაა არა? თუ მე მეჩვენება?

- ეგრეა. ეს იმენნა უკვე გასხივოსნდა და ახლა ჩვენ გვეჩალი-იჩება.

- მორჩით კაიფს და დავიძინოთ, რა. მთელი დღე წინ გაქვთ სალაზლანდაროდ.

ზუსტად ცხრა საათზე ზარის წერიალა ხმა გაისმა. ხმა, რომელიც სულაც არ ჰქონდა ლამის მშფოთვარე რეკვას. ხმა მშვიდი და ხალისიანი იყო. ტრაპეზის დროს მოეტანა და მონასტერიც ხელმეორე იღვიძებდა. ერთხელ ლამით და ერთიც ახლა. მორჩილები საჭმელს ამზადებდნენ და გამურულ ქვაბებს არახუნებდნენ საპნიან წყალში. წყაროსთან ცოცხალი რიგი იდგა. ხელში ყველას პირსახოცი და კბილის ჯაგრისი ეჭირა. მოკლედ, დილა, დღის განრიგის მიხედვით, სწორედ ახლა იწყებოდა, თორემ ისე, მათ ხომ მზისთვისაც კი დაესწროთ ადგომა. მიწა გამთბარიყო და მონასტრის ეზოში გადაშლილ მწვანე ბალას ცვრის გრილი წვეთები დასთამაშებდა. განუმეორებელი იყო შეგრძება იმისა, რომ ეს ლამაზი დღეც უფლისგან ბოძებული უდიდესი წყალობა გახლდათ. არადა როგორ აკლდა ყოველდღიურ ცხოვრებას ეს თითქოსდა უმნიშვნელო განწყობები. განა მარტო ცვრიან ბალახში იყო საქმე? არა. უბრალოდ აქ უსაზღვრო სიხარული სუფევდა, ხოლო იქ კი

გესლიანი ბოლმა ახრჩობდა ბოროტსა და ცრუ შემოქმედს. აქაური სიხარული მსგავსი იყო სულის სიღრმიდან წამოსული უმიზეზო ბედნიერების განცდისა, იქაური ღვარძლი კი ძალიან წააგავდა წარმავლობის შიშს.

მონასტერში თითქოს ყველაფერი სუნთქავდა. დრო, თვით დროც კი თავისებურად სუნთქავდა და ყოველ წამს აღავსებდა უმრატესი სიმსუბუქით. სწორედ ის დრო, რომელიც ჩვენთვის უფრო გაფრენილი ფრინველი იყო, ვიდრე რაიმე სუბსტანცია. იგი აქ სულ სხვა საწყისად მოიაზრებოდა. ის არც შლევივით სწრაფი იყო და არც სიკვდილის მოლლიდინივით უსაშველოდ გაწელილი. არსად ჩქარობდა, სიმშვიდეს თესავდა და მთლიანობას ქადაგებდა. ღვთაებრივ სიმთელეს განასახიერებდა თვით წამიც კი. სიმთელეს, რომელშიც არც წივთებს და არც მოვლენებს არ აქვთ სახელი, რადგან ისე გადადიან ერთიმეორის ფორმა-შინაარსში, რომ დროის მთლიან განასერში უსახონი რჩებიან. აქ დროის ნაძერზი ერთი მთლიანი უპირისპირდებოდა ჩვენი, სხვისი ყოფის ცალკეულ ფრაგმენტებს. სწორედ ეს დრო და მისი მშვიდი დინება იყო ის დიდი სიმძაფრე, რომელიც აქ ყველაზე ნათლად აღიქმებოდა. რატომ? იმიტომ, რომ მონასტერში არავინ არსად მიიჩქარიდა, თუმცა კი ყველა თავის წილ საქმეს აკეთებდა. აქ არაფერი გვიანდებოდა, თუმცა კი გასაკეთებელი წარმოსადგენზე მეტი იყო. ჩვენთვის აქ დრო იდგა, ხოლო მათვის კი ჩვენ ვმოძრაობდით უკან. აქ დრო ძალინ ჰგავდა ერთ მთლიან ლოცვას, რომელიც აღუნერელ სიმშვიდეს ჰგვრიდა მუდმივი ფორიაქის ტყვეობაში მყოფ სულებს. აქ, უპირატესად ყოვლისა, ნათლივ აღიქმებოდა ის სიყალბე და უმეცრება, რომელსაც ჩვენ გულდასმით გვაჩვევდა ყოველდღიურობა. სწორედ აქ და აქაური დროის დინება ამსხვრევდა უაზრო და უსარგებლო ფუსფუსის სენს. მოქმედებებს და ნაბიჯებს, რომლებიც არაფრის წადილით ინვოდნენ და მისწრაფებებსა და ვნებებს, რომელთაც არსად არ მიჰყავდით. აქ იყო არსებობა ერთი მთლიანისათვის და ერთი ღმერთის სიახლოვისათვის.

- ალო, ჰო, მე ვარ. მისმინე, გაქვს რამე პონტი? ჰო?! ძალიან კარგი. მისმინე, ახლა მე ქალაქგარეთ ვარ და თუ შეგიძლია, დაითრიე და მე ჩამოვალ თუ არა, ეგრევე შემოვალ ჩემ წილ ფულს. ოღონდ სხვას არავის გაატანო, გაიგე?! იმენნა ძალიან ცუდად ვარ, ვიბრიდები, ბიჭო, და არ მიღალატო. კაი, ძმაო, ჯიგარი ხარ. აბა, დავაი და იცოდე, შენს იმედზე ვარ. ჩამოვალ თუ არა, ეგრევე შენ-თან გავჩნდები. და, ბიჭო, თუ შეგიძლია, ისე, ჯიგრულად დაითრიე

რა, თორემ ხომ იცი, მე ჯორივით ვზივარ და ისეთ პონტში ზახოდი ვაბშე არ გამისწორდება. კაი, კაი, როგორც შეძლებ. აბა, ჰე. – მას-თან საუბარს აღარანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგან უკვე წინას-წარვე გადაეწყვიტა უკან დაბრუნება და ჭაობში თავით გადაშვება. არადა, სანამ გარეთ გავიდოდნენ ტელეფონზე დასარეკად, დანარ-ჩენ ორს აზრადაც კი არ მოსვლია მისი ასეთი ზრახვები.

- ზდაროვა ჩემს ძმას. რავა ხარ? მითხარი, აბა, ერთი, რა კუში აქვს დღეის თასის ფინალზე ერთიანს? მშვენიერი, მაშინ მინდა ხუთასიანი, ერთიანის მოგება და მეტი ბურთი. ჴო, კვირის ბოლოს ფული. სულ რამდენი კუში გამოდის? ანუ თუ დაჯდა, წაგებულს ვაგდებ და ორასით წინ გავდივარ, ხომ? ძალიან კარგი. მიდი და თამაშის მერე დაგირეკავ, რომ შჩოტები გავასწოროთ. დავაი, აბა.

- ვერც ამან გაძლო და მოიხელთა თუ არა ცოდვისთვის ხელსაყ-რელი წუთები, ეგრევე გაუშინაურდა.

- რას შვები? ჴო, როგორ ხარ? ხომ კარგად? რამე ხომ არ განუხ-ებს? ბარტყი რას შვერება, ხვანცალებს? წელი ხომ არ გქაჩავს? ესე იგი, არ გაბრაზებს და კარგად იქცევა. ძალიან გაგებერა მუცელი? მეც ახლა თითქოს საუკუნეა არ მინახისარ, რა. კარგი, წავედი და ვეცდები, მერც დაგირეკო. ალბათ, ორ-სამ დღეში ჩამოვალ. ეს-ენი, მგონი, რჩებიან. ჴო, მე ვუთხარი, რომ საქმეები მაქვს და მეტს ვერ გავჩერდები-მეთქი. აბა, ყოჩალად. მეც გკოცნი, ჭკუით. – ეს კი დარჩა. დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღესვე მიხვდა, რომ რაც უფრო დიდხანს დაპყოფდა აქ, მით უფრო გაუჭირდებოდა მო-ნასტრის დატოვება. აქ ხომ უფლის სურნელი ტრიალებდა და მზის წითელი დისკოც კანს კი არადა და ცოდვებს წვავდა.

- ბიჭებო, დროზე, ტრაპეზი დაინუყო და მამაო გეძებთ. თქვენ კიდევ დგახართ, სიგარეტს ეწევით და ტელეფონზე ლაპარაკობთ. აი, გაგიგებენ ერთად რომ დადიხართ და შენიშვნას მოგცემენ. ისე, სალამოს ხომ დამარეკაინებთ? ბებიაჩემს უნდა დაუურეკო და მოვი-კითხო. მამაო მიკრალავს, მაგრამ მე მაინც მინდა. – ეს მორჩილი კი უკვე წელიწადზე მეტი იყო, რაც მონასტერში ცხოვრობდა, მა-გრამ ასაკის სიმცირის გამო ეტყობოდა, რომ აი ეგრე პაპიროსის წევა და ტელეფონზე ბაზარი დიდ თავმოსაწონებელ საქციელად მიაჩნდა. არადა სავანეში ცხოვრობდა და მაცდური გული კი მაინც აქეთ, ყოველდღიური ყოფისკენ მოუწევდა.

ტრაპეზი დამთავრდა. მენიუ თითქმის ანალოგიური იყო, რაც წინა დღეს, თუმცა საჭმლის პრობლემა ახლა იმდენად აქტუალური აღარ ჩანდა, როგორც ადრე. ახლა უკვე ორიენტაცია შეცვლილ-

იყო და აქცენტს კუჭიდან სულის მცირე ნაწილაკისკენ გადაენ-აცვლა. ახუ ფრესკებიდან მომზირალი წმინდანები თავის საქმეს მშვენივრად ასრულებდნენ. ამ პატარა და სასიამოვნო ცვლილე-ბას თან ახლდა უჩვეულოდ ამაღლებული განწყობა. განწყობა, თითქოსდა უსაფუძვლო ბედნიერების განცდით გამოწვეული. უსაფუძვლო, რადგან ყოველგვარი გარე ცვლილებების გარეშე, გული იწყებდა სიხარულით ცემას. რატომ? არავინ იცის, მაგრამ ეს ძალიან სასიამოვნო იყო. თუმცა ეს გახლდათ მხოლოდ წუთი და ეს წუთი რომ მარადისობა გამხდარიყო, მათ უნდა ესწავლათ დროის იქაურად აღქმა. ესწავლათ ცხოვრება აუჩქარებლად, დინჯად, ყოფითი ფუსფუსისაგან განზე დგომით და გულიდან ამოსული მხ-ურვალე ლოცვით.

მისმა ერთმა მეგობარმა ზუსტად ხუთ წუთში შეკრა თავისი გუ-და-ნაბადი, მოძღვრისგან კურთხევა აიღო მონასტრის დატოვება-ზე და ვიღაცის სატვირთო მანქანის ძარაში ამოყო თავი. „რა ვქნა, ვერ გავძელი, ძალიან გამიჭირდაო“ — დაემშვიდობა ყველას და გაქრა. ხოლო უმნეოდ დარჩენილმა მეორე მეგობარმა იმ წუთასვე გადაწყვიტა, რომ მეორე დღეს ისიც ასევე აორთქლდებოდა. „აბა, მე რაღა გამაძლებინებს, ამდენ უცხო ხალხშიო“, გაიფიქრა და თქმით არაფერი თქვა. თუმცა კი ორივემ აღთქმა დასდო, ერთმა ხმამაღლა და ძარიდან, ხოლო მეორემ კი გულში და ხის სკამიდან, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდნენ და უს ჩემი, აი მერე გენახ-ათ მათი კარგი ბიჭობა?! დასტურად კი დაიფიცეს. ერთმა სუბო-ტექსის ცარიელ ლისტზე, ხოლო მეორემ კი სპორტულ გაზითზე და არაფერი იყო ამაში გასაკვირი, რადგან აკი ვთქვით, რომ დიდი განსაცდელის უამი იდგა და საშინელი ბრძოლები მიმდინარეობდა თითოეული სულის წასაწყმედ-გადასარჩენად. მესამე კი იდგა და იმას ფიქრობდა, რომ ნეტა ამათ გარეშე მონასტერში დარჩენა გამ-იტყდება თუ გამისწორდებაო.

- აუ, არ გაგიტყდეს რა, სიმონ. ვიცი, მე წამოგიყვანე და ახლა გტოვებ, მაგრამ ვთვლი, ძმაო, რომ ჩემი საქმე და მისია შევას-რულე. არა? ხომ მოგიყვანე იქ, სადაც ძალიან გინდოდა მოხვედრა. ანუ რაღაც პონტში მადლი ვქენი და მე მგონი, ვალმოხდილი ვარ შენსა და უფლის წინაშე. გახსოვს, ჯერ კიდევ როდის მთხოვე, მო-ასტერში წამიყვანეო. მეც, რაც შემეძლო, დაგეხმარე და ახლა უკვე შენ იცი, როგორ მოიქცევი. მე ვერ დავრჩები, სიმონ. პროსტო ვერ გავქაჩავ. ხომ ხედავ, რა არეულ პალასაზეც ვარ და შენ, ჩემი დედა

ვატიორე, როცა კი მოგინდება წამოსვლა, დარეკე და ეგრევე აქ გავჩნდები შენს წასაყვანად. აბა, მაგრად, ძმაო, და მე, იმენნა, მაგარი დარწმუნებული ვარ, რომ შენ, ბიჭო, ცვეტში იმას იპოვი აქ, რასაც ეძებდი. — ერთ დღეს პირველმა უთხრა გამოსამშვიდობებელი სიტყვა და უმალ შემოდგა ღია ძარაზე აღლუმის მონაწილე ხელისაძენეველივით. ხოლო მომდევნო დილით მეორემ ჩაუკრა თვალი და ნაძალადევად გადმოსძახა მანქანის ჩამოწეულ ფანჯრიდან:

- მეც უნდა წავიდე. აბა, მაგრად, ძმაო, და რომ დაბრუნდები, დარეკე და მე, შენ და იმან ერთი რამე კარგი პონტი ავაგდოთ. ან ლუდი და ფუტბოლი, თუ არა და ხინკალი და ორაყი. მოსულა? ჯიგარი ხარ. აი, ძმაო, სიგარეტს გიტოვებ მთელ ბლოკს. მე ჩემთვის მარტო ერთი პაჩკა ავიღე. აუ, იზვინი, ტო, თუ გიტყვდება, რომ მარტო გტოვებ, მაგრამ ხომ იცი, რა შარებშიც ვარ. თან იმ ჩემისამ სულ გადამრია. ჯერ წამო მონასტერში და იქ გადავაგდოთ წამალიო და მერე თვითონ მომიტყდა. წარმოიდგინე ახლა, მე რა ცუდ პონტში გავიჩითე. ფული ხომ გაქვს, ძმაო, რომ დაგჭირდეს? ჰოდა აბა, სულ მაგრად და გავგაზე მე. — მართალია, წახევარი საათი ელოდა, სანამ მანქანის პატრონი მოილოცავდა და წასვლას მოიფიქრებდა, მაგრამ მანქანიდან გადმოსვლა აღარ გაუბედავს. რაღაცნაირი შეშინებულ-წაწყენი ჩანდა.

- იქნებ დარჩენილიყავი?! ცოტა თავს ძალა დაატანე და ყველაფერი კარგად იქნება. ეგ იმიტომ ხარ ეგრე ცუდად, რომ უწმინდური გერჩის. — უთხრა წინამძღვარმა ჯერ ერთს, ხოლო შემდეგ მეორეს და სუსტად გაულიმა. თუმცა კი სულ ტყუილად. არც ერთს არ შეუსმენია მისი სიტყვები. რაღა ექნა?! დალოცა და მშვიდობით გაისტუმრა ჯერ ერთი და შემდეგ — მეორე. ხოლო მესამეს მკაცრი სანით გადახედა და ეზოსკენ ანიშნა თვალით, აქაოდა თუ შენც წასვლას პპირებ, ბარემ გაყევი და თუ არადა, ეზოში შედი და დანიშნულებას იქ მოგცემ.

- სპასიბა, ძმაო. ჩამოკითხვა არ მინდა. წამოსვლისას დავრეკავ და ან ჩემები ჩამომაკითხავენ და თუ არადა ვაბშე ფეხით ავალ ტრასამდე. პეშკომ მაგარს ვიკაიფებ და იქიდან კიდევ რამე პაპუტყას დავაჯდები. არ არის პრობლემა. აბა, შენ იცი, ყველა მომიკითხე. — პასუხი პირველის გამოსამშვიდობებელ სიტყვაზე.

- ჯიგარი ხარ, მარა სიგარეტი არ მინდა. შენ წაიღე. მე დანებებას ვაპირებ და რომ არ მექნება, უფრო გამიადვილდება. მაგრად, ძმაო, და აბა, შენ იცი, როგორ კარგად შეინახავ მარხვას ბოლომდე

და კაცურად გთხოვ, უეჭველი ეცადე, რომ ეცლესიაშიც იარო და მოძღვარიც აიყვანო. თორებ მაგრა ტეხავს სიმონ შუაში მიშვება. ძაან საკაიფოდ დაიწყე ეს ეკლესიური დვიუშენია და ახლა, შუა გზაზე რომ გაწყვიტო, იმენნა, მერე შენ თვითონაც მაგრა გეწყინება. დავაი, კაცი, მაგრად აბა. — პასუხი მეორის გადმოძახებულ სიტყვებზე.

- კი, ბატონო, მამაო, მზად ვარ მორჩილებისთვის. — დასტური მოძღვარს.

დარჩა მარტო და მასში არსებული უაზრობა სისავსით აივსო. ოღონდ არა საზრისით, არამედ სიმსუყით. საზრისამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლდა, ხოლო სიმსუყი გვარიანად უფონავდა გულს. რაღაცით დაემსგავსა მონასტრის ეზოში მყოფ სასაფლაოს. ანუ ფორმით ცარიელს, ხოლო შინაარსით სავსეს. მოენონა მარტოობა და ლოცვების კითხვა მოუნდა. ბერებიც თითქოს განგებ სდუმდნენ და არაფერს ავალებდნენ. რაღა ექნა? მოჰკიდა ხელი ფსალმუნებს და ცაცხვის ძირში განმარტოვდა. ეს ცაცხვი კი იდგა ეზოს განაპირა, პატარა ფერდობის ბოლოს, ზედ ხევის თავზე. თითქოს გადაიკარგა. მართლა გადაიკარგა. კარგად გადაიკარგა. ხევს ძირში მდინარე ჩამოუდიოდა და ყურთასმენას მშვიდ ჩუხჩუხს აწვდენდა. გაღმა კი არაჩეულებრივი ხედი იშლებოდა. აზიდული მთები და მათ კალთებზე გადაშლილი მწვანე ფერდობები. ხან მეჩერი და ხანაც კი ხშირი. აქეთ წაძვი და მისი სიმჭიდროვე, ხოლო იქით კი რცხილა და ღარიბი ტყე. იდგა ამ პატარა, გადაკარგულ სავანებში და საოცარ სიმშვიდეს განიცდიდა. ისე, მშვიდად იქნებოდა აბა, რას იზამდა, როდესაც თავზე მის სიგრძე-სიმაღლის ჯვარი დაცყურებდა. ზუსტად მდელოს შუაში, სვეტად ამოსულიყო ეს კაცობრიობის ტანჯვა-სიხარულის სიმბოლო. ეს ჯვარიც ზუსტად იმ წინას ჰგავდა, რომელიც მთის გადასახედზე ენახა. ოთხი ლურს-მანი, ოთხი ტკივილი და უფლის სახელი ებრაულად. რაღაცნაირად დაითრგუნა, მაგრამ იმავდროულად თითქოს აღივსო კიდეც მისი ჭურჭელი მაღლით და დაიწყო კითხვა. კითხვა სიამოვნება-შვებისთვის და არა ვალდებულება-შიშისთვის. ყოველთვის უნდოდა ასე ყოფნა. უნდოდა დავითის ფსალმუნების წაკითხვა, თუმცა კი ვერ ახერხებდა, ან კი არ ახერხებდა. რატომ? ყოველთვის უჭირდა ლოცვებისა და ფსალმუნების კითხვა, რადგან წახევარზე მეტი არ ესმოდა და თანაც ძალიან იღლებოდა დაძაბულობისაგან. რატომ? ყოველთვის სიზარმაცე სჯაბნიდა და გარდა მაგისა, წინააღმდე

გობა ტანჯავდა. რატომ? იმიტომ რომ რწმენა ტანჯვა იყო და არა უბრალოდ ფიქრით გამოტენილი თავი. და ისიც იჯდა ასე, სულ-შესული წინააღმდეგობისგან და იმავდროულად კმაყოფილი უფლის მადლისგან და კითხულობდა. კითხულობდა იმავე ასოებს და წინადადებებს, რასაც ადრე, თუმცა კი გრძნობით სულ სხვას გრძნობდა, ვიდრე ბრძოლას. გრძნობდა, როგორ მთავრდებოდა რაღაც ერთი და იწყებოდა სულ სხვა მეორე. გაზაფხულის მზესავით თბილი და ალერსიანი მეორე. საერთოდ განსხვავებული იმ რაღაც ერთისგან, რომელიც უფრო იყო ზამთრის გაშიშვლებული და გაძარცვული ტყე, ვიდრე გამნენებული ბალაბის მდელო.

დრო ისე გარბოდა და იდგა, რომ ის ვერც ერთს ამჩნევდა და ვერც მეორეს. უბრალოდ იდგა, იჯდა, მუხლს იყრიდა და ფსალმუნებს კითხულობდა. მზე სახეზე ელამუნებოდა და ხასხასა მწვანე ბალახი კი გვერდითა მზერას სადღაც შორს, ან კი პირიქით, ახლოში ითრევდა. არასოდეს ყოფილა ესოდენ ამაღლებული და ბედნიერი. ფიქრი და ლოცვა ერთდროულად იყითხებოდა მის გონებაში, ოღონდ ისე, რომ ერთიმეორეს ხელს არ უშლიდა. ფიქრიც ლოცვისა იყო და იმიტომ. სწორედ ახლა ხვდებოდა, თუ რა აძლებინებდა ამ ხალხს, ბერებს მონასტერში, სრულ განყენებულობასა და სიმარტოვეში. თავიდან ეგონა, რომ ისინი ძალიან ბევრს იკლებდნენ და უარს ამბობდნენ ყოველგვარ სიამოგნებაზე. ხოლო ახლა კი დარწმუნებული იყო, რომ სრულიად პირიქით, ისინი ძალიან ბევრს ეზიარებოდნენ და სრულ ბედნიერებაში ცხოვრობდნენ. და ეს, მძიმე ხვედრი კი არადა, ლვთის მადლი იყო. აფორიაქდა. სადღაც, გულის სიღრმეში, დარჩენა მოუნდა, მაგრამ იმავე წამს, თითქოს თავდაცვის რეალექსი ყოფილიყო, ცოდვისადმი მიღრეკილმა ბუნებამ გადააფიქრებინა. სჯობს, ერში დარჩე და იქ იღვანოო. ისიც დათანხმდა.

ნეტარებისგან თრობილი მხოლოდ მაშინ გამოფხიზდა, როდესაც ზარის წერიალა ხმა შემოესმა. წიგნი დახურა და აუჩქარებელი წაბიჯით გაემართა სატრაპეზოსკენ. თითქოს სიდინჯე შემატებოდა მის არსებას და მისი სულისთვის გაჩაღებული ფარული ბრძოლაც განელებულიყო. ვინ იგებდა? ჩვენები, რადგან იქაურობა იმდენად აღარ ტანჯავდა, როგორც გუშინ. ზარის წერიალა ხმა სწორედ მის მოსახმობად იყო განკუთვნილი, რადგან მორჩილება დაწყებულიყო და მასაც უნდა შეეტანა თავისი წვლილი ძმობის ცხოვრებაში. წყაროსთან მორჩილები შეკრებილიყვნენ და

მღვდელი დანიშნულებას აძლევდა.

- რამე ხომ არ გაწუხებთ, ჯანმრთელობის მხრივ? ღვიძლი, სახსრები ან სხვა რამე? ძალიან კარგი, მაშინ თქვენ თრინი ტყეში გაჰყვებით მამა გიორგის, თქვენ კი აქ დარჩებით და ამათ ჩამოტანილ შეშას დახერხავთ. მონასტერში უქმად ყოფნა არაფრით არ შეიძლება. ყოველთვის ღვანლში უნდა იდგეთ, რადგან ძალიან დიდი მადლია, როდესაც უფლის სახელით ირჯები. თორემ ისე ხომ ხედავთ, რომ შემა აქაც ბევრი გვაქვს და საცავში კიდევ ორი ამდენია. იმდენი იმუშავეთ, რამდენსაც შეძლებთ. თავს ძალას ნუ დაატანთ და საკუთარ სხეულს ნამეტანი ბევრსაც ნუ მოსთხოვთ. აბა, ღმერთმა დაგლოცოთ. – წინამდღვარმა პირჯვარი გარდასახა ახალგაზრდებს და საყდრისაკენ გასწინა.

ის და კიდევ ერთი, მასავით რწმენის მაძიებელი, ტყიდან შეშის ჩამოსაზიდად გაამნესეს. თან გააყოლეს ადრე ერში მოღვაწე და ახლა კი ბერად შემდგარი მამაო. მოძღვარს ხელში დიდი და ლესვისაგან აპრიალებული ნაჯახი ეჭირა, მათ კი თოკის გადანაჭრები შეაჩეჩეს ხელში. შეუდგნენ აღმართს და ათ წუთში უკვე დანიშნულების ადგილზე იყვნენ. როგორც აღმოჩნდა, შეშა ტყიდან კი არა, გზის პირიდან იყო ჩამოსატანი. პატარა მოლზე კოხტად იყო მოქუჩებული ერთი დიდი გროვა უკვე მოჭრილი, გასხლილი და წასაღებად გამზადებული შეშისა. მოძღვარი ტყეში შევიდა და ხეების მოჭრას შეუდგა. მან და კიდევ იმ ერთმა ჩაუბეს გაუხეშებული თოკები გრძელ მორებს და დაეშვნენ დაღმართზე. ხის ტანები საკმაოდ დიდი და მძიმე აღმოჩნდა. მორები ხშირად ვარდებოდა თოკის ყულფიდან, გამუდმებით ედებოდა ქვებსა და ფესვებს. ჭირდა მუშაობა და აზიზ ხელისგულებსაც, თითოეული შეჭიდებით, სულ უფრო წითელსა და თხელს ხდიდა.

მეორე გზობაზე ტვირთი გააორმაგა. ახლა უფრო ძნელი შეიქმნა ზიდვა, თუმცა კი დაბლა ჩაზიდული შეშის გროვა სულ უფრო მალე იზრდებოდა და მასაც თითქოს გულს ეფონებოდა. ხშირად ისვენებდა. ასე გაგრძელდა საათი, ორი, სამი და ყოველ ჯერზე, როცა კი გაიფიქრებდა, რომ ვეღარ შეძლებდა მეტ მუშაობას, თითქოს პირიქით, მეორე სუნთქვა ეხსნებოდა და ისიც კიდევ ერთ ღერ შეშას ამატებდა თავის შეკვრას.

ერთი კი იყო, რომ დაბლა ჩაზიდული შეშის გროვა იზრდებოდა, მაგრამ ზემოთ დარჩენილს არაფერი აკლდებოდა. სწყინდა, რადგან შედეგს ვერ ხედავდა. ერთი პირი შემინდა კიდეც, აქაოდა, შრომა

მევარგებაო, თუმცა ქვემოთ ხომ იყო მოზრდილი გროვა?! მაგრამ არა, მასიმ, ზედა გროვის ინტერესი ჰქონდა, რადგან ის იყო საწყისი. მართალია, ბერი ცალკე შრომობდა და გასხეპილ, გადაჭრილ, თითო ღერ შეშას ამატებდა, მაგრამ მას ხომ შეიდი-რვა ღერი ჩაქონდა და ეს სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ დაენახა თავისი გარჯის შედეგი. მოდუნდა. სწორედ ამ სასოწარკვეთის ჟამს ერთმა უცნაურმა აზრმა გაუელვა თავში. იდე-ალური შედარება იპოვა თავისი გამოუვალი მდგომარეობისათვის. შეშის გროვა იყო მისი ცოდვები. ძველი და ახალი ცოდვები. მისი გარჯა და მთლიანობაში კი შეშის ზიდვის პროცესი იყო ამ ცოდვების გამოსყიდვა-მონანიება. ძნელი იყო თითოეული ცოდვისგან განბანა და ასევე ძნელი იყო შეშის თრევა, დალლა, სიმძიმე და უსუსურობა. მონასტრის ეზომდე ჩატანილი თითო ღერი შეშა იყო თითო მონანიებული და მიტევებული ცოდვა. და ის შრომობდა და ინანიებდა, მაგრამ ცოდვის გროვა ჯილუტად არ პატარავდებოდა. ან კი რას დაპატარავდებოდა, როდესაც ჩვენ იმდენად მძლავრად ვართ მიდრეკილი ცოდვისადმი, რომ არსებითად ვეღარც კი ვგრძნობთ ამას.

ამ აზრმა ცოტაოდენ გაახალისა და მისი შემდგომი შრომაც უნებურად დაემსგავსა მონასტრის უცნაურ დროს. ანუ შრომას შრომისათვის და არა შედეგისათვის.

სწორედ შეშის ჭრა, გასხეპა და გროვაზე შემოდება იყო მისი ყოველდღიური ცოდვილი ყოფა. ყოფა, რომელიც არ დასრულდებოდა მანამ, სანამ ის არ შეცვლიდა დღევანდელ დღეს, დღევანდელ ფიქრს, დღევანდელ რწმენას, დღევანდელ შიშს და დღევანდელ აზროვნებას. რაღა თქმა უნდა, ის ყოველთვის იშრომებდა და ილოცებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი კვლავ უცვლელი რაოდენობის შეშის გროვა იქნებოდა, რომელსაც ვერ აღმოფხვრი ერთი ზიარებითა და ერთი აღსარებით. მაგრამ თუ ის შეეცდებოდა, გადაეცია დღევანდელი დღე გუშინ დღლად და ხვალინ დღლად, ანუ დაეძლია საკუთარი ცოდვილი ბუნება და მანკიერებები, მაშინ ის, ადრე თუ გვიან, შეძლებდა დარჩენილი შეშის ჩამოზიდვას. როგორ? მარტივად. გროვა აღარ გაიზრდებოდა, რადგან დღევანდელი უცოდველობა განაპირობებდა გუშინ დღლასა და ხვალინ დღლას. და თანაც ცოდვა-მადლი განიკითხებოდა მთლიანი ცხოვრების მიხედვით და არა ეპიზოდურად.

- დაჯექი, დაისვენე, შვილო. ნუ გადაიტვირთები. აუცილებელი

კი არ არის თავი გადადო. პირიქით, იმდენი უნდა იმუშაო, რამდენ-საც შეძლებ. აკი, წინამძღვარმაც გაგაფრთხილა, რამე არ მოიწიოთ ზედმეტი მონდომებით და ამიტომ თავს ძალას ნუ დაატანთო. ამას შენ შენი სულის ცხონებისათვის აკეთებ და არა ვინმესთვის. მგონი, რომ უკვე საკმარისზე მეტი იშრომე და ახლა რომ დაისვენო, არ გაწყენს.

- გმადლობთ, მამაო, მაგრამ ძალიან მომწონს ფიზიკურად მუშაობა. მონატრებული მაქვს და მსიამოვნებს. ჯერ კიდევ მყოფნის ძალა და ცოტასაც წავიმუშავებ. ასეთი კმაყოფილება ფიზიკური შრომისაგან ცხოვრებაში ჯერ არასოდეს მიგრძვნია. ასე გემრიელად საქმე არ მიკეთებია და ასეთი ბედნიერი მართლა არასდროს ვყოფილვარ. დიდებული რამ არის მონასტრის ცხოვრება. სავსე მადლითა და უფლის სიყვარულით. ცოტა ხანში შევისვენებ. ახლა კი ერთ გზასაც გავაკეთებ და ცივ წყალს ნამოვიყოლებ. — ასეც მოიქცა და როდესაც ამობრუნდა წყლიანი ბოთლით ხელ-დამშვენებული, იხილა შემდეგი:

მოძღვარი და კიდევ ის ერთი ყმაწვილი, რომელსაც მასავით შეშის ზიდვა ევალებოდა, ჩრდილში ისხდნენ და დაბალი ხმით საუბრობდნენ. როგორც ჩანდა, ის ყმაწვილი შრომაზე მონადინებული სულაც არ იყო და სიმართლე ითქვას, ჩრდილში კოტრიალობდა მთელი დღე, მაგრამ როგორც კი საუბარზე მიდგა ჯერი, მღრღნელს დადევნებული ქორივით გამოცოცხლდა. მართალია, ორი ღერი შეშა ჩატანა და მერე მთელი დღე მხარ-თეძოზე იწვა, მაგრამ თავისი ეს საქციელი ფუქსავაგობაში რომ არ ჩათვლოდა, თავის გასამართლებელი მოიგონა, სუსტი ჯანმრთელობა მაქვსო. არც არავინ აძალებდა, ნელში გაწყდიო და რა მოიბეზრა მცონარობა, აეშალა ლაპარაკის საღერღელი. მოძღვარმაც მხარი აუბა, რადგან იგრძნო, ცოდვილ შვილს ნუგეში სჭირდებოდა. პოდა, იმან, ყმაწვილმა, აქამდა, ყური მათხოვესო, დასცხო, მაგრამ რა დასცხო. ჯერ თავისი ბიოგრაფია ჩამოარაკარაკა სულ წვრილად, თითქოსდა მემუარებს წერსო, მერე ამასაც არ დასჯერდა და პოლიტიკას გადაწვდა. აი, აფრების აშვება მაშინ გენახათ. გაბურდა საუბარი და ისიც იძულებული შეიქნა, მომსვენებლის როლთან ერთად, პასიური მსმენლის როლიც შეეთავსებინა. და რა შენიშნა იმ ყმაწვილმა, აუდიტორიაში ნამატიაო, საბოლოოდ გაიხსნა და მგზნებარე მონოლოგებს ხელ-ფეხიც მიაშველა:

- პოდა ერთი თვის გათავისუფლებული ვიყავი, როდესაც ცოლი გავუშვი. გავუშვი რა, მოვიდა და მეუბნება, აღარ შემიძლია შენთან

ერთად ცხოვრებაო. მეც რაღა მექნა, თან აღარ მევასებოდა ეგ ქალი და დავაი-მეთქი, ჩაალაგე და გეთ. იმანაც კარგად მენახეო. დავრჩი მარტო დედაჩემის სახლში და შევუბერე. ავიწყვიტე, მაგრამ რა ავიწყვიტე. დავიწყე ლოთაობა, მერე ბოზები და ამბავი, ბოლოს წამალზეც შევჯექი და დავიძირე რა. მაგრამ ეტყობა, არ ვიყავი დასაღუპი და ღმერთმაც შემიწყალა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოკლედ, მოვიდა ერთ დღეს ჩემი მეგობარი და მეუბნება, სიმონ, შენი სიყვარულით, თორემ ჭკუას როგორ დაგარიგებ, მაგრამ ეგრე ცხოვრება არ გამოგადებაო. მოდი, ცოტა ხნით მონასტერში წამო-მყევი და ნახე, როგორ მოგეწონოს. მეც საქმე რა მქონდა, თანაც მაგრა მომბეზრდა ეგრე ცხოვრება და გავყევი. პახოდუ პრობლემებიც მქონდა. ისედაც ბეგში ვაპირებდი წასვლას და აგერ, უცებ ეს გამოჩნდა. ბიჭო, ვიღაც მეზობლის მანქანის აწევას მაბრალებდნენ და ძალლები მეძებდნენ, არადა მე პროსტო ვაზვრატს ვჩალიჩობდი. თვითონ მთხოვა იმ გოთვერანმა დამაბრუნებინეო და მერე არ დააბრეხვა, მაგის გაკეთებულიაო. ჰოდა სწორედ მაშინ გავიჩითე აქ პირველად. ეს ერთი ათი წლის წინანდელ ამბავს გეუბნებით რა. მაშინ არც თქვენ იყავით აქ, მამაო, და არც დღევანდელი წინამდვივარი. მოკლედ, რაღა ბევრი ვიღაპარაკო და მაგრა გამისწორდა მონასტერში. დავრჩი და შევრჩი. ერთი სამი თვე ვიცხოვრე და უკვე იმენნა იმ ტალღაზე ვიყავი, რომ ბერი გავხდები და სამუდამოდ ამ სამოთხეში ვიქები-მეთქი. სწორედ მაგ დროს ჩამომაკითხეს დე-დაჩემმა და ჩემმა ცოლმა. ატეხეს ერთი ამბავი, ჩვენ ვნერვიულობთ და წამოდი, აქ რა დაგრჩენია, რაც იყავი, იკმარეო. ეს ჩემი ცოლი კიდევ თურმე ფეხმძიმედ ყოფილა და მიმალავდა. რაღა მექნა, კი არ მინდოდა, მაგრამ მაინც დავბრუნდი. კიდევ ერთხელ ვცადე ოჯახი და რამე, მაგრამ არ გამომივიდა.

ახლა ქვეყანა აირია და მე რაღა დამაყენებდა შინ. მეც ავირიე და მაგარი დამენძრა. გოგო შემეძინა და მე კიდევ მეორე სროკზე წავედი. ვერაფრით მიშველეს. რაღაც პოლიტიკურის პონტში მო-მისაჯეს, არადა, იარაღის უკანონო ტარებაზე ამიყვანეს. ეგ ვაბშე ცალკე ამბავა. მოკლედ, გავიჩითე ისევ ზონაზე და აბა, იქ რაღა უნდა მექნა? მოვწყდი ყველაფერს, ჩავუჯექი და დავიწყე წიგნების კითხვა. კაროჩე, მაგარი განათლება მივიღე. პლატონი, კანტი და რამე, სულ-მთლად დამკაში გავედი. მერე იქაც მაგარი ტიპები გავ-იცანი, აი, ისეთი, უიზნენი ოპიტი რომ გააჩინიათ. ერთი მოკვეთილი მღვდელი და ერთიც ციმბირის ციხეებში წაჯდომი მუშიკი. სულ

ვბაზრობდით ერთმანეთში და იმათმა საღოლო, ძმაო, მაგარი ხარ, ძალიან სერიოზულად გაგიქაჩია ინტელექტის პონტშიო. აბა?! — მოძღვარს თვლემა მორეოდა მის ლაქლაქში, მაგრამ მიუხედავად ამდენი წინააღმდეგობისა მსმენელთა მხრიდან, ის ყმანვილი მაინც არ ცხრებოდა.

- ჰოდა, მეორედაც რომ გამათავისუფლეს, არ დამხვდა გარეთ ეს მამაძალლი მთავრობა?! გომებით გამოტენილი, სიმონ. ვისაც ბავშვობაში ლიმონათზე ვაგზავნიდი, ტო, ახლა მინისტრები და დეპუტატები არ არიან?! და ეს ჩვენი პრეზიდენტი კიდევ — ჩემი კლასელი მეხუთე კლასამდე! ბედი ხომ გინდა?! მაგარი დონდლო ტიპი რა. გამიტყდა მაგარი. ვითომ მაგაზე და მაგათზე წაკლები ჭკუის პატრონი ვარ?! იასტნია, არა, მაგრამ ეს ცხოვრება ხომ ეგეთების არის. უკაცრავად, მაგრამ მაგრა ვღელავ, როცა უსა-მართლობას ვხედავ და თავს ვეღარ ვიმორჩილებ. მეორე სროკიც მაგაზე არ ავიკიდე?! ჰოდა, მახსოვს, სტუდენტობისას შემხვდა ერთხელ ეს ჩვენი ბედოვლათი პრეზიდენტი და მეუბნება, წამო ჩემთან პარტიაში და მაგარ პონტში გაგაძრობო. ვიცი, კარგი ტიპი ხარ და მაგრა გაგქაჩავ და ჩვენ საქმესაც გამოადგებიო. მაშინ ვინ იყო? არავინ. დებილი ბიჭი, რომელიც წერილებს დაატარებდა გამ-გებიდან გამგეობაში. მე ვუთხარი, წადი შენი დონდლო და შენი პარტ-საქმისაც-მეთქი. კაროჩე, მე და შენ ერთად ვერ გავატრაკე-ბთ-მეთქი და უარი. მერე ეს წავიდა და აგერ პრეზიდენტი გახდა. ეს ჩემი დონდლო კლასელი, ტო?! მე კიდევ ვარ წაციხარი. უკეთესა გეტყვით, აი, სანამ აქ წამოვიდოდი, ჩერეზ ერთი ახლობელი შემ-ომითვალა, როგორც ბავშვობის მეგობარი, მინდა, რომ გვერდზე დაგიყენო. მინისტრად თუ არა, მოადგილედ უეჭველი გაგაძრო-ბო. შენნაირი კაცი მჭირდებაო. აბა, რა უნდა მექნა? მინდა ახლა მე ეს გოთვერნობა?! ჰოდა, დიდი მადლობა, მაგრამ ისევ არა-მეთქი. მე ჩემი კაცობა მაქს და ეს ჩემი კაცობა ყველაფერს მირჩევნია-მეთქი. რით ვერ გაიგე, შე მაცდურო, რომ მე ქალაქელობას და კაი ტიპობას ვერ მოვეშვები და ფულად არ გავიყიდები, როგორც იუ-და-მეთქი. სწორედ მოვიქეცი რომ? ახლა მე ვზივარ ასე ბომშივით და ის, ის კიდევ პრეზიდენტია, სამართალია ახლა ეს? პა? მაინცდა-მაინც უნდა გავდურაკდე?! არ შემიძლია და მომკალი. მე კაი კაცად უნდა მოკვდე.

- დიდება უფალს, რომ ეს მაინც არ მოხვდა ჩვენს მთავრობაში...
- გაიფიქრა მან და ალბათ, მამაოს ფიქრებიც იქით იყო მიმართული.

ეს კი, ესოდენ ვრცლად რომ ჰყვებოდა თავისი ცხოვრების ამბავს, ერთი ჩია ტანისა და ზაზუნის გამომეტყველების ახალგაზრდა იყო. ის უფრო ძველი ტელევიზორების ხელოსანს წააგავდა, ვიდრე იმ თავზეხელალებულ პირს, რომელიც მთავარი გმირი გახლდათ მის მონოლოგში. ეგეთი უსუსური და ბაქიბუქა ადამიანისათვის, ალბათ, ყველაზე დიდი კრიმინალი ტელევიზორში ახალი დეტალების ძველით ჩანაცვლება თუ იქნებოდა, თორემ რა ციხე და რის ძებნაში ყოფნა. მაგრამ რას გაუგებ ამ ცხოვრებას?! იმან ვერაფერი გაუგო თავის თავს და აბა, ამათ რაღა დასკვნა უნდა გამოეტანათ? ამთქნარებდნენ და უსმენდნენ.

შემდეგ ჯერი მასზე მიდგა, როგორც ეს ვრცელი მონოლოგის შემდეგ ხდება ხოლმე და მზერამაც მასზე გადაინაცვლა, მაგრამ ის ჯიუტად დუმდა. ისე მშვენივრად შეჩერებდა და აეტაცებინა მდუმარების განაწესი, რომ ახლა ძალითაც ვერ დააცდენინებდნენ სიტყვას. პირველად მიხვდა თითქოს რა დიდი ნეტარება იყო დუმილი, უქმად ყბედობის წილ. სხვა დროს, იცოცხლე, გამოიბამდა ორმეტრიან ენას და მანამ იქაქანებდა თავბრუდამხვევი სიტყვების რახარუხით, ვიდრე მხურვალე ტაშს არ დაუკრავდნენ. ახლა კი გონებაში გამუდმებით ერთი ფრაზა უტრიალებდა: „დუმილი ოქროა“ — და გულში ძლივს იტევდა აღფრთოვანებას ამ ბრწყინვალე სიბრძნით შთაგონებული. ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, რომ არ დაერღვია და არ დაეკარგა ახლად შეძენილი სიმშვიდის წონასწორობა. არ გაეცვითა ფუჭი მეტყველებით და არ გაეხუნებით.

მორჩილება დამთავრდა. დაიღალა. ფეხები ძლივს მიათრია კელიამდე. სველი, დასვრილი ტანისამოსი გამოიცვალა და ის იყო მოსასვენებლად მოკალათდა, რომ ზარის რეკვა შემოესმა. ტრაპეზი იწყებოდა. მძიმედ წამოდგა და ეზოში მოწყობილ პირსაპანთან მიღასლასდა. წყალი შეისხა პირზე და გახევებული თმა გაისწორა. შემდეგ ისევ სენაკში შებრუნდა, ქურთუკი მოიცვა და დაბლა დაეშვა. ეს ათიოდე მოქმედებაც სრულიად უსიტყვოდ შეასრულა და ერთი პირი შეეშინდა კიდეც, ლაპარაკი ხომ არ დამავწიყდაო და ხმამაღლა ჩაახველა. ახსოვდა და დაწყნარდა. მზის გადასვლასთან ერთად აცივებულიყო. არ შიოდა. სატრაპეზოში ყოფნას ეკლესიის ეზოში ლოცვების კითხვა ერჩივნა, მაგრამ მაინც დაესწრო ტრაპეზს. გზაში გაახსენდა, რომ დამე მარტო მოუწევდა კელიაში დარჩენა. თავიდან გაუხარდა, რადგან არასოდეს ეშინოდა საკუთარ

თავთან მარტო დარჩენა. მერე რაღაცნაირად გულს შემოეყარა, რადგან წარმოიდგინა კუნაპეტი ლამე, საშინელი სიჩუმე, ჩაბნელებული სენაკი, ლუმელის ტკაცუნი და მას არ ეძინება. ფიქრობს და ბრძოლებშია. ძალიან მოუნდა სხვა კელიაში გადასვლა, სადაც მარტო არ იქნებოდა, მაგრამ მოერიდა მოძღვრის და არაფერი უთხრა. ბედს მიენდო.

ტრაპეზმა ჩვეული სიმშვიდით ჩაიარა. აღმოჩნდა, რომ მოშიებოდა. გემრიელად მიირთვა წყალ-წყალა წვინიანი და უცხიმო ლობიო. გულდასმით მოისმინა წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ისტორიები და კედლის მხატვრობაც უფრო დეტალურად შეისწავლა. ესიამოვნა სატრაპეზოში დამკვიდრებული სითბო, სიმყუდროვე და საკვების სურნელი. დღის შუქი იწრიტებოდა და სახეების გარჩევაც სულ უფრო ძნელდებოდა. აღარ ჩანდნენ თანამეინახენი. აღარ ჩანდა კედელზე გამოსახული ფრესკები და თითქოს საიდუმლო სერიბაც გამქრალიყო. სადღაც დაკარგულიყვნენ სამკაპებით შეიარაღებული ეშმაკები, რომლებიც მართალი სულების დაღუპვას ცდილობდნენ განსაწმენდელში. გამქრალიყვნენ ხატები და ქართველ მეფეთა სახეებიდან მხოლოდ მათი აბჯრებიდა თუ იკითხებოდა. დაღამდა. მოძღვარმა ლოცვა დაამთავრა და ყველანი გარეთ გავიდნენ.

- შენ ქვედა სენაკში უნდა გადახვიდე, სადაც მორჩილები წვანან.

- მამაო, არ არის პრობლემა, მე მარტოც შემიძლია დარჩენა.

- უბრალოდ უკეთესი იქნება, თუ სხვებთან ერთად განთავსდები. რატომ უნდა იყო მარტო? ჩამოიტანე შენი ნივთები, სანამ ლოცვა დაიწყება და თუ სურვილი გექნება, აღსარებისთვის მოემზადე.

- თქვენი ნებაა. აღსარებისთვის კი ჯერ მზად არა ვარ. თუ შეიძლება, ცოტას კიდევ ვიფიქრებ.

- კეთილი.

- დიდი მადლობა.

ლოცვა დაიწყო. საყდარში რამდენიმე ახალი სახე გამოჩნდა. ეტყობა, ძმობას წევრები შემატებოდნენ. აღბათ ტრაპეზსაც ესწრებოდნენ და უბრალოდ მან ვერ შენიშნა. ლოცვას უკვე იმდენი ხალხი ესწრებოდა, რომ საყდრის კარის გამოღება მოუხდათ, რადგან სუნთქვა ჭირდა. შეკრებილთ ყველაზე ბოლოს ერთი მოხუცი კაცი შემოემატათ. სავარაუდოდ, იგი მორჩილი თუ არა, იქაურობის დიდი ხნის მკვიდრი მაინც უნდა ყოფილიყო, რადგან გაახსენდა,

რომ დილით საქონლის სადგომში ნახა. ასეთ თავისებურ საქმეს კი ვერც ერთ მომლოცველს ვერ ჩააბარებდნენ, გარდა გამოცდილი მორჩილისა. ეტყობა, მწყემსობდა კიდევ, რადგან მთელი დღე არსად ჩანდა. ისე, საკმაოდ უცნაური ვინმე ჩანდა. დიდყურა და წითელცხვირა. თუმცა კი ყველაზე განსაკუთრებული ნიშანი, რითაც ის, ალბათ, სხვებისგან გამოირჩეოდა, ეს იყო აუტანელი სუნი. მოხუცი სწორედ მას ამოუდგა გვერდით. დინჯად ჩამოისვა წვერზე ხელი და თავისი საკბილო ფიქრი მოიმარჯვა. სუნი იმდენად აუტანელი აღმოჩნდა, რომ სახელსაც ვერ დაარქმევდა. ძალიან გაუჭირდა მისი სიმყრალის არსში გარკვევა. ადგა და უბრალოდ გაერიდა. დიდი გაჭირვებით გადაკვეთა ისედაც პატარა საყდარი და ღუმელთან მოკალათდა. ამოისუნთქა, თუმცა კი დროებით სიმყრალე დაჟინებით მოიწვევდა მისკენ და ეტყობა, მთელი იქაურობის მოცვასაც ლამობდა. სულ მალე მან ისევ მთელი სიმძლავრით შეიგრძნო მძიმე სიმყრალე. დაითრგუნა. ღუმელი განითლდა. ძალიან დასცხა და საშინელ დისკომფორტში აღმოჩნდა. აფორიაქდა გამოსავლის ძიებაში, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს უხერხულობაც განსაცდელისა და ბრძოლის ნაწილი იყო. სცადა შეგუება. არაფერი გამოუვიდა. უეცრად ერთგვარ ბურუშში გაეხვია და დაიწყო მისი ენითაღუწერელი ტანჯვა. სურვილი გაქცევისა და ძალისხმევა დარჩენისა. ყურპარტყუნა დიდცხვირა კი განაგრძობდა არხეინად თვლემას.

დამის დადგომასათან ერთად კიდევ უფრო დამძიმდა მისი მდგომარეობა. დაიღალა. თვალები თავისით ესუჭებოდა. ახლა ის უკვე მთელი გულით ნატრობდა ლოცვის დროზე გასრულებას, ხოლო ლოცვა უსაშველოდ იწელებოდა. მოუთმენლად მისჩერებოდა ხელებში ხან ერთსა და ხანაც მეორე ბერს. ელოდა, როდის დაკეცავდნენ თავიანთ წიგნებს და ჩაალაგებდნენ მაგიდის უჯრაში. მაგრამ არა. ისინი თითქოს ჯიბრზე, სულ ახალ-ახალ წიგნებს აძვრენდნენ მაგიდის ქვეშიდან და დროც გაჩერდა. დარჩა მისი გახევებული მზერა და დაგუბებული ყურები. გაინელა სანთლის ალი და დუდუბში გადაიზარდა სიტყვები. სიკვდილი ინატრა, რადგან მიხვდა, რომ საშინლად დაეცა. იგრძნო, რომ მაცდური ჰყავდა შეჩერილი და ვერ უმკლავდებოდა. მეტიც, სამარცხვინოდ დაბლდებოდა უფლის წინაშე და უმსგავსო ფიქრით სულს წარინუმენდდა. ნეტარება ტანჯვად ექცა და მადლი კიდევ — სიმძიმედ. დაიწვა. როდის-როდის ლოცვა დასრულდა. მტკიცედ გადაწყვიტა მონას-

ტერი დაეტოვებინა, რადგან ამხელა სირცხვილის შემდეგ, მისი ადგილი იქ აღარ იყო. გადაიფიქრა, კიდევ ვცდიო. ამან უფრო მოწამლა. გარეთ ბნელოდა. ძლივს მიათრია სენაკამდე ფეხები და მკვდარივით დაენარცხა ლოგინზე. ყელში ბოლმის ბურთულა მოადგა. მაინც ჩაეძინა და ახლა სიზმრად დაეწყო ბრძოლები. აპობოქრდნენ მშფოთვარე ზმანებები.

- მოდი, ერთად წავიდეთ, რა? — გიუი ბევრნაირი ენახა, მაგრამ ეს კიდევ სულ სხვა ჩამოსხმა იყო, რადგან მონასტერში ცხოვრობდა და გაქცევაზე ოცნებობდა.

- იცი, მე ზუსტად არ მაქს გადაწყვეტილი წასვლა. — არანაირი სურვილი არ ჰქონდა, ახლა ეს გადარეული აეკიდებინა და მასთან ერთად ემოძრავა ტყე-ტყე.

- არა, გხევეწები, თუ წასვლას დაპირებ, უჩემოდ არა ქნა ეგ საქმე, რა?! — გიუი რამდენიმე დღის წინ ჩამოიყვანა ორმა კუნთმაგარმა ტიპმა და დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ დაითანხმა მოძღვარი მის დატოვებაზე. უწყინარია, დედას გეფიცებითო, ირწმუნებოდა ერთი და მეორეც დასტურად თავს უქნევდა.

- მე თუ წავედი, ფეხით წავალ და არა მგონი, შენ გაქაჩი გზაში, რადგან ოთხი-ხუთი საათი უნდა იარო და თანაც აღმართზე. — იფიქრა, იქნებ დაღლით მაინც შევაშინოო, რადგან შემჩნეული ჰყავდა, რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის თავს არიდებდა მორჩილებას, როგორც შრომისუუნარო.

- და თუ ვინმეს მანქანას გაჰყევი? — არ ეშვებოდა გიუი და სულ უფრო იძაბებოდა. აშკარად თავი ციხეში ეგონა და „პაბეგის ანევას“ ცდილობდა. ის კი თან ძროხის პონტში მიჰყავდა, რათა გზაში შეეჭამა და შემდეგ მისი სისხლით გამთბარიყო ყინულოვან სტეპებში. არადა, მასზე ამბობდნენ, დიდჩინოსანი პოლიციელი იყო და მერე რაღაც საქმეზე გაბერაო.

- არ გავყევები, რადგან მე უეჭველი ფეხით წავალ. — უცებ წარმოიდგინა საკუთარი თავი და ეს გიუი ვიღაცის მანქანაში შეეჭყილი. მერე როგორ მისეირნობენ ერთად ქალაქში და ის ცდილობს დასტყუოს ამ არანორმალურს სახლის მისამართი, რათა დროზე

მოიშოროს თავიდან, ხოლო გიუი კი თავისუფალია და აწყვეტას ითხოვს. მას ცხელა და გიუი კი მკლავზე ექაჩება, წამო და მანახე, ბოზები რომელ ხიდთან დგანანო. თან გაახსენდა, პირველად როგორ ნახა თავისი ეს ახალი მეგობარი. თავიდანვე არ ესიამოვნა, რადგან გიუი იდგა მონასტრის ეზოში და ვიღაც ორ ჯარისკაცს ფორმის საყელოზე ექაჩებოდა, გინდათ ახლა ორივენი ცალი ხელით გაგლახოთ, თქვე ბოზებორ?! დლივს დაშოშმინეს, ეგენი ძალები კი არა, სალდათები არიანო.

- ესე იგი, არა? – ისეთი ზიზლით შეხედა, რომ მან ინსტინქტურად მუშტები მოიმარჯვა, რათა შეტევაზე დროული რეაგირება მოეხდინა.

- არა. იცი, მე გადავითიქრე და ვრჩები. — კბილებში გასცრა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. მართალია, თავში არაფერი მოხვედრია, თუმცა კი მათ მეგობრობას უნდობლობის სამუდამო ნიშანი დაედო. ამ უხერხული საუბრის შემდეგ, არათუ გამარჯობას არ ეუბნებოდნენ, სიგარეტსაც კი აღარ სთხოვდნენ ერთმანეთს.

დღეები ერთფეროვნად მიიზლაზნებოდა და სწორედ ეს ერთფეროვნება იყო ის, რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. სიამოვნება კი არადა, ერთგვარი სიძლიერე და თვითრწმენა ემატებოდა ყოველდღე. მონასტერში არაფერი არ ხდებოდა, არც ახალი და მით უმეტეს ძველი. თითქოს ყოველი ახალი დღე იყო წინა დღის ასლი, იღონდ საოცარი ის გახლდათ, რომ ყოველ მომდევნო დღეს სულ სხვა მადლი და ნეტარება მოჰქონდა. ისიც თითქოს ბოლომდე ჩაება სამონასტრო ცხოვრებაში და განუყოფელი ნაწილი გახდა იქაური მთლიანისა. თავჩახრილი შრომობდა მორჩილებისას და მხურვალედ ლოცულობდა წირვისას. ხან თოხნიდა, ხან ბარავდა და ხანაც შეშას ჩეხავდა, მაგრამ როგორც კი თავისუფალ დროს დაიგულებდა, განმარტოვდებოდა სადმე მზის გულზე და გაუთავებლად კითხულობდა ფსალმუნებს. ასე ნაყოფიერად არასოდეს დახარჯულა და ასე სავსედ თავი არასდროს უგრძვნია. ამასობაში კარგად გაიცნო მონასტრის წევრები და დაუმეგობრდა კიდეც. ახლა თავს უკვე აღარ გრძნობდა ისე შეზღუდულად და მუდმივი თვალყ-

ურის ქვეშ, როგორც ადრე. ეტყობა, გაამართლა მონასტრის მესვეურთა ნდობა და თავისუფალი მოქმედების არეალიც გაეზარდა. ანუ უფრო თავისუფლად გადაადგილდებოდა მონასტრის ტერიტორიაზე და კითხვებსაც უფრო თამამად სვამდა. დროის სვლასთან ერთად მომსვლელ მლოცველთა ნაკადი სულ უფრო იზრდებოდა. კელიებში უკვე გასაშლელ სანოლებს ამატებდნენ, რათა მომლოცველი უარით არ გაეშვათ უკან. ბრძოლებიც სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რადგან ახლოვდებოდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ასეთი სულიერი დაძაბულობის დროს ძალიან არ უნდოდა მონასტრიდან წასვლა და ნაპოვნი განწყობის დაკარგვა, მაგრამ მოუწია. ესეც იმ ერთ-ერთი საქციელთაგანი იყო, რომელსაც ადამიანი თავისდაუნებურად და საკუთარი სურვილისავე საწინააღმდეგოდ სჩადის.

- მამაო, თქვენი კურთხევა მინდა. მე უნდა წავიდე. შევებულება მიმთავრდება და სხვანაირად არ გამოვა, მაგრამ სააღდგომოდ აუცილებლად ჩამოვალ სამი დღით, თუ თქვენი ნება იქნება. დამლოცეთ, მამაო.

- ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს, შვილო ჩემო. ჩამოდი, როგორც კი მოახერხებ, ჩვენ ყოველთვის მოხარულები ვიქნებით.

ორნი მიდიოდნენ.

- იცი, რა გამახსენდა? ადრე, წინა წამოსვლაზე, აქ შენდობის კვირას ვიყავი ჩამოსული. სამნი ვიყავით და ერთ-ერთი, აზრზე ხარ, საერთოდ პირველად იყო ესეთ პონტში. არა, გატყუებ, მონასტერში კი არა და მარხვაზეც პირველად იყო და ეკლესიაშიც, მე მგონი, სულ ორჯერ თუ იქნებოდა ნამყოფი. ისიც, ალბათ, პირველად საკუთარ ნათლობაზე, რომელიც რაღა თქმა უნდა, არ ახსოვდა, ხოლო მეორედ საკუთარსავე ქორწილში, რომელიც ასევე სავარაუდოდ ძალზე ბუნდოვნად აგონდებოდა, რადგან პირველი, რაც იკითხა ამ გაურკვევლობაში მოხვედრილმა, ის იყო, რომ ჩვენ ახლა მღვდლის ფანკლუბი უნდა გავხდეთო? ჰო მეტე და იმანაც საკლუბო ჰიმნის სწავლება მოითხოვა. განსაკუთრებით კი „შენ ხარ ვენახოს“ მიეძალა. კაი, ახლა ვახურებ, მაგრამ ცვეტში გეუბნები, ტიპი სერიოზულ გაურკვევლობაში გაიჩითა. წარმოიდგინე, ეკლე-

სიის და მაგ დვიუენიის საერთოდ აზრზე არ ხარ და ვდრუე ეძრობი მონასტერში და ამხელა დოზით მოვდის ეს რელიგიური პონტები. როეა იმენნა, მაგარი აიჭრა, ველარ ხვდებოდა, როგორ უნდა მოქ-ცეულიყო, რა ექნა და რაც მთავარია, რატომ. ძალიან დაიძაბა და რაღაც პონტში დაითრგუნა. ცვეტში სტრესში გაიჩითა. ალარც ლაპარაკი, არც ჭამა-ყლაპვა და საერთოდ არაფერი, გარდა წირვა-ლოცვისა და თოხის ბრაგუნისა. მეორე დღესვე ტიპი უკვე გაქცევაზე ფიქრობდა. იმენნა ცოდვა ენატრებოდა. ჭაობზე ოცნებობდა. მე მგონი, იმასაც კი ფიქრობდა, ოლონდ ახლა სახლში დამსვა და თუ გინდა, იმავე დღის უსერიოზულესი თავანი მქონდეს გადასახდელი, ლომბარდთან ვასატკავებდე აგურით ხელში და დილიდან ერთი ზახოდიც კი არ მქონდეს გაკეთებულიო. კაროჩე, გაბერილი ჰქონდა, თან ლომქაში იყო და აქედან კიდევ მოძღვარი გრუზავდა, იფიქრე შენს ცოდვებზეო. ჰოდა, როჟა ეგეთ შარებშია და ერთ ლამესაც, ლოცვაზე შენდობის რიტუალი შეასრულეს. ჯერ ისატნია, დილამდე ვილოცეთ და ბოლოს ნინამძღვარი მუხლებზე დადგა და შენდობა გვთხოვა ყველას. აზრზე ხარ, დაიჩოქა და მაპატიეთ, თუ რამე მიწყენინებიაო. მეც არ მოველოდი ეგეთ რაღაცას და ცვეტში პირველად გავეძრე ეგეთ სიტუაციაში. აუ, ისე გულწრფელად ითხოვა შენდობა, რომ ნალდად დავთიქრდი, რამე ცოდვა ხომ არ მიუძღვის ჩემს ნინაშე-მეთქი. გულით მინდოდა მიმეტევებინა, მაგრამ რა? მეც მაგრა ავფორიაქდი. იმენნა ძალიან მაგარი პონტი იყო. მერე მეორე მამაომ დაიჩოქა და მუხლიჩოქა მივიდა ნინამძღვართან, მხარზე ემთხვია და შენდობა სთხოვა. ამან მომიტევებიაო და ახლა შენ შემინდეო. ამანაც ეგრე იყოსო და გვერდით ამოუდგა ასე მუხლმოყრილი. ასე მოიქცა, სიმონ, ყველა ბერი და ნარმოიდგინე, საკაიფო წრე გაიჩითა საყდარში. აი, ეგეთი რა, მრგვალი. მერე მაგათ მორჩილები მიჰყენენ და ბოლოს ჩვენ. აუ, უძლიერესი შეგრძნებაა, როდესაც მართლა გულის სიღრმიდან ითხოვ შენდობას. ლამის ცრემლები წამომივიდა. არადა განავინეს კონკრეტულად თხოვ შენდობას იმ მომენტში. არა, ტო, არც კი იცნობ ტიპებს. ზოგადად ყველას, მთელ სამყაროს ევედრები, რომ მოგიტევონ. თითქოს კვდები და ცდილობ, პირნათლად ალესრულო. მაგარი გრძნობაა და მერე უცებ გენვევა სინაზული. საშინელი სინაზულის განცდა გიპყრობს. ლოცვის ბოლოსკენ მაგარი განადგურებული ხარ და ნათლად გრძნობ, რამდენად ულიოსი ხარ. განა რამე შენი უვარგისი საქციელი გახსენდება, არა,

ტო, უბრალოდ სული გიკნავის და ლამის საკუთარ ცოდვილ ბუნებაში დაიხრჩი. გამოდიხარ საყდრიდან და უგონოდ დაბორიალობ. აი, უანგბადს ეძებ, რომ ჩაისუნთქო და არ გეშვება არაფრით. ჰოდა, ეგეთ მურდალ პონტში ხარ და შენ წარმოიდგინე, იმ ტიპს რა ჭირს?! ცვეტში გაბერილი აქვს. ის იმენნა სახელსაც ვერ არქმევს ვერაფერს და აპა, საიდანლა უნდა მიხვდეს, თუ რა სჭირს. დადის წინ და უკან თვალებდასიებული და ვატყობ, რომ ქვედა ტუჩი უკანვალებს. დასჯილი ბავშვივით მობუზულა და თავს ძლივს იკავებს ტირილისაგან. გავედით მონასტრის გარეთ მოსაწევად და ამან დასცხო ტირილი, მარა რა დასცხო?! ველარ ჩერდება. რეკავს სახლში და ცოლს ეუბნება ესე აბლავლებული, შემინდეო. იმან ეტყობა, შიგ ხომ არ გაქვსო. ამან — შემინდე, თორემ დედას მოგ...ო. ის ვერ ხვდება, რა უნდა ამას და ბავშვს აფიცებს, მითხარი კაიფში ხომ არ ხარ და ვენებს ხომ არ იჭრიო. ამან — არა, დღეს შენდობის დღეა და შემინდე თუკი რამე მიწყენინებია შენთვის მთელი ცხოვრების მანძილზეო. მეტი კი მოუვიდა, მაგრამ მაინც. იმან გაუთიშა, წალი შენი დედაც, ახლა გაგახსენდა ჩემი წყენაო. ეს გაგიუდა და ხმით დაიწყო ტირილი, დედიკო, მიშველეო. მე ვაწყნარებ, კარგია, ძმაო, ეგრე რომ ხარ, ესე იგი შეინანე და მოგეტევება-მეთქი. იმან, არ ვიციო და ბავშვივით აზლუქუნდა. მე ვუთხარი მიდი, მიდი, ნუ გერიდება, ატ დუში იტირე, მოგეშვება-მეთქი. ამან კიდევ უმატა და ახლა თავს ველარ იმორჩილებს და მამამისს ურეკავს — მამი, აქედან წამიყვანე, მაგრა ცუდად ვარო. აქ ყოფნას სროკზე ყოფნა მირჩევნიაო. იმან ეტყობა ისქესა, ეს რა შარშიც იყო და კარგია, შვილო, ცოტა ხანსაც დარჩიო. აუ, ამან საერთოდ გარეკა. მთელ საძმაკაცოს დაურეკა გულამომჯდარმა, მომაკითხეთ და წამიყვანეთ, თორემ დაგშორდებით და ატაშოლს დაგადებოთ. იმათ კიდევ, მანამ არ გეტკინოს არაფერი, ვიდრე ჩვენ მანდ ჩამოგაკითხოთ ამ შუა ღამეს და თანაც გაქანებული ფუტბოლის ყურებისასო. ეს ვერ წყნარდება. აკანკალებს და ისეთს წივის, რომ ისტერიკაში ვარდება. ბოლოს მივიყვანე მამაოსთან და ჩავაბარე, ეგრეა და ეგრე- მეთქი. იმან ჰკიოთხა, რა გჭირსო? ამან, აქ აღარ შემიძლია გაჩერება და იქნებ რამე მიშველოთო. მოძღვარი მიხვდა, რომ ეს გოიმი სინაზულში იყო და სთხოვა, ორი დღეც დარჩი და ნახე, რა კარგი ბიჭი იქნებიო. იცი, რა გაუხარდა მამაოს?! სულ ეფერებოდა და უხსნიდა, როგორ სერიოზულ ღვაწლში იყო ახლა და რა კარგ გზაზე იდგა. ეგ, შვილო, დიდი მადლია, რასაც შენ ახლა განიცდიო. ბევრი ისე კვდება და

მიდის ამ ქვეყნიდან, რომ ერთხელაც არ ეწვევა სიცოცხლეში სინახული და შენდობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო. დაისვა და ბევრი ელაპარაკა. უთხრა, შაბათს ალსარება ჩამაპარე და კვირას გაზიარებო. რას იზამდა ამაზე კარგს? ესეც თითქოს ცოტა და ანყნარდა, მოლბა და აზრზე მოვიდა. ყველაფერზე თავს უქნევდა და თითქოს დარჩენაზეც დათანხმდა, მაგრამ რომ დავწერით დასაძინებლად, დასცხო ისევ ჯლავილი, ალარ შემიძლია, მიშველეთო. მთელი ღამე ბალიშმითავრული ტიროდა. მისი ეს საქციელი უქველი უნდა ენახათ იმ ტიპებს, რომელთაც ეს აკაჩავებდა და მობილურებს ახევდა. ანდა მაგის ნაბოზვარ პადდელნიკებს, ქალებს რომ ყურიანა საყურებს ახევდნენ და ჩანთის ნართმევისას წიხლებსაც არ იშურებდნენ. არადა, ეს კვერცხი, თითქოს ცუდი ტიპი არ ჩანდა. პროსტო, მაგარ უაზრო წრეში ტრიალებდა და ცხოვრებასაც მაგარ უაზროს ეწეოდა. ნუ, პაბალშომუ, მაგარი სულელი კაცი იყო და საკუთარ ოჯახსაც აგიჟებდა თავისი დურაკული პრობლემებით. სულ შარები და უბედური თავნები. ჰოდა, ეგეთი ქუჩაზე მიჯაჭვული ტიპი მაგარ გარდასახვაში მოჰყვა და საშინელ ბრძოლებში ჩავარდა. თან ეტყობა, ხედებოდა, რომ მთლად ჯოჯოხეთშიც არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ უბრალოდ არ იყო მზად ამდენი რამისთვის ერთად და ცოდვაზე უსაზღვროდ მიდრეკილს გაათმაგებოდა წინააღმდეგობა. კაროჩე, უწმინდური სტანჯავდა რა და ამანაც ვერ გაუძლო. არადა, მამამ მთელი დილა ეხვენებოდა, დარჩი კიდევ ორი დღეო. მე ეგეთი სასწაული ძალიან ცოტა მინახავს და ძალიან გთხოვ, ნუ დაკარგავ მაგ მადლს და შეუშვი უფალი შენშიო. ამან თავიდან ცოტა იყოყმანა, მაგრამ როგორც კი პირველი წამსვლელი მანქანა გამოჩნდა, შიგ შეხტა და ცოცხალი თავით გარეთ ალარ გადმოვიდა. რომ არ მოგატყუო, ერთი ორმოცი წუთი მაინც იჯდა შიგნით და ელოდა პატრონს, როდის ის მოისურვებდა წასვლას. რალა გვექნა? ძალით ხომ არ დავტოვებდით? წინამძღვარი თვითონ მივიდა მანქანასთან და ისე დალოცა. იმანაც, დიდის ამბით — მადლობთ და მერე ჩამოვალო. არადა ცვეტში ვიცი, რომ ეგ კარგა ხანი სათოფეზეც კი არ გაეკარებოდა ეკლესიას. ეგეთი კოშმარი, რაც მან იქ განიცადა, სიზმრადაც კი არ დასიზმრებია და აპა, ვინდა დაარწმუნებდა, მონასტერი კარგიაო. ერთი კი იყო, რომ წასვლამდე მკითხა, შენ თუ ხვალ წახვალ, მეც დავრჩები კიდევ ერთი დღეო. მე კვირის ბოლომდე ვაპირებდი დარჩენას და უარი ვუთხარი. თუ გინდა, შენც იმდენ ხანს დარჩი, რამ-

დენსაც მე-მეთქი. არადა, რა იცი, რომ მეთქვა, ხვალ წამოვალო, ეგებ მართლა დარჩენილიყო და დაეძლია უწმინდური?! რალაცნაირად გამიტყდა, რადგან გარდასახვის სასწაულის მომსწრე შევიქენი და მე კი რაღაც პონტში ხელი ვკარი და გამოვერიდე. მაგრამ ტყუილსაც ხომ ვერ ვეტყოდი? მეთქვა, წამოვალ და მეორე დღეს გადამეგდო, არ გამოდიოდა. არადა, შესაძლებელია, იმ ერთ დღეში საერთოდ სხვა აზრზე დამდგარიყო და მაგრა მობრუნებულიყო ეკლესისკენ. თუმცა, ვინ იცის, ეგებ, ეგრე სჯობდა. მაგრამ, ერთი კი იყო, რომ მე, ძმაო, ეგეთი ბრძოლები, რაც მაგას მარტო თვალებში ეტყობოდა და ეგეთი სინაული, რაც მის ხმას მოჰყვებოდა, პროსტო, არ ვიცი, რა. რალაც პონტში შემშურდა კიდეც. მე, სიმონ, პასტაიანა მაგ დვიუენიაში ვარ, წლობით ვინახავ მარხვას, ალსარებებს ვაპარებ, ვეზიარები და ეგეთი მადლი არასოდეს მომსვლია. ეს კიდევ პირველად გაეძრო ეკლესის სიახლოვეს და ეგრევე სხივი არ დაადგა?! გამიტყდასავით. ჯერ ჩემი თავის და მერე მაგის საქციელი. თუმცა, რად გინდა. ამან ყველაფერი დაიკიდა, ბარგი შეკრა და მეორე დღესვე სახლში მოხია.

- და ისე საშიშია მონასტერი?

- არა, ტო, რას მელაპარაკები. რა საშიში, რის საშიში. შენ ახლა რა, ჩემმა მონაყოლმა ხომ არ დაგრუზზა? ეგ არაფერი. პროსტო, ერთია, რომ ღამე ტეხავს მაგრა, თუ დროზე არ დაგეძინა. ათასი სულელურიაზრი მოგდის თავში და პახოდუ ტყეში ხარ, რა? ყმუილი და შრიალი. ამიტომ დღე ვირივით უნდა იმუშაო, რომ ღამე ეგრევე გაითიშო. ერთია, რომ სულ მაგარი ბრძოლები გექნება, რადგან ეს ვნების კვირაა და წინააღმდეგობა გაგიათმაგდება. შენ, მთავარია, ნურაფრის შეგეშინდება. მე მაგარი გავაბუქე და აი, ჩავალთ და შენ თვითონ წახავ, როგორ გაგისწორდება და როგორ გაძლიერდები მონასტერში ყოფნის შემდეგ. იცი, რა მაგარია?!

- მალე ჩავალთ?

- ნახევარ საათში.

- და იქ რას ჭამენ?

- არაფერს. ბოლო დღეები განსაკუთრებით.

- მეც მექნება ბრძოლები?

- ცემას არავინ დაგინებს, მაგრამ ალსარების თქმაც კი თუ გაგიჭირდება, ჩათვალე, რომ ბრძოლებში ხარ.

- და სამნი რომ იყავით, ის მესამე სად იყო?

- ის ლომკაში გაიჩითა და მეორე დღესვე გაიქცა.

- ვაა?

- ჰო?! მაგრამ იმან თავისი სიკეთე და მაღლი მაინც ქნა. სწორედ მაგან მიმიყვანა მონასტერში პირველად და ფაქტიურად გზა მანახა, რა.

- ისე, მაგრა მაინტერესებს, როგორია მონასტერში ცხოვრება.
- ცოტაც მოითმინე და შენ თვითონ ნახავ.

ის და მისი ერთი მეგობარი წითელ პარასკევს საღამოს ჩავიდნენ მონასტერში. იმდენად დიდი იყო წადილი სიმშვიდის დაბრუნებისა, რომ მოახერხეს, ყველაფერი დააგდეს და მოსწყდნენ ყოფას, რაც ეგზომ რთულია ყოველდღიურ ცხოვრებაში. სულ სირბილ-სირბილით ჩაირბინეს მონასტრამდე და თანაც სანოვაგით ორმა-გად დატვირთული ჩანთებით. ენით ალუნერელი იყო ის სიხარული, რომელიც მან განიცადა იქ ჩასვლისას. ისევ ის მწვანე, კვამლის სუნი, საყდრის საუკუნოვანი ლოდები და კეთილი წვეროსნები. დრო აქ ერთი წუთითაც კი არ წასულა წინ და ეს იყო ყველაზე დიდი ბედნიერების მომგვრელი. მისი წასვლის შემდეგ იქაურობას ათასი უცხო სახე შემატებოდა. იყო დიდი ფუსფუსი, კვერცხების ღებვა და პასკის ცხობა. თბილად დახვდნენ, მაგრამ ამ სააღდგო-მო სამზადისში რომ არ დაკარგულიყვნენ და უსაქმურობით არ გაზარმაცებულიყვნენ, უმაღ საქმეში ჩართეს. მორჩილებაში გაამ-ნესეს, მიუხედავად მათი გვიანი ჩასვლისა. მოძღვარი და რამდენ-იმე ახალგაზრდა ფერდობიდან მინას ჭრიდნენ, რათა ვენახისთვის ადგილი მოესწორებინათ. შემდეგ ამ ჩამოჭრილ მიწას ვენახის მე-ორე ბოლოს მდებარე პატარა ხევში ყრიდნენ, რათა აქ უკვე ფარ-თობი გაზრდილიყო. მათ ურიკა მიაპარეს, ანუ ევალებოდათ მისი დატვირთვა, ხევამდე ჩატანა და მიწის დაბლა ისე ჩაყრა, რომ მი-ნაყრილისგან ერთგვარი სიმეტრიული რკალი გამოსულიყო. ნამგ-ზავრებს ძალიან გაუჭირდათ მუშაობა და ამას ისიც დაემატა, რომ განვიმდა. ურიკის ტარება ორმაგად გართულდა. ხევამდე გზა სულ აიზილა და ატალახდა. დაღმართზე ჩასვლისას ფეხმა სრიალი დაი-წყო და ორი მოზრდილი მამაკაცისთვისაც ფაქტობრივად შეუძლე-ბელი გახდა დატვირთული ურიკის დამორჩილება. აი, მერე იქ იმათ

ისე იხალისეს, რომ ბავშვობაშიც კი არ უხალისიათ. ჯერ ერთი გაიშხლართა პირალმა, მერე კი მეორემ ვერ შეიკავა თავი და პირდალმა მოადინა ბრაგვანი. ესე იგი, თავით ფეხამდე ამოიგანგლნენ ტალახში. ამასაც რომ არ დასჯერდნენ, სიცილით ამჩატებულები ურიკამ გადაიყოლა ხევში და კარგად დაუეუჯა კიდეც. მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან იხალისეს. იქ მათთვის არავის სცხელოდა და მათაც ისარგებლეს ამ არეულობით. თან შრომა და თან ხალი-სიო. იმდენი ილაზლანდარეს, რომ მოძღვრისგან ერთი შენიშვნაც კი დაიმსახურეს: შენ მარტო რომ იყავი, მაშინ უკეთ მუშაობდი და ახლა რაღა დაგემართა?! თუ გინდათ ცალცალკე დაგაყენ-ებთ და აღარ მოცდებითო. მერე წვიმამ ისე იმატა, რომ მუშაობას აზრი აღარ ჰქონდა და ისინიც დაითხოვეს. შემდეგ იყო ტრაპეზი, ლოცვა, წირვა და სულ ბოლოს — უგონოდ ძილი. თუმცა იყო ერთი უხერხული ამბავი, რომელიც მას წინა ჩასვლაზე არ უგრძვნია და შესაბამისად, არც პირველად მყოფი მეგობარი გაუფრთხილებია. ისინი საერთო, რვაკაციან სენაკში მოათავსეს და იქ ძილი კი სა-ტრაპახო ამბავი ნამდვილად არ გახლდათ. იქ დამით ამბავი ხდებო-და, რომ თვალებიდან სულ ცრემლი სდიოდათ. თექვსმეტი ფეხის მეტი ოთახში ხომ აღარაფერი ჩანდა და ამ თექვსმეტი ფეხის სუ-ნის გარდა არაფერი იგრძნობოდა... სულ მამაო ჩვენოს ძახილით ჩაიძინა და დილით რომ გამოიღვიძა, თავი ზუსტად ისე უსკდებოდა ტკივილისგან, როგორც ჭაჭის ნაბახუსებზე.

- როგორ ხარ?

- აუ, სიმონ, თავი მისკდება. ეს რა საშინელება იყო ღამით, ტო?! თუ არ გავგიუდებოდი არ მეგონა, დედას გეფიცები რა.

- ჰო, მაგრა ჩახუთულობა იყო, მაგრამ ისეთი გაწყვეტილი ვი-ყავი, რომ ეგრევე დამეძინა.

- საღოლ, ძმაო. როგორ მოახერხე? მე მთელი ღამე საბანი მე-ფარა თავზე. თან მცხელოდა და თუ მოვიხდიდი, სუნი მაწუხებდა. ერთი სამჯერ მაინც გამოვალე კარი, სანამ ჩამეძინებოდა. ეგეთი კოშმარი ტყუილია რა.

- ბიჭო, რა ჩავიცვა, აზრზე არა ვარ. გუშინ ყველაფერი დამის-ველდა.

- მეც ეგრე არა ვარ? სულ ყველაფერი გამიჭუჭყიანდა. რა ვუყო, არ შეიძლება, მაგრამ დღეს სპორტული შარვლით უნდა ვიარო.

მონასტერში სააღდგომო დიდი სამზადისი დაწყებულიყო. აუარება მრევლი ჩამოსულიყო და გაუდიოდათ ერთი რია-რია.

ჩამოეტანათ ხორავი და ტკბილეული. ღვინო და ლიმონათი. ჩამოეყვანათ საკლავი, ცხვრები და ერთიც ხბო. ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდნენ ისე, რომ ბერები არაფერში ჩაურევიათ. თავად დაკლეს, გაატყავეს, გარეცხეს და ქვაბებში ჩაადგეს. მოკლედ, ერი გახსნილებისთვის ემზადებოდა, ხოლო ბერი — დიდი წირვალოცვის აღსავლენად. მოძღვრებს გაელოთ დიდი ტაძრის კარიბჭები და იქაურობას ასუფთავებდნენ. იმ დღით წირვა-ლოცვა ალარ ჩაუტარებიათ და მხოლოდ მორჩილებისას შრომა დაუშვეს. არც ტრაპეზი ჰქონიათ და ჭამით ხომ ლუკმაც არ ჩაუდიათ პირში. მხოლოდ მომლოცველთ ჩამოურიგეს პურის სამ-სამი ნაჭერი და ერთიც ეგრეთ წოდებული ბუბლიკი. არადა, სატრაპეზოსთან გულის წამსვლელი სურნელი ტრიალებდა.

- ჭამე პური?

- ჰო, აპა?!

- მაშინ წამო ახლა და სატრაპეზოსთან ჩამოვჯდეთ ცოტა ხანს. იქაური გემრიელი სუნები დავაყოლოთ და პატარაზე ცხვირი ჩავიტყბარუნოთ, თორემ მეორე პურის ნაჭერი სადღაც ყელში მაქვს გაჩერილი.

- არა, გმადლობ. არ მინდა. უკვე გეახელით. წელან, წყლის დასალევად რომ გახლდით, მაშინ ჩავუარე გვერდით. ხბოს შუშავდნენ.

- ნუ მორცხვობ, ხომ ვიცი, არც ეგ ორი ნაჭერი პური გეყოფოდა და მით უმეტეს, არც სატრაპეზოსთან ერთნამიანი გაქროლვა.

- რას მელაპარაკები, მეყო რომელია?! ჯერ ის ორი ხმელი ნაჭერი ძლივს გადავყლაპე და ახლა გინდა, რომ ნერწყვით დავიხრიო?

- ნება თქვენია. ისე, ხუმრობის გარეშე, გუშინ არ გაგიჭირდა ჯვრის გარდამოხსნაზე?

- ისე, რა. უბრალოდ ეგეთი მძიმე რიტუალი მე ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. მართლაც რომ ქრისტეს ტირილი და გოდება იყო. მთელი არსით გავიაზრე მაცხოვრის ჯვარცმა და გულწრფელად ავტირდი.

- მაგარი როჟა ხარ. დაუქ იმის უნარიც შეგწევს, რომ გულწრფელად იტირო. გოიმო შენ. ტირილი დღეს ნახე, თუ მთელი დღე მორჩილებაში ვიქნებით და მეორე დამესაც გავათენებთ. გპირდები, რომ პირადად მე ფეხზე დამეძინება.

- აბა, არ იქნება მორჩილებაო?! ნახე, რამდენი ხალხი ირევა და რამხელა სამზადისია გაჩაღებული. ერთი შენა ხარ რა, ვის ცხელა ახლა ჩვენთვის?!

- არა, ბიჭო, ახლა დაგვაყენებენ თავმოხდილ ქვაბებთან და ნერწყვებს გვაყლაპინებენ?! ასე უქმად ყოფნისგან ცდუნებაში ხომ არ ჩაგვაგდებენ? თან ნახე, სიმონ, რამდენი ტურისტი ყმაწვილქალი ირევა გარშემო. გვინდა ახლა ჩვენ ასეთი დვიუენია და ფოტოა-პარატებიანი ტრაკუცუნები?

- ესე იგი, დედლები და ქედნები. აი, ჩვენ ეს ორი დღეა იმდენს ვლაზღანდარობთ, რომ უეჭველი ვიცი, ბოლოს ერთიანად მოგვიწევს პასუხისმგება და დავრჩებით უზიარებელნი.

მორჩილება მაინც დააწესეს. თან ჩვეული ოთხი-ხუთი საათი კი არა, არამედ დაბნელებამდე. მთელი დღე ვენახს აბრუნებდნენ. ხუთი ბარის პირის სილრმეზე უნდა გადაეტრიალებინათ მიწა. ორი კვალი მათი იყო, დანარჩენი სხვისი. გახურდა მუშაობა. ერთი რომ ბარით მიწას ჭრიდა, მეორე იმავე მიწას ნიჩბით გვერდზე ყრიდა. მერე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და ასე იმუშავეს სალამომდის. შებინდებისას კი არაქათვამძვრალებმა იფიქრეს, ახლა კი მაინც დავისვენებთ ცოტასო, მიყარეს ნიჩბები და მონასტრის ეზოში შებორიალდნენ. მაგრამ ეგრე არ იყო. რას დაისვენებდნენ? აბა, ტურისტები და მინისტრებიო. ასეთი ცოცხალი და მგზნებარე თუ შეიძლებოდა რომ მონასტრერი ყოფილიყო, ვერაფრით წარმოიდგენდნენ. იმდენი რჯულის ხალხი ირეოდა ერთმანეთში, რომ მათი მარტო ცქერა დალიდა კაცს. რაღას იზამდნენ? ან კი მეტი რაღა უნდოდათ? ჩამოსხდნენ ხის ქვეშ გაკეთებულ სკამზე და დაინყეს წამსვლელ-მომსვლელის ცქერა-გაქილიკება. უბადრუკო სულ დავინყებოდათ ფარული ბრძოლები და მოახლოებული აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.

- არა, ძმაო, დაილოცოს ბარზე მუშაობა. ეს ლაფატკის ქნევა რა საშინელება ყოფილა?! მთელი ხელები მაზოლებში მაქვს. დღეს რომ ვიპახავე, ეგრე დაუნდობლად ცხოვრებაში არ მიმუშავია. თან ალარ შემეძლო, თან მშიოდა და თან შენ მაცინებდი წარამარა. ისე ვარ, სხეულს ვეღარ ვგძნობ.

- გინდა ჩიქ-ჩიქები გეთამაშო? ჰა... ჰა... აი, ისეთი გადამწვარი ვარ, რომ ახლა ავდგები და ქუსლს მოგცემ თავში.

- მაგარი ცანცარა ხარ. რით ვერ გაიზარდე, შე დებილო, შენა.

- ნუ გაახურე, ბიჭო. მოდი მე ახლა კალთაში ჩაგიდებ თავს და შენ თმებზე მომეფერე. წავიდა: მე შენს გულში, ტაკი და ტუკა...

- გაწი შენი ბოხვერა თავი, სირცხვილია, ნუ ამჩატდი. ხომ არ დაგავინყდა სად ვართ? რას კაიფობ, ქუჩაში ხომ არ გვინია თავი.

ან გუშინ რაღა იყო შენი საქციელი? შენი უაზრობის ბრალია, ურიკა რომ გაგვექცა და ხევში ჩაიხლინა.

- ისე, გაასწორა წვიმაში მუშაობამ, არა? გავგრილდი და რამე. მარა, შენ რომ დაეცი, ძმაო, ტყუილია. ორივე ფეხი ჰაერში, ერთიც მალაყი და ეგრევე ჩიბჯე ტალახში. მშვენიერი შედეგი ანახე, კომისია აღფრთოვანებული დარჩა.

- ოჳ, ბებიაშენისამ, შენ ხომ სუფთა დარჩი. მთელი დაღმართი ცხვირით იხოხე და ნასკებშიც კი ტალახი გქონდა. ვიზე რას იძახი, ბიჭო!?

- წამო, წამო გავისეირნოთ. თან პაპიროსი გავაბოლოთ, თორემ მომშივდა.

მეგობრებმა არეულობით ისარგებლეს და მონასტრის გარეთ გაძრნენ. სიგარეტი მოიმარჯვეს და ღრმა ნაფაზებით გააბოლეს. მაგრამ იქ, ანუ მონასტრის გარეთ, მათ ამბავი დახვდათ, ერჩივნათ, მთელი დღე თაკარა მზის ქვეშ მდგარიყვნენ და ეგ არ ენახათ. ვიღაც ახალგაზრდა ყმაწვილი ბუსნოში წამოკოტრიალებულიყო, ფეხები აეპლაკა და პირში სიგარეტგაჩრილი თვლემდა. აშკარად არ იყო ფხიზელი და კი არ ეძინა, არამედ „აკიმარებდა“. მოკლედ, მაგარი „გაჩერილი“ იყო და ნებივრობდა. მეტი კომფორტისათვის ცალი ფეხი ჰაერში აეწია და ასეთ უცნაურ მდგომარეობაში განისვენებდა. ბოლომდე ჩამწვარი და გრძლად ჩაფერფლილი სიგარეტის წამწვავი ტუჩებზე მიენებებინა და ისეთი მონდომებით იქნანდა სარცხვინელსა და მის მეგობრებს, ეგრე ყოჩაღად ბარი რომ ეხმარა, მთელი დღის საქმეს ერთ საათში გაასრულებდა. სანამ ესენი ეწეოდნენ და თვალებს არ უჯერებდნენ, ეს აქ რამ მოიყვანა ასეთ შავ დღეში მყოფიო, ის ფეხებს უნაცვლებდა ერთმანეთს და თვალების გახელას ცდილობდა. ხან ერთ ფეხს აიშვერდა, ხანაც - მეორეს. ხან ერთ თვალს გაახელდა დიდის გაჭირვებით და ხანაც მეორეს. შემდეგ რაღაც წამოდგომასავით დააპირა, მაგრამ უშედეგოდ. ვიღაც გვერდზე მდგომს მოუხმო და დახმარება სთხოვა. იმანაც წამოაყენა და აბა, დაეშვიო. ამან ბანცალითა და უკანალის ფხანით გეზი მონასტრის ეზოსაკენ აიღო. ეტყობოდა, რომ უჭირდა გარემოს ფოკუსში ჩასმა და ამიტომ თვალებს ხან დაჭყეტდა, ხანაც კი მოჭუტავდა, ისიც, ალბათ, მხოლოდ იმიტომ ირჯებოდა, რომ ჭიშკარს არ ასცდენოდა, თორემ ისე, პირჯვარს ხომ თვალდახუჭულიც მშვენივრად იწერდა.

- აი, ნახე, ახლა მეხი გავარდება და ამ ტიპს ფერფლად აქცევს.

- მეხი კი არა და მიწა გაიხსნება, შიგ ჩაინთქმევა და გეენა შასჭამის.

- რამ მოიყვანა, ტო, აქ ასეთი გაჩერილი? რა პონტში უნდა მოგინდეს აქ, მონასტერში ესეთ მდგომარეობაში მოსვლა. პროსტო რატომ?

- რა ვიცი, მაგის დედაც... სხვაგან ვერ გაიკეთებდა?! აუ, იმენნა მკლავს ქართველების ეს კაი ტიპობის მანია.

- სიმონ, დღეს რომ ამან აღსარება თქვას და ეზიაროს და მე ვერა, ცვეტში თავს დავიბრიდავ. ნახე, როჟა რა დღეშია, ფუ ამისი ბანძი...

- მოეშვი რა. ალბათ, მაგიტომაც არის, რომ აქ წამოსვლამდე კურთხევა უნდა აიღო. ეგეთი სამი-ოთხი კაცი და მერე ნახე, აქ ქვებიც თუ არ ატირდნენ ამათი საქციელის შემყურე.

- არა, პროსტო პონტია, ეგ რომ დღეს არ დაიწვას. მეხი თუ არ დაცუა და მიწამ თუ არ ჩაყლაპა, პირადად მე გადავასხამ ბენზის და ასანთს მივცემ.

- წამო, წამო ჩვენს თავებს მივხედოთ, მაგისი მარაზმატიკი დედაც, თორემ მაგისი ძრავით რამე თავად არ მოვიწიოთ.

მართალია, შოკის მომგვრელი ხილვები ამით არ დამთავრებულა, მაგრამ მაგაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი ჩვენმა მეგობრებმა კიდევ თითო ნაჭერი ხმელი პური მიირთვეს და ეკლესის ეზოში გადაინაცვლეს წირვა-ლოცვის მოლოდინით გათანგულებმა.

- აუ, მაგარი დაღლილი ვარ.

- მეც, ტო. არაფრის თავი არა მაქვს.

- შენ ნახე, ესე ლამის სამი საათისთვის რა დღეში ჩავვარდებით? პატრონს ვერ იცნობ. ისე, წესით, დღეს არ უნდა გვემუშავა, არა?!

- მე მკიდია. მაინც უნდა გავქაჩო, ლოცვებსაც მოვუსმინო და უეჭველი უნდა ვეზიარო.

- შუალედებში ჩაქაფულსაც ხომ არ მიირთმევდი?

- ეგ მერე, როცა გახსნილდება.

- ნეტა რომელი საათია, ალარ იწყებენ? უკვე რამდენი ხანია, რაც დაღამდა.

- შენ ის თქვი, რამდენ ხანს გასტანს, თორემ დაწყებით კი დაიწყებენ, აბა, რას იზამენ. ისე, რამდენს ვწუნულებთ, თუ დააფიქ-სირე? სირცხვილი არ არის? რისთვის წამოვედით, სატირლად თუ სალოცავად? ძალით ხომ არავინ მოგვათრევდა?! ასეც არ შეიძლება. არადა პირველად იცი, რა უდარზე ვიყავი?

ლოცვა დამის თერთმეტ საათზე დაიწყო. დიდი საყდარი სანთლებისა და მოკიაფე კანდელების შუქზე განსაკუთრებით მადლმოსილი ჩანდა. მაცხოვრის დიდი ხატი გამოესვენებინათ. მის წინ კი დაკრძალული იყო წინა ღამით ჯვრიდან გარდამოხსნილი, ასევე უფლის ძის სახების ნაქარგი ტილო. საყდარში ფეხის ერთი შედგმითაც კი იგრძნობოდა რაღაც განსაკუთრებული მუხტი. მუხტი ზეიმისა და მუხტი გლოვისა. გუშინ ჯვრიდან გარდამოხსნათ და ეგლოვათ, დღეს კი მის აღდგომას ელოდნენ. არადა, ალბათ, მაშინ, ადრე, ასე სულაც არ იყო. მაშინ მორწმუნეთათვის ნამდვილად დასრულდა ყველაფერი და შემდეგ კი ისევ თავიდან დაიწყო. დიდებული არს უფალი. მრევლი ახლაც კი შფოთავდა და მაშინდელი ქრისტეს მიმდევრები ხომ საერთოდ აღარ იყვნენ?! ჩვენებურად რომ ვთქვათ, არ გაგიშდებოდნენ, კაცო?! ამასობაში მონასტერში ჩამოსულიყვნენ მგალობელი და მათ ჩამოჰყოლოდნენ მრავალი სხვა მომლოცველი. საყდარი სავსე იყო უცნობ-ნაცნობი სახეებით. მსახურება ყოველგვარი შემოკლების გარეშე და სრული წესების დაცვით მიმდინარეობდა. ღამის ორი საათისთვის ხალხს უკვე დალლა დაეტყო და დაიწყეს მისაყუდებელ-ჩამოსაჯდომი ადგილების ძებნა. ყოველ კედელთან ვიღაც იყო ჩაცუცქეული და ყოველ კუთხეს ვინმე მიპყრდნობოდა. მას განსაკუთრებით უჭირდა, რადგან ფეხზე ძლივს იდგა და წარამარა მთქნარებისაგან პირი ყურებზე ჰქონდა გადაცამული. მისი მეგობარი უფრო ყოჩაღად გამოიყერებოდა. აქტიურად ფიქრობდა თავის ცოდვებზე და შემდეგ პატარა ფურცელზე გადაჰქონდა. მას აღსარება შედარებით ახალი ჩაბარებული ჰქონდა და ამიტომაც დავთორის შედგენით დიდად არ იწუხებდა თავს. თავისთვის გააკეთა პატარა მონახაზები და ჩუმად გადაიკითხა: „ქალებისკენ თვალი გამექცა, სიზმრად ბრძოლები მქონდა, ფიქრით შევცოდე, ვპილწიტყვაობდი, ფუჭად ვირჯებოდი და სხვა მრავალი მივიწყებული შეცოდებანი“ (ეს ბოლო კი, მართლაც, მისწრების ხაფანგია, თავისი სიმარტივით და მრავალმნიშვნელობით). დროის დინებასთან ერთად მასში თითქოს რაღაც გარდასახვა ხდებოდა. ოლონდ არა ისეთი, როგორც პირველად ჩამოსვლისას, როდესაც მან საკუთარ თავში ახალი თვისებები აღმოაჩინა, არამედ ძალზე უარყოფითი გარდასახვა. საშინელი გარდასახვა. რატომ? რწმენას უტევდნენ და იმიტომ. რომ ეგონა, შევძლებო, აღმოჩნდა, რომ ძალიან გაუჭირდა. კერძოდ? ისე ეძინებოდა, რომ თავს ვეღარ იმორჩილებდა და ფეხზე ვერ იდგა. თითოეუ-

ლი წუთით სულ უფრო ვნებების მსხვერპლი ხდებოდა. გასაოცარია, მაგრამ ყველაზე დიდი ბრძოლა სწორედ ტაძრად წვეოდა. აღარ ესმოდა, ვედარ ხედავდა და აბა, ისე, ნივთივით დაყუდებას რაღა აზრი ჰქონდა?! გამქრალიყო გულმხურვალება და მისი ადგილი დაეკავებინ მცონარობას. მიხვდა, რომ სერიოზულ განსაცდელში იყო ჩავარდნილი და სადაც იყო ზეზეურად ჩაეძინებოდა. საშველს დაუწყო ძებნა და ათას ნაწილად დაიშალა. გარეთ გავიდა, წყალი დალია, სახე დაისველა, ტუჩზე იქმინა, მედავითნეს ამოუდგა და სულ რაღაც ერთი წუთით შედგა. შედგა და ფიქრების ძილნარევმა ბურუსმაც ჩაითრია:

„მახსოვს, პირველად რომ ჯვრიდან გარდამოხსნას დავესწარი, როგორ გამიჭირდა და როგორ დავიზაფრე. რატომ? მიზეზიც მქონდა და რიტუალიც მძიმე იყო. მიზეზი ის იყო, რომ ოთხი დღით ადრე, შვილი შემეძინა, პატარა მარიამი და პარასკევს საღამოს გარდამეცვალა. აი, მაშინ პირველად ვიგრძენი ტკივილი და უსაშველო სევდა. სულის სილრმეში ჩამწვდომი ტკივილი და ძვალრბილში გამჯდარი სევდა. სასონარკვეთილებაში ვიყავი და გონი არ მომეკითხებოდა. დავბორიალობდი წინ და უკან სპირტის სუნად აყროლებული და მთელი კვირის უძინარს ცხოვრება ყველაზე საშინელ ხევდრად მიმაჩნდა. თითქოს ვუძლებდი და მუხლს არ ვიყრიდი ამ ჩემი უბედურების წინაშე, მაგრამ სადაც კი მომადგებოდა მოუნელებელი, იქვე ცრემლად ვიღვრებოდი. მთელი საღამო ვსამდი. ვერც ვთვერებოდი და ბოლმა კი მიორმაგდებოდა. ცოლსაც ვერ ვენახვებოდი, არაფერი იცოდა და თვალებში ვერ ჩავხედავდი. ის სამშობიაროში იწვა და ყოველ ხუთ წუთში მირეკავდა. მე კიდევ სულ ვატყუებდი, ბავშვი კარგად არის, მთავარია შენ მაღლენამოდე, რომ შენით მიხედო-მეთქი. ვიფიქრე, მაგრა დავთვრები და ისე ვეტყვი-მეთქი, მაგრამ თავისით მიხვდა, დედის გული ოხერია. მას უფრო ეტკინა. ეტკინა ისევე, როგორც ღვთისმშობელს თავისი შვილისა, რადგან ასეთია დედათა წესი. ქედს ვიხრიდი მისი ქალობისა და მწუხარების წინაშე, მაგრამ ჩემს ტკივილს ვეღარ ვმაღლავდი. მთლიანად განცდა ვიყავი და აღბათ, სახელიც იგივე მერქა - უსუსურობა. რამე სისულელე რომ არ ჩამედინა, ჩემმა მეგობრებმა ჩამსვეს მანქანაში და ეკლესიაში წამიყვანეს, აქაოდა, უფალი მოწყალეა და ამასაც უშველისო. შევედი საყდარში და დამხვდა სიბნელე. გულს შემომეყარა და მივხვდი, რომ რაღაც ძალზე მძიმე უნდა მენახა. გავბრაზდი, რადგან ღმერთი ყველაზე

ნაკლებად მჭირდებოდა იმ წუთას. გაქცევა მინდოდა და ძალით დამაკავეს. საყდარში მხოლოდ რამდენიმე სანთელი და ერთიც მაგდენი იმედი კიაფობდა. ხალხი კანტი-კუნტად მიმოფანტულიყო მპუტავ სივრცეში. ეგრევე მაცდური შემიჩნდა. ერთი რწმენისაც -მეთქი და გამოსვლა დავაპირე. იმათაც მიმიშვეს, მაგრამ გამოსვლისას საკურთხეველთან რაღაც უცხო მოვლანდე და შევჩერდი. გული შემიქანდა, როდესაც პატარა ფიცრულზე მიცვალებულივით დასვენებული იესოს ხატი შევნიშნე. ხალიჩა ქვემოდან, სუდარა ზემოდან და მეც გული გამენურა. თავიდან ვიფიქრე, ჩემი ნანატრი შვილია და უფალი ამდენს რად მტანჯავს-მეთქი, მაგრამ შევცდი. მისი ნაქები შვილი იყო და ალბათ, მისი დედა უფრო იტანჯებოდა. ჩემი გაჭირვება არ მეყოფოდა და ახლა ეს დამერთო. მეგონა, შევიშლებოდი. ავტირდი. ერთდროულად ვგლოვობდი ჩემსას და ჩვენსას. საკუთარმა ტკივილმა თვით ქრისტეს გარდაცვალება განმაცდევინა ათმაგი მგზნებარებით. გულით ვგლოვობდი კაცობრიობის მხსნელს და როცა მეგონა ყველაფერი დასრულდა-მეთქი, ალმოჩნდა, რომ ვცდებოდი, რადგან მორწმუნეთათვის მხოლოდ ახლა იწყებოდა. თუმცა მე მაგდენს ჯერ ვერ ვევდებოდი. გახელებულს ბინდი გადამეკრა გონებაზე. დავიუნე ჩემი შვილი აღარ დამიბრუნდება და სხვა დანარჩენს რაღა აზრი აქვს-მეთქი. ღვთაებრივი უხერხულობისაგან დავპატარავდი და სადღაც ავორთქლდი. ფაქტობრივად, მე იქ აღარ ვიყავი. იქ უბრალოდ ჩემი დასპირტული სხეული იდგა მუხლებზე და ბლაოდა, თორემ მე... მე უსაზღვრო მწუხარების ბორკილებში ვიმოსებოდი. და მეც მოვკვდი და საკუთარ ნალველში დავიხსჩვი. გავჭრი და სანთლის ალს გავყევი. მერე ვიღაცამ მანქანაში ჩამსვა და იქ მეძინა. ვგრძნობდი, რომ მყარაულობდნენ. მეკიდა. ნელ-ნელა გამოვფხიზლდი და ტკივილი რომ გამახსენდა, თავი მომბეზრდა. სიკვდილი ვინატრე, მაგრამ არც ეს ნატვრა ამიხდა. არადა, ეკლესიის წინ ვიდექი ახლა და მაშინაც, როცა ჩემი ცოლი მშობიარობდა. რას ვიფიქრებდი, რომ რამდენიმე საათში ბავშვის მდგომარეობა კრიტიკული გახდებოდა. ღმერთზე განაწყენებულმა რწმენაზე გალაშქრება გადავწყვიტე და ვიფიქრე აღარასოდეს ვინამებ-მეთქი. არ გამომივიდა, რადგან იქვე მივხვდი, რომ ვცოდავდი და თანაც მაგრა. მან ჩემზე მეტი დათმო. ჩემთვის დათმო. სხვისთვის დათმო. და უეცრად დამკრა, რომ ხვალ აღდგომა უფლისა ჩვენისა და დიდი დღესასწაულია. ხვალ სიკვდილითა სიკვდილისა დათრგუნვაა და იქნებ მეც მეშვეობს-მეთქი. გასაკ-

ვირია, მაგრამ ის ღამე რწმენაში ვიდექ და ვილოცე. მაგრამ გათენდა და იმედიც გაქრა. ტკივილი სიცარიელით შეიცვალა და მეც ჩემი ხელით ავიტანე უკვე განათლული ჩვილის სხეული სასაფლაოზე. დავადე გულზე ბაბუაჩემს და ისე მივაყარე მინა, როგორც წესია და ღმერთს შენდობა ვთხოვა. ვისი? დედის ცრემლების. მერე განვიმდა. მივხვდი, რომ არ ვიყავი მარტო. მივხვდი, რომ ყველა თავის მკვდარს ტიროდა და მე და ცა კი ორს. საოცარია, მაგრამ ამ დიდ გლოვაში რაღაც ახალი დაიწყო. ახლა ვერც კი ვიხსენებ, როგორ შემომეპარა მაშინ ის განცდა. ვიგრძენი, რომ უფრო ძალიან შემიყვარდა ჩემი ცოლი, ზიარი მწუხარებისა. ალბათ, რომ არა ეს დამთხვევა, ჩემი უბედურება და დიდი დღესასწაული, მე ასე ადვილად ვერ გადავიტანდი ამ ამბავს. დიდებული არს უფალი და ყოველ განსაცდელს თავისი არსი აქვს. მეც ჩავწვდი ამას და შევიყვარე იგი. განსაცდელმა გააძლიერა ჩემი ახლად შექმნილი ოჯახი და რწმენამ გაგვიჩინა იმედი მომავლისა. ბოლოს, მახსოვს, მოვაბიჯებდი ტალახით დამიმტებული ფეხსაცმელებით და სახე მრავალჭირნახულისა მქონდა. არადა არც არაფერი მენახა ამქვეყნად, ისევე როგორც ჩემს თვალაუხელელ შვილს. ცოლი სახლში დამხვდა. სახე არ ჰქონდა. ფეხზე გამხადა და ტანს გამომიცვალა. საფლავიდან აყოლილ ოთახში მიმოპნეულ მინას მიეალერსა და ცრემლი დამიმალა. მე დავსვი და ძალიან ბევრი ველაპარაკე ტკივილზე და რწმენაზე. მერე ჩავეხუტე და ვიტირეთ. თითქოს დავაწყნარე და ისიც მე დამეყრდნო. თუმცა მე უფრო მისი იმედი მქონდა. მივხვდით, რომ განსაცდელი უფლის წყალობაა და ტკივილი — თიხის ჭურჭლის გამომწველი ცეცხლი. მე ლიტანიობაზე წავედი და ის კი ვერდედობასთან დარჩა. როგორ ვახერხებდი ამდენ უძილობას, სმას, ნერვიულობას და თან ლოცვას, დღემდე არ დადის ჩემამდე. არადა მაშინ დავიდა და დავიდა სწორედ იმ დროს, როდესაც ლიტანიობისას მოძღვარმა დასჭექა, ქრისტე აღსდგაონ და ჩვენც შევლალადეთ ჭეშმარიტად აღსდგაონ. მას მერე წყალმა იდინა და ჩვენც ნელ-ნელა თითქოს დავიგინწყეთ ეს ამბავი. თუმცა..."

- ბიჭო, რას შვრები? ზეზეურად გძინავს?

- ჰა... აუ, სიმონ, მე მგონი, ჩამეძინა. ესე არასოდეს მოვდუნებულვარ. მაგრა ცუდად ვარ და გეხვეწები, ყურადღება მომაქციებოლმე, რომ არ ჩამეძინოს.

- ეცადე, რომ ლოცვას მაინც მოუსმინო.

- მაგარ ბრძოლაში ვარ. თან ვერ ვერევი, არადა ზირების მიღე-

ბაც ძალიან მინდა. ეს რა ჯანდაბა მჭირს, ტო?!

ერთი საათის განმავლობაში ისეთი ჭიდოლი ჰქონდა გამართული საკუთარ სხეულთან, რომ რამდენიმეჯერ თავშიც კი წაიშინა ხელები. უსუსურობისაგან დათრგუნვილსა და ბრძოლით გაცემთის აღარაფრის სურვილი აღარ ჰქონდა. აღარც აღსარების ჩაბარება უნდოდა და აღარც ზიარების დიდი მადლი ადარდებდა რამეში. ერთს იმასლა ნატრობდა ცდუნებით დაცემული, რომ საძმე კუთხები მიგდებულიყო გალაზული ძალლივით და დაეძინა. ვერც ამას ახერხებდა. რაღაც ძალა არ უშვებდა. იდგა ასე სახეაღენილი, უღირსი, სასონარკუეთილი და მწარედ ეღიმებოდა. ელიმებოდა უფლის ამ კიდევ ერთ გაკვეთილსა და განსაცდელზე. კიდევ ერთხელ იხილა მისი დიდება და საკუთარი მარცხი. ის იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ საკუთარ სხეულსა და გრძნობებსაც კი ვერ მოერია რამდენიმე საათის განმავლობაში. სწყინდა, რადგან თითქოს მთელი მარხვა მკაცრად შეინახა და სწორედ ამ ბოლო დღეს მარცხდებოდა უწმინდურის წინაშე. არა, მართლაც ძალიან დალლილი, მშიერი და უძინარი იყო, მაგრამ განა მთელი მონასტერი იგივე მდგომარეობაში არ იყო. უძრალოდ, ის ისჯებოდა და დაბლდებოდა საკუთარი სიყეყეჩისა და ამპარტავნობის გამო, რადგან ეგონა, რომ ხელენიფებოდა თავი თვისი და აღმოჩნდა, რომ ნურას უკაცრავად. ფიქრობდა, რომ იცოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გამოჩურჩუტებული ყოფილა. სჯეროდა, რომ სწამდა, მაგრამ მისი რწმენის მთელი ნაქები სიმტკიცე ერთ დამთქნარებას დანებდა. მთელი საათი აყვინთავებდა და მთელი საათი აფხიზლებდნენ. ადრე თუ სხვებს დასცინოდა ლოცვისას ჩაძინებაზე, ახლა სხვისთვის სწორედ ისეთივე გასამასხარავებელი გახდა. არადა იქნებ მაშინ ისინიც მასავით ბრძოლებში იყვნენ?

- გაიღვიძე!

- ჰო... ჰო... ახლავე. გარეთ გავალ და გამოვფხიზლდები.

- არა, გარეთ სადმე ჩამოჯდები და ჩაგეძინება. აქ იყავი და თუ რამეა, კიდევ გაგაღვიძებ.

- კარგი, მაშინ აქვე ჩამოვჯდები და ზუსტად ხუთ წუთში აზრზე მოვალ.

- არა, აქაც იგივე მოგივა. ნუ მოდუნდები. ფეხზე იდექი და ილოცე. თუ გინდა ლოცვანს გათხოვებ?

- არ მინდა. ვეცდები ესე გავქაჩო, მაგრამ ჩიმს ზიარებას მე მგონი, აზრი არა აქვს.

- მოინდომე და უფალი ხელს შეგიწყობს.

- იმედია.

რამდენიმე წუთით ლოცვები შეწყდა. საკურთხევლიდან წინამძღვარი გამოვიდა და აუნყა შეკრებილ მრევლს, რომ ხატებს გააბრძანებდნენ საყდრის გარეთ და ლოცვა-გალობით სამ წრეს დაარტყამდნენ ეკლესიას. მან ნება დართო ყველა მომლოცველს, რომ ნებისმიერი ხატი მოეხსნათ კედლიდან და თავად გაებრძანებინათ ეზოში. მოსამზადებლად მრევლს ხუთი წუთი მიეცა. თუმცა ეს ხუთი წუთიც ზედმეტი აღმოჩნდა, რადგან ზუსტად წამებში საყდარი განიძარცვა და აღარაფერი მოიპოვებოდა ირგვლივ შიშველი კედლების გარდა. აი, მაშინ გენახათ ხალხის ხალისი და მგზნებარება. გაძარცვეს, მაგრამ რა გაძარცვეს?! ერთმანეთს სულ მხრებზე ადგებოდნენ, ზემოთ მოთავსებულ ხატებს რომ შესწვდენოდნენ. ნება რომ მიეცათ, ფრესკებსაც კი ააფხეკდნენ ფრჩილებით. ისეთი განცდა გაუჩნდა, თითქოს ამ ხალხს გულის სილრმებში ყოველთვის ენადა ამგვარი დანაშაულის ჩადენა. სურდა ეკლესის გაძარცვა და სიწმინდეების მითვისება. უნდოდა მომაკვდინებელი ცოდვის გემოს გაგება და შემდეგ უფლის მოწყალების გამოცდა, თუმცა შიშით ვერ ბედავდნენ. ვერც ამას და ვერც სხვა ბევრს. ხოლო ახლა კი კურთხევა ჰქონდათ და გრძნობებმაც გაიღვიძეს. ისე ხარბად მოქმედებდნენ და ისეთი ძალით იკრავდნენ გულში წმინდანთა სახეებს, რომ თითქოს შურს იძიებენ უფალზე მრავალი ფარული წყენისათვისო. ყველას თითო ხატი მაინც ეჭირა ხელში, ხოლო ზოგ ყოჩალს კი სამიც მოეხელთებინა. საყდარში, ალბათ, ასე ორას ხატამდე იქნებოდა და ახლა თითოეულ მათვანს ასობით ცოდვილი ხელი ევლებოდა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ეზოში გასულს წინ შეეფეთა ის უმსგავსო ყმაწვილი, რომელიც მთელი დღე ჩრდილში კოტრიალობდა დაკაიფებული. ხელში მირემის უშველებელი ხატი ეჭირა და თვალმილულული უსმენდა მოძღვრის დარიგებას. აი, ეს კი ნაღდი მორწმუნის აპოთეოზი იყო. ცოდვილი შვილი ნატიფი მზერით, მომლიმარე სახით და სიწმინდით ხელდამშვენებული, მსგავსად იმ მოხუცისა, რომელმაც მაცხოვარი იხილა. უდიდესი სიმბოლიკა. მართალია, მოხუცი გარდაიცვალა, რა იხილა უფალი, ხოლო ამ ჩვენს ყაჩალს წარბიც არ შეტოკებია და მეხის დაცემაზე რაღა უნდა ითქვას, მაგრამ დედის გულის გამხარებელი სანახაობა კი იყო მაინც.

- ეს ნახე, ესა, რა დღეშია, მე მაგის მეტიჩარა...

- კარგი, ნუ ამყრალებ ახლა პირს. სადაცაა აღდგომასაც მოგვილოცავენ და ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ ასეთ ბრწყინვალე დღესასწაულს მაინც უფრო მოწყალენი ვიყოთ.

- ტიპი რა თავხედია, აზრზე ხარ?

- რას გაიგებ, უგებ ეგეთი მრუში სულები უფრო სჭირდება უფალს?!

- აუ, მორჩი ახლა ეგეთ ბაზარს, რა. არ მინდა ეგეთი დამრიგებლური ტონი.

- იზვინი. როგორც გენებოს.

მასწმინდანიკოლოზისპატარახატიხვდაწილად, მისმეგობარს კიდევ აპო თბილელისა. ყველა კმაყოფილი ჩანდა. ცოტა ხანს ადგილზე იჩოჩქოლეს, როგორც ხდება ხოლმე კარებში ერთდროულად გასვლისას და შემდეგ კი დაიწყეს მსვლელობა. - ქრისტე აღსდგა მკვდრეთით - დაიწყო მოძღვარმა და აჰყვა მრევლი - სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა და ცხოვრების მიმნიჭებელი.

დროდადრო ჩერდებოდნენ და მამაო ნაკურთხ წყალს ასხურებდა მომლოცველთ. მსვლელობა ერთდროულად ძალიან ლამაზი იყო და მისტიკურიც. მიძინებული ბუნების წიაღში ისმოდა მრევლის ერთსულოვანი გალობა და თითქოს ეზოში მდებარე წმინდა მამების საფლავები ბანს აძლევდნენ მორწმუნეთ. ალბათ, სხივიც ედგა ამ პროცესის, ოღონდ ამას ვერავინ ხედავდა მთვარის გარდა. მთვარე კი, როგორც ყოველთვის, სდუმდა და ნაღველს იქარვებდა ამ სანახაობით. სამი წრის შემდეგ მამაო საყდრის კარებთან შეჩერდა და მრევლს აღდგომა მიულოცა: „ქრისტე აღსდგა“. ხალხმაც თავის წილ დაიგუგუნა: „ჭეშმარიტად აღსდგა“. „ქრისტე აღსდგა“. „ჭეშმარიტად აღსდგა“. „ქრისტე აღსდგა“. „ჭეშმარიტად აღსდგა“. ეს სიტყვები სამჯერ ითქვა და თითქოს ქრისტე იმ წუთსა და იმ მომლოცველთა თვალწინ კიდევ ერთხელ აღსდგა მკვდრეთით და კიდევ ერთხელ ცხადყო უდიდესი სასწაული სასწაულთა შორის. იგრძნო, როგორ მოუდუნდა სხეული და ტანში დაურბინა საუცხოო ურუანტელმა. სუნთქვა გაუხშირდა და გულის ცემა აუჩქარდა. რაღაცით ძალიან დაემსგავსა ერთგვარ ღრუბელს, რომელიც გამალებით იწოვდა გარშემო არსებულ სინათლესა და ნეტარებას. „ალბათ, ეს უფლის წყალობაა.“ გაითიქრა და აღელვებისაგან კანკალი აუტყდა. „ალბათ, მომეტევა ჩემი შეცოდებანი.“ ამ ფიქრმა საერთოდ ანენა და სადღაც შეაშინა კიდეც, ნუთუ უფალი ასე ახლოს არის?

ალბათ, სწორედ ახლა გადმოვიდა ჩემზე ღვთის მადლი... საოცარი სიმუშუბუქე იგრძნო, როდესაც მიხვდა, რომ მარტო არ იყო და მის გარშემო სიყვარული სუფევდა. სიხარულისგან ცრემლები წამოუვიდა და ხმამღლა შეჰდალდა უფალს: „დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.“ პირჯვარი გამოისახა, მიწას ემთხვია და უკვე სრულიად დამშვიდებულ-განმტკიცებული შევიდა საყდარში.

- რა მაგარი გრძნობა იყო არა, როდესაც საყდარს გარს ვუვლიდით? გალობა, სანთლები, ნაკურთხი წყალი. ყველაფერი ძალიან ლამაზი იყო.

- ძან, სულ ურუანტელი მივლიდა ტანში. აუ და როდესაც მოძღვარმა თქვა, ქრისტე აღსდგაო, ვაბშე, ლამის ტირილი დავიწყე.

- ასე ძლიერად არასოდეს განმიცდია აღდგომის არსი. ნამდვილად ყველაზე დიდი დღესასწაულია! თითქოს ახლადა მიხვდი, რას ნიშნავს სიტყვები „ქრისტე აღსდგა“, თორემ მანამდე გათენდა-და-დალამდასავით მქონდა გამჯდარი.

- მეც ზუსტად იგივე განვიცადე. ამ მსვლელობის სილამაზემ, გალობამ და ნაკურთხი წყლის პკურებამ საერთოდ შემარყია. სერიოზული განცდა დამეუფლა, ღვთის არსებობისა და ჩვენთან ძალზე ახლოს ყოფნისა. აი, ხვდები, რას ვგულისხმობ, შენ გჯერა უფლის და გწამს იგი, მაგრამ მის გვერდზე ყოფნას ვერ განიცდი. ის სადღაც შორის არის, ხოლო შენ კი აქ ხარ. ზუსტად ისევეა, როგორც ეს აღდგომის დღესასწაულის ვერშემეცნებისას ხდება. თითქოს სხვადასხვა სიბრტყეზე ხართ და ის ძალიან შორია და მიუწვდომელი შენთვის. არადა არ არის ეგრე. უბრალოდ, ჩვენ არ ვართ მზად მის მისაღებად და გვეშინია მისი სიახლოვის, თორემ, ის ხომ ყოველთვის ჩვენთანაა. და აი, დედას გეფიცები, მსვლელობისას, თითქოს გავიხსენი, თუ რა დამემართა არ ვიცი და გამიჩნდა ღვთიური ძალის შეგრძნების მძაფრი განცდა. აუ, ძან მიჭირს ამის გადმოცემა...

- არა, ვხვდები, რასაც იძახი და ეტყობა, მონასტერი რაღაცნაირად უფრო გაახლოებს ღმერთთან, რადგან აქაურობა უფრო მეტად არის მიმართული მადლის მისაღებად. აქ ძალიან გეხმარებიან საჭირო განწყობის შეძენაში.

- კი, ზუსტად ასეა და ალბათ, აქედან რომ წავალთ, მერე უფრო მაგრა დავამულამებთ ყველაფერს. ხომ იცი, ეგრე ხდება ხოლმე და მერე, როცა მოწყდები სიტუაციას, მაშინ მოგდის მუღამი.

ხუთ წუთში ყველა ხატი თავის ადგილზე დაბრუნდა და მსახ-

ურებაც ახლა უკვე საყდრის შიგნით გაგრძელდა. ვნებები დაცხრა და მის სენსაც თითქოს ეშველა. გადალახა მტანჯავი ძილქუში და გაბედა აღსარებაზე ფიქრი. თურმე არც ისე უცოდველი ყოფილა, როგორც თვითონ ეგონა. მაცდურმა სწორედ ზიარების წინ გაუმართა ყველაზე დიდი ბრძოლა და თითქმის აჯობა კიდეც. „თუ ღვთის ნებაა, მაზიარებსო”, გაიფიქრა და ჩადგა რიგში. მოიმარჯვა პატარა დავთარი, რომელიც ზომითა და მელნით კი იყო მცირე, თუმცა კი ჰოი, რამდენი რამ აკლდა კიდევ და დაინყო ცქმუტვა?! მოძღვარი საკურთხევლის გვერდითა შესასვლელთან იდგა და იქ იბარებდა აღსარებებს. ხალხი ნერვიულად ბორგავდა ადგილზე და მამაოს მისჩერებოდა მკაცრ სახეზე, რათა მისი განწყობა ამოეკითხა. ბერი კი, ალბათ, ახლა ყველაზე დიდ განსაცდელში იყო, რადგან სხვისი უამრავი ცოდვით იმოსებოდა და თან, მიუხედავად სიმძიმისა, არც ერთი ცოდვილი სულის დაკარგვა არ სურდა. მას ყველა უნდა ეზიარებინა დღეს.

- ძალიან მეშინია, რომ არ მაზიაროს?
- არ გითქვია ხომ აღსარება ამ მარხვაში?
- არა და ნეტა ჩემს მოძღვართან მაინც მეთქვა ერთხელ.

- არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება. მე კი ვარ ნაზიარები ამ მარხვაში, მაგრამ, ხომ ხედავ, ამით არაფერი იცვლება, რადგან ნახევარი საათის წინ ოფიციალურად მერინა საყდარში და ახლა, ალბათ, შენზე უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარ.

საოცარია, მაგრამ მას მისცეს ზიარების უფლება. როგორ? მივიდა, ჩაიმუხლა, თავი შერგო ოლარის ქვეშ და დავთარი მიაწოდა. მოძღვარმა გადაიკითხა, სახელი ჰქითხა, პირჯვარი გარდასახა, მოკლე ლოცვა წარმოთქვა და ჯვარს ამთხვია. ძალიან გაუხარდა, როდესაც მიხვდა, რომ ამ მშვენიერ დღესასწაულზე მასაც დასდეს პატივი და მისცეს ზიარების უფლება. სიხარულისგან ღიმილს ვერ იკავებდა, როდესაც შექუჩებული ხალხის მასაში ცდილობდა გზის გაკვლევას. ეს იღიმოდა, რადგან უკან ჰქონდა მოტოვებული, ხოლო ისინი კი დარდობდნენ, რადგან არ იცოდნენ, რა ელოდათ. თუმცა კი რწმენაში სულაც არ არსებობდნენ წინ მავალები და ყოველ სულს ჰქონდა მიცემული ცხონების საშუალება. ახლა უკვე ერთი სული ჰქონდა, როდის გადაიჯვარედინებდა ხელებს გულზე და დააფრჩნდა პირს უმწეო ჩვილივით. მისატევებლად გამზადებული ცოდვების დავთარი დაჭმუჭნა და ღუმელში უკრა თავი. ცეცხლმა წამებში შთანთქა ქაღალდის ნაგლეჯი და ალბათ, ასეთივე იყო

ზიარებისას მიღებული ღვინო და პური. ასევე წვავდა ადამიანის სულში დაბუდებულ ცოდვებს. სულში, რომელიც სხვა არა იყო, თუ არა მაღლის მოლოდინში ცოდვის სახელებით აჭრელებული დავთარი. ასეთი იყო ყოველი ჩვენთაგანი და არ იყო მისთვის მაღლი უზენაეს ზიარებისა. და აბა, მაშინ უნდა გენახათ მისი მეგობრის სიხარული, როდესაც უთხრეს მოემზადეო.

- აზრზე ხარ? მეც ვეზიარები. თუ არა უფლის მოწყალება, ვარ ახლა მე საზიარებელი? იცი, რამდენი საშინელება მაქვს ჩადენილი? დიდება უფალს.

- ამიტომაც არის, რომ არ უნდა შეგეშინდეს აღსარების ჩაბარება, რადგან შენ ვერ განსაზღვრავ, ხარ თუ არა ზიარების ღირსი.

შემდეგ აწკრიალდა ზარი. ოლონდ აწკრიალდა არა ისე, როგორც ეს ტრაპეზისა და მორჩილების წინ იყო ხოლმე, არამედ რაღაცნაირად გიუურად. ის ისე რეკავდა, თითქოს თვით უფლისთვის უნდოდა მიეწვდინა ხმა, აქაოდა მზად არიან შენი მაღლის მისალებად და გადმოხედეო. ნიშნის მომცემი იყო მისი წკრიალი მრევლისთვისაც, რადგან აფორიაქებდა კათაკმეველთ და სიხარულს ჰგვრიდა მორჩმუნეთ. დაინყო ზიარება და დადგა ჯარი მორჩმუნეთა, რომელთაც უნდა გაელაშერათ საკუთარი ცოდვილი ბუნების წინააღმდეგ. გადაიჯვარედინეს გულზე ხელები და თითქმის შეუმჩნევლად აატოკეს ლოცვით დახეთქილი ტუჩები: უფალო, შეგვინყალეო. თბილად გაელიმა და წარმოიდგინა, რომ, ალბათ, ასეთივე ჯარი იდგა მაშინაც, საუკუნეების წინ, მეტების ხიდთან და იგივეს იძახდა, უფალო, შეგვინყალეო. და რა იცოდნენ მაშინ იმათ, რომ სწორედ ისინი გააბრჩყინებდნენ იბერიას თავიანთი მოწამებრივი სიკვდილით. ალბათ, არაფერი. და მაშინ, წესით, აი ამათ კი სიკეთით უნდა გაებრნყინებინათ თავისი ერი. მაგრამ შეძლებდნენ კი?!

და ადესრულა კიდევ ერთი უდიდესი სასწაული უფლისა ჩვენისა — წმინდა ზიარება.

- საკურნებლად სულისა და ხორცისა.
- სადიდებლად უფლისა.
- რა ქნა, ის შენი ძმაკაციც ეზიარა?
- ვინ ჩემი ძმაკაცი? ა, ის ჩემი კი არადა, შენი ძმაკაცია.
- არა, სერიოზულად, ისიც ეზიარა?
- აბა არა?! ეზიარა და შენ წარმოიდგინე, არც ამჯერად დაინვა. ისე, ჩვენ მართლა რა უღირსები ვართ, რომ ორი წუთია, რაც ვეზიარეთ და უკვე ვიღაცას ვჭორავთ. არ გამოვა ასე არაფერი და არც

არაფერი გვეშველება.

- კარგი, შევეშვები. ოღონდ მაშინ სთხოვე, მე ნულარ დამენახვება. ისე, ნეტა რა გრძნობაა, როცა გაჩერილზე ეზიარები?

- მაგარია, ტო! შენ გაჩერილი ხარ და ვდრუგ, უფალი შემოდის შეწი. შენ ყველაფერს ერთად ეზიარები და სწორედ მაგ დროს უნდა მოუკიდო სიგარეტს.

ზიარება დასრულდა. წაიკითხეს სამადლობელი ლოცვები. მოძღვარმა ჯვარი გამოიტანა საკურთხევლიდან და იქადაგა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შესახებ. შემდეგ პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე გააცნო შეკრებილ საზოგადოებას და ჯვარსაც ამთხვია. მომლოცველნიც მიდიოდნენ მოძღვართან და ჯერ ჯვარს ემთხვეოდნენ, ხოლო შემდეგ მის მხარს სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა“ და მამაოც პასუხობდა: „ჭეშმარიტად აღსდგა“. ამის შემდეგ კი გვერდზე დგებოდნენ. ასე იქცეოდა ყველა, ვინც ჯვარს ემთხვეოდა. წარმოშვა ერთგვარი წრე. ანუ მიდიოდი, ემთხვეოდი და გვერდით უდგებოდი იმას, ვინც შეზე წინ იყო. მაგრამ ამასთანავე, სანამ ამ წრეს გაივლიდი, მხარზე ეამბორებოდი ყველას, ვინც ამ წრეში იდგა და სათითაოდ ულოცავდი აღდგომას. პირველად სასულიერო პირებმა მიულოცეს ერთმანეთს დღესასწაული, შემდეგ მათ მიჰყვნენ მგალობელნი და მორჩილნი, ბოლოს კი ჯერი მრევლზე მიდგა. წრეც უსაზღვროდ გაიშალა და თითქმის მთელ საყდარს შემოერტყა. იდგნენ ასე სვეტებივით და ყოველი ყოველს ემთხვეოდა მხარზე, გულითადად ულოცავდა ქრისტეს აღდგომას და უსურვებდა დღეგრძელობას. ძალიან უჩვეულო და ლამაზი სანახაობა იყო. მისი განსაკუთრებულობა კი ის იყო, რომ სრულიად უცნობი ადამიანები, თუნდაც წამიერად, ხდებოდნენ ერთმანეთის უახლოესნი და ამით თავს აღწევდნენ საკუთარი კომპლექსების მარწუხებს. ისინი ერთად ეზიარებოდნენ ამ საერთო სიხარულს და ჩვეული გაუცხოების ნაცვლად, „ერთსულოვან სითბოს“ მიაგებდნენ ერთურთს. ახლა უკვე ორ უცხო ადამიანს შორის, კრძალვის ნაცვლად, თვით უფალი იდგა.

- ყოველთვის მაკლდა, აი ეს, რაც აქ ხდება. ანუ როცა უცნობნაცნობი თამამად და გულითადად ულოცავს ერთმანეთს აღდგომას. ერთად აღნიშნავენ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს და ერთადვე ხარობენ. ძალიან მაგარი გრძნობაა, როდესაც ყველა ერთადაა და ერთმანეთის არ ერიდებათ. სიყვარულია...

- სწორი ხარ. როცა ასეთი ამბავი და ერთსულოვნებაა, უფრო

გიხარია კიდეც და მადლსაც უფრო ნათლივ შეიგრძნობ. აბა, ის არის საქმე, ლიტანიობის შემდეგ, ყველა თავთავის სახლში რომ გარბის?! განა მარტო გოჭის ფეხის პირში გამოვლებაა დღესასწაული? ყველამ იცის, რომ არა, მაგრამ რატომდაც ისიც კი გვეზარება, რომ გავუღიმოთ ერთმანეთს და მისალოცი სიტყვები ვუთხრათ. ასეთი დღესასწაული ყველასთვის უდიდესი ზეიმი უნდა იყოს, რადგან ამ დღეს მოხდა ყველაზე დიდი სასწაული — მაცხოვრის აღდგომა.

ხალხი ეზოში გაიშალა. მხიარულმა ხმებმა ბინდი შესძრა. ახლა უკვე მონასტერში ზეიმის ჯერი იყო. სატრაპეზოსთან მორჩილები და ბერები ტრიალებდნენ. სანამ წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა, მათ უკვე მოესწროთ ძალზე გრძელი და ბარაქიანი სუფრის გაშლა. სამზადისი სრულდებოდა და დგებოდა გახსნილების დრო. მრევლსა და ბერებს გარჯა და ხარჯი არ დაეკლოთ, სუფრა მართლაც რომ მეფური ყოფილიყო. რა ნუგბარი და სასუსნავი აღარ იყო სუფრაზე?! შემწვარი და მოხარშული, რძის ნაწარმი და ტკბილეული, ცივიდასაგემოვნებლები და ცხელი წვინიანები. ოხშივარი ტრიალებდა ისეთი, რომ ნამეტანი ჭამის მოყვარულს, შეიძლება მარტო ნერწყვის უზომო ყლაპვისგან მოსვლოდა ნაწლავების გადახლართვა. ლოდინსა და ხალხის წვალებას აზრი აღარ ჰქონდა და დადგა ერში მოღვაწეთათვის თვით მარხვაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენის დრო. წინამდღვარმა სუფრა აკურთხა და მომლოცველი მაგიდასთან მიიწვია. აი, იქ კი, ხალხმა აინყვიტა, მაგრამ რა აინყვიტა. ყველაფერს ერთდროულად სტომაქში იყრიდნენ და მეტის მონდომებით ტკბილსა და მლაშეს ერთმანეთში ურევდნენ.

იქ ყბების ქნევა ანახეს ისეთი, დისტანციით რომ არ მჯდარიყნენ ერთმანეთისგან, უჭველად ვინმე დასახირდებოდა. იყო ერთი ძვლების გამოხვრა და ნამცხვრის კრემში თითოს ტაკება. ისეთი ხალისიანი და კმაყოფილი სიცილ-კისკისი გაისმოდა, რომ თავკაცმა მხოლოდ მესამე დაძახებაზე გააგონა სუფრის ბოლოში მსხდომთ, ჭიქები შეავსეთო. აიტაცეს დოქები და ჭამა-ყლაპვის პირველი ტალღით დანათვრალებმა ახლა ბახუსი ჩამოასხეს სასმისებში. ხალხი სმენად იქცა და მოძღვარმაც წარუდგინა სუფრას მათი იმ დღის მესაჭე და ბატონი თამადა.

- აუ, ეს ვინ დანიშნეს თამადად, გაფიცებ, თუ არ ნახო, რა?
- გავგიუდები ახლა, ამის დედა ვატირე, ამან უნდა მითამადოს?
- ეს, სიმონ, ეტყობა, ძალიან სერიოზულ ღვანლში დგას და ჩვენ

აზრზე არა ვართ. რახან აქამდე მოატანა საღ-სალამათმა, ესე იგი, სიმონ, იმის ღირსიც არის, რომ ას კაცს ლექცია წაუკითხოს რჩებ- ნა-ჯიგარ-ყოფაზე.

- მე ბოდიშით, მე ბოდიშით. ეტყობა, რაღაც მართლა გამომ- რჩა და ეტყობა ისიც მომეჩვენა, რომ ცალი ფეხი ჰაერში ჟქონდა აპლაკული და უხერხულად იქექებოდა. რას გაიგებ, ალბათ, ხი- ბლში ვიყავი ჩავარდნილი და მეზმანა. ან კი უკეთესი — ეს არის ერთ-ერთი სალოს მამათაგანი და ჩვენ ვერ ამოვიცანით ის.

- ეჱ, მოდი, გაუმარჯოს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და შეგვენიოს დღევანდელი დღის მადლი. გვფარავდეს ღმერთი. აბა, ჰე!

- გაუმარჯოს. ჩაქაფული გლიჯავს, არა? ღვინოც რამდენი ხანია არ დამილევია და რაღაც კარგად ვგრძნობ თავს. ის ტიპი კიდევ, თუ პატივს დამდებს, ნაკლებს ილაპარაკებს და ამით არ გამაჭვდინებს, ვაბშე გაასწორებს.

მესამე ჭიქაზე გათენდა. ალბათ, ესეც სიმბოლური იყო, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანი. განათდა მონასტრის მწვანედ აბიბ- ინებული ეზო და მზის პირველი სხივებიც დაადგა წმინდა მამების კანდელჩაუქრობელ საფლავებს. ხალხს ერთბაშად დაეტყო დაღ- ლილობა და ბახუსის ზემოქმედება. ზოგმა თავი ჩაქინდრა, ზოგიც საერთოდ ადგა სუფრიდან, ხოლო დარჩენილთ კი, რა დაიგულეს სენაკებში მიმავალი ბერები, ერთი მთლიანი ათას მარტივ მამრავ- ლად დაშალეს. წავიდა ვახტანგურების სმა, ჭიქის ჭახუნი და გონე- ბის გამოლაყება. აირია სუფრა და აყაყანდნენ თანამეინახენი. აბა, რა იქნებოდა, როდესაც თამადა სადღაც აორთქლებულიყო და სუფრაც მესაჭის გარეშე დაეტოვებინა. არა, ის მინას არ ჩაუყალ- ბავს და არც მეხი დასცემია, უბრალოდ, ალბათ, სადმე ბუჩქებში იყო ჩაცუცქული და ან რწყევით სკდებოდა, ან კიდევ გამხდარ ბარძაყებზე ვენებს დასდევდა. უთამადო სუფრა ტყუილი პურის ჭამააო, შეიცხადეს ვიღაც-ვიღაცებმა და დაინყეს სახლში წასვლა. ერთ საათში კი სუფრასთან მხოლოდ მორჩილნი, ძმობის წევრები და მათი დაახლოებული პირები დარჩენენ. რაღა ექნათ და იმათაც მიიწიეს ერთმანეთისკენ, რაღაც საიდუმლო ძალის მეცადინეობით და საფუძველი ჩაუყარეს გამთენის დიდ სმას.

- მე ვეღარ ვსვამ. გადამეცეტა. რაღაც ვერ წაიღო ღვინომ. წამო გარეთ, მოვწიოთ და თან იქნებ, ვინმეს მანქანაში დავიბეოთ ადგ- ილი. აბა, აქედან ფეხით წასვლა იმენნა სიკვდილია?! ადე ჰა, რაღა

ნახე, შე კაცო.

- მაიცა რა, ცოტასაც ჩავარტყავ?! მართალია, ღვინო ვერ ქა- ჩავს, მაგრამ ბახუსი მაქვს მონატრებული. შენ მიდი, გააბოლე და პახოდუ მანქანაზეც იჩალიჩე. რას მიყურებ ბეცივით? მიდი, მიდი, აბა, სულ მე ხომ არ უნდა ვიჩალიჩო? ერთი შენი ფხაც დამანახე, რაღაა?! ავმჩატდი არა? ხა... ხა... ხა...

დიდი გამთენის სმა არ შესდგა. ვერც გახსნილების ცერემო- ნიამ ჩაიარა ანშლაგით. თურმე გადაჩვეულან მუცლის უსაზღვ- როდ ამოყორვას და რომ ეგონათ, დავიმხობთო, აღმოჩნდა, რომ იკინავეს. მალევე წამოიშალნენ. ბერები სენაკებში იყვნენ. დარჩე- ნილ მომლოცველთ ჩანთები გუშინ დამით ჩაელაგებინათ და ახლა ოთახებში აღარ შეესვლებოდათ. დაბორიალობდნენ ასე წინ და უკან ჩაქაფულდაგემოვნებულები და ერთმანეთს ელოდნენ გზაზე დასაყენებლად.

- დროზე თუ არ გავასწარით, ის სუფრაც ჩვენი ასალაგებელი იქნება.

- ჰო, გავასწროთ, მაგრამ ფეხით ხომ არ წავლაყუნდებით? წამო, მანამდე ერთიც ჩავუფინოთ. რაღაც იშტაზე ვარ მოსული. დავლიოთ და მერე ხახე, როგორ გაგილამაზდეს?! კაცურად წამო, თორემ იმ ლეღვებთან ერთად პურის ჭამას მაგრა ვერ ვამულამებ.

- აუ, შენ რა გააჩიმახე რა საქმე. რა დროს დალევაა ამ დილა ადრიანა. სახლში არ გინდა? რბილი ლოგინი და შხაპი არ მოგე- ნატრა? წამო, მამაოს ვთხოვოთ და იქნებ ვინმეს მანქანაში მაიც მოგვინახოს ადგილი.

- ჰოდა, მიდი და სთხოვე. უთხარი, რომ მეც საქმის კურსში ვარ. მე კი მანამდე წავალ და იმ სირ ტიპებს დავუძმაკაცდები. ჰარალო, ჰარალო, ჰარიარალალო ჰარალო, ჰარიარალო... ვადილა ჰო... ცხ- ენზე ვზივარ, ჩემს შავ ცხენზე...

- გაეთრიე რა. მაგარი ბანძი როჟა ხარ, ჩემი დედა ვატიორე. რა, დათვერი და...

- დაახვიე, დაახვიე, დაახვიიე დახვიიე... ვადილაი ჰო... წინამდღვარმა მართლაც დააკალიანა და ვიღაცის ავტომან- ქანაში ორი ადგილი მიუჩინა. ოლონდ ერთი კი იყო, რომ იმ მან- ქანის ჰატრონი წასვლას სულაც არ ჩეარობდა. ჰოდა, როგორც ივარაუდებოდა, სუფრაც აალაგეს, მაგიდა-სკამებიც დაშალეს და შუალედებში კვანარახივით მუავე ღვინოც ურახუნეს. განსა- კუთრებით თავი მან გამოიდო.

- მაიცა, მაიცა. ეგ მაგიდა დადე და მოდი, ერთი ჭიქაც დავ-

ლიოთ. თუ გინდა, გეჭიროს და მე ჩემი ხელით დაგალევინებ? ჰოდა ამ ჭიქით, მოდი, ამ მონასტრის სადლეგრძელო დავლიოთ. აი, დედა მომიკვდეს, ეს ადგილი ყველაზე ძალიან თუ არ მიყვარდეს. ჩემს სახლზე ძალიან. და აი, ეს ბერები კიდევ, ყველაზე მაგარი ბერები არიან მთელ ქვეყანაზე. ერთი ის არის მაგარი ლელვი, ჩვენ რომ ვიცით, თორემ დანარჩენები, იმენა მგლები არიან ტო. ჰა, გამომართვი და დალიე, შენ შემოგევლე. - აღარ მოეშვა ქლიავთა ბელადი და ყოველი მაგიდისა თუ სკამის გატანაზე, თითო ჭიქას ასმევდა. არც ის უძალიანდებოდა დიდად. არადა ერთი ათი მაგიდა და ორი მაგდენი სკამი მაინც იყო დარჩენილი.

- ბაზარი არ არის. ამ ერთსაც დავლევ და სხვა მრავალსაც. გაუმარჯოს მონასტერს და მის მკვიდრთ, რადგან... - ვეღარ დააბოლოვა, რადგან მიხვდა, რომ უკვე მაგარს ურევდა და ამ ხუმრობა-ლლაბუცობაში რაღაც გამორჩენოდა. თითქოს, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი დაეკარგა და ვერ იხსენებდა რა. რა? განწყობა. ანუ ის, რაც გუშინ, გუშინ და საერთოდ, ჩამოსვლის პირველი დღი-დან ჰქონდა. არადა, ნინა ღამით თავს ყველაზე საზიზღარ არსებად თვლიდა, თუმცა კი ცდებოდა, რადგან სინანული უარესიც შეიძლება იყოს და ნამეტანი თავის დადანაშაულებაც ამპარტავნობაა. და განა დღეს გუშინდელზე უარესი არ იყო? დიახ. გამაძლარი და ჩამქრალი — გაუმარჯოს, — ჩაილულულა და ჭიქა დაცალა. ან კი რა უნდა ეთქვა? გულს ჭიქაში ვერ ჩაატევდა და ენანწყობანობა აქ არ ივარგებდა. მოიწყინა, რადგან მიხვდა, რომ განწყობას კარგავდა. იმდენად დამძიმდა, რომ ერთი პირი დარჩენაც კი გადაწყიტა. დარჩებოდა მანამ, სანამ ისევ იმ განწყობას არ დაიბრუნებდა, რომლის მოსაპოვებლადაც აქ ჩამოვიდა. განწყობას, რომელმაც მონასტერი ასწავლა და თვალი აუხილა. სინანულით მოავლო მზერა მწვანეში ჩაფლულ საყდარს და მასში რაღაც ჩაწყდა. თვალები დაუსველდა და სევდაში სიხარული შეეპარა, რადგან გაახსენდა, რომ ცხოვრება ასეთი იყო. ანუ ერთხელ განვლილს უკან ვერ დააბრუნებდი და შეძენილს კი ვერსად დაკარგავდი.

მათი მანქანა ბლუილით დაიძრა. ბერები უკან დარჩენი. ისინი იდგნენ და ხელს უქნევდნენ გზაზე მიმავალთ. მანქანაში მსხდომნი კი სდუმდნენ. სდუმდნენ და ნელ-ნელა სცილდებოდნენ ამდენად ხილულსა და უხილავ სამყაროს. გული სწყებოდათ. ალბათ, ბერებიც მოიწყენდნენ. ესენი წავიდოდნენ და კიდევ ბევრჯერ ამოის-ვრებოდნენ ტალახში უღელშებმული ღორებივით, ხოლო ბერები ისევ ისეთები დარჩებოდნენ. ისინი ყოველთვის იქ იქნებოდნენ და

ილოცებდნენ. ილოცებდნენ მათთვის, მათი წინამორბედთათვის და მათი მომავლისათვისაც. ილოცებდნენ სხვა დანარჩენი სამყაროს ხსნისთვის. ეს იყო მათი ფარული მადლი და ჩვენი დლევანდელი არსებობა კი მათივე ხილული სასწაული. ის ძალიან ბედნიერი იყო, რადგან ეპოვა, რასაც ეგზომ ექებდა. ექებდა კი შესაფარს. თავშესაფარს, რადგან ვერც ერთი ვერ ვართ ისეთი ყოჩალი, რომ მარტო შევძლოთ თუნდაც ცხოვრება. ეს თავშესაფარი კი სულაც არ იყო მონასტერი. არც ბერები იყვნენ მისი სიმშვიდის დარაჯნი და რაღა თქმა უნდა, ვერც წირვა-ლოცვა იქნებოდა მისი ფარ-ხმალი ამ ბრძოლის ველზე. ისინი იყვნენ უფლისაკენ მიმავალი გზები. მათ უნდა ეჩვენებინათ ჩვენთვის სიყვარული, ხსნა, იმედი, მიტევება, სინანული, ნეტარება და უფლის სურნელი თითოეულ ჩვენთაგანში.

ის, ალბათ, კიდევ მრავალჯერ დაბრუნდებოდა მონასტერში. იქნებ ერთხელ სამუდამოდაც დარჩენილიყო, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი იყო ცხოვრება ერში და იქ თავის არ დაკარგვა. ის კიდევ მრავალჯერ გაიხსენებდა მონასტერსა და მის მკვიდრთ. ყოველი გასხენებით სულ უფრო მოუნდებოდა იქ დაბრუნება, მაგრამ არც ეს იყო მთავარი. მთავარი გახლდათ ნაპოვნი გზა. გზა უფლისაკენ. გზა, რომელზე შედგომითაც ის ძალიან კმაყოფილი იყო. თუმცა არა... შესაძლებელია, ის რისთვისაც ლოცულობდა და რასაც წატრობდა, სულაც არ ახდენოდა. შესაძლებელია, სრულიად ახალი და უფრო მძიმე განსაცდელები დასტყდომოდა თავს. შესაძლებელია, თვით მეორედ მოსვლაც კი მის სიცოცხლეშივე მომხდარიყო და ბევრს რამე სხვა სახელი დაერქმია ამ მოვლენისთვის. ყველაფერი შესაძლებელი იყო, რადგან უფალი დიდებული არს და შეუცნობელია მისი გზები. მაგრამ მიუხედავად ამდენი შესაძლებელი შესაძლებლობებისა, ის მაინც ბედნიერი იყო. ბედნიერი იყო იმით, რომ ნახა ქვაში გამჯდარი რწმენა და თვალში ჩამდგარი სითბო. ის იყო მშვიდი და შეეძლო დაეფიცა, რომ ყოველთვის ეცდებოდა შეენარჩუნებინა ეს სიმშვიდე. ის იყო სიყვარულით აღსავსე და სწამდა, რომ ამ სიძლიერეს არასოდეს დაკარგავდა. თუმცა... თუმცა შეიძლება ვერც ეს მდგომარეობა შეენარჩუნებინა დიდხანს. ისევ გაშლეგებულიყო, გახელებულიყო და თავიც კი დაეკარგა. დაევიწყებინა მონასტერი, დროის მსვლელობის საიდუმლო, ცოდვილი შემის გორები, ნაპოვნი განწყობა და თვით წმინდანთა ტანჯული ცხოვრებაც კი, მაგრამ ყოველთვის ემახსოვრებოდა ერთი ახდენილი სასწაული. მისი სასწაული. ლოცვად შესმენილი სასწაული. განსაკუთრებული სასწაული სხვა ათას შემჩენეულ და

შეუმჩნეველ სასწაულთა შორის.

სამი-ოთხი მოსახვევი და მონასტერი სადღაც დაიკარგა. სამი-ოთხი აღმართი და თურმე სიწმინდე იმაზე უფრო დაბლა ყოფილა, ვიდრე გვეგონა. სამი-ოთხი წუთი და გული სევდამ მოიცვა. სამი-ოთხი საათი და ცხოვრება ჩვეულ საშინელ რიტმში ჩადგა. სამი-ოთხი თვე და ჩვენ ისევ ისეთი გულქვები აღმოვჩნდით, როგორც ადრე. სამი-ოთხი წელი და ბერები კვლავ ლოცულობდნენ ჩვენი სულების ხსნისთვის. სამი-ოთხი საუკუნე და ჩვენი ხსოვნაც დაიკარგა გადაშენებულ კაცობრიობასთან ერთად.

მაგრამ ასე არ მოხდა და ცხოვრება გაგრძელდა. სამი-ოთხი ამოსუნთქვა და მას ძე შეეძინა ამაღლების დღესასწაულზე. ესეც შენი ერთი ლოცვით ახდენილი სასწაული და მიტევებული ცოდვა.

დაიბეჭდა უურნალში:

„ლიტერატურული პალიტრა“

№ 11; ნოემბერი 2006 წ.



ჩემი პირველი უცხო(გ)ელი

სახალისო მოთხოვბა

რა დამავიწყებს იმ დღეს, როდესაც დედამ, პირველად ჩემს ცხოვრებაში, უცხოელი მანახა. თანაც, რაც უნდა გასაოცარი იყოს, ეს უცხოელი, თვით იმ დიდ-უფროსი უცხოელების ნაშეერი, ანუ „ბოვში“ იყო, რომლებიც რომ კაპიტალიზმს აშენებდნენ. თითქმის სასწაული ვიხილე, რადგან ის „გადაოკეანელი“ მთლად ჩემხელა არ აღმოჩნდა?! მე კი მაშინ, ალბათ, ათის ვიყავი, ხოლო ჩემი ძმა — ხუთის. არ ვიცი რას შევადარო ის სიხარული, რაც მე იქ, იმ დღეს განვიცავე. გარნებუნებთ, რომ ერთ პირამდე სავსე კოკა-კოლის ბოთლაც კი მერჩივნა იმ არსების ცქერა. მთლად „იმპორტული“ უურნალიდან ცაცხლად გადმოსულს ჰგავდა. თავი ულამაზეს სიზმარში მეგონა. რეტი რომ არ დამსხმოდა და არ გამლვიძებოდა, კედელს მივეყუდე. ის კი იდგა ჩემს წინ, თავის ოკეანეებს იქით წარმოებულ სამოსში გამოწყობილი და გულუბრყვილოდ, ყოველგვარი ამპარტავნობის გარეშე მიღიმდა. ასე ხალისიანად და ლალად ლიმილი ჭეშმარიტად მხოლოდ იმ თბილ ქვეყნებში მცხოვრებთ შეეძლოთ, სადაც ჩემი სადარბაზოს მერცხლები მიფრინავდნენ ზამთარში. მერცხლები, რომლებიც მოფრინდებოდნენ თუ არა გაზაფხულზე, იწყებდნენ მანქვა-გრეხვას, აქაოდა ჩვენ საზღვრებს გარედან მოვედითო; კვირის თავზე კი ნირნამხდრები ყველაფერს განურჩევლად ასკინტლებდნენ, ვითომცდა ესეც თქვენს სამშობლოსო. მაგრამ ამ არსების ლიმილი კიდევ უფრო სხვა იყო, უფრო ნაღდური, ვიდრე იმ მათხოვარი მერცხლებისა, რომლებიც ერთ კვირაში ბოროტდებოდნენ. მე კი, მეტის სიხარულით დაბნეულმა, აღარ ვიცოდი, რა მექნა და ისე ავიჭერი, რომ საკუთარ სახლში სტუმრად ვიქეცი. ჰო, მართლა, ეს ყველაფერი ჩემს ქართულ-მობეზრებულ და სულაც ვერუცხოურ სახლში ხდებოდა. ვიდექი ასე პირდაპჩენილი და მის განკარგულებას, დაბრძანდითო, ველოდი. ის კი, რატომ დაც, დუმდა. არადა, მისი თუნდაც ერთი სიტყვა ჩემთვის უდიდესი პატივი იქნებოდა, ხოლო სტუმრისთვის — აბორიგენებისადმი გამოჩენილი გულუხვი მოწყალება. მერე, როგორც იქნა, თავი დამიკრა და მეც უმალ სავარძელზე მივესვენე. ბოლომდე არ მჯეროდა, რომ ჩემს „ზალაში“ ნამდვილი უცხოელი „ბალანე“ იდგა. თუმცა

კი მალევე ვირწმუნე, რადგან პატარა ხანს ჩუმად ყოფნის შემდეგ რომ მოაღო პირი და დაიწყო ინგლისურად ლაპარაკი, ყბა მუხლებზე ჩე ჩამომივარდა და საბოლოოდ ვირწმუნე, არ მესიზმრებოდა. აბა, ვინ ოხერი დაიწყებდა ჩემს გლახავ ზმანებებში ასეთი გამართული ინგლისურით საუბარს? არ ძალმიძს იმის სიტყვით გადმოცემა, თუ რა სიამოვნების მომგვრელი იყო მისი წარმოთქმული ხმოვნებისა და თანხმოვნების მოსმენა. ასე გახევებული ვიჯეე მცირე ხანს, სანამ დედამ არ შემიძახა, მიდი და ელაპარაკეო. სად მქონდა ახლა მე მაგისი თავი, მეტის მღელვარებისგან ისიც კი ვერ შევამჩნიე, რომ ჩემი ძმა ჩემზე ახლოს იჯდა მასთან (ეს არის უპატიქებელი შეცდომა, რომელიც უფროსმა ძმამ შეიძლება უმცროსის მიმართ დაუშვას, ანუ თავისზე წინ რამე „აქნევინოს“). მერე, როგორც იქნა, თითქოს ზრდილობამ და სტუმართმოყვარეობამ მძლია, მეც ისე გავკადნიერდი, რომ ერთი-ორი წვალებით ნასწავლი „მისენოვანი“ სიტყვაც კი შეგვადრე: „ჰელოუ, აი ემ ე თეიბალ“-მეთქი. ესეც ისევ სამშობლოს ხათრით წამომცდა, თორემ „ჩემიზა“ სირცხვილით დავიწვებოდი და კრინტს არ დავძრავდი, რადგან პო, რამდენად შორსმდგომი იყო ჩემი პრონონისი მისი ნარნარი სიტყვათწყობისგან (ის კი აღარ გამხსენებია, რომ ის მშობლიურ ენაზე საუბრობდა, თორემ აგრერიგად ნამდვილად აღარ შევიცხადებდი). ჩემს მიერ ნათქვამ სიტყვათა შინაარსით კი შემდეგი გავაგებინე: მობრძანდი, ჩემი ბატონო, სუფრასთან, პატარა წავიხემსოთ (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია) და იმანაც დასტურის ნიშნად კიდევ ერთხელ დამანახა თავისი ბროლივით თეთრი კბილები.

სადილობისას ის მაგიდასთან იჯდა და მადიანად მიირთმევდა ნაირნაირ კერძებს, ხოლო მე, კედელთან ატუზული, მისი ცქერით ვძლებოდი. მართალია, იმან დანა-ჩანგლის ხმარება არ იცოდა და ძირითადად ხელიდავით გეხასლებოდათ, მაგრამ ესეც სასიამოვნო მოულოდნელობასა და მისი ერის წინნასულობას მივაწერე. უმალ საკუთარ თავს აღვუთქი, ხვალიდან მეც აუცილებლად ასე შევჭამ-მეთქი. დიახაც, სწორედაც რომ მისი ქცევა იყო მისაბაძი, რადგან ის ხომ თავისუფლების დედაბოძი ქვეყნიდან გახლდათ და განა, აბა, იქ უკეთ არ იცოდნენ რა, როგორ და სად? ჩვენებური კერძები კი დიდად მოიწონა ზრდილობიანმა სტუმარმა და ალბათ, მეც ძალიან მესიამოვნებოდა იმათი თქვლეთა, მით უმეტეს, რომ ჩვენსას (იგულისხმება როგორც ქვეყანა, ასევე ოჯახი), მაშინ დიდი გაჭირვების დრო იდგა და ეგეთი სუფრა მთელს ნათესაობას, ბარე,

რამდენიმე წელი არ გვენახა. მაგრამ რა დროს ჭამა იყო, როდესაც ნატურში ვუცქერდი საოცნებო კოკა-კოლა-პირთსავსე-ბავშვუცხოელს და თანაც ცოცხალს. გარდა მაგისა, მე და ჩემს ძმას რომ იქ ყბა გაგვექნია და სტომაქი ამოგვევსო, სრულიად შესაძლებელია, ის ჩვენი დესერტსტუმარიც შემოგვჭმოდა. აზირ, გვიქორდა-თქვა და არ გაგვემტყუნებოდა. უცხოელმა ბავშვმა კი მართალაც მაგრა მოულხინა და ისე გალადდა, რომ შემწვარ წინილს ხაჭაპურსა და ყველას ატანდა. ამისი ახლა საყელოც ჭამსო, თქვა დედამ და ლორი შესთავაზა. არადა, მაგ დროს მე და ჩემი ძმის მკლავებიც კი ჭამდა და მაგიტომაც იყო, რომ მელავებაკაპინებული დავდიოდით, თუმცა ჩვენთვის იქ სუფრასთან მისვლა და ჭამა არავის დაუძალებია. როგორც მერე გაირკვა, მისი მშობელი დედ-მამა ვეგეტარიანელები, თუ რაღაც მაგდაგვარი სექტა-მოძრაობის წარმომადგენლები ყოფილან და ქათმის ხორცსაც კი არ აქმევდნენ ბავშვებს. ლმერთმა შეგარგოსო, მოეფერა თავზე გულაჩუყებული ბებიაჩემი და თან დედას გადაულაპარაკა, მე მგონი, ეყოფა ამ უპატრონოს, თორემ სადაცა გასკდება და ახლა ცოტა ჩვენი ნადირებიც (მე და ჩემი ძმა) მიუშვი სუფრასთანო. იმან კი, უცხოელ-ბავშვმა, ბებოს კბილებით სავსე პირი დაანახვა და ერთიც გერმიელად დააბოინა. უი, დედაო, შეიცხადა ბებიაჩემმა და რა ვიცოდით მაშინ, რომ ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანაში, ეს თითქოსდა უმსგავსო საქციელი, მადლობის აღმნიშვნელი იყო. ისე, ნამეტანი თავისუფალ ადამიანად მეც კი მომეჩვენა ეს ჩვენი სტუმარი და ერთი პირობა ისიც გავიფიქრე, ნეტავ მაგისი მამაც თუ უთაქუნებს თავში ამგვარი საქცელისთვის-თქო. მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ბედნიერებამ ამამჩატა და გონს მოვეგე. ძალიანაც სასიამოვნოდ დააბოინია და ჩვენც უნებურად გავიცინეთ-თქო.

მერე დედამ სასეირნოდ წაგვიყვანა და მე და ჩემს ძმას კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი გვამცნო. თურმე, გზად ჩვენი სტუმრის უმცროსი ძმისთვის უნდა გაგვევლო, რომელიც ასევე რომელიღაც ქართულ ოჯახში იყო გათხოვებული სათაყვანებლად. აი, იქ კი ჩემმა ძმამ გაიხარა, მაგრამ რა გაიხარა?! ეს უფროსი, შენტოლა, შენი იყოს და იმ უმცროსით, ჩემტოლათი მე ვითამაშებო. ეს აზრი მეც ძალიან მესიამოვნა, რადგან შემცილებელი ნაკლები მეყოლებოდა ჩემს წილ უცხოელში და თანაც სახლში დარიგებული ვყავდი, რაც შეიძლება მეტი ესაუბრე, რათა ინგლისურში ენა გაიტეხოო. ამ სასიხარულო ამბით გულმოცემულს კი კომპლექსი მომეხსნა თუ

რა იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ იმ ჩემს თვინიერ სტუმარს მთელი გზა ყურები გამოვუჭედე ჩემთვის ასე ნაცნობი, ხოლო იმისთვის ვერ გეტყვით, როგორი სიტყვებით: „ვოლ; ფენ; დოგ; რეფრიჯი-რეითორ“ და სხვა მრავალი მისთანათი. მართალია, სეირნობისას ამ სიტყვების კონტექსტში მორგება, ნამდვილი განსაცდელი იყო, მაგრამ მე მაინც უბედნიერესი ვიყავი ჩემი მცდელობებით. თუმცა კი ქალაქში სეირნობისას, ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი ქუჩაში შემხვედრი ხალხის გაოგნებული სახეები და ჩემი სიამაყით გაბადრული „როჟა“ იყო. აღფრთოვანებული ხალხი თვალყურს არ უჯერებდა, როდესაც ქუჩაში მოსეირნე უცხოელ ბავშვს ხედავდა. მათ, უბრალოდ, ვერ წარმოედგინათ, რომ უცხოელებს ბავშვებიც ჰყავდათ და თანაც ისეთები, რომელთაც საქართველოში გასაგზავნად გაიმეტებდა მშობელი. მე კი, ხალხის ამგვარი რეაქციით გაყოყოჩებული, რამდენიმეჯერ ხელითაც შევეხე მის „უცხოელესობას“ სხვის დასანახად და ბევრ შემხვედრს გულიც გაუხეთქე ბოლმით. ამ ლირშესანიშნავმა გარემოებებმა ისე გამახალისა, რომ მზად ვიყავი ხელში ამეტატებინა ეს მშვენიერ-უცხო არსება და მეტის სიხარულ-პატივისცემით კისერზე შემომესვა, მიუხედავად იმისა, რომ ვგონებ, ტანითაც და ასაკითაც სწორედაც რომ ჩემხელა იყო. ისე რა კარგი სანახავი ვიქენებოდი, მე რომ კი სერზე შემომესვა, ის კიდევ ფეხებით მიწას მისწვდომოდა და მერე ასე „ფხოკინით“ გვევლო.

ძალიან მინდოდა, რაც შეიძლება მეტი ნაცნობი შემხვედროდა ქუჩაში, რათა სათითაოდ ყველასთვის დამენახვებინა ჩემი ახალი „შენაძენი“. მაგრამ, სამწუხაროდ, აღფრთოვანებისაგან გაცისკროვნებული, ვერავის ვამჩნევდი ჩემს ირგვლივ, საკუთრივ სტუმრის გარდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ლალიძის სახაჭაპურესაც კი ისე ჩავუარეთ, ნერწყვიც არ მომდგომია. ამ სეირნობა-სეირნობაში კი ისე გავერთეთ, ვერც შევამჩნიეთ ჩემი უცხოელის ძმისთვის „გავლის“ დრო როგორ დადგა. ის კი ზუსტად დათქმულ დროზე თავისუფლების მოედანზე დაგვახვედრეს გამოფენილი. ნახევარი სოლოლაკი თვალცრემლიანი აცილებდა და ისიც თავის მადლს ვერმიმხვდარი, უდარდელად ლოლნიდა ჩირის ჩურჩხელას. საოცარია პირდაპირ, მაგრამ ეს უმცროსი უფრო ქერა, ჭორფლიანი და პირკბილებგამოვსებულიმილიანი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ წარმოვიდგენდით. ჩემმა ძმამაც ეგრევე გულში ჩაიკრა და გაეცნო სიტყვებით, „აი ემ ე ფენსილ“-ო. თან ცალი თვალი ჩამიკრა, ნახე, ნახე

ჩემი უფრო სულყველაფერია და ამიტომაც შენსას სჯობსო. მე კი-დევ გეგონოს-თქო. იმას კიდევ, უმცროს-უცხოელმა „ოქეი“-ო და მეგობრების ხელი გაუწოდა უმცროს-ქართველს. აბა, სეირნობა თქვენ მერე გენახათ. ატყდა „გულაობა“ (ოტ სლოვა გულიატ (მიახეთ ზნაკი)), მარა რა ატყდა. მე — უფროსი, ჩემს ძმას — უმცროსი და პირველად მოხდა ცხოვრებაში ისე, რომ გასაყოფი არაფერი გვეონდა. მართალია, სათამაშოებს ყოველთვის წყვილად გვყიდულობდნენ და ჩვენ მაინც მუდამ ვხოცავდით ერთმანეთს, მაგრამ ამ შემთხვევებში ასე არ მოხდა. ეტყობა ორივე უცხოელი ზუსტად ისე-თი იყო, როგორიც ჩვენ ჩვენთვის გვინდოდა და სწორედ ამიტომაც არ გაგვეკვევია თვალი ერთმანეთის გასართობისკენ. ნამდვილ ზღაპარს ჰყავდა ეს ყოველივე და დედამ კიდევ, საერთოდ, უნახავ სიზმრად გადააქცია, როდესაც გადაწყვიტა, ყველა კუს ტბაზე ავეყვანეთ. ალბათ, იფიქრა, სტუმრების მუზეუმებში ტარებით ფონს ვერ გავალ და ჩემს გიუებს კიდევ, იქ მეორედ აღარ მივიყვან, რადგან წინაზე ისე იჭიდავეს და ისე გულდასმით მოწმინდეს იქაურობა, რომ დღემდე არავის გამოუგვია საგამოფენო დარბაზით.

სიმართლე გითხრათ, კუს ტბაზე ასულს, ცოტა არ იყოს, გული დამწყდა, ამის დედა ვატირე, რამდენს ვეხვენებოდი ამ ჩემს მშობლებს, აქ ამოყვანას და სანამ ეს ოკანისგალმელები არ გვესტუმრნენ, არავინ მაღირსა-მეთქი. თუმცა ეს ხინჯიც მალევე გაქრა, რადგან უცხოელ ძმებს მოეფსათ და მე და ჩემს ძმას პატივი გვერგო ის ორი ბედნიერი ბურქი ამოგვერჩია, რომლებზეც მათი „ინომარკა“ შარდი უნდა დანთხეულიყო (ალბათ, ახლა ის ბურქები მსხმოიარე ქოქოსის უშველებელი პალმები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მაყვლისანი გახლდნენ). თქვენ გგონიათ, ხემ არ იცის პატივისცემის დაფასება?!). მებაღეობის ამ მცირე „ტრეინინგის“ შემდეგ, დადგა ჯერი გართობისა და ჩვენც, ქართველებმა უმალ ტანთ გავიძრეთ და შევცვივდით კუს ტბის ამყაყებულ წყალში, რათა ოკანთგალმელებს ეჭვი არ შეეტანათ ჩვენი სამშობლოს სისპეტაკეში. იმ ორს კიდევ ჩვენმა დედამ არ დაანება „ჭაობში“ ჩასვლა, ჩაბარებულები არიან ეგენიო და ისინიც მხოლოდ წყალში ფეხების ჩაყრით შემოიფარგლენ. მომეჩვენა თუ რა იყო, არ ვიცი, მაგრამ მგონი, უცხოელმა ძმებმა, ცოტა არ იყოს, მოიწყინეს და, ჩემდა გასაკვირად, საერთოდაც არ მიუქცევიათ ყურადღება იმ ამბისთვის, თუ როგორ გულდასმით ვაყურყუმალავებდი ჩემს ძმას იქაურ შმორიან წყალში. ვიფიქრე, ესენი ნაღდი ჰუმანისტ-დე-

მოკრატები არიან და ამიტომ გადგნენ გვერდზე-თქო, მიუხედავად იმისა, რომ ეგ სიტყვები ჯერ კიდევ საერთოდაც არ გამეგო, მაგრამ ერთი კი შევნიშნე, რომ ბავშვები მალიმალ სულ იმ ჯიხურისკენ იც-ქიორებოდნენ, სადაც წელან მზესუმზირა ვიყიდეთ. თურმე, როგორც მერე გაირკვა, „მესემიჩქვე“ რომ „აკუმულიატორზე“ შეერთებული პატარა ტელევიზორი ედგა, იმას მოუხიბლავს ეს ჩვენი ნაქები სტუმრები. მე ეგ უცნაური ინტერესი ეგზოტიკისადმი ტრფობად ჩავთვალე, რადგან გაგონილი მქონდა, უცხოელები სპეციალურად სანთლის შექზე სადილობენ, რათა უფრო მეტი სიმყუდროვე შეიქმნან (ეს როცა, ჩვენ ელექტროენერგიას სანთლით ვეძებდით). სინამდვილეში კიდევ, საქმე ის იყო, რომ მაგათი ვეგეტარიანელი მშობლები ტელევიზორის ყურებასაც უკრძალავდნენ ამ ანგელოზივით უწყინარ ბავშვებს. აბა, გაგონილა, კაცო, ამისთანა რამე? მეც, ცოტა არ იყოს, გული მომივიდა მაგათ მტარვალ მშობლებზე, რომელნიც ბავშვებს შავ-თეთრ ტელევიზორსაც არ აყურებინებდნენ და გავიფიქრე, უხ, მაგათი კაპიტალისტი-მეთქი. მაგრამ მერე მაღლევე შევუნდე, რადგან გამახსენდა, რომ სახლში ფერადეკრანი-ანი გველოდა და გადავწყვიტე, ამაღამ მაგრა გავუსწორებ და დავაძლობ ჩაგრულთ აქაური მაუნყებლის გამოსხივებით-თქო.

როდესაც სახლში დავბრუნდით, მიუხედავად ემოციათა სიჭარბისა, მე და ჩემს ძმას დალლა საერთოდ არ გვეტყობოდა და ეგრევე იმაზე ფიქრს შევუდექით, ახლა რით ვასიამოვნოთ ჩვენს მეგობრებსო. სტუმრებმა კი თითქოს განგებ დაიწყეს მთქნარება და ჩამოყარეს ყურები. ჩვენც გადავწყვიტეთ, გაგვერთო ისინი, სანამ დედა ვახშამს გამზადებდა და გავაჩალეთ ჩვენებური თამაში „ბურგლაობა“ ანუ ძალლებივით წავეკიდეთ ერთმანეთს და მერე კი სტუმრებს. გამოვიდა შემდეგი: სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამ კარი გააღო და რას ხედავს, მე უფროსი უცხოელი მყავს ფეხებით დაკიდებული და მუხლით უურტყამ პანჩურებს, ხოლო ჩემი ძმა წამოჯდომია უმცროსს, თმებით ჰყავს დათრეული და ძირს არტყმევინებს თავს. გაიკირვა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ შეწუხებით ნამდვილად შეწუხდა და მით უმეტეს მაშინ, როდესაც შეიტყო, რომ ჩაგრულნი იმ ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ, სადაც რომ ძალადობისთვის შვილები მშობლებს უჩიოდნენ. ისე, სიმართლე ითქვას და მართლა კარგ დროს კი მოგვისწრო მამამ, რადგან სტუმრებმა აშკარად ბურგლაობაში ვერ ივარგეს და ჩვენც ახლა ლახტის სწავლებას ვუპირებდით. გაუშვით მაგათ ხელი, თქვე ვირებო,

დაგვიყვირა მამამ და ექპანსირებულთ დახმარების ხელი გაუწოდა. თქვენ ეგენი მეზობელი რესპუბლიკის შვილები ხომ არ გგონიათ, ეგრე რომ იმეტებთო. ეგენი ოკეანის გადაღმელები არიან და რამე რომ ატკინოთ, „კაკ მინიმუმ“, ცივი ომი არ აგვცდებაო. ჩვენც, სხვა რაღა გზა გვქონდა, ვუშვით ხელი უცხოელთა სხეულებს და კომპენსაციის მიზნით ტელევიზორი ჩავურთეთ. ისინიც ძალიან კმაყოფილები იმ ამბით, რომ თავი დააღწიეს სადისტურ თამაშობებს და ნება დართეს ცისფერი ეკრანის ყურებისა, უმაღ სავარდელებში მოკალათდნენ და გაფაციცებულნი გაისუსნენ. ოღონდ ერთი კი იყო, სანამ უცხოელები საბოლოოდ ჩავარდებოდნენ სატელევიზიო ტრანსმიცია, უფროსმა გვთხოვა, „მამე ნე გავარინეო“. ეს რაღა თქმა უნდა, მე და მამაჩემმა გავშიფრეთ ასე მისი სიტყვები და უმაღ დავამშვიდეთ, ჯიგარო, სულ ტელეფონების საძიებელი წიგნი რომ გვირტყან გვერდებში, ჩვენ მაინც კრინგს არ დავძრავთ-თქო. ისინიც დაწყნარდნენ და იმ საღამოს ჩვენსკენ აღარც კი გამოუხედავთ. იჯდნენ პირდაღებულები და მისჩერებოდნენ მეორე მსოფლიო ომზე გადაღებულ შავთეთრ კინოსურათს სახელად: „სინ პალკა“.

ჩემს ძმასთან ჭიდაობას აღარანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგან ზუსტად ვიცოდი, რომ იმ დღისით აუდიტორია აღარ მეყოლებოდა. თანაც სკოლაში, კლასელებისთვის საჩვენებლად მაგ გასართობ-უცხოელებს არავინ გამატანდა და სიგარეტს კიდევ მაშინ ჯერ არ ვეტანებოდი, მისი წევით რომ შემექცა თავი. ამიტომაც სასწრაფოდ რამე საქმე უნდა მომეფიქრებინა, რათა სტუმრების ტრანსმიცია ჩავარდნით გამოწვეული სიცარიელე შემევსო. ვხვდებოდი, რაც უფრო მეტს ვიფიქრებდი ჩვენს უცხოელებზე, მით უფრო მეტ ეჭვს შევიტანდი მათ სიკარგეში, რადგან იმათი გადებილებული სახეების შემხედვარეს, ცოტა არ იყოს, გუნება წამიხდა (ასე ხდება ხოლმე ყოველთვის, ცეცხლი რომ განეღლდება, მერე ხვდები რას წვავდი). ძალიან არ მინდოდა, ის აღმაფრენა დამეკარგა, რაც მათი გამოჩენით განვიცადე. ამიტომაც დავჯექი სტუმრების შორიახლო და დავიწყე მათი ახალი, თეთრი და საზღვარგარეთული ბოტასებისა და ჩემი ყავისფერი, დახეული და ერევანში შეკერილი საღამანდრების შედარება. ერთი შეხედვითაც აშკარა იყო, იმათი სჯობდა ჩემსას და რა გასაკვირია, რომ ბავშვური გულუბრყვილობით მხურვალედ ვისურვე, მეც მაგათი მიწა-წყლის შვილი ვყოფილიყავი. ოღონდ, ვოცნებობდი რაც შეიძლება სწრაფ-სწრაფად

და დაგეგმარების გარეშე, რათა იმ ძმების ჭამა, წყალში ჩაყრილი ფეხები და სინთეტიკური სახეები არ გამსხვენებოდა. გამომივიდა შემდეგი: ძალიან მსურდა უცხოელობა და თანაც აქ, საქართველოში ცხოვრება. მინდოდა თეთრი ბოტასები, ოღონდ სკოლის ეზოში ფეხბურთის სათამაშაოდ. ვიცნებობდი გალექსილ ინგლისურზე, ფართოდ მომღიმარ პირზე და მშვიდობიან ცაზე, თუმცა ისევ ჩემი სოფელი, მისი სიდუხჭირე და დაბლა დახრილი თვალები მერჩივნა ყველას. მოკლედ, ვითხოვდი, ვყოფილიყავი ქართველი უცხოელი. მაგარია, არა? დიახაც, თან ქართველი და თან უცხოელი (რაღაც-ნაირად დამენანა ქართველობა და ვცადე, ერთგვარი სინთეზი შემექმნა). სულ ბოლოს კი ძმებმა მაინც გადანონეს და მეც რაღაც ძალიან უსიამოვნო განცდებით განვიმსჭვალე. მეგონა, რომ თუ „გავუცხოველდებოდი“, აუცილებლად ნივთად უნდა ვქცეულიყავი და ამიტომაც, ეგრევე ბოტასებზე გადავედი. ვიფიქრე, ჯანდაბას, ვიყო ქართველი, ოღონდ კი მქონდეს თეთრი ბოტასები და ეგეთივე თეთრი პირსახოცის წინდები-მეთქი.

P.S. ახლა ვხვდები, მგონი, ამიხდა ბავშვობის ოცნება, რადგან დღესდღეობით ნაღდად უცხო(ვ)ელივით ვგრძნობ თავს საკუთარ მინა-წყალზე.

დაიბუჭვა უურნალში:

„ლიტერატურა და ხელოვნება“

№ 5, მაისი 2008 წ.



აპტობიობრაჟია

ოცი წლის ხდებოდა, მრგვალდებოდა, იზრდებოდა, მაგრამ არ სერიოზულდებოდა. აწუხებდა? — ალბათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ყველაფერი თავისთავად მოხდება. მაგრამ, რატომღაც, ეს ყველაფერი არსად არ ჩანდა. იყო მხოლოდ ციფრი ოცი, გაუცნობიერებელი შიში ამ თარიღისა. ყველაზე მეტად კი დაგვიანებისა ეშინოდა.

— იქნებ არასწორად ვიქცეოდი განვლილი წლების მანძილზე, იქნებ ნული ვარ ცხოვრებაში? — ნული კი იყო, ოღონდ წინ ორიანი ჰქონდა. სწორედ ეს ორიანი უსახავდა მომავლის იმედს. მან დიდად დახატა ფურცელზე ორიანი, ხოლო გვერდზე მიუხატა ნული. აკვირდებოდა და რაღაც-რაღაცუცებს ხვდებოდა. ძირითადად კი ხვდებოდა ერთ რამეს. ეს ერთი რამე კი იყო ის, რომ — მე უკვე ნამდვილად დიდი ვარ — ხოლო ამის შემდეგ მოდიოდა ჩამონათვალი იმ სურვილებისა, რომელიც შემდეგნაირად იწყებოდა — მე მინდა, რომ... — კი უნდოდა, მაგრამ „მინდათი“ საქმე არ გამოვიდოდა და გადაწყვიტა, რომ „უნდა“ გაეკეთებინა, რაც სურდა. დაეწყო ყველაფერი რაც შეიძლება მალე. უმჯობესი იქნებოდა კი, რომ ხვალი-დანვე. ისე, მართლა რა სურდა? ალბათ, კომპლექსებისაგან განთავისუფლება? არა! არა! აშკარად არასწორად უდგებოდა საკითხს. ამგვარი ფიქრით უფრო დაიძირებოდა. გაუგებარი მიზეზების გამოტირილი მოუნდა. არ იცოდა, უხაროდა, თუ სწყინდა. არ იცოდა კი იმიტომ, რომ ოცი წლის ხდებოდა. ეს ორი ციფრი კი ფეხებეშ მინას აცლიდა და შემდეგსაც კი ალაპარაკებდა — არაფერიც არ ვიცი. დედას შე... — მოკლედ, იმდენად დაბნეული იყო, რომ ქინძისთავს ეძებდა, რათა თითში ეჩხვლიტა და სისხლი გამოედინა. შემდეგ გამოეწოვა ეს სისხლი და გადაეყლაპა. გამოეწოვა მანამ, სანამ არ გაძლებოდა ოცნებებით გაჟღენთილი საკუთარი სისხლით. არა, არც ეს იყო გამოსავალი.

იქნებ მას ქალი უნდოდა? კი უნდოდა ქალი, მაგრამ არა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. უნდოდა ქალი, რათა დიდხანს, ძალიან დიდხანს ესაუბრა მასთან. ესაუბრა ყველაფერზე, რასაც ენა გასწვდებოდა. ჭკვიან ქალთან საუბარი სასიამოვნოა, რადგან მისი ტვინი განსხვავებულად არის მოწყობილი. მას ბევრი რამის სწავლება შეუძლია. იმდენს გასწავლის, იმდენს

გეტყვის, რომ უნებურად მოთხობის მთავარ პერსონაჟს დაემს-გავსები. გეტყვის, რომ ისეთი იყო, როგორიც ხარ. — მართლაც, ხომ არ ჯობია, ავიძრო სახიდან გახუნებული ნიღაბი და დავანახო ყველას ჩემი ფერმკრთალი სახე, რომელსაც ძალიან იშვიათად თუ უნახავს მზე.

ამის მოსინჯვაც შეიძლებოდა. შეიძლებოდა ყველას გულში ჩაკვრა და თავზე კოცნა. მაგრამ, რომ ვერ გაეგოთ და ვერ მიმხ-ვდარიყვნენ? ვერ დაენახათ მისი ფერმკრთალი სახე და სილა გაეწინათ? სილა, რომლის ხუთი თითიც სამუდამოდ დაეტყობოდა მის ნამდვილ სახეს.

— იქნებ ნიღაბიც კი არ მიკეთია და საერთოდ ასეთი ვარ. ასე-თი, ასეთი... უვარგისი? — თვითონვე გაეცინა საკუთარ ნათქვამზე. მიხვდა, რომ უკვე დიდი იყო, დიდზე ფიქრობდა და დიდადაც უბერ-ავდა. ალბათ, უფრო ერთობოდა, ვიდრე ცდილობდა თავისი თავის რაღაც-რაღაცებში დარწმუნებას. გულზეც კი მოეშვა, იმდენი იფ-იქრა. მაინც გადაწყვიტა გამოსწორება, მაგრამ რისგან?

— მოდი, ხვალინდელ დღეს დაველოდები. ხვალ ოცი წლის ვიქნები და, ალბათ, სულ სხვანაირად შევხედავ ყველაფერს.

დაიბუჭხდა უურნალში:

„სტუდია“

№7, ივლისი 2000 წ.



ირონია

თავი უსკდებოდა, მაგრამ არა ტვინით, არამედ ტკივილით. სხეულიც სტკიოდა, მაგრამ არა კუნთები, არამედ შიგნეულობა. როგორც იტყვიან, „ჯიგარი ეწვოდა“, რადგან იყო მიზეზი. ეს მიზ-ეზი იყო ჯანმრთელობა, ხოლო ჯანმრთელობის პირველი მტერი კი ზომაზე მეტი სასმელი იყო. აქედან გამომდინარე სასმლის სუ-ნად აყროლება და ქუჩაში გდება მისთვის უცხო არ იყო. იგი ლოთი გახლდათ, რომელსაც არეული ჰქონდა თვე და რიცხვი, ანუ ცხოვ-რობდა ჭიქიდან ჭიქამდე, სააგელი დილიდან დილამდე და ელოდა სიკვდილს, რადგან სამოთხე სავსე ჭური ეგონა.

პატარა, ჭუჭყიან პალტოში გახვეული, ძუნდგლიანი ქუდით კინკრიხოზე და ქრონიკულად მთვრალი, დაეხეტებოდა ქალაქის ქუჩებში. მის დალურჯებულ და ალენილ სახეზე არაფერი იკითხ-ებოდა. მისთვის ბედისწერას სახეზევე დაესვა დაღი.

იგი წამოწვა ბოძის ძირას. თავი სანაგვე ურნას მიაბჯინა და თვალები დახუჭა. მას სულ არ ენალვლებოდა, რომ ცენტრალურ პროსპექტზე იწვა, მაგრამ ბევრს ეს ძალზე არ მოეწონა. ტრო-ტუარზე მოსიარულე მოქალაქები ცნობისმოყვარე თვალებით აკვირდებოდნენ. ასეთი ცნობისმოყვარე უსაქმური კი ბევრი შეი-ყარა, რადგან იგი იწვა ისეთი შენობის წინ, რომელშიც სიცოცხლე გამუდმებით ჩემფიდა.

მას თვალები დახუჭული ჰქონდა და არავინ უწყოდა, რას ფიქრობდა. იქნებ მკვდარიც იყო, რადგან შეუხორცებელი იარე-ბიდან კვლავ სისხლი სდიდა, რაც განსაკუთრებით დრამატულს ხდიდა ამ სურათს. შესაძლებელია, მას ეძინა. ეძინა იმ სიზმრით, რომლითაც იგი თანასწორი იყო ყველა ნორმალურ მოქალაქესთან. მაგრამ იგი უბრალოდ იწვა და თვალები ჰქონდა დახუჭული. სწორედ ამ უბრალოებაში და უაზრობაში გამოიხატებოდა მისი ლოთობა, ხოლო ხალხი მას მიანერდა ზენობრივი ნორმების არ-ცოდნას, იურიდიული კანონების დაუმორჩილებლობას და ათას სხვა რამეს. ლოთის მექანიზმი და ისრები კი სულ სხვა მხარეს მი-ემართებოდნენ.

მასთან მისვლას ვერავინ ბედავდა. ყველა ზიზღის თვალით უყურებდა, არადა, რომ გეკითხათ, თითოეული გულის სიღრმე-ში იმდენად სათუთი და ჰუმანური იყო, რომ დიდი სიყვარულით

მიეალერსებოდა ლოთს და მოუშუშებდა იარებს, მაგრამ ეს სულაც არ იყო საჭირო. ხალხი შეწუხდა ამ შემზარავი სანახაობით. მათ უბრალოდ სურდათ გაეგოთ, მკვდარი იყო თუ არა იგი. მაღლე გამოჩნდა პოლიციელი. იგი მიუახლოვდა სიკვდილში ეჭვმიტანილს და ფეხი გაჰკრა. ლოთს რეაქცია არ ჰქონია. შემცბარი თანამშრომელი უკან გადგა ამ ბოროტმოქმედისგან. მან გადაწყვიტა ეს საქმე ექიმებისთვის მიენდო.

სულ მაღლე სასწრაფოს მანქანაც გამოჩნდა. იქიდან ორი თეთრხალათიანი გადმოხტა, ოპერატიულად. ისინი ლოთთან გაჩერდნენ და დინჯად გაეცნენ ვიზუალურად. სახეზე ეტყობოდათ, რომ დიდად არ ეპრიანებოდათ ამ მკვდარ სულთან კონტაქტი. ერთ-ერთი მათგანი ლოთს კისერზე შეეხო, რათა პულსი გაესინჯა, მაგრამ მოხდა საოცრება. ლოთი წამოხტა შეწუხებული სახით. რამდენიმე წამი ერთ ადგილზე ქანაობდა, ხოლო შემდეგ წალასლასდა ლანძღვა-გინებით.

ყველას გაეცინა. ყველამ თავი დაიწყნარა, რომ სწორი ქნა, ლოთს რომ თავი აარიდა. მას ხომ უბრალოდ ეძინა და სულაც არ უჭირდა. ისე კი, ყველას გულით უნდოდა, რომ ლოთი მკვდარი ყოფილიყო, მაგრამ რა გაეწყობა, ალბათ, ყველაფერი ცხოვრების ირონია იყო.

დაიბეჭდა უურნალში:

„სტუდია“

N^o7, ივლისი 2000 წ.



სხვისი ცხოვრება

„იორნიული მოთხოვბა“

დილის შვიდ საათზე უკვე რკინიგზის სადგურში იყვნენ. მატარებელი ჩამომდგარიყო და გამცილებლის მტკიცებით თხეუთმეტ წუთში დაიძვრებოდა. მგზავრობა ისედაც ეზარებოდათ და ახლა, ორთქმავლის ამ ღირსეული შთამომავლის შემხედვარეთ, საერთოდ, ყველანაირი ხალისი დაეკარგათ. უხეში დაანგარიშებითაც კი შეიძლებოდა იმის გამოთვლა, რომ, სავარაუდოდ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების პატივსაცემად უნდა ყოფილიყო გამოშვებული ეს შემადგენლობა და მის მერე ბევრი არაფერი შემატებოდა. ამის დასტურად ისიც კმაროდა, რომ მატარებლის ვაგონებს ძირიც კი დამპალი ხის ჰქონდა, სხვა რამ ღირშესანიშნაობას რომ ალარ შევეხოთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ამ სადგურზე თუ არა, შემდეგზე უკვე უეჭველად, მთელი მატარებლის უძრავ-მოძრავი „შიგთავსი“ ლიანდაგებზე იქნებოდა გაფენილი.

— ეს რა არის, გაფიცებ, თუ არ მითხრა, ამითა აპირებ მგზავრობას? — უსაყვედურა ცოლმა და ალბათ, რომ არა მატარებლით მგზავრობის აუცილებლობა, სირცხვილისაგან დამუნჯდებოდა კიდეც, მაგრამ...

— მე რა ვუყო, მაგის დედაც... აბა, არ ჩერდება ეს ბავშვი მანქანა-მარშუტკაში და ურმით ხომ არ წაგიყვანთ? შენ გვონია, მე მეხალისება ამ ჯართით მგზავრობა? — თავი იმართლა ქმარმა და მზერა ბავშვისენ გადაიტანა, აქაოდა ამას მოკითხეო. ეს უკანასკნელი კი გაფართოებული თვალებით შესცექროდა კაცობრიობის ამ მართლაც უჩვეულო „ხელთუქმნელ“ ქმნილებას და ფიქრობდა „ბოჟუ უპასი“ (ფაქტობრივად, ის იყო მოწმე რკინიგზის მამონტის უკანასკნელ გზაზე სვლისა, ბალნიან სპილოთა სასაფლაოსაცენ).

— გეხვეწები, წავიდეთ ავტობუსით, ცხენით, თუ გინდა ხარებით, ოლონდ ამ საშინელებაში ნუ ჩამსვამ. — ცოლი აშკარად მას ამტყუნებდა ამ არცთუ ისე მომგებიან-სასიამოვნო გადაწყვეტილების მიღებაში და გარკვეულწილად მართალიც გახლდათ. ეს იდეაც, როგორც სხვა მრავალი წარმატებულ-წარუმატებელი, მის გამჭრიას გონებას ეკუთნოდა და ალბათ, პასუხიც მას მოეთხოვებოდა, რადგან ოჯახის უპირობო „ცენტრფორვარდი“ სწორედ ის იყო.

— კარგი რა, მორჩი ახლა წუნუნს. იცი, რამდენმა ადამიანმა დადო სასწორზე სიცოცხლე და ჯანმთელობა, რომ ეს რკინიგზა აეგოთ? თანაც ისინი რა, ადამიანები არ არიან, ვინც ჩვენთან ერთად იმგზავრებს, თუ მარტო შენ გიყვარს კომფორტი? ღმერთს ნუ სცოდავ. ხომ იცი, სხვა რამით რომ წავიდეთ, ეს ვაჟბატონი თხუთმეტ წუთში ისეთ ამბავს ატეხავს, რომ ან მძლოლი დაიმტვრევა და ან ჩვენ ჩაგვყრიან. ამას აქ გატარებ-გამოატარებ მაინც და ადრე თუ გვიან, დაიძინებს. ჩვენ კი სამ საათს როგორმე გავძლებთ, აბა, რას ვიზამთ. — მართლაც რომ, ძალზე ძლიერი არგუმენტ-სამსილფარატინა ქაღალდის შინაარსი ეპყრა ხელთ და მშობელი რას აღარ იზამს შვილისთვის, მატარებლით მგზავრობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

— ნუ დემაგოგობ. როგორმე ეს შენ გაძლებ, თორემ მე უნდა ვენამო. ნახე, შიგნით რა სიბინძურეა და ამ ვაგონს კიდევ მე მგონი, საერთოდ არაფერი არა აქვს. აი, აქ შენ დაჯდები, ან დადგები. ისე, ნეტარა ჯანდაბისთვის ჭირდებათ ეს სიცარიელე, ცხოველები ხომ არ უნდა გადაიყვანონ? — ცოლმა, მართლაც რომ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან ვაგონის არჩევისას უეცრად აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთ შემადგენლობას უანგიანი სახურავისა და ზემოხსენებული, დამპალი ხის ძირის მეტი, მართლაც, არაფერი ჰქონდა. აშკარა შეიქნა, რომ ვაგონის შიგნით არსებული სივრცე, სხვა არაფერს გულისხმობდა, თუ არა უაზრობას. ის არც სატვირთო განყოფილებას წააგავდა და მით უმეტეს, არც რესტორანს. ჭიდაობით კი არა მგონია, რომ მაინცდამაინც გაქანებულ მატარებელში კოტრიალი მოენდომებინა ვინმეს.

— ეს საპირფარეშოა. — თქვა ქმარმა და ფარდა ახადა ამ ბუნდოვანებით მოსილ ამბავს „გამოფატრულ ვაგონზე“, უთავო მხედრის არ იყოს და ცხვირზე ხელი აიფარა. ახლა კი ყველაფერი ნამდვილად გაცხადდა. შემადგენლობის კუთხეში მდგარ ამ პატარა, თუმცა კი „ძლიერმყროლ“ ფეხსადგამს, თავისი შინაარსის მიხედვით, ეს სივრცეც კი არ ჰყოფნიდა და ფორმაზე მსჯელობას ვინ დაიწყებდა, როდესაც სიმყრალე თვალებს წვავდა. ნამდვილად ჭეშმარიტი გადაწყვეტილება იყო, რომ ამ უხერხულსახელიანი სა-პირ-ფარეშო-სათვის მთელი ვაგონი გამოეყოთ. ალბათ, ესეც ომისდროინდელი სტრატეგიის ამბავი იყო და წესით, ამ მოძრავი ჩემის კარის ზედა კუთხეში უნდა დაეწერათ: „მტერი ჰექტარზეც კი ვერ მოგეკარებათ“, მაგრამ, სამნუხაროდ, ეტყობა, ან საღებავი

დააკლდათ და ან მერე მეორე მსოფლიო ომი იმდენად პოპულარული თება აღარ იყო. დასახანია.

— ნადი და სადმე ისეთი ადგილები შეარჩიე, სადაც არც შუშა იქნება ჩამტვრეული და არც არსაიდან დაუბერავს. — გასცა განკარგულება ცოლ-გენერალმა და რიგითი ქმარიც სამწყობრო ნაბიჯით დაიძრა შემადგენლობის დასათვალიერებლად. დავალება საქმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან ოპერაცია „მთელი შუშა“, სიმართლე ითქვას და თავიდანვე განწირული იყო. ამიტომაც გამჭრიახმა რიგითმა-ქმარმა მას სახელი გადაარქევა და „გაბზარული შუშა“ უწოდა, ხოლო რაც შეეხება ახსნა-განმარტებებს, ისინი სამომავლოდ გადადო. ოპერაციაში „გაბზარული შუშა“ კი მართლაც გამოიკვეთა რაღაც ალტერნატივები. რიგითმა-ქმარმა საუკეთესო ვარიანტი შეარჩია, ანუ უარესზე უკეთესი და უმაღლეობული უპატაკა, ჩვენი დისლოკაციის ადგილი ბოლოს წინა ვაგონშიაონ.

— ნამო, იქ ერთი ნორმალური ადგილი ვნახე და ვიღაცას ვთხოვე, დამიკავე-მეთქი. გარწმუნებ, ნანახს შორის საუკეთესოა და დროზე თუ არ მივედით, იმაზეც ჭიდაობა მოგვიწევს. ოღონდ, ახლა არ დამიწყო, სიბინძურე არისო და ეგეთები, თორემ რომ დავიწყებ ყვირილს... — ხმამაღლა იმუქერებოდა ქმარი, ხოლო ცოლს თბილად ეღიმებოდა. ეღიმებოდა, რადგან ძალიან უყვარდა, თორემ ისე, ქმრის ახირება რომ არა, საათნახევარში მანქანითაც მშვენივრად ჩავიდოდნენ და ბავშვსაც რაღაცას მოუხერხებდნენ.

მატარებელი დინჯად დაიძრა. ქაოსურად მოძრავი მგზავრები უმაღლეობზე მოთავსდნენ. დაჯდომა ვინც ვერ მოასწრო, იმითდა დაიწყნარა თავი, სამაგიეროდ ფანჯარაში შემიძლია თავის გაყოფაო. მთელი ეს ადგილებზე დაჯდომის პროცესი ძალიან ჰგავდა აი, იმ თამაშს, ბავშვებს რომ საბავშო ბაღში ათამაშებენ: მასწავლებელი პიანინზე უკავს რამე სისულელეს, ანცი პატარები წრიულად მდგარ სკამებს უვლიან გარშემო და ცქმუტავენ, რადგან იციან, რომ დასაჯდომი ადგილი ერთით ნაკლებია, ვიდრე თვითონ არიან. უეცრად მუსიკა წყდება, ბავშვები გიჟებივით ეხეთქებიან სკამებზე და ერთიც ძირს გდია. აქაც სწორედ ასე მოხდა, ვინც მოასწრო, დაჯდა, ვინც არა, კარგად მეყოლე, სიმაღლეში გაიზრდებიო. მათ წინ მდებარე ადგილები ასაკოვანმა ქალმა და კაცმა დაიკავეს. მართალია, „სავარძლები“ სამადგილიანი იყო და მსურველიც ბევრი გამოჩნდა, მაგრამ დაჯდომა ვერავინ გაბედა,

გარდა ორი კუთხურ კილოზე მოლაპარაკე მანდილოსნისა. სამწუ-ხაროდ, არც მათ გამოუვიდათ რამე, რადგან უმაღ „მოუგვარეს“. აქაოდა, აქ ბავშვი უნდა დავდოთ და იქ კი გასატეხი ბარგი წამო-ვაწვინოთო. არადა, მზრუნველი მშობლები გულში ფიქრობდნენ, რა გაუძლებს ახლა ამათ ქაქანსო და ერთმანეთს ასწრებდნენ უა-რის თქმას. თუმცა ჯერ სად იყვნენ. საუბრის დრო მაინც დადგა და ამ საქმისთვის კი ეს ორი ერთმანეთისთვის უცნობი ხნიერიც სრუ-ლიად საკმარისი აღმოჩნდა. დაინტეს ბავშვის ზნით და გადავიდნენ მისალებ გამოცდებზე, ოღონდ მთელი ეს საუბარი მიმდინარეობდა ისე ზედმინევნით და თემასთან ახლოს, რომ პატარა მათ თვალნინ გაიზარდა, დაჭაბუკდა და შემდეგ დაკაცდა კიდეც. ცოლ-ქმარი მაქსიმალურად ერიდებოდა დისკუსიებში ჩაბმას, რადგან სამსაა-თიან „გამორეცხვას“ წამდვილად არ ესწრაფვოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ცდუნება ძალიან დიდი იყო. ისინი იქ სისულელებს აბ-რახუნებდნენ, ცოტაც და „თეთრი გაშავდებოდა“.

ორთქმავლის „ნინმავალმა“ შთამომავალმა პირველსავე სად-გურზე მიაგდო თავისი „მერანი“ და შვებით ამოიხენება. არადა, ჯერ ქალაქსაც არ გასცილებოდა. ბავშვმა თავი წამოყო და „მუ-უ“-ო, ძროხას დაუწყო ძებნა. მშობელ-შამქმნელმა ჯერ ადრეა და დაიძინეო. იმან „ნანა-ნანაო“ და ამათმა კიდევ რიგრიგობით ჭან-ჭყარ-გამოლაყება დაუწყეს. ამასობაში კი, საუბარსა და რწევაში გართულმა მგზავრებმა, ვერც კი შენიშნეს, როგორ შემოემატათ კიდევ ერთი „თანამჯდომი“ მანდილოსანი, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია, რომ ვიღაცის იურისდიქციას არღვევდა. გაპროტეს-ტებისთვის, „ადე ზეზეო“, გვიანი იყო და თურმე, სწორედ ეს ერთი აკორდი აკლდა მათ ვერშემდგარ სიმფონიას.

პირველი ფრაზა ახლად შემოერთებული თანამგზავრისა: — ეგ თქვენი ბავშვი ძალიან ცოცხალი ვინმე ჩანს. აბა ის, ბოლო სავარ-ძელზე რომ უზით, საერთოდ ხმას არ იღებს, დონდლოა.

ცოლის ფიქრ-რეაქცია: — ნეტა ჩემიც ეგეთი მშვიდი იყოს.

ქმრისა: — ალბათ. — რა შუაშია? დავაი, რა, ქალბატონო დე-იდა.

ხნიერი კაცისა: — ეს ნამდვილად იეღოველია.

მომსუქნო ქალისა: — ეს ეტყობა ქალაქელი ინტელიგენტია და ამასთან ცოტა უფრო ჭკვიანურად უნდა ვისაუბრო (მისი ინტელი-გენტობა როგორ და რის საფუძველზე დაადგინა, თანაც პირველი-ვე სიტყვიდან, არავინ უწყის. სასწაული თუ გინდა).

თავად ბავშვისა: — პატივცემულო, ერთი ახლოს მოიწი, თმაზე უნდა დაგქაჩირ.

მეორე ფრაზა უცნაური ქალისა და თანამგზავრთა პირველი შთაბეჭდილება-შეფასება: — ჩემი შვილი სინგაპურში იყო ფიზი-კოსთა ოლიმპიადაზე წასული და ოქროს მედალი ჩამოიტანა იქი-დან, მაგრამ რად გინდა?! მისალებ გამოცდებზე არ უშვებენ ეს ბედოვლათები, დაიგვიანეო. სამართალია ახლა ეს? დაფასების მა-გირ ადექი და გარეთ დარჩიო. ესე იგი, ჩემი შვილი უნივერსიტეტ-ში სწავლის მაგივრად, ჯარში უნდა წავიდეს და ვიღაც ცარიელთა-ვიანები კი, ლექციებზე სიარულის მაგივრად, მზესუმზირას უნდა აკადემიურებდნენ სასწავლებლის კიბეებზე, არა?! ეს მოგვიტანა ამ ახალმა მთავრობამ? ეს არის ჩევნი წაქები მინისტრი? გეკითხებით, ასე უნდა მოექცნენ ნიჭიერ ახალგაზრდას?

ცოლის პასუხი: — დაუკავშირდით განათლების სამინისტროს და აუხსენით თქვენი მდგომარეობა და არა მგონია, ასეთი შემ-თხვევისთვის გამონაკლისი არ დაუშვან. ან საერთოდ აღარ გაიყ-ვანენ გამოცდაზე და ან მოგვიანებით დაუნიშნავენ.

ქმრის დუმილი და მის მზერაში ამოკითხული ფრაზა: — შრი-ლანკა თუ სინგაპური, იქ რა ჯანდაბა დარჩენია? რა ფიზიკის კონ-ფერენცია -ოლიმპიადა აუტყდა? პირველად მესმის. ჩემი მეზობე-ლი იქიდან ელექტრონიკას ეზიდება და მეცნიერება საერთოდ არ უხსენებია. მგონი, იქაურებს ვიწრო თვალები თუ ყვითელი კანის ფერი აქვთ. რა მნიშვნელობა აქვს, მკიდია. ისე კი, რა კარგი სანახა-ვი იქნებოდა ამისი დურბინდა-სათვალიანი და ღინდლ-ულვაშიანი ყმანვილი ყვავილებით მორთულ სინგაპურელთა შორის. თუ ეგ უკ-ვე იამაიკა-კანარის კუნძულებია? გეოგრაფიაც მკიდია.

ხნიერი კაცი: — დიახაც რომ, შენი შვილი უნდა წაიყვანონ ჯარში. ყველა მამაკაცმა უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულე-ბა სამშობლოს წინაშე. აბა, მარტო ფიზიკა-ქიმია რა ვაჟკაცობაა? აბა, ერთი წარმოიდგინეთ, რომ დავით ალმაშენებელს თავისი ლამ-ქრის მაგიერ ფიზიკოსების ათეული ინსტიტუტი ჰქონდა გახსნი-

ლი. განა გახდებოდა რამეს ზღვა მტერთან? არა, ჩემო ბატონო, და გეკითხებით, ფიზიკოსების ხარჯზე გაძლიერდებოდა სამშობლო? რალა თქმა უნდა, ვერა და აბა, ერთი ისიც წარმოიდგინეთ, რომ ორმოცი ათასი ყივჩალის მაგივრად, ქიმიკოსების ორმოცათასიანი ურდო ჩამოესახლებინა თავისი ლაპორატორიებითურთ. გამოვიდოდა რამე? ის ქიმიკოსები დაიცავდნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს? არა, არა და არა. ამიტომაც, უკლებლივ ყველა ჯეელმა უნდა იმსახუროს ჯარში და დარწმუნებულიც ვარ, რომ მაგ თქვენს ბედოვლათსაც გამოუძებნიან იქ სასარგებლო საქმეს.

მომსუქნო ქალი: — იცით, ქალბატონო, აი, ჩემი შვილი უნივერსიტეტში სწავლობს და იმისი ხაზეიყის ვაჟი, ვისთანაც ქირით ცხოვრობს, ინგლისში იყო ეგრე წასული, ეგეთ ესტაფეტაზე და მერე იქ ბინაც მისცეს, სამსახურიც და სწავლის ფულსაც უხდიან.

ისევ იმ ახლადდამგზავრებული ქალის პასუხი ყველას: — კი, ბატონო, დავრეკე იმ სამინისტროში და იქ ვიღაც სულელმა მდივანმა გოგომ, იცით, რა პასუხი გამცა? ეგეც გასარკვევია, ეგ თქვენი მედალი ნამდვილად ოქროსია თუ უბრალო სინგაპურული ლატუნია მოოქროვილიო. გესმით თქვენ, იმ ტუტუცმა და უნივერსიტეტიპლომიანმა გომბიომ, აქ თქვენნაირო ათასი რეკავს და ყველა რომ დააკმაყოფილონ, მაშინ მისაღები გამოცდები რალა საჭირო იქნებაო. წავიდეს თქვენი შვილიც ჯარში, დიდი ამბავი, აბა, მარტო დებილებმა ხომ არ უნდა იმსახურონო. დავიჯერო, ათასს ჰყავს ასეთი ნიჭიერი შვილი? და რაც შეეხება ჯარს, პატივცემულო, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველასთვის იქ სამსახური სულაც არ არის სავალდებულო. ინტელიგენცია ხომ უნდა ჰყავდეს ერს? თქვენი თქმით ახლა განათლებული ახალგაზრდობა საერთოდ აღარ გვჭირდება, და რა ვქნათ, დავდგეთ ყველა და ხმალი ვიქნიოთ? აი, წარმოიდგინეთ, რომ ახლა ჩემი ბიჭი ადგეს, ჯარში წავიდეს და ორი წელი მოცდეს. მერე კი, როცა დაბრუნდება, გულზე ხელები დაიკრიფოს და უსაქმურობით გაიტანჯოს? გეკითხებით, ამდენი მოცდენილი დროის შემდეგ, გამოვა კიდევ მისგან რამე? არ ჯობია ახლა, ეს ორი წელიც ისწავლოს? განა განათლებული ადამიანი ნაკლებად არგია თავის სამშობლოს? არა, არ გეთანხმებით, პატივცემულო. ვისაც სწავლა შეუძლია, იმან უნდა ისწავლოს, ვისაც არა და, კი ბატონო, იმსახუროს. ხოლო, რაც შეეხება იმ თქვენი ხაზეიყის ბიჭს, ქალბატონო, იმას, დანამდვილებით გეუბნებით,

რომ პატრონიც ეყოლებოდა, თორემ ჩემი ნაკლები ბეჯითი კი არ არის, სინგაპურში რომ არ დაიტოვეს. უბრალოდ უპატრონოა და მამით ობოლი. და აბა, მარტო ქალი რას უნდა გავხდე? თორემ, ხომ ხედავთ, ბიჭი ოქროს მედალოსანია და აქ კიდევ გამოცდაზეც არ უშვებენ, სხვა რომ აღარაფერი ვთქვა. ყველაფერს ბედი და პატრონი სჭირდება ამ დასაწვავ ცხოვრებაში, ჩემო კარგო ადამიანო, თორემ მარტო ნიჭით ვერას გახდები.

პოლემიკა შედგა, ნავსი გატყდა და ახლა უკვე უკან დახევას აღარანაირი აზრი აღარ ჰქონდა. უცნაურმა ქალმა სადაცეები ხელთ იგდო და ხმადაბალ შენიშვნას, ბავშვს სძინავსო, შემართებით შეაგება, სძინავს კი არადა, ეს შუშანიკი საერთოდაც უნდა ამოილო სასკოლო პროგრამიდანო. აბა, რა მიმდინარეობაა ეს ჰაგიოგრაფია, არც ლიტერატურულია და მით უმეტეს, შინაარსობრივი დატვირთვა ხომ საერთოდაც არ გააჩნიაო. ამაზე ხნიერმა მამაკაცმა სულ იელოველი უძახა, რითაც ცხადყო, რომ არცთუ უსაფუძვლოდ ეჭვობდა ოთხივე თანამგზავრის ზემოხსენებული სექტის წევრობას. რალა თქმა უნდა, ბავშვის გამოკლებით, რადგან ის ჯერ კიდევ იმდენად პატარა იყო, რომ დამოუკიდებლად არ შეეძლო ფერადი ბროშურების გავრცელება. მომსუქნო ქალმა კი, შუშანიკი რა შუაშია, ახლა ეროვნული გამოცდებიდან მოვდივარ და იქ ისეთი სირთულის კითხვა მოვიდა, რომ თვით მინისტრიც ვერ გასცემდა პასუხსო. ამათ, აბა, როგორიო და იმან კიდევ, სიტყვა „როყიოს“ განმარტებაო. ხნიერმა კაცმა, ვაი, თქვენ მართლა აბდლებო, და ატება ხარხარი. ცოლ-ქმარი დიდხანს არიდებდა თავს ამ პაექრობას, მაგრამ ზემოთ ხსენებული სცენის შემხედვარე სიცილით გაიგუდა. უცნაური ქალი კი არ ცხრებოდა და კვლავინდებურად თავს დებდა, სწორედაც რომ უპატრონო ბავშვებს მოუგონეს ეგ კითხვა, თორემ პატრონიანებს ტესტის სულ სხვა ვარიანტები მისდითო. მომსუქნო ქალმაც, ვაი დედა, ჩემს შვილსაც ეგ კითხვა მოუვიდა და მე მგონი, დამრჩა ბავშვი გარეთო. არადა, ჭკვიანი გოგოა, ჯერ ახლა აბარებს და უკვე ინგლისურში რეპეტიტორობსო. ხნიერმა კაცმა, ვაი შენ და როყიოსიო. სად ისწავლა მაგ შენმა სოფლელმა გომბიომ ეგრე კარგად ინგლისური, რომ ახლა სხვასაც ცოდნის შუქს ჰავენსო: თქვენი სოფლის სკოლაში, თუ სექტანტების კოშკურაში, სადაც დახმარებისათვის განკუთვნილ შაქარსა და ფეხილს აფასოებდაო?

ამ ყაყანსა და ცოლ-ქმრის მოურიდებელ ხარხარში პატარასაც

გამოედვიძა და ყველას თითის ჩვენება დაუწყო, ვითომც ერთი ხლისა ვარ და ცოტა ყურადღება მეც მომაქციეთო. უცნაური ქალი რატომძაც უკვე „ვეფხისტყაოსნის“ საზეპიროებს იძახდა და თან მჯიდს იცემდა მილეულ მკერდში, აქაოდა ძალიანო. მომსუქნო ქალბატონმა, მოდით, ერთმანეთს ხელები ჩავჭიდოთ და ეროვნული გამოცდების კომისიის წევრების თავები შევავედროთ უფალს, განა ეგენი „ხალხები“ არააო. ხოლო ხნიერი კაცი მთელ ხმაზე გაიძახდა, თქვენ რჯულძალებო, მაგ ყველას, მე პირადად, „არსენა მარაბდელი“ მირჩევნია და თუ გინდა, მომკალითო. ის ფაქტობრივად ჩვენს მთავრობასავით იყო — „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს და აპანოშიც მხოლოდ ტუსალობისას დადის“, ოლონდ ერთი განსხვავებით, რომ მას სოროსი არ აფინანსებდაო. მოკლედ, სიტუაცია აირია და ყველა თავისას მიაწვა. ხნიერი კაცი მოურიდებლად იგინებოდა და გულმოსული ირტყამდა ხელს მუხლის თავებზე. მომსუქნო ქალბატონი რატომძაც ჩაბდაუჭებოდა და პირზე იფარებდა. სავარაუდოდ, ან კბილები აკლდა და ან კი ზედმეტი ჰერნდა, თანაც ოქროსი. ხოლო უცნაური ქალი კოხტად დავარცხილ თმას ინენავდა და ვიღაც გამომბალველ მღვდელს აქილიკებდა, რომელმაც თურმე ბავშვები იმიტომ არ აზიარა, რომ ამ უკანასკენელთ ძლვენი არ მიართვეს. ცოლ-ქმარი უკვე ვაგონის სხვადასხვა მხარეს გარბოდა სიცილისაგან ჩაბჟირებული და იმასაც კი ვეღარ ამჩნევდა, რომ მათი ნანატრი პატარა სრულიად დამოუკიდებლად იდგა სავარძელზე და ფანჯრის რაფაზე დაყრილ მზესუმზირის ნაფცვენებს გეახლებოდათ. მთელი შემადგენლობა, პატარა სასაცილო ბიჭის ჩათვლით, რომელიც დედას ეჯდა კალთაში და უწმანურ შაირებს იძახდა, ხალისობდა. არავინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ეს არეულობა, რომ კონტროლიორს არ ჩამოეარა, უცნაურ ქალთან არ შეჩერებულიყო და ბილეთის ჩამორთმევის შემდეგ, მომდევნო ფრაზა არ დაებრეხვებინა: — ეს გიჟია და თქვენ კიდევ სულელები ხართ, რომ ამას აყოლინხართ. — ამის თქმა იყო და ყველა ერთბაშად დადუმდა, თითქოსდა რაღაც-ნაირად დაიმორცხვესო. არადა, რომ გეკითხათ, ეგ ამბავი, ანუ მისი შეურაცხადობა, არც ერთის გამჭრიას თვალს არ გამოპარვია, თუმცა პოლემიკაში ჩაბმა არავის უთა კილია. მატარებელმა კი, რაღაც სიჩუმე ჩამოვარდა, დრო იხელთა, აქაოდა ჩერიც დადგაო და არიხინდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ჯერ აწრიპინდა, თითქოს

ბევრ მინდვრის თაგვს გადაუარა ერთდროულადო, შემდეგ სვლას უმატა და აქოშინდა ნამთვრალევი კაცივით, ბოლოს კი თითქოს ამოახველა სასულები მომდგარი ნამცეციო, შვებით აგუგუნდა... ცა — ფირუზი, ხმელეთ — ზურმუხტო, ჩემო ლამაზო მხარეო... მი-დოოდა, მიიმდეროდა და თან თავის ფიქრს ფიქრობდა. „თავშესაქ-ცე“ ფიქრს, რომელსაც მისთვის უკვე თამაშის სახე ჰქონდა მი-ღებული. ფიქრი, რომელიც არავინ უწყოდა, თუმცა კი ის სხვა არც არფერი იყო, თუ არა მგზავრთა მზერაში ამოკითხული ამბები. ანუ თამაში სახელად: „სხვისი ცხოვრება“. აი, ისიც:

„შცნაშრი შალი“

მატარებლის კარები გაიღო და ვაგონში შემოაბიჯა შუახნის ქალბატონმა. მას ეცვა ლურჯი პიჯაკი, თეთრი გრძელსაყელოებიანი ჰერანგი და ნაცრისფერი შარვალი. შორიდან მატარებლის გამცილებელს ჰგავდა კოხტად დავარცხნილი, უკან ანეული და მრგვლად დამაგრებული თმით. ტუჩზე ნითელი ფერის საცხი ესვა და უჩვეულოდ ნაზი სახის კანი ჰქონდა. დიდი შავი თვალები ნახმირის მუგუზლებივით უელავდა და ისე მალიმალ დაურბოდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანს მალავსო. ახლოდან ეს სურათი უფრო ფერმკრთალდებოდა. ტანსაცმელი ძალზე გაცრეცილი და გახუნებული იყო, თმა ჭაღარაშერეული და თვალები კიდევ ოდნავ ჩაცვენილი. ფეხსაცმელი უხეში, სათრახუნო, დიდცხვირიანი და დახეული. მთელი მისი სიკონტავე ერთ ძველ, ჩაყვითლებულ ფოტო-სურათს წააგვდა და რა გასაკვირია, რომ სულის მდგომარეობაც გათანაგული ჰქონდა, მაგრამ არა. გამხდარ, გადატკეცილ სახეზე შავი მაყვალივით დიდი თვალები უელავდა. თვალში საცემი თვალები. საოცარი ნაპერწკლით ანთებული თვალები და თან რაღაც-ნაირად საშიში. პირველი, რაც მის იერსა თუ სახეში იკითხებოდა, ეს იყო სწორედ მისი მზერა და არა გახეხილი ტანისამოსი. ოდნავ თავხედური, გამჭოლი და დამატყვევებელი გამოხედვა. ათასობით ადამიანი ისე ჩაგივლის, თვალი არავისკენ გაგებული, ხოლო მისი მზერა მეორედ მოხედვას აიძულებდა ყველაზე ზარმაც თვალსაც კი. ის ღია იყო ყველასათვის და უძირო კერანეთა ფსკერივით, რი-

თაც ერთგვარ ფარულ შფოთსაც კი იწვევდა წამიერად დატყვევებულებში. რატომ? უჩვეულო სხივი ედგა მზერაში და თითქოს ამ სინათლეში ყველა თავისი მწვალებელს პოულობდა. მწვალებელს, რომელიც თავისი ბურნებით არც ცუდია და არც კარგი. სწორედ ამიტომაც, ერთი შეხედვაც საკმარისი იყო, რომ მისი მზერა ძალიან დიდხანს გაგყოლოდა თან და შემდეგ კი, ყოველ მის გახსენებაზე დაგუფლებოდა განცდა ამქვეყნიური ზღვარის წაშლისა.

— ეგ თქვენი ბავშვი ძალიან ცოცხალი ვინმე ჩანს. აბა, ის, ბოლო სავარძელზე რომ ზის, საერთოდ ხმას არ იღებს, დონდლოა — ქალმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და აწრიალდა, რათა უკეთ მოკალათებულიყო.

— ალბათ. — უღიმღამოდ წარმოთქვა ქმარმა და ცოლს გადახედა, ახლა ამას რა გაუძლებსო. იმას კი გაეღიმა, ჯერ სადა ხარო და მართალიც იყო. კაცმა უნებურად ქალს ახედა, რათა უკეთესად შეესწავლა თავისი მწვალებელი და სწორედ მაშინ დაიჭირა მისი უცნაური მზერა. ძალიან არ ესიამოვნა და თითქოს გულზე რაღაც შემოაწვა. მიხვდა, რომ არსებული სიმძიმე იმ ქალის თვალები იყო, ხოლო უსიამოვნო შეგრძნება, მისი მზერა.

უცნაური ქალი თვრამეტი წლის იყო, როდესაც სულის საუცხოო მოძრაობა იგრძნო. დააჯდა რომელილაცა რაიონის რომელიდაც სოფელში მიმავალ ავტობუსს და ეს თავისი მგზავრობა გასეირნებად მონათლა. ორ საათში ჩამოქვეითდა და ტყისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ იცოდა, სად იყო, თავი მაინც ძალიან თამამად ეჭირა. ტყის ბილიკმა ხევში ჩაიყვანა, ხევმა კი მდინარის პირას. მდინარეს ფართო და ქვიანი კალაპოტი ჰქონდა. წყალმარჩხობა იყო და შიშველი რიყე ურცხვად აფიცხებდა მზეს თავის თეთრ გვერდებს. სეირნობით კმაყოფილმა და განწყობამალებულმა ქალმა ქოლგა გაშალა, აქაოდა თავში მზე არ ჩამივარდესო, მაგრამ ვაი, რომ მზის ჩავარდნა ერჩივნა იმ მოგონებებს, რომლებმაც სიცოცხლე გაუმნარეს. რიყეზე ვიღაც ორი კაცი ფუსფუსებდა. სატვირთო მანქანა გაეჩერებინათ და ბრტყელი ქვებით ტვირთავდნენ. ეტყობა, ყორეს აშენებდნენ და ამიტომაც ქვას საგულდაგულოდ არჩევდნენ. ცნობისმოყვარე ქალმა გეზი მათკენ აიღო, გამოველაპარაკები და იმას მაინც გავიგებ, სად ვიმყოფებიო. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სატვირთოს და სწორედ იმ დროს, როცა ძარას გაუსწორდა, შეამჩნია, რომ მძღო-

ლი მანქანას ამოფარებოდა და შარდავდა. ქალი იმდენად ახლოს აღმოჩნდა მამაკაცთან, რომ ცხელი შარდისა და სველი ქვის სუნიც კი ეცა. ცხვირზე ხელი მოიჭირა და „ფუ, შე საქონელოო“ მიაძახა კაცს. ის კი ძალიან დაიბანა, რადგან ნამდვილად არ ელოდა ამ უკაცრიელ ადგილზე ქოლგიან მანდილოსანს და იმის ნაცვლად, რომ უხერხულად შემმუშავებულიყო შარვლის ელვის ძიებისას, პირდაფჩენილი მისკენ შებრუნდა. იდგა ასე გაქვავებული და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელს უჭერდა ისედაც გალურჯებულსა და თითქმის მუხლამდე ჩამოკანიალებულ სარცხვინოს. ამის დამნახავი ქალი კი საერთოდ აირია. განითლდა და განინმატდა. შეიცხადა ისე, როგორც ეს მაღალი წრის პატიოსან ქალიშვილებს ჩვევიათ და მყისვე იერიშზე გადავიდა. ქოლგა დაკეცა და თავდასხმისთვის გაემზადა. ჯერ ერთი-ორი მკლავებზე მოსცხო და მერე კი კარგი ქოქოლაც დააყარა. კაცი იდგა გალენებული და ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ როგორც კი ქალმა წელს ქვემოთ სცადა დამაგვირგვინებული დარტყმის მიყენება, უმაღ გამოფხიზლდა და თავდამსხმელი მსხვერპლად აქცია. ინსტინქტურად ხელი უშვა სარცხვინოს და მოიერიშეს მაჯა დაუჭირა. ქალმა სიმწრისგან შეჰკივლა და გამოთავისუფლება სცადა. კაცი დაეჯაჯგურა და ის იყო, ხელი უნდა გაეშვა, რომ მის მზერას გადაანყდა. თვალებში ჩახედა და თითქოს ეგრევე ყველაფერს მიხვდა, თავისკენ მიიზიდა. ქალი აფთარივით იბრძოდა და ალბათ, ამიტომაც გამოეპარა კაცის ამღვრეული მზერა და სველი ტუჩები. შემდეგ, თითქოს, სულ რაღაც ერთი წუთით, ორივენი შედგნენ და სწორედ ამ მოჩვენებითი სიმშვიდის დროს, კაცმა ხელუკულმა გასცხო და მანქანის საბურავთან მიაგდო. ქალს თავბრუ დაეხვა და ერთი ამოიკვნესა, ვაი დედაო, ხოლო კაცი ნადირივით მიახტა, ერთი შენი დედაცო. ხელები ზურგს უკან გადაუგრიხა და ტანსაცმლის შემოხევა დაუწყო. კოპლებიანი ჩითის კაბა რომ გააძრო, მერე საცვალს სწვდა და ერთი ხელის მოძრაობით შემოაძარცვა. თეთრმა ძუძუებმა მზე აირეველეს და კაცის დაბინდულ გონებას ახლა მხედველობა წაართვეს. რეტდასხმულმა მოძალადემ შლეგივით აძგერა ქალს ხელი ღავებშუა და ისიც გატყდა. სისველეს გაყოლება მთელი თავისი წინააღმდეგობა. მართალია, დიდხანს ებრძოდა, მაგრამ მერე ტკივილმა გააბრუა და სიამოვნებამ გათანგა. კაცის მხურვალე თითები გაუგონარი სისწრაფით დარბოდნენ მის ტანზე და უმოწყალოდ ჯმუჯნიდნენ მის ნაზ კანს.

მთელი სხეული წითელი ლაქებით დაეფარა და ნირნამხდარი ქალიც მინებდა და ვგონებ, იმ წუთს არც არაფერი უნანია, რადგან ბედნიერება სწორედაც რომ დიდი უბედურების უამს ეწვია. გონებადაბინდული ქალი სიამოვნებისაგან ცხოველურ ხმებს გამოსცემდა. კაცი კი სულ უფრო გაშმაგებით ლოშნიდა მკერდზე, ულოკავდა ტუჩებს და ქვებისგან დაკანწრულ დუნდულებს ძალზე ძლიერად უსრესდა. ქალი თავდავიწყებით კვერცხდა და მისი უინიანი ამაოხრებელიც წელს სულ უფრო მძლავრად იქნევდა, თითქოს და შუაზე გაპობას უპირებსო. კაცს ორჯერ, ერთმანეთზე მიყოლებით გააკანკალა და ქალმა კი ვინ მოსთვლის რამდენჯერ დაიპყრო სიამოვნების მწვერვალი. მათმა შემყურე მზემაც თითქოს დაბლა დაინია და ჰერი ათმაგად დაიხუთა. არემარე სქესის სუნს გაენაყოფიერებინა.

თხუთმეტ წუთში კაცი მუხლებზე იდგა და „გასისხლულ“ მსხვერპლს დასჩერებოდა. ქალი გაუნდრევლად იწვა და საჩვენებელ თითს წუნიდა. სადღაც შორს, ცაში იცქირებოდა. მამაკაცი რაღაცნაირად, უნიათოდ წამოდგა და ეგრევე მანქანის კარებს მიაშურა. გიშვივით ჩააფრინდა საჭეს და ცალყბად გამოსცრა: „აბა, მე რა ვიცოდი, შენ თუ ქალიშვილი იყავი“. ამ სიტყვებს ქალის გონებამდე არ მიუღწევია, რადგან ის მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც სატვირთოს ძრავის ღმული შემოესმა. უაზროდ წამოჯდა და დალურჯებულ-გასიებული თითები სახეზე მოისვა. თმა შუბლზე მიკვროდა და ღანვები საშინლად უხურდა, რადგან კაცის გაუპარ-სავ პირისახეს დაესუსხა მისი ნატიფი კანი. მანქანა გამეტებით მიქროდა რიყეზე და უმისამართოდ ისროდა ქვებს ბორბლებს ქვემოდან. ქალს ეგონა რომ ძველ, შავ-თეთრ კინოსურათს უყურებდა, რომელშიც რიყეზე მსრბოლ სატვირთოს ვიღაც ჯმუხი კაცი მის-დევდა. შემდეგ იმ კაცმა ძარას ხელი ჩავლონ და მანქანას შეახტა, ხოლო მძღოლმა ფანჯრიდან გადმოყოფილი ბალნიანი ხელი მოიფხანა და გადააპურჭყა. ქალს მერელა გაახსენდა, რომ ისინი ორნი იყვნენ, თუმცა კი იმ მეორესთვის საერთოდ თვალი არ მოუკრავს, როდესაც ის პირველი მას აოხრებდა.

ქალი მძიმედ წამოდგა და მდინარისკენ წალასლასდა. მკლავებზე ჩამოქენძილი კაბის ნარჩენები მოიძრო და წყალს მისცა სხეული. მდორე მდინარე სხეულს მხოლოდ ნახევრამდე უფარავდა, მაგრამ მისთვის ესეც საკმარისი იყო, რათა ღრუბლებისთვის ეცქირა და

სხვა არაფერი ეგრძნო, გარდა სასიამოვნო სიგრილისა. მომხდარზე ფიქრი არც კი უცდია, რადგან გუმანით ხვდებოდა, რომ ამის-თვის მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა. უბრალოდ იდგა, ძუძუებს მზეს აფიცხებდა და დამბალი ბოქვენის თმას გულგრილად იგლეჯდა. წყალიც უმალ ლერებად შლიდა ერთ მუჭად მცურავ თმას და სხვადასხვა მხარეს მიასრიალებდა. თითქოს ტიროდა, მაგრამ არა თვალებით, რადგან ცრემლები დაშრობოდა. თითქოს მომავლის სჯეროდა, თუმცა არა გულით, რადგან ის ცარიელი ჰქონდა. თითქოს ბედნიერიც იყო, მაგრამ არა სხეულით, რადგან უცნაური იარებიდან ცოდვილი სისხლი სდიოდა. წყლიდან ამოვიდა და კაბის ნაგლეჯების გადაბმას შეუდგა. ერთგვარი პერანგი გამოუვიდა, რითაც სიშიშვლე დაიფარა. წელში გაიმართა და მარცხენა ხელით მზე მოიჩრდილა. მოშორებით გამავალი გზატკეცილი შენიშნა და მისკენ აიღო გეზი. დამტვრეული ქოლგა გაშალა და წავიდა...

მერე ძალის დიდხანს ეგონა, რომ ფეხმძიმედ იყო. ერთი თვის თავზე, დაუინებული ფიქრისა თუ სხვა რამ მანქანების გამოისობით, ციკლი დაერღვა და ამან რწმენა ორმაგად გაუძლიერა. გადაწყვიტა, რომ სუსტად იყო, თავბრუ ეხვეოდა და გულიც ერეოდა. წოლითი რეჟიმი დაინიშნა, რადგან ნიშნები აშკარად ტოქსიკური ფეხმძიმობისა ჰქონდა და ხანგრძლივად წამონვა. იმ კაცზე და რიყეზე მომხდარის შესახებ არავისთვის უამბნია, ამაზე ფიქრით თავი დიდად არც შუნუხებია, რადგან ახლა უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი გასჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩანასახი სულაც არ იყო სიყვარულის ნაყოფი, მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბავშვის გაჩენა, რადგან მისი მრნამსიდან გამომდინარე, ის ღმერთს ვერ შესცოდავდა და მუცელს არ მოიშლიდა. იმდენად მოინადინა მოლოგინება, რომ კუჭში გასვლისაც კი ეშინოდა, აქაოდა ჭინთვისას ნაყოფი პლაცენტას არ მოშორდეს და დენა არ დამეწყოს. იმდენი ითმინა, რომ კარგადაც გაიბერა და ნალდ ფეხმძიმეს დაემსგავსა. სამი თვე ასე შეერულმა ცოტა იარა, მეტნილად იწვა და მერე კი საერთოდ ძმასთან გადავიდა საცხოვრებლად. მარტო ცხოვრებისა და გულყრების შეეშინდა, თავსა და ნაყოფს რამე ხიფათი არ მოვაწიო. რძალს კი ტყუილი უთხრა, წელეკავი მჭირს და დამოუკიდებლად მიჭირს ცხოვრებაო. ჯერ ისედაც არ ჰქონდა ნერვები დალაგებული და ახლა, კუჭში გაუსვლელობის ფონზე, ნამდვილ „მამალ“ გიჟად იქცა. მართალია, შიზოფრენიკი მამიდა

არავის ეპიტნავებოდა, მაგრამ ერთი პატარა ფარდული ზრდილობის გულისათვის მაინც გამოყენებული შეწუხდება და მალევე წავაო. თუმცა კი ცდებოდნენ, რადგან მეტი ფართი არც მას სჭირდებოდა და კომფორტით ხომ არც ადრე უცხოვრია. ინვა მთელი დღე ფიცრის ნარჩე და მომავალ შვილზე ფიქრობდა, ნეტა ქერა იქნება თუ შავტუხაო. დღე დღეს მისდევდა, საათი საათს და მისი ყოფა კი სულ უფრო ემსგავსებოდა დავინყებულ სიზმარს. სიზმარს, რომელიც დილითაც აღარ გახსოვს. ალბათ, ამიტომაც, შეწუხებით მას არავინ ანუხებდა და ჭამით კი, ძირითადად, ლოგინის უკანა კედლიდან ჩამოფხეკილ თაბაშირს გეახლებოდათ, ვითომდა კალცი მაკლიაო.

ასე ინვალა სამი წელი „სანახევროდ კუჭში გასულმა”, ციკლდარღვეულმა და ვედროებით თაბაშირნაჭამამა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს მიხვდა, მგონი მუცელი მომეშალაო და ძალიან ეწყინა. დეპრესიისათვის თავი რომ დაეღწია, საქმე გამოიგონა. გულის გადასაყოლებლად მატარებლით დაიწყო „სეირნობა”. არა, იმ კაცს სულაც არ ეძებდა და არც რიყის დანახვაზე უჩქარდებოდა გული. უბრალოდ, მგზავრობდა და საუბრობდა. ლაქლაქებდა გაუთავებლად და ჰყვებოდა ათას ტყუილსა თუ მონაგონს. ამბობდა, რომ ვითომ, ორი შვილის, ქალ-ვაჟის, დედა იყო. ქმარი ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში ჰყავდა დაღუპული და ახლა გარდაცვლილი მეუღლის „დამპალ“ ნათესაობას ეჭიდავებოდა კუთვნილი ბინისათვის. თუმცა, ვგონებ, თავადვე სჯეროდა საკუთარი გამონაგონის და ეს, ალბათ, მისგან გასაკვირიც არ იყო. ასე და ამგვარად, აბრუნებდა ერთსა და იმავეს, გაფუჭებული პატეფონით. დააყენებდა ხოლმე უშველებელ ბაქიბუქს და მერე, სადაც თავში გადაუტრიალდებოდა, იმ სადგურში ჩადიოდა, ყოველგვარი „ნახვამდისა და კარგად მენახეს“ გარეშე. მოიცდიდა რამდენიმე საათს, სანამ მომდევნო მატარებელი ჩამოდგებოდა და მერე კვლავ იგივე მეორდებოდა, ოღონდ ახლა უკვე უკანა გზაზე. ბოლოს, მივიდოდა სახლში დალლილ-გაოხრებული და მიეგდებოდა თავის ფიცრულ ნარჩე. გადაპყიდებდა თავს უკან და ინყებდა ახალი ამბის თხზვას ხვალინდელი დღისათვის: „ჩემი შვილი სინგაპურის ფიზიკოსთა ოლიმპიური ოქროს მფლობელია, და...“

ზნიერი კაცი

რაღა თქმა უნდა, ის ყოველთვის ხნიერი არ გახლდათ და იყო დრო, როცა ჭალარა ულვაში შავ ზოლად „გადაკვანწოდა“ ტუჩზე-მოთ. ჰქონდა მკვრივი სხეული, მაგარი მუხლი და ძლიერი მკლავი. კოლმეურნეობაშიც იყო განევრიანებული და აგრონომობაც ენადა, მაგრამ იქ, საბჭოსდამაცვარობაში უთხრეს, რომ ჯერ ჯარი და მერე კი ციტრუსებიო. იმანაც, რა გაეწყობაო და მოირგო „სალდათის“ ჭაობისფერი (გონივრულად შერჩეული ფერია) ფორმა. საკუთარი ინიციატივით ისწავლა მწყობრში სიარული და ხმამაღალი შეძახილი ურაა.. იმათაც, უფროსობამ, „მალადეც ზა მოტივაციუ“-ო და ჯერ თავი გადაპარსეს, მერე კი ციმბირს იქით რომ ქვეყანაა, იქ გამწესეს, აქაოდა საბჭოეთის სასაზღვრო ზოლი, შენ თუ არა, აბა, სხვამ ვინ უნდა დაიცვასო. იმანაც „ხაჩალნიკის“ გულის ამაჩუყებელი სიტყვებით შთაგონებულმა, მჯილით მოიწმინდა სიხარულის კურცხალი და ყოვლად ძალდაუტანებლად თავი დურთა უკარ-უფანჯრებო მატარებლის ვაგონში (არადა ცოტათი აღრე, სწორედ მაგ ვაგონებში ხალხს სულ ძალით ტენიდნენ და ხელში მხოლოდ „ცალი“ გზის ბილეთს აძლევდნენ). მთელი ორი კვირა იმგზავრეს, ჯერ ჯოჯოხეთურ სიცხეში და მერე კიდევ ძვალში გამჯდომ სიცივეში. პირველი კვირა ნიღხვის ამარა იტანტალეს ნახევრადბნელ ვაგონში, აქაოდა, გვცხელა და იმიტომ, თორემ კაცის სიშიშვლე რა მოსაწონიაო. ხოლო მეორე კვირას, სულ ერთმანეთს ეხუტებოდნენ ეს ჯან-ლონით აღსავსე ჯელები, ოფიცრებმა რაც უნდა ის იფიქრონ, მთავარია, ჩვენ გავთბეთო. მერე, როგორც იქნა, მიატანეს იმ საზღვარსა თუ დედამიწის კიდეს და შეუდგნენ სამხედრო ვალდებულებას. უფრო სწორედ კი, ერთი სამეთვალყურეო ჯიხურიდან მეორემდე მანძილის ნაბიჯებით ზომვას. აბა, დასაცავი იქ არაფერი იყო და გადავარდნით კიდევ არა მგონი, ვინმე მაინცდამანც იქ გადაჩესილიყო, მიუხედავად იმისა, რომ დედამიწის კიდე ერქვა. რაც შეეხება მტრის მოულოდნელ თავდასხმას, ეს ხომ გამორიცხული გახლდათ, რადგან ყველამ დანამდვილებით იცოდა, რომ თვით უძლეველი ქიმერებიც კი ვერ გაძედავდნენ იერიშის მიტანას, მითუმეტეს, იქამდე ჩასვლაც ხომ იყო საჭირო? ჰოდა, ასე ზომა ნაბიჯებით მთელი სასაზღვრო ზოლი ორი წლის

განმავლობაში და რომ გეკითხათ „კაზარმიდან“ ჩეჩიმამდე რა მანძილიაო, დაზუსტებით ვერაფერს გეტყოდათ, რადგან კარგად უწყოდა თეორემა, რომ ჰქონდათ ნივთებს სიცივეში დაპატარავებისა და სიცხეში გაზრდის თვისება. იქ კი ისეთი სიცივეები იცოდა, რომ მკვიდრი მოსახლე მეტრ და ოცზე მეტი სიმაღლის არ იზრდებოდა. აბა, ჩვენთან რომ აიწონებიან ალვის ხეებივით, ეგრე კი არ იყო. იქ გამუდმებით ყინავდა.

რაც იქ იმსახურა, მზე სულ სამჯერ ნახა და ისიც ნახევარი საათით. ბედნიერი ხარო, ეუბნებოდა „კეთილი შურით“ (სინამდვილეში ეგეთი განცდა არ არსებობს და არავინ მოგატყუოთ) წვრილთვალა მეგობარი, რადგან ამ უკანასკნელს საერთოდ არ ენახა ამგვარი მოვლენა საზღვარზე ყოფნისას. სამივეჯერ დამენათევ-ნამორიგვი იყო და ეძინა. დანარჩენ დროს კი, როცა მზე არ იყო და ის „პოსტზე“ არ იდგა, „სამაგონს“ სვამდა, რომელსაც, ვგონებ, ქეჩის ჩექმებისგან ხდიდნენ. შემდეგ თვრებოდა უმოწყალოდ და ფანჯარასთან მდგარ ზედა ნარზე წვებოდა. ფანჯრის მეორე მხარეს კი მისი ევრეთ წოდებული მეგობრები ბოძებით ხელში დარბოდნენ გათოშილები წინ და უკან, რითაც ძმაბიჭს კაეშანს უქარწყლებდნენ, ვითომცდა არხეინად მგზავრობ მატარებელით და ფანჯარაში იყურებიო. მერე ესეც ბეზრდებოდა და როდესაც უკვე უზომოდ მოეძალებოდა თბილი მინის ხოსტალგია, იწყებდა ოთხკუთხედთავიანი „ჩუჩიმეების“ წიხლებით ცემას. თქვენ რა იცით ღვინის ფასი, თქვენი დედაც კი ვატირეო. ასე გრძელდებოდა თითქმის მთელი ორი წელი და ბოლოს იმდენი ქნა თავისი თავნებობით, რომ ერთი უსიამოვნებაც შეემთხვა. ნამთვრალევი საცვლების ამარა სიგარეტის მოსანევად გავიდა ეზოში და სანამ ერთი ღერი „ჩაკლა“, მარცხენა ფეხის სამი თითო გაეყინა და ფილტვში წყალი ჩაუდგა. იქაურ „მედპუნქტში“ ბევრი ატრიალეს წინ და უკან ცარიელი ჯამივით და ბოლოს დაასკვნეს, აქ ჰავა არ უხდება და უმჯობესი იქნება, სახლში გავგზავნოთო. „უ ვას ტამ სოლნცე ი გაზიროვანნაია ვადა“, თქვა სათვალეებიანმა ექიმმა და სამედიცინო სპირტი გადაჰქა, ხოლო „ზაკუსკად“ გაჭვარტლული მუყაოს ნაგლეჯს უყნოსა.

ახლა უკვე აქეთობისას იგრიხინა ორი კვირა და როდესაც სამშობლოს მიატანა, იმის ნახევარი იყო, რაც იქიდან გამოგზავნეს. ძლივს მილასლასდა მშობლიურ ეზო-კარამდე და ზედ ზღურბლთან მუხლებზე დაეცა. გულამომჯდარმა ჯერ მინას დაუკოცნა „სითბო“

და მერე კი დედას ემთხვია კალთაზე. მოხუცმა რუდუნებით ჩაიკრა გულში და ჰყითხა, რა ქენი, შვილო, როგორ მოიარეო? ამან კი მიუგო, ბევრი ვერაფერი დედიჯან, მაგრამ ერთი „პადაროკი“ მაინც ჩამოგიტანე, მოჭრილი სამი თითო და ფილტვებით იქაური წყალით. რაღას იზამდნენ, ჯერ ბევრი იტირეს და მერე უმკურნალეს. სახელმწიფო გვერდში ამოუდგა. ნამსახურები ორი წელი ოთხად ჩაუთვალეს მეცაცრი პირობების გამო და ინვალიდობის პენსიაც დაუნიშნეს. ჰოსპიტალში წამალი არ დააკლეს და შტაბში კიდევ — მედალ-ეპოლეტები. ბოლოს ერთი საგზურიც გამოუყვეს „მინვოდში“ და თან ხელის ჩამორთმევით დამოძღვრეს: „პარუომ, ნარზან ადინ ჩორტ, სერნაია ვადა ლურშე ვსეხ“. აქაურ ექიმს კი წითელი ღვინო და მრგვლად მოხარმული დედალი უყვარდა და საერთოდ არ უწყოდა, სადმე შებოლლილ მუყაოზე თუ ქეიფობდნენ.

დასვენება კარგი გამოვიდა, ოღონდ ერთი კი იყო, რომ მოხუცი დედა ხშირად იჯდა „წინკარში“ გვიანობამდე და შარას გასცეროდა, ნეტა ასე ძლიერ რად იგვიანებს ეს ჩემი ბიჭი, რამე ხიფათს ხომ არ გადააჩყდაო. ბიჭმა კი ნამდვილად დაიგვიანა და თანაც კარგა ხნითაც. იმდენი ქნა და ივაჟუაცა, რომ ორკვირიანი საგზური სამი თვით გააგრძელა და ლამის ცოლიც მოიყვანა. დაისვენა, მაგრამ რა დაისვენა?! ჩავიდა თუ არა დანიშნულების ადგილზე, იმ ღამესვე დაერია უცხო ტომის ქალებს და სულ „ახ ტი კაკო შალუნო!“ აძახებინა. იქაურ მანდილოსნებს თურმ „სამაგონზე“ ეკეტებოდათ ჭკუა და რა ანახა ამან მშობლიური ჭაჭა და თანაც ათი ლიტრი, იმ დღის მერე სულ ზედ ეჯდნენ, როგორც მას, ასევე ბალონს. ისიც ძალიან კმაყოფილი ამ ამბით, ბედს არ უჩიოდა და ქვეყანა თავისი ეგონა, მაგრამ ცხოვრება ხომ აღსავსეა მოულოდნელობებით და არც მას შეერგო დიდხანს ეს ბედნიერება. წუთისოფლის ირონით, თუ სხვა რამ მანქანებით, გადაეყარა ერთ არამსმელ ქალს და როგორც ინდივიდუალიზმისა და ორიგინალობის დიდი მოტრფიალე (ჯიშ-ჯილაგ-ერი ჰქონდ-ჰყავდა ეგეთი), უმაღ მას დაეძგერა. რით აღარ სცადა ქალის გულის მოგება, ხელებზეც კი გაიარა და ოთხი უდანაშაულო თავისზე დიდი მუტრუკიც მიბერტყა ცალი ხელით, მაგრამ სულ ტყუილად. ის ქალი სხვა ზნე-რჯულ-რწმენისა გამოდგა და იმის მაგიერ, რომ ყოველ საღამოს მისი საჯიშე გაენებივრებინა ზღვა ალერსით, იჯდა ღამპიონის ქვეშ და ბიბლიიდან ამოკრეფილ ნაწყვეტებს უკითხავდა. ამან ეგენი ისედაც სულ ზეპირად

ვიცი და მოდი, რამე სხვა მასწავლეო. იმან კიდევ, უშნოდ ნუ იკრიჭები და შენ რაც იცი, ეგ მცდარია, მართებულს მე დაგანახვებო. კაცმა მართებული და სწორი ჩემი მეორე სახელია და წამო ჩემთან ნომერშიო. ქალმა ზურას უკაცრავად, მისამართი შეგეშალათო. მართი არ მოეშვა და მაშინ დედაკაცმა სიტყვა უთხრა, რახან შენ-სას არ იშლი, იცოდე, რომ სანამ ჩემს ღმერთს თაყვანს არა სცემ, მე შენი ვერ ვიქნებიო. არადა, მაგარი ქალი იყო: ქერა, მაღალი, მკვრივი, გამობურცული გავითა და დაბალი, მოსული მკერდით. თანაც განწყობითაც „კეთილად“ იყო მის მიმართ და იმისი რჯული კიდევ ძალიან ახლოს იდგა მის რწმენასთან. სულ რაღაც სამ პარაგრაფსა და ოთხ დოგმაში იყო სხვაობა (ეს, რაც მან დათვალა). ნაღდად არ ღირდა ხელიდან გაშვება.

ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ, ადგა და ერთ მშვენიერ დღესაც ეახლა. ყვავილებითა და შამპანურით ხელდამშვენებულ-მა კარშივე სიტყვა უთხრა „დავაიო“. თქვენი მიმდინარეობის ძმად და მოხალისედ მიგულეთ, ოღონდ „პოსლეზეო“. იმან ნისია სხვისია და წამო, ძმაო, ჩვენს „ზამ-დირექტორთან“ ვიბაზროთო. ამან, რაღა „ზამთან“, წამო ეგრევე დირექტორთან, კარგი ბიჭი ვარ, ჩემი დედა ვატირე, შიში თუ მქონდეს რამისაო. ქალმა, დირექტორი კოშკშია გამომწყვდეული და შენ კი არა, ყველაზე წარჩინებულ-თაც თვალით არ ჰყავთ ნანახიო. სამაგიეროდ, „ზამი“ იმყოფება აქ, გვერდზე პანსიონატში დასასვენებლად თავისი ჯალაბითურთ და ეგ „გაგიასნებსო“. თანაც ჩემი ჰალალი და ტკბილი ბიძაშვილია და მაგრად ჩაგეხუტებაო. არ გაჭრა ფანდმა და კაცმაც წამიერად ჩამოყარა ყურები. რაღაც ცუდს უგრძნობდა გული და ფეხს ითრევდა მეორედ მონათვლაზე, რადგან კარგად ახსოვდა თავისი ცხონებული ნათლიმამის სიტყვები „ენა, მამული, სარწმუნოებაო“ (ცხონებული სიმთვრალეში სულ მაგას გაიძახოდა ჩახვეულივით, სანამ გადასახლებაში არ უკრეს თავი). მერე კიდევ სულ „დრუჟბა, მირ და ტრუდს“ ყვიროდა). ამ ფიქრებში იყო გართული, როდესაც ცბიერმა ქალმა, ვითომცდა ხურდა დამივარდაო, დაიხარა და ბოლომდე ჩახედა თავის ძუძნარ-სამფლობელოში. შამპანურს თავი გასძვრა მეტი მღელვარებისგან და ამოვარდნილი ქაფიც პირდაპირ მის ტუჩს დაეძგერა. ამანაც მოსვა და წავედით, ერთი მაგის დედაც, რაც იქნება, იქნებაო და ძუძუ-გულმიცემულმა ქალს ხელ-კავი გამოსდო. გზად კი, აი, ასეთ ფიქრს ჩმახავდა: სამშობლო ორი

დღის სავალზე მაქვს, ენას ვერავინ წამართმევს და სარწმუნოებას კიდევ ვინ შემიმოწმებს, ეგეც მოჭრილი ფეხის თითო ხომ არ არის, რომ გამომიჩნდესო. ეგ ქალიც მე დამრჩება და გულზე რომ ჯვარი მიკიდა, ისიცო. მაგრამ ვაი, რომ მწარედ ცდებოდა.

იმისი „ბიძაშვილ-ზამდირექტორი“ კი ძალიან ტბილად მოუბარი და სტუმართმოყვარე ვინმე გამოდგა. არა, ახლა, სუფრა არ გაუშლია, რადგან წესად არ ჰქონდათ ქეიფი, მაგრამ რაღაც მყუდრო ოთახში შეიყვანა და ძალიან ბევრი ელაპარაკა. სულ თვალებში შესციცინებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება ხელა ესაუბრა, რათა მას ყველაფრის დაწვრილებით დამახსოვრება მოესწრო. თუმცა სულ ტყუილად ირჯებოდა, რადგან ვაჟვაცს თავში წყვილი ძუძუს მეტი არაფერი არ მოსდიოდა. ისიც თითქოს მიუხვდა გამოცდილი პედაგოგივით და უთხრა, ამ ჯერზე საკმარისია და დანარჩენ სიღრმეებზე მერე ვილაპარაკოთო. ახლა შენ უკვე ერთ-ერთი ჩვენთაგანი ხარ და აპა, შენ იცი, ჩვენს ღმერთს როგორ ემსახურებიო. იცოდე, ჩვენ უმცირესობაში ვართ და უნდა ვიმძლავროთო. ამის-თვის კი ბევრი უნდა მოვაქციოთ ჩვენს რწმენაშიო. შენი საქმეც სწორედ ეგ იქნება და მარტო რომ არ დაჩაგრო, დამხმარედ და დამრიგებლად ჩემს კოხტა ბიძაშვილს გამოგაყოლებო. თან თვალი ჩაუკრა, როგორც გინდა ისე დაიხმარ-მოიხმარე, ჩვენმა ღმერთმაც შეგარგოსო. ოთახიდან გამოსულ ახალნებულს კი გულზე რატომ-ლაც რაღაც სიმძიმესავით შემოაწვა და სახე ჩამოედვენთა. ერთი პირი იქიდან გაქცევა და ყველაფრის დავიწყებაც იფიქრა, მაგრამ რა იხილა ქალის მოცინარი სახე და ვნებიანი ტუჩები, უმალ ყველა-ფერი გადავავინდა. ისიც წრფელად ჩაეკრა გულში და წახალისების მიზნით, ხელიც კი შეუცურა მაისურის ქვეშ. „ზამდირექტორმა“ გულითადად დალოცა მეწყვილები და იმდენი ილაპარაკა, რომ ლამის ყველაზე მნიშვნელოვან სულთა მებადურებადაც დასახა მათი დუეტი. იმათაც მოთმინებით მოისმინეს მისი რჩევა-დარიგება და რა იგულეს ტელეფონის ზარით გამოწყეული მცირე პაუზა, უმალ თავისი, ახლა უკვე საერთო, პანსიონატ-ოთახ-შტაბისკენ მოკურცხლეს.

დადგა ნანატრი ლამე. მიჯნური მამრი გაილექსა ქათინაურებით და ქალმა კი რატომდაც თავისი ხელნაწერები გადმოალაგა (ბუკლეტები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოდაში). კაცმა შარვალი გაიძრო, წირვის გამოტანას ახლა განახებო. იმან საეჭვოდ ჯერ არა,

ჯერვილოცოთო. ამან, რადროს ლოცვაა, ქალოშენ, ფაქტობრივად ჩემი ცოლი ხარ და ახლა მე მექუთვნიო. ის კი თავს აქანცარებდა, ღმერთი მაღლიდან გვიყურებს და „ზამდირექტორმა“ მეწყვილე-ებად გვაკურთხა, განა ცოლ-ქმრადო. კაცი საიდან არ მიუდგა და სად არ უჩემიტა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ქალმა დაიჩემა, ჩვენში ყველაფერი ეგრე მარტივად არ არის, როგორც შენ გგონიაო. კაცი აიჯაგრა, ახლა შენ არ მანერვიულო, თორემ მე ვიცი შენი ტყავის ამბავიო. იმან კიდევ ბოლოს წნებს ვერ გაუძლო, ჯანდაბას შენი თავიო და ძუძუ მისცა სათამაშოდ. აქაოდა, ჯერ ამას დასჯერდი და როცა ვიქორნინებთ, მერე დიდზე ვქნათო. ისიც ებდომვნა კერტებში და განელ-გამოწელა, თუმცა კი ღლაბუცს ვერ გასცდა. ასე აწვალ-ათამაშა მთელი კვირა და ხან რა მიზეზი მოუგონა და ხან რა. კვირის თავზე კი, როცა კაცი მიხვდა, მე მგონი, ძუძუს ასაკი-დან გამოვედიო, განაწყენდა და მკერდზე ხელი აუკრა. დანალვლი-ანდა და ძლიერ მოიწყიხა. მიხვდა, რომ ქალთან კამათს აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ის უკეთ იყო მომზადებული ახალი სარწმუნოების დოგმატიკაში და პოლემიკასაც ყოველთვის უგებდა. ძალას ის ვერ დაატანდა და გინების კი ერიდებოდა, მართლა ცოლი ხომ არ არი-სო. ჩამოყარა კაცმა ყურები და მიეძალა ფიქრს, მგონი, შევცდიო. უკლო ლოცვას და ნაცნობ-უცნობი ძუძუების წელვას. ქალმა უმალ ალლო აულო მისი სულის შფორთს და ახლა მოდი, დუნდულებზე მე-თამაშე, ესენი ხომ უფრო უცხო და ახალიაო. იმან იუარა, ქალო, შენ „ბოვში“ ხომ არ გგონივარ, რომ მარტო სიშიშვლით გავიდე ფონსო. ურთიერთობა დაეძაბათ და მიდგა დიაცი მიჯნაზე. ან უნდა დანე-ბებოდა, თუ არადა თავისი ეკლესიისთვის მრევლი დაეკარგა. გა-დაწყვეტილებამაც არ დაიგვიანა და მეორე ღამეს პირველი ის დაწ-ვა საწოლში. გაშიშვლდა და საბანი ისე წაიფარა, რომ სხეული რაც შეიძლება მეტად გამოსჩენოდა. „იდი სუდა მოი კოტიკო“, უხმო თავისთან გულისწორს და ჩაიგორა სარეცელები. კაცმაც აიწყვიტა. ოღონდ ეს იყო რომ, ქალი ჯიუტად ზურგს უმარჯვებდა, აქაოდა ასე უფრო მომწონსო. კაციც არ უძალიანდებოდა, მაგრამ გათან-გულმა ქალმა თვალი რომ მოხუჭა, უმალვე გადმოატრიალა და ბარძაყებს მორის ხელი შეუცურა. ის იყო, თითებით უნდა გასთამა-შებოდა მის იდუმალებას, რომ სახტად დარჩა. შუბლზე ცივმა ოფ-ლმა დაასხა და საფეთქლები აეწვა, რადგან ხელში ზუსტად ისეთი სიამაყე შერჩა, როგორითაც თავად იწონებდა თავს სუსტი სქესის

წარმომადგენლებთან. ერთი ხელის მოძრაობით გადააძრო საბანი და რა იხილა, მუქი ფერისა და უსიცოცხლოდ მიგდებული „მისნაი-რობა“, ერთიღა აღმოხდა, „საშა, ტი ჩტო, მუქჩინა!?”

მერე დიდხანს იჯდა ლოგინზე და შესცეკროდა პარტნიორის ხან ერთსა და ხანაც მეორე სარცხვინოებს. რამდენადაც ის ერ-თი ბუნებრივი და სასიამოვნო შესახედი იყო, იმდენად ის მეორე, მამაკაცური საწყისისა, არაბუნებრივად და შემზარავად გამოიყუ-რებოდა. არასოდეს ენახა ერთ ადამიანზე ორი სასქესო ორგანო და გულში ფიქრობდა, ახლა მე ვინ ვარ, წულთმხრწელი თუ მამათმა-ვალიო? ქალი კი დუმდა და ალენილ სახეზე ნაკვთი არ უკრთოდა. თითქოსდა თვალებით უუბნებოდა, მიდი და შენ თვითონ გადაწყ-ვიტე, რომელი სად და მერე როგორო. ხოლო კაცმა, მცირეოდენი ფიქრის შემდეგ, ერთი შენი ქალ-კაცა დედაც ვატირე, უჯრიდან ნინოს ჯვარი ამოილო, ემთხვია, გულზე ჩამოიკიდა და სიტყვებით: ღმერთო, შენ შემინდეო, კარში გავარდა. ქალ-კაცა გამოეტირა, „ნი ბრასაი მენია, ლიუბიმი“-ო და აქვითინებული დაემხო ბალიშ-ზე. კაცმა კი სადარბაზოდან მიაძახა, სადმე არ გამიბაზრო, თორემ დედას მო....ვო.

იმავე საღამოს დაადგა სამშობლოსაკენ მიმავალ გზას და ამ ამ-ბის სამუდამოდ დავინწყება აღუთქვა საკუთარ „მე“-ს. სირცხვილი სწვავდა, როგორც რჯულის, ასევე სქესის უარყოფისა. მწარედ ჩა-ეცინა ტამბურში სიგარეტის წევისას, ამისთვის ვიცვალე რჩმენა და ზნეო?! მწარე იყო გაკვეთილი, მაგრამ უფრო მწარე შედეგები აღმოჩნდა. ამას კი განსაკუთრებით მაშინ მიხვდა, როდესაც საპირ-ფარეშოში შევიდა მოსაშარდად და რა დახედა თავის სარცხვინოს, უმალ იმ ქალ-კაცას უსიცოცხლო ორგანო გაასხენდა და პირდები-ნება აუტყდა. მას მერე ასე ემართებოდა მოშარდვისას და მარტო ეს რომ ყოფილიყო მისი თავსატეხი, კიდევ რაღაცას მოახერხებდა, მაგრამ ამასთან ერთად ქალის შიშიც დასჩემდა. სოფელში ჩასულს, მართალია, არავისთვის მოუყოლია თავისი სასირცხვილო ამბის შესახებ, მაგრამ ბედმა საბოლოოდ უმტყუნა. მას მერე აღარც ოჯახი შეუქმნია და არც ქალს გაპკარებია. დადიოდა ასე ეულად და ყოველ მოსახერხებელ გარემოებაში ღანძღავდა თავის შემაცდენ-ლის რჯულსა და მიმდევრებს. ამ საქმეში კი ისეთი აკვიატება დას-ჩემდა რომ, ყველა მათი მიმდევარი ეგონა და თანაც ორსქესა. აკი იძახდნენ, რომ უნდა ვიმძლავროთო და ისიც ყოველთვის მიყურა-

დებული იყო სხვის საუბარს, რათა სადმე საეჭვო სიტყვა დაეჭირა და უმაღ შეტევაზე გადასულიყო. თუმცა კი ძნელი გასარჩევი იყო, ყველაფერ ამას საკუთარი გულის მოსაოხებლად აკეთებდა თუ სინანულის განცდით.

მომსჯეო ქალი

ლოყებლაჟლაჟა და ჩანთაპირაფარებული არსება, მეცნიერული თვალსაზრისით, არც თაგვი იყო, არც ზაზუნა და მით უმეტეს არც მაჩვი. ევლუციური ტაბულის მიხედვით, ის სწორედაც რომ, განვითარების უმაღლეს საფეხურზე იდგა. ჰქონდა ოთხი კიდური, ორზე დადიოდა და ორსაც ჩანთის პირზე ასაფარებლად ხმარობდა. ეს ოთხივ კიდური კი თავის წილ ება ეგრეთ წოდებულ ტანს, სხეულს. წესისა და რიგის მიხედვით, ამ ტანსა და სხეულს უნდა ჰქონოდა მრავალი გამობურცულობებ-ჩაბურცულობანი, თუმცა კი ამაზე თავს ვერავინ დადებდა, რადგან, არა მგონია, რომ ვინმეს სურვილი გასჩენოდა, ეგრე დაწვრილებით დაეთვალიერებინა მისი ტან-სხეული. რაღა თქმა უნდა, ალტრუისტი, ოთხმოცს გადაცილებული, ჰარანიკი მეცნიერის გარდა, რომელიც სამწუხაროდ მას არსად შეხვედრია. თუმცა კი, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ჰყავდა მეუღლე და ორი შეილი, სავარაუდოდ, ისინიც ადამიანის მოდგმისა (ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, შავი იუმორითა და ბოროტი ცინიზმით). ისე კი, ამ ჩაფსევნილ ქალბატონსაც ჰქონდა ერთი თავისი ამბავი, მართალია, ცოტა უცნაური და ნაკლებად დამაჯერებელი, მაგრამ მაინც მისი და თანაც ძალიან პირადი.

განვლილი გზიდან მოსაგონარი ბევრი არაფერი ახსენდებოდა და ერთადერთი, რითიც საზრდოობდა მისი ცნობიერება, ეს იყო მოგონებები წინარე ცხოვრებიდან. ცოტათი უცნაურია, მაგრამ მას სჯეროდა, რომ ჰქონდა წინა ცხოვრება და თანაც ზედმინევნით ახსოვდა იგი. მართალია, ამაზე ლაპარაკე არ უყვარდა და ძირითადად, ფიქრით იქცევდა ხოლმე თავს, მაგრამ მისთვის ესეც საკმარისი იყო. იგონებდა წინარე ცხოვრების ეპიზოდებს და მისი ცარიელი ყოფიერებაც იმდენად ივსებოდა აუარება ემოციით, რომ გული საგულეს აღარ ედგა. ერთხელაც, ვეღარ მოითმინა და მეუღლეს უამბო ყოველივე. იმან კი ქალს ჯერ ეპილოგი არ გაეს-

რულებინა, რომ თავში ცომის საზელი ჯოხი რეკა, აღარ მოეშვები ამ ტელესერიალების ყურებასო. მართალია, ამის მერე მთელი თვე ლოგინში იწვა და თვალებში გაჩენილ შავ წერტილებს ითვლიდა, მაგრამ დიდად არ უნანია, რადგან კარგი გაკვეთილი მიიღო ცხოვრებისგან. მიხვდა, რომ ფიქრს ვერავინ დაუშლიდა და იგივე შეცდომას კი აღარასოდეს დაუშვებდა. არადა, ის ძალიან მოკლედ, თითქმის დაკონსპექტებულად აპირებდა თავისი ამბის მოყოლას.

თექვსმეტი წლის იყო, როდესაც გათხოვდა (ბავშვობა მეტად ხანგრძლივი ეჩვენა და საერთოდ ამოიღო კონსპექტიდან), უფრო სწორედ კი მოიტაცეს. მისი მომავალი მეუღლე (რაღა თქმა უნდა, წინარე ცხოვრების), ერთი თავქარიანი, მოქეიფე, დამრტყმელი და ნაღლი ქალაქელი ვაჟკაცი იყო. ყარაჩოხელების ლირსეულ შთამომავალს თავისი მომავალი საცოლე ერთი კვირის ნანახი ჰყავდა და უკვე მის ხელს ითხოვდა. გულის სწორის უფროსი დებისთვის შეეთვალა, მზითვებზე ნუ იზრუნებთ, მე მარტო ქალი მჭირდებაო. იქიდან კი შემოუთვალეს, შენ ცოტა გიში ხომ არ ხარ, ეგრე ხელა-დებით ქალს ვინ გაგატანსო. გოგო ობოლია და მარჩენალი სჭირდებაო. ჯერ ჰატარა ფხა გამოაჩინები გვანახე, აბა, მოძულებული კი არ გვყავს ეს ჩვენი გულის ვარდიო. იმან კიდევ ეს ულვაში მომპარსეთ, კვირის ბოლოს ეგ ქალი გვერდით თუ არ დავისვაო. ადგა და ისეთი ამბავი მოიფიქრა, რომ ერთი კარგი სასეირო სანახაობაც გამართა და თან ქალიც მოიტაცა. იქირავა ფაეტონი და სულ შავი „ლენტებით“ და „ვენოკებით“ მორთო. გამოკიდაზედ ვიღაც ზორბა ქალის შავჩარჩონანი სურათი და ერთიც მგალობელი შემოსვა კოფოზე. ჩასვა შიგ ორი ძმაბიჭი და თან დაუბარა, ჩემს ნიშანს დაელოდეთ და მანამდე მანდედან ცხვირიც კი არ გამოყოთო. დაძრა ეს სამგლოვიარო პროცესია თავისი ჭირისუფლებისა და საგალობლების თანხლებით და მიაყენა გულის სწორის სასწავლებლის კიბებს. ქალი მეცადინეობების შემდეგ გარეთ გამოვიდა და რა იხილა ჩაშავებული ფაეტონი, გული შეუღლონდა, აქაური ვინმე ხომ არ დაობლდათ. თავჩაქინდრულმა ჩაუარა გვერდით ჭირისუფალს და როგორც კი მედროგეს გაუსწორდა, გული კიდევ ერთხელ შეუქანდა, უი, რა ახალგაზრდა ქალი ყოფილა ეს საცოდავიო. სწორედ ამ დროს ისკუპა კოფოდან ორმა ჯეელმა და ხელი სტაცა. გონისაც ვერ მოასწრო მოსვლა, ისე ამოჰყო თავი სამგლოვიარო ფაეტონში. თავიდან, ცოტა არ იყოს, დაიბნა და შეშინდა კიდეც, ჩემმა დებმა ხომ არ მოინიეს რამეო, მაგრამ რა იხილა შიგნით თავისი პირდაღრეჯილი თაყვანისმცემელი, გააბა ერთი წივილ-კი-

ვილი, რას მიშვები, შე ავარაო. ეგრევე მიუხვდა ჩანაფიქრს, რადგან აკი შემოთვლილიც ჰქონდა, დღეს თუ არ ხვალ მაინც, ჩემი ცოლი იქნებიო. მაგრამ რას იფიქრებდა, ის თუ მართლა მაგ მუქარას აას-რულებდა, როდესაც სულ ორჯერ ჰყავდა ნანახი, ისიც სასწავლებლის კიბესთან ატუზული და თავის ძმაბიჭებთან ხმაურიანად მოსაუბრე. რალას იზამდა, ატეხა ერთი ვაი-ვიში, მიშველე, დედიკო. მოჰყვა ხელების შლასა და მუჯლუგუნების რტყმას, ცოცხალი არ დაგნებდებიო, მაგრამ რად გინდა. ეს აქედან ყვიროდა, ხალხო დავიღუპეო და გამვლელები კიდევ ნნ... ნნ... რა ნაადრევად დაობლდა საწყალი გოგოო. ასე მოატარა ამ კაცმა გულის სწორს მთელი ქალაქი და კაციშვილს თავში არ მოსვლია, აქ რამე ურიგო ხომ არ ხდება. ბოლოს გაჩერა ერთ პატარა, მტკვრისპირა დუქანთან და წამო, ახლა ჩვენი ოჯახი დავლოცოთო. ქალმა მეხი კი დაგაყარე მაგ გასიებულ თავზე, მანამდე არაფერი გეტკინოსო. იმან, თუ არ გამომყვები, იცოდე, ახლავე წყალს მივცემ თავს და წუთითაც აღარ ვიცოცხლებ უშენოდო. ამან თავში ქვა გიხლია და მუცელში სამართებელიო. კაცი გაქანდა და ეგრევე თავით გადაეშვა მდინარეში. ქალმა ატეხა ტირილი, ეს რა ცოდვა ვქენი და რა შარში გავყავი თავი, არ მერჩინა დავთანხმებულიყავიო. იქ კიდევ, მდინარეზე, თურმე საბანაო ადგილი ყოფილა და წყალი კისრამდე იყო დაგუბებული. კაცმა, ცოტა აცალა ტირილი და მერე იქიდან, ქვევიდან ამოსძახა, ჰა, რალას შვები, მომყვები თუ არა, გავიყინეო. ქალმა, ვიცოდი ოინბაზი და მატრაბაზი რომ იყავი, მაგრამ ამდენს თუ გაბედავდი, ნაღდად ვერ ვიფიქრებდიო. მოკლედ, ასე და ამგვარად გათხოვდა და სიმართლე უნდა ითქვას, აღარც უნანია, რადგან თავდავინყებით შეუყვარდა ქმარი და არც იმისგან მოკლებია რამე.

მისი მეუღლე სახელმწიფო სამსახურში დიდი პატივით მიიღეს სამუშაოდ. ადგნენ და ბევრი ფიქრის გარეშე, მთელი ციხე ჩაბარეს, აქაოდა ეგეთი ამბებისას ეგ უფრო კარგად გაიგებს, ვიდრე ვინმე ქალალდის ჭიაო. მართლებიც აღმოჩნდნენ და შედეგმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დადგა ეს მათი ნაქები ტოლუმბაში და საახალწლოდ ათი სამუდამო პატიმრობამისჯილი გაუშვა შინ სამ-სამი დღით, დღესასწაულების შესახვედრად. ძნელი წარმოსადგენია იმდროინდელი კაცური სიტყვის ძალა, მაგრამ რაც უნდა გასაკვირი იყოს, სამ იანვარს ათივე მსჯავრდებული ციხის კართან იდგა. მართალია, ეს ამბავი ზემდგომმა ორგანოებმაც გაიგეს და ლამის გადასახლებასაც გამოჰქონდა ხელი, მაგრამ ძმაბიჭები

მა შეუნახეს ნამუსი და მთელი ეს გაურკვევლობა სხვა სამსახურში გადაყვანით დასრულდა. ადგნენ და ახლარომელიც ხე-ტყე-პარკის უფროსად დანიშნეს, აქაოდა, ხეებსაც სხვაგან ხომ ვერ გადაიტანსო. ისიც შეუდგა ახალ სამსახურს და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან არ მოსწონდა ტყე-ღრე ბორიალი, იხტიბარს არ იტეხდა, რადგან აქეთ ოჯახი და ორი პატარა გოგო ედგა, ხოლო იქით კიდევ შეგონება — ტყე შეუნახე შვილებსაო. ისიც დადგა და თავდაუზოგავად დაიწყო მუშაობა, რათა პატიოსნად შეესრულებინა თავისი მოვალეობა. სახლის გასათბობად საჭირო შემაზე მეტს ტოტსაც კი არავის ანებებდა უნებართვოდ და ამიტომაც იყო, რომ მრავალი მოინდურა. ეს ამბავი, ეტყობა, ვიღაცას ზედა ეშელონებიდან ძალიან არ მოეწონა და ერთ „მშვენიერ“ დღესაც გაიხარეს მისმა მტრებმა.

საღამოს დალლილი მივიდა სახლში და მძინარე ცოლ-შვილი გაუღვიძებლად ჩაკოცნა. ის იყო, ტანთ უნდა გაეხადა, რომ კარზე კაცუნი შემოესმა. ზღურბლზე შეზარხოშებული მეზობელი იდგა, რომელსაც ხელში ქალალდში გადახვეული „კარეიკა“ და ერთიც, შემწვარი წინილა ეჭირა. ამანაც შეიპატიუა და გამოალაგა ღრჭიალა „შიფრნერკიდან“ პური, ყველი და ორიც, იმ დღით სამსახურში ნაჩუქარი, წითელი ღვინის ბოთლი. გაშალეს სუფრა და მიუსდნენ. ქეიფი გაუგრძელდათ. გვიანობამდე ისაუბრეს და ღვინოც ნება-ნება ნრუბეს. მაღალი ღმერთი მრავალჯერ ახსენეს და სხვისი კარგი საქციელიც აღნიშნეს. ბოლოს ის ბოთლებიც დაცალეს და მეზობელიც თავის გზას გაუდგა. ოჯახის უფროსმა კი ლოგინი ცალკე ოთახში დაიგო, ცოლ-შვილი ხერინვით არ შევანუხოო და დასაძინებლად დაწვა. დაწვა და აღარც გაუღვიძია. სიზმრადვე ჩაბარა სული მამაზეციერს და ისე ნავიდა ამქვეყნიდან, რომ კაციშვილმა ვერ გაიგო მისი გარდაცვალების მიზეზი და გარემოება. ოღონდ ერთი კი იყო, რომ ის მეზობელი, იმ ღამით მაგრად მოიწამლა და ბარე მთელი თვე საავადმყოფოში იწვა. თუმცა, აბა, იმ ხანებში, ვინ გაბედავდა და ეჭვს გამოოქვამდა, მგონი, მოწამლესო. ვერც ვერავინ და აბა, გარდაცვლილის რომელი რაგინდ ყოჩალი ნათესავი იტყოდა, სამსახურში ნაჩუქარმა იმ ორმა ბოთლმა ღვინომ მოკლაო. აქაც ვერავინ. ასე ჩაიფარცხა ეს უცნაური საქმე და მერე აღარც ქვრივს გახსენებია მეუღლის მოწამვლის ამბავი, რადგან სწორედაც რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო მის ცხოვრებაში ყველაზე დიდ განსაცდელთა უამი.

მართალია, განსაცდელი არასდროს დაჰკლებია ცხოვრებაში,

მაგრამ დაქვრივებულს ორმაგად გაუჭირდა. პირველი გოგონა ექვსი წლის ასაკში მიაბარა მიწას. საწყალი ბავშვი სულ რაღაც ხუთ დღეში გააქრო ტვინის ანთებამ. მერე დისწული საკუთარი ძმის მაყარში მოყვა ავარიაში და ადგილზე გათავდა. მაგრამ ამ ენით აღუნერელ მწუხარებას ისიც დაერთო, რომ მეორე მანქანაში, რომელსაც დაეჯახნენ, თვით მისი ძმა და რძალი ისხდნენ. ასე გადაიქცა ერთი დიდი ლხინი ძალიან დიდ მწუხარებად და თითქოს წინასწარ განზრახულად დაირაზმა მთელი მისი ნათესაობა მარადიულობისკენ. მის მერე შავები ალარ გაუხდია, რადგან ყოველ მომდევნო წელს ვინმე ახალ მოყვარეს მიასვენებდა სასაფლაოზე. არადა, ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა დაქვრივდა. მის მერე არც გვერდზე მდგომი ჰყავდა ვინმე და არც შემწე. მარტომ დაუწყო თბლებს აღზრდა. მართალია, მთხოვნელიც ბევრი გამოუჩნდა და მოსარჩელეც, მაგრამ ქმარს ნამუსი შეუნახა და ალარავის გაპყოლია ცოლად. მოეწყო სამსახურში და გახდა ოჯახის მარჩენალი.

თუმცა კი ეს ამბავი, ანუ ახლობელთა გარდაცვალება, უფრო ადრე, მისი დაბადებიდან დაიწყო. დედა მის მშობიარობას გადაჰყვა, დედინაცვალი ყელში გაჩერილმა თევზის ფხამ იმსხვერპლა, ხოლო მამა კი სადღაც თათრებში გადაიხვენა და იქიდან ალარც დაბრუნებულა. ამაზე მეტი თითქოს რაღა უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ არც ამის მერე დაინდო განგებამ. ათ წლამდე მოხუცი ბებია და ერთიც ჭრელი ძროხა ზრდილნენ და კვებავდნენ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღესაც ბებია გადატრიალდა და მოკვდა, ხოლო ძროხა დათვმა დატორა. ასე დარჩა სრულიად მარტო და რომ არა კეთილი ხალხი, ალბათ, ვერც ის გაატანდა დიდხანს. სოფელმა შეიკედლა და იშვილა. ეხმარებოდა ყველა, ვისაც რითი შეეძლო და არც უფალმა განირა. ერთი თუ ჭადებს უცხობდა, მეორე ბოსტანს უმარგლავდა, ხოლო მესამე სალოცავში სანთელს უნთებდა. ასე გაატარა მთელი ერთი ცივი ზამთარი, მზიანი გაზაფხული, ხვატი ზაფხული და დალვინებულ შემოდგომაზე კი საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა უფროსმა დებმა ჩამოაკითხეს. გადაეხვივნენ და დაუკოცნეს ნატანჯი ხელისგულები. ჩააცვეს ახლად შეკერილი კოპლებიანი ჩითის კაბა და ქალაქში წაიყვანეს. მის მერე ბევრმა წყალმა იდინა, მაგრამ ეტყობა, უფალმა მრავალ განსაცდელთან ერთად თავისი წილი მადლი და დღეგრძელობაც არგუნა. ძალიან დიდხანს იცხოვრა და იმდენად მხნედ, რომ შვიდ შვილთაშვილს მოესწრო და შვიდივეს უამბო თავისი ცხოვრების ამბავი: მახსოვს, ბებიაჩემი მეუბნებოდა, თეთრები რომ შემოვიდნენ, შენ უკვე ფეხზე დადიო-

დი და მეც კარადაში დაგმალეო...

მერე კი იყო სიკვდილი. ორკვირიანი და სულის მხუთავი, დამაუძლურებელი. თითქოს ამბავის დასასრული მოახლოვდაო და მასაც სიბერემ შეუტია. ლოგინად ჩავარდა და წარსულის აჩრდილნიც უმალ ამოძრავდნენ. ჯერ უცნობი დედა ეახლა და მერე კი დები. ნასიცხარმა ბოდვას უმატა და თვალები ჩაუცვივდა. ოჯახმა ჩუმად მღვდელი მოუყვანა საზიარებლად. ის კი იჯდა სავარძელზე ამაყი და სიკვდილის მოლოდინით ცხვირდაგრძელებული. დინჯად უსმენდა მოძღვარს და დასტურის ნიშნად ოდნავ შესამჩნევად ტუჩებს ამოძრავებდა „ამინ“-ო. თავზე ხასხასა წითელი ფერის საბურავი ეკეთა და მისი შემხედვარე, ალბათ, სიკვდილს სიკვდილი რომ არ რქმეოდა, სიცოცხლეს დავარქმევდი.

მისი ამქვეყნად ყოფნის ბოლოს ზაფხული იდგა და ჰაერი საშინლად დახუთულიყო. ოთახში აშკარად იმაზე მეტი ხალხი იყო, ვიდრე ჩვენ ვხედავდით. მომაკვდავი კი სულს ღაფავდა და თავისი მარადისობაში გამჭოლი მზერით ძალიან ჰგავდა კაცობრიობას. ბებერს, მანკიერს, მოტეხილს, მაგრამ მაინც რაღაცნაირად ლამაზს, ამაყსა და სახიერს. იგი ზიარებიდან მეორე დღეს გარდაიცვალა და მახსოვს, როდესაც მივედი და ბებიაჩემს შუბლზე ვემთვიე, ის ჯერ კიდევ თბილი იყო და ნოტიო. მესიამოვნა...

ასეთი სავსე და შთამბეჭდავი წინა, რეინკარნაციამდელი ცხოვრების შემდეგ, საკუთარი ყოფა რალაცნაირად ჩამქრალი და ულიმღამო ეჩვენებოდა. ის მუშაობდა რომელილაც მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში მზარეულად. ეზიდებოდა იქიდან მცირეოდენ სასუსნავს თავისი მცირენლოვანი ქალ-ვაჟისთვის და ყოველნაირად ცდილობდა უკეთესი მომავალი შეექმნა თავისი შვილებისთვის. მეუღლე ხელს უწყობდაო, არ ითქმის, რადგან დილიდან საღამომდე მისი ძირითადი საზრუნავი იყო, სად დაელია. ამიტომაც, სულ სხვადასხვა “თანამებოთლები” მოათრევდნენ სახლში „გაღელეტებულს“ და ისიც გაგულისებული ამ პატივისცემით, ხან ერთ მეზობელს აგინებდა და ხანაც — მეორეს. რაღას იზამდა საწყალი ქალი, უხდიდა ბოდიშს ყველას და ყველაფერს, იდგამდა წელზე” ფეხს და ზრდიდა წვრილშვილს. მზე რომ ამოინვერებოდა, მას უკვე ბოსტანი და სახლის საქმე მოლეული ჰქონდა. მერე აიკიდებდა პატარებს და მიაბენინებდა სკოლა-ბაღში. ამათ რომ დააბინავებდა, შემდეგ ქალაქის ავტობუსის გაჩერებისკენ გარბოდა, რათა საკუთარ შვილებზე უფრო უპატრონობებს გამასპინძლდებოდა სახელმწიფო ნუგბარით. ბოლოს, მოსაღამოებულზე ძლიერ

მიათრევდა დასიებულ ფეხებს სახლისკენ და თან გზადაგზა კრეფ- და ნათესაობაში ჩამორიგებულ შვილებს. უფროსი მაზლის ცოლს გამოჰყავდა სკოლიდან, ხოლო უმცროსი ბალის დამლაგებელ გარე ბიძაშვილს. მერე, როგორც იქნა, მიატანდა მთელი დღის მონატ- რებულ სახლ-კარს და იქ კიდევ ნასვამი მეუღლე ხვდებოდა. იწყე- ბოდა ჩხუბი და ერთი აყალ-მაყალი. უმსგავსო ქმარი უმონტყალოდ სცემდა, როგორც ცოლს, ასევე ბავშვებს და თუკი საიდანმე გამ- შველებელი გამოჩნდებოდა, არც მას სწყალობდა დიდად. ეს სცენა კი იმდენად განუყოფელი ნანილი იყო მათი ყოველდღიური ცხოვ- რებისა, რომ პირველი თეფშის გატეხვის ხმაზევე, დამფრთხალი ბავშვები ინსტინქტურად, ეგრევე კარადისაკენ გარბოდნენ თავ- შესაფარებლად. ასე გადიოდა დრო. გარბოდნენ დღეები, თვეები და წლები. ბავშვები იზრდებოდნენ, ქმარი დღითიდლე კვდებოდა, სოფელი ცარიელდებოდა, მინა იფიტებოდა, ძროხას რძე უშრებო- და და ერთადერთი, რაც უცვლელი რჩებოდა, ეს მისი მოგონებები იყო. მოგონებები წინარე ცხოვრებისა.

მატარებელში სამხედროები ამოვიდნენ. წნიერ კაცს მათკენ გაექცა თვალი და ეტყობა, მეხსიერებას დაუწყო ჩხიკინი, ვით მი- ნაცრებულ კოცონს. მომსუქნო ქალმა კარგად მენახეთო და აიკრი- ფა თავისი გუდა-ნაბადი. მძიმე ნაბიჯით წავიდა გასასვლელისკენ და ვაგონიდან ჩასვლისას ერთი წამით შედგა. შენიშნა, რომ ტამ- ბურში ვიღაც გოგო და ბიჭი ერთმანეთს ეხვეოდნენ და ტუჩებში კოცნიდნენ. „უი, ქა, ჩვენს დროში (წინარეში) ქმარი ისე გავისტუ- რე საიქიოს, რომ ტუჩებში არ მიკოცნია და ნეტა, ეს ახალგაზრდე- ბი რა სიმოვნებას ხედავენ ამ ლოშნაობაში?“ ჩაილაპარაკა და ჩა- ვიდა ისე, რომ არც მისამართი დაუტოვებია და ტელეფონი კიდევ საერთოდაც არ ჰქონდა სოფელში. უცნაური ქალი კი სდუმდა. წა- ეგო პაექრობა და მარცხსაც ღირსეულად ხვდებოდა. მერე მატა- რებელმა რომელიდაც გაჩერებაზე ერთი, უფრო დიდი შესვენება გააკეთა. ხალხი აჩოჩეოლდა და დაიწყო ჩანთების ატან-ჩამოტანა. ზუსტად დაძვრის წინ კი ეს უცნაური ქალი წამოიჭრა, თითქოს რა- ღაც ძალზე მნიშვნელოვანი გაახსენდაო და გასასვლელისკენ გა- ქანდა. მატარებელმა სიგნალი მისცა და დაიძრა. ქალი დაძრული

ვაგონიდან ჩახტა და მუხლებზე დაეცა. თმა გაეშალა და „თრახუ- სა“ ფეხსაცმელი გასძვრა. რატომდაც მომლიმარი სახით წამოდ- გა და ასკინკილით მივიდა ფეხსაცმლის ასაღებად. მერე კი უცებ შემობრუნდა და ფანჯარასთან მდგომ ხნიერ კაცს ხელი დაუქნია. იმან პასუხად კბილები გამოაჩინა. ქალმა მუხლისთავები გაიფერ- თხა და სოფლიკენ აიღო გეზი. კაცმა რაღაც „ჩაიბოყინა“ და თავის ადგილს დაუბრუნდა. ცოლ-ქმარი გაანჩხლებულ ბავშვს ართობ- და, რადგან ამ უკანასკნელს, რაც კი რამ სასუსნავი ეგულებოდა, შეესანსლა და ახლა სეირნობას ითხოვდა. აჯაგრული მშობლებიც დაქროდნენ ვაგონში წინ და უკან. ხნიერი კაცი კიდევ დიდხანს იჯ- და თავის ადგილზე და ბოლოს, როცა მისმა გაჩერებამაც მოატა- ნა, რაღაც ჩაილაპარაკა და ჩავიდა. ქმარს მოესმა სიტყვა „სექტან- ტებიო“ და სანამ მეუღლესთან გადაამოწმებდა, იმან დაასწრო და სამას სამოცდამესუთეჯერ ჰკითხა, მალე ჩავალოთ? ამან, ჳ და, გაემზადეო. ისიც ასე ბარგასხმულ-ბავშვაკრული კარგა თხუთმეტ წუთს იდგა კართან, სანამ ჩამოქვეითდნენ.

დაღლილმა მატარებელმა კი ერთი ამოახველა და წამოაღე- ბინასავით. ამოყარა მთელი შიგთავსი, მგზავრ-ტვირთი და ბორ- ბლების ზანტი ტრიალით ჩიხისკენ გაემართა, რათა ორიოდ საათი შეესვენა და მერე ისევ, შემდეგ წრეზე წასულიყო. ძალიან მობეზ- რდა ერთფეროვანი ადამიანები და მათი ყოფისეული საზრუნავი. საერთოდ აღარ სიამოვნებდა თამაში „სხვისი ცხოვრება“, რადგან აღარც მგზავრების მზერა ხიბლავდა და არც მათი ისტორიები, მი- თუმეტეს, რომ საკუთარი სატკივარიც აურაცხელი ჰქონდა. „კა- ცო, იაპონიაში მონორელი გამოიგონეს, აშშ-ში მაგნიტურ ველზე მოარული მატარებელი და ეს ოჯახექორები კიდევ მე მგონი, “კა- ტელნაიას“ ჩადგმას მიპირებენ და ნახშირზე გადაყვანას. რით ვერ მიხვდით ხალხო, რომ დავპერდი და აღარ შემიძლია ეს აღმა-დაღმა სირბილი. მუზეუმში, მუზეუმშია ჩემი ადგილი და არა ამ ოხერტია- ლობაში... თუმცა კი აბა, რა მიკვირს, როცა აგერ საკუთარი თავის- თვის ვერ მიგიხედიათ და დადიხართ ფიქრ-აჩონჩხილები. სული- ერი ვერ ჩაგხედავთ თვალებში, ისეთი არეული ცხოვრება გაქვთ. ვინ მოიცლის ჩემთვის? არც არავინ. არა, არა, მენანებით, თორებ კაცმა როგორ უნდა ინატროს მესამე მსოფლიო ომის დაწყება, რომ მერე, იქნებ, მისი დამთავრების პატივსაცემად, ვინმე სხვა გამოუშ- ვან აქ სამუშაოდ. ეჱ, ნნ... ნნ... სულ აღარ გაქვთ ამ ახალგაზრდებს უფროსის პატივისცემა და რიდი, თორემ აბა, ამ რეფორმებისა, თუ

რაღაც ჯანდაბის წამოწყება იქნებოდა ასაკოვანი ხალხის წინააღმდეგ?! არა, არა. წწ... წწ..." ფიქრობდა, ქანცგამძვრალი მატარებელი და კიდევ კარგი, არავის ესმოდა მისი, თორემ ხომ უმალ მიაძახებდნენ, წადი შენი...

დაიბუჭხდა უურნალში:

„ლიტერატურა და ხელოვნება“

№ 5; მაისი 2007 წ.



მიზის გამზიღველი

(ჩანახატი)

ერთი კაცი იყო. მიწას ჰყიდდა და ამით სჭამდა პურსა. დიდ ტომრებს ავსებდა შავი, ნოყიერი მიწით და ქალაქში მიჰქონდა გასაყიდად. განა სამშობლოს? არა. მიწას ჰყიდდა. დიდი ტანისა იყო, მსხვილძვალა და გარეგნობით ძალიან წააგავდა დევს. მორივით მკლავები ჰქონდა და დაბალი კისერი. შიშველი და ვიწრო წელი კი მარადუამს ოფლისგან ულაპლაპებდა. ტომარას წიჩის ორი მოქნევით ავსებდა პირთამდე, ხოლო ფილტვებს - სამი ჩასუნთქვით. ჰაერს კი იმდენს იტევდა განიერ გულმკერდში, რამდენსაც სტეპზე გაშლილი ძუნწი ვაჭრის ქარავანი. ხელთ მუდამ სახრე ეპყრა სატევრის მაგიერ და მაინც ბუმბერაზ მეომარს ჰყავდა. ანდა ის სახრე რაში ადგებოდა, არც ნახირი ჰყავდა და ვერც აბეზარ ბუზებს იგერიებდა, მაგრამ სამშობლოს სადარაჯოზე მდგომს ხელში რაღაც ხომ უნდა სჭეროდა? ჰოდა, ეს სახრე მის ხელში სატევარიც იყო და ალამიც. როცა კი მიწას არ ჩიჩქნიდა, შარაზე იდგა სახრემომარჯვებული და გამვლელს თვალს უბრმავებდა საუცხოო სანახაობით.

მახსოვს, ერთხელ კოჯრიდან თბილისში ვბრუნდებოდი, როდესაც ეს წელშიშველა კაცი ავტობუსს წინ გადაუდგა და ხელში სახრე მოიმარჯვა. საოცარი და ცოტათი საშიში შესახედი იყო, მაგრამ განა ყაჩაყობდა ან გვემუქრებოდა? არა. იდგა შარაგზაზე ხელში სახრე ზეაღმართული და თვალებიდან გიურ ცეცხლის ალს აკვესებდა. დიდება შენდა, უფალო, რაღაი ლირსი გავხდი, შენი მარადიულობის ეს სახებაც მენახა-მეთექი და ტანში ურუანტელმა და-მიარა. არადა ისე იდგა, რომ სამშობლოს ბურჯიო, მაგაზე ითქმის. თუმცა კი ორი ლერი სიტყვის მეტი არაფერი უთქვამს. ძუნწად გასძახა მძღოლს, ხვალ დილაზე გაგატანო.

სამოცის მაინც იქნებოდა. გამელოტებული კინკრიხოთი და გვერდებზე დაყრილი ბლუზა თმით. გოლიათური აღნაგობითა და ვიწრო წელით. დიდი წაწვეტებული ლიპითა და გაშლილი ბეჭებით.

მსუქანი სახითა და ცბიერი თვალებით. წელს ზემოთ შიშველი და წელს ქვემოთ კი მოტკეცილი ნაჭრის შარვალით შემოსილი. მითიურ გმირს წააგავდა, უფრო კი — კენტავრს. ტანზე თმა არ ჰქონდა და ალბათ, არც თავში ტვინი, მაგრამ სახრეაღმართული ჩემთვის არქაული მეფეც იყო, თანამედროვე მთავარსარდალიცა და შაპაბასის დროინდელი სამშობლოს ბედკრული გუშაგიც. არა მგონია, იმ სახრის სიმწარე ვინმეს როდესმე ეგემოს თავის სხეულზე, მაგრამ სახებას მაინც ძალიან შთამბეჭდავს ჰქმიდა. აი, ისეთს, მის გაშლილ მკლავებში სიყვარულიც კი რომ დაეტეოდა. იდგა ეულად, კლდეს მოწყვეტილი ლოდივით და მაღლა აღმართულ ცალ ხელში სახრე ეჭირა, მეორეში კი ზეცა.

ახლა ცოტაოდნენ ჩვენი სამშობლოსაც ვთქვათ, რაღაი ამდენჯერ ვახსენეთ. დედა გვეტირა და განა იმიტომ, რომ მორიგი ომი წავაგეთ და ჯერაც კიდევ დაუთვლელი, ფრთავერგაშლილი ქალკაცი ჩავდეთ შავ მინაში? არა, უბრალოდ იმიტომ, რომ ქართველ დედას ცრემლივერდავუშრეთ. საოცარია, მაგრამ რატომლაც სულ ტირიან ეს ქალები?! არადა ბანქოს მობეზრებულ პარტიასავით გაგვათამაშეს და წინასწარვე იცოდნენ მაგიდასთან შეკრებილთ, რომ ძლიერნი აწყობდნენ. კარტი სულ ძალით ჭრეს და მთქნარებისას ხელსაც კი აღარ იფარებდნენ პირზე. იმათი ცდა და თამაში იყო, ხოლო ჩვენი კი დაკარგული სიცოცხლეები და დამსხვრეული ქვიშის საათები. ქვიშის საათები, საფლავები, უმეცრები...

მერე კი იყო ბურუსი და მიწის გამყიდველმა შავ მიწას მარილი მოაყარა. კი, იცოდა, რომ ცრემლი არ აკლდა სამშობლოს, მაგრამ მაინც მარილი არჩია. ეს ზღვის ცრემლია და ზღვას კი ყველა წინასწარვე გამოტირებული ვყავართო. ისე, გამოტირებული ვეყოლებით, აბა, რა, როდესაც კარგა ხანია მიცვალებულებმა რაოდენობით გაგვასწრეს ცოცხლებს. ზეციური საქართველო ძლიერდება, აქაური კი... ვზივართ და ჭირისუფალ ზღვას შევცქერით. იქნები იმედი გამორიყოს.

ჰოდა, დაჯდა ეს მიწის გამყიდველი და ფიქრი დაიწყო ქვეყნის ბედზე და დაიღუპა, გაფუჭდა. მოატყუეს, რომ შენი მიწა ტკბილია და ვერც დედაშენი შეიწვავდა ერბოკვერცხს ხელის გულზეო. მაგრად ეწყინა, მაგრამ მაინც დაიჯერა, რადგან მასობრივია

ფსიქოლოგია. უთხრეს, შენ რომ მიწას ჰყიდი, ეგ სამშობლოს ღალატიაო. ამან კიდევ, აბა, მაშ სახლის ყვავილებს რაღაო. იმათ კიდევ, ქუდიანებმა და ნაკითხებმა, ე, ტუტუც, შენ რომ გგონია, ერბო ქონიაო, ერბო ერბოა და სიტყვა კი ქონიაო. ჰოდა, ამ სიტყვამ დაკოდა კაცი და ატირდა განანყენებული მიწის გამყიდველი.

ატირდა განანყენებული მიწის გამყიდველი და უსაშველოდ დამძიმდა ტომრები. ნასაყდრალს კიდევ ერთი დიდი ლოდი მოსწყდა და რატომლაც ისევ იმ სოფლის გაჭირვებულ ქვრივ-ობოლს დაცა ზედ, რომელთაც ვერც წლეულს აიღეს მოსავალი. აბა, სამართალიაო? ლოცვა გაკლდათო, ჩაიღაპარაკა ანგელოზთა შორის ყველაზე უსახელომ და პირჯვარი გარდასახა განსაცდელში მყოფთ. დაგორებული ლოდი შუაზე გასკდა და მტკრად დაეყარა თავზე ჩაიჩილ ბავშვებს. მერე კი ისევ მიწის გამყიდველი მოვიდა. ისევ გაშალა ტომარა და დაკრა ნიადაგს ნიჩაბი. სულ პირამდე გაავსო ტომრები, ზოგი მიწითა და ზოგიც ცრემლებით. არ დანებდა, წყენა დაივიწყა და ისევ შარაზე დადგა. სახრე ზეცისკენ აღმართა და გიუივით ახარხარდა. თანაც ისე ახარხარდა, რომ მოძრაობა შეწყდა და ხალხი შეჩერდა დასაფიქრებლად.

კიდევ ერთ ღერს მოვუკიდე და მივხვდი, რომ მთლიანობაში, ალბათ, არც არაფერი იცვლება. გინდა მოწიე და გინდა არა. ან კი როგორ უნდა შეიცვალოს, როდესაც მე ვარ ჩემი ქვეყანა და ის კიდევ უფრო ბევრი მე ვარ და შესაბამისად მანკიერებებიც განუსაზღვრელია. მაგრამ მე ჩემსას რას ვჩივი, ხალხმა ცხოვრება წააგო ამა ქვეყნის მმართველთა ვერხილულ დოლზე.

მერე კი რაღაც მოუკიდა მიწის გამყიდველს და ძალიან გაჯავრდა. ერთხელ განანყენებულ-გამონანყენებული ახლა ისევ თავიდან აირია. მგონი, ვირის ტვინი შეაპარეს ბოროტმა დედაკაცებმა?! ადგა და მიანგრია, სადაც რომ მის ნაოფლარ მიწაზე ამოსული ყვავილი ხარობდა და გულმკერდი ფიცრით აიჭედა. სახრე კბილებით გადაღრლნა და მაჯები გამოიჭამა. მართალია, ბევრს ეცადა, მაგრამ სასოწარკვეთა მაინც ვერსად გადამალა. ბოლოს ღონემიხდილი სასწორს მიადგა, სადაც რომ სამართალს სწონიდნენ და განმსაჯეო შესთხოვა. იმათ კი, ამწონავთ, მუხას ჯერ ნაყოფი არ გამოუღია და ამიტომ სანაცვლოდ რამე ცოდვა ჰქენიო. ისიც ადგა და არსადაც

არ წავიდა. გულზე ხელები დაიკრიფა და გამთლიანდა. გამთლიან-და სულითა და ხორცით და ხურდა ფული ვინ დაადო თვალებზე, ეგ უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია.

და უცებ, როდესაც გავკარი კვესაბედს (პოლიტიკოსების არ იყოს), მინას ცეცხლი მოეკიდა და მარილი აორთქლდა. საიდანღაც გამომძვრადმა მინის გამყიდველმა კი მოიტანა პატარა ხონჩა და აკრიფა ძირს დაყრილი, მარგალიტებად ქცეული ცრემლები. აკრიფა და შარაზე გაიტანა. გაიტანა და ავტობუსის მძლოლს გაატანა ქალაქში გასაყიდად. გაატანა და თან ასე დაუბარა, რომ გაჰყიდი, შაური შენ აიღე, შაური მე მომიტანე და შაურიც მამაშენს არგუნე, რადგან სამება სადაც არ არის, იქ არც სამართალია და აღარც მთლიანობააო.

დაიბეჭდა უურნალში:

„ლიტერატურა და ხელოვნება“

№ 4; აპრილი 2009 წ.



მინდა – არ მინდა ჭუხილი

— მინდა... არ მინდა... მინდა... არ მინდა.

ითხოვ. გამუდმებით ითხოვ. ითხოვ ყველასგან და ითხოვ ყველაფერს. შემოგადგება წუხილი და ჩაიჩიქები ხატის წინაშე. დაანთებ ობოლ სანთელს, ჩარგავ თავს ხელისგულებში და ლოცულობ. ლოცულობ და თან ითხოვ. უფრო ძალიან ითხოვ. მთელი შენი ლოცვა ერთ დიდ თხოვნაში გადადის. კატეგორიულ თხოვნაში.

— მინდა, მინდა ღმერთო... ძალიან მინდა... შენი სახელის ჭირიმე... არ მიწყინო, მაგრამ... მინდა... დაუიღალე... აღარ მინდა... მომბეზრდა... აღარ მინდა... მინდა რომ უბრალოდ... ძალიან მინდა და რა ვქნა?.. აუ... აღარ მინდა და რა ვქნა? არ ვიცი... არა...

შემდეგ ადგები, გაიფერთხავ მუხლებს და რაღაც გაუგებარი შვებით უყურებ ნახევრამდე ჩამწვარ სანთელს. უყურებ და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს საქმე ჩაგენცოს უფროსთან. ტრიალ-დები ზურგით ხატისკენ და გვინია, რომ ყველაფერი გექნება, ყველაფერი მოგვარებულია და ყველაფერი წესრიგშია. აღარ არსებობს პრობლემა. აგიძდა ოცნება და რაც მთავარია, შენ ამაში დარწმუნებული ხარ. გინდა, ძალიან გინდა, რომ ამაში დარწმუნებული იყო და ისევ დგახარ ზურგით. შორდები ხატს, სანთელს, ლოცვას და განსაკუთრებით მინდა — არ მინდას.

ნელ-ნელა ქრება წუხილის ცეცხლი, რომელიც არა-სოდეს ჩაქრება. მარადიული ცეცხლი, ცეცხლი, რომელიც საშიშია, როცა მძვინვარებს. როცა აგიზგიზდება წუხილის ნაკვერჩხალი, მაშინ გინდა განსაკუთრებით და მაშინ არ გინდა ყველაზე ძალიან. მაშინ, სწორედ მაშინ გინდება ასე ნაჩვევი, ამდენად დიადი სიმშვიდე და სწორედ მაშინ ყველაზე ძალიან არ გინდება შფოთი, სულის მჭამელი შფოთი. გინდა ერთი, არ გინდა მეორე და არ გსურს შუალედი. ან გინდა, რომ იყოს ან არ გინდა, მაგრამ არანაირ შემთხვევაში არ გსურს შუალედი. არ არის შუალედი, როცა არის „მინდა, არ მინდა“.

— მინდა, რომ არასოდეს აღარაფერი მინდოდეს და არ მინდა, რომ როდესმე რაიმე მინდოდეს. სწორედ მაშინ იქნება დიადი სულის სიმშვიდე. დაწყნარდება შფოთი, მინელდება წუხილის ცეცხლი და აღარ იტყვი „მინდა, არ მინდას“ მშფოთვარე ლოცვას. მოიშლი ლოცვას, რომელიც სავსეა კატეგორიული თხოვნით და არა

სიწმინდით. სიწმინდით? იქნებ სწორედ ამაში დევს ჭეშმარიტება, რაც შეს გინდა, და სიმახინჯეა ის, რაც არ გინდა. იქნებ, გამორკვევა არის სწორედ შენი მოწოდება. იქნებ, ამიტომ არსებობს ლოცვა ლოცვისთვის, ხატი თაყვანისცემისთვის და ობოლი სანთელი ძირამდე ჩასაწვავად. ისე კი უბრალოდ აღარ გინდა „მინდა, არ მინდა“ და გინდა ის, რაც ძალიან გინდა.

მშვიდდები, ნელ-ნელა მშვიდდები. ნაკლები გინდა და ნაკლებად აღარ გინდა. მშვიდდები, ოღონდ ისე არა, რომ რაღაც არ დაგრჩენოდა გულში. გულში, რომელსაც ყველაზე ძალიან წვავდა წუხილის ცეცხლი. გულში, რომელიც ვერასოდეს ვერ დაწყნარდება. ვერ დაწყნარდება, რადგანაც წუხილი ნაკვერჩხალი ვერასოდეს ჩაიფერფლება. რატომ? „ასეა მოწყობილი თურმე ეს ცხოვრება“. შენც ხვდები, ნელ-ნელა ხვდები ამას. ყოველთვის იქნება შენი წილი წუხილი, სულის მჭამელი შფოთი, „მინდა, არ მინდას“ ლოცვა, მარადიული ცეცხლი და სწრაფვა სიმშვიდისკენ. კი აღარ გსურს ამის ხელმეორედ გადატანა, მაგრამ სადღაც კმაყოფილი ხარ, რომ „ასეა მოწყობილი თურმე ეს ცხოვრება“. აფასებ, უფრო აფასებ იმ წილ სიმშვიდეს, რაც წუხილის შემდეგ გხვდება ხოლმე. სიმშვიდეს, რომელიც კვლავ წუხილით შეიცვლება. წუხილი... შფოთი... ცეცხლი... ტკივილი... არა... არა... არ არის საჭირო... „მინდა, არ მინდა“... რა გაეწყობა?! ამაშია ბედნიერების განცდის უდიდესი ხვედრი. ბედნიერი ხარ იმდენად, რამდენადაც იცი ყველაფრის ფასი. იცი იმდენად კარგადაც, რომ გსურს სიმშვიდე, სიყვარული, სითბო, ტკბობა, ალერსი და ყველაფრი ის, რაც შეიცანი წუხილით. წუხილით, რომელიც არ გინდოდა, მაგრამ თურმე გდომებია.

დაიბეჭდა უურნალში:

„მნათობი“

№ 1-2; 2001 წ.

ანია

- რა გჭირს?
- არ ვიცი.
- რაღაც ვერ ხარ ამ ბოლო დროს.
- კი ვხვდები, მაგრამ რატომ, არ ვიცი.
- რას გრძნობ?
- ალბათ... სიცარიელეს?! ხო, სიცარიელეს, რომელსაც არავინ ავსებს და... ალბათ, მეც ვერ ვავსებ ვერაფრით.
- წამომყევი... გესმის?.. წამომყევი! ნურაფერზე ნუ იფიქრებ და — ნუ შეგეშინდება...

წავიდნენ. გაურკვეველი მიმართულებით მოძრაობდნენ. თითქოს წინ მიდიოდნენ, მაგრამ უკანაც დგამდნენ ნაბიჯებს. მარჯვნივ უხვევდნენ, მაგრამ მაინც მარცხნივ მიდიოდნენ. ცა... ცა დაბლა, ძალიან დაბლა დაშვებულიყო. ხშირი, წვრილი, მუქი ფერის წვიმა ასველებდათ. ისე მონდომებით წვიმდა, რომ ირგვლივ არაფერი ჩანდა. მიიჩევდნენ, სულ წინ მიიჩევდნენ. კოჭებამდე სველები და სიცივე ძვალში გამჯდარნი, უკან მოუხედავად მიაბიჯებდნენ.

- სად მივდივართ?
- უნდა დავიბრუნოთ.
- რა უნდა დავიბრუნოთ?
- ის, რაც შენს სიცარიელეს შეავსებს.
- კიბე, ძალიან უცნაური, ძველი ხის კიბე, თითქოსდა არსაიდან ალმართული და თითქოს არსაით მიმართული. ასე 35⁰-იანი კიბე. სიგანეში ორი მეტრი. სიგრძე? — ...სიგრძე არავინ იცოდა. ერთი საათია უკვე ამ კიბეს მიუყებოდნენ და ბოლო არ უჩანდა. ისევ ისე კოკისპირულად წვიმდა. დაღლილიყვნენ. მუხლი აღარ ემორჩილებოდათ. არც ერთი ხმას არ იღებდა. არც ერთი არაფერზე არ ფიქრობდა. ფიზიკური დატვირთვა, გონებრივი განტვირთვა.
- მალე მივალთ?
- სად?
- არ ვიცი!.. სადაც მივდივართ იქ.
- არ ვიცი... ვნახოთ.
- კი იყო ძალიან გრძელი კიბე, მაგრამ როდესაც თავიდან საფეხურების დათვლა სცადა, ოცს ვერ ასცდა. იწყებდა დათვლას და

მიაღწევდა თუ არა ოცს, უნებურად იმეორებდა, ოცი... ოცი... რას უნდა ნიშნავდეს ოცი?.. მაინც მედგრად მიიწევდნენ წინ, მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ ორივე ერთმანეთის ზურგს ხედავდა. უცნაურია, ყველაფერი ძალიან უცნაურია.

— მოვედით?!

— საიდან მიხვდი?

— ოცდაერთამდე შევძელი დათვლა!

— ხო, მოვედით. დაჯექი, დაისვენე.

ჩამოჯდნენ. წვიმა შეწყდა. სისუსტე და დაღლილობა სადღაც გაქრა. თითქოს არც ისე სველები იყვნენ. უბრალოდ ისხდნენ და შვებით იცქირებოდნენ უსასრულო სივრცეში. სივრცეში, სადაც გაუთავებლად წვიმდა.

— ეს წვიმა გუშინდელია?

— ხო, გუშინდელია!.. გუშინდელი, გუშინნინდელი და ვინ იცის, რამდენი ხნის წინანდელი.

— ჩვენ აღარ დაგვასველებს?

— აღარ!.. აღარასოდეს აღარ დაგვასველებს!

ისხდნენ ასე, თითქოს ორი ცხოვრებაგამოვლილი მოხუცივით და ტკბილად საუბრობდნენ. არადა, არ იყვნენ მოხუცები. სულ რაღაც ოც წელს ჩაევლო მათ თვალწინ და ბჭობდნენ არა ტკბობაზე, არამედ ცხოვრებაზე. ზუსტად ასე ისხდნენ, ძალიან უცნაურ, ძველ ხის კიბეზე, გასცექეროდნენ სივრცეს და უბედნიერესნი თავისი მიღწევით, საუბრობდნენ ყველაფერზე. რა იყო მიღწეული? დიდი არაფერი, მაგრამ მაინც ოცდამეერთე საფეხური, სადაც აღარ წვიმდა.

— წავიდეთ წინ?

— ჯერ არა!

— რატომ?.. მოსახდენი ხომ მაინც მოხდება?

— იცი?.. მოსახდენი ვერ მოხდება. თუ შენ მოინდომებ... უნდა ისწავლო!.. ყველაფერს შენარჩუნება სჭირდება და არა... არა...

— რა? რა არა?.. რა არ სჭირდება?

— უდიერად მოპყრობა და ფიქრი, რომ მერე ყველაფერს გამოასწორებ... უნდა გეშინოდეს დანაკარგის.

გვერდიგვერდ ისხდნენ, მაგრამ მაინც ერთმანეთის ზურგს ხედავდნენ. სუფთა ჰაერი ფილტვებს უვსებდათ სასიამოვნო სუსხით. ის, ის ველარ გრძნობდა სიცარიელეს. სადღაც გამქრალიყო სიცარ-

იელე და მისი ადგილი დაეკავებინა გაუგებარი მხრიდან მოსულ სისავსეს. მას კი ნასიამოვნები სახე ჰქონდა. რადგანაც შეაძლებინა, სწორედ მან შეაძლებინა ამ უსასრულო კიბის ოცდამეერთე საფეხურზე ასვლა.

— სად ვართ?

— რა მნიშვნელობა აქვს?

— რატომ მოვედით?

— ხედავ? აღარც კი გახსოვს, რატომ მოვედით.

შემდეგ, შემდეგ ორივემ დაადეს ერთმანეთს თავები და ტკბილად ჩაეძინათ. ჩაეძინათ გამზადებულებს ტკბილივე სიზმრების სანახავად. დიდხანს, ძალიან დიდხანს იქნებოდნენ ასე, სანამ არ იგრძნობდა რომელიმე ოცდამეორე საფეხურზე ფეხის დადგმის საჭიროებას, ანდა სანამ ისევ არ გაწვიმდებოდა დაბლა ჩამოშვებული ციდან.

დაიბეჭდა უურნალში:

„მნათობი“

№ 1-2; 2001 წ.



„ღვთისმშობლისანი”

ის დრო იყო, ქალაქში რომ დიდი მღელვარებები დაიწყო და ხალხმა სცადა, უკმაყოფილება გამოეხატა. ყველას რაღაც აღელვებდა და ცალ-ცალკე ნერვიულობას, გადაწყვიტეს, შეკრებილიყვნენ სადმე და ერთმანეთისთვის მაინც გაენდოთ გულისნადები. ადგნენ და ერთ ნაჩვევ ალაგს შეიკრიბნენ, იქნებ, აქ უფრო გვისმინოს, ნაცადი ხერხიაო. აღმოჩნდა, რომ ზოგი მტკივან ფეხსა და ზოგიც კი ჯიბეს შემოჩვეულ ჩრჩილს ჩიოდა. ერთმა თავისი თქვა, მეორემ სხვისი. საუბარი გახურდა და მიხვდნენ, რომ თურმე ყველას რაღაც აწუხებდა. გაუხარდათ, რადგან ყველა ერთ ბედ ქვეშ აღმოჩნდა. ვიღაც ყოჩალებმა კი, ვითომც პოლიტიკური დისონანსებიო, თქვენ ჩვენთან ხართ და ჩვენ თქვენთანაო. ხალხმა, დანაპირები ბევრი გვსმენია, მაგრამ გაკეთებული საქმე მხოლოდ „თვალხატულებით” (ანუ სანახაობა პურის გარეშე). აი, დახეთ, კვლავ სიდუხჭირეა და იმის ნაცვლად, რომ გავახალგაზრდავდეთ, ასაკი გვემატება და ხეირი გვაკლდებაო. იმათმა კი პოზიციის ოპოზიციამ თუ პირიქით, ჩვენ თუ ფონს არ გაგიყვანოთ, თქვენი ცული და ჩვენი კისერიო. შეკრებილნი კი თითქოს ბოლომდე მაინც არ ენდნენ ათასმეჩვიდმეტე დამპირებელს, მაგრამ დაშლა დაეზარათ თუ უბრალოდ მზისგულზე დგომა ეამათ და ბარემ მიდით, ერთი თქვენი დაკრულიც მოგვასმენინეთო. თან ვინ მოთვლის, რამდენი ხნის უნახავი ერთურთი იხილეს და რამდენი საამებელი სიტყვა უთხრეს ერთმანეთს. პირმოლიმარნი ხვდებოდნენ ძველ მეგობრებს და შეპარვით ეკითხებოდნენ, შენც გაგჭირვებია, შენ საცოდაოო? მერე კი ხელებს განზე შლიდნენ გაოგნებულნი და აპა, ნეტა ვიღას ულხინს ამ ქვეყნად, ჩვენი ცოდვის შემხედვარესო. შემდეგ გულუბრყვილოდ იცინოდნენ და აპა, ის რაღა გაჭირვებაა, სადაც რომ გრძელ-მოკლე შაირი არ ითქმისო? იწყეს ლექსები, სიმღერები, დავლური და „ვარადა”, ხოლო დავიდარაპა კი უფრო პოლიტიდებისა გამოდგა. ესენი უბრალოდ ერთმანეთის მზერაში ითბობდნენ გულებს, ხოლო ისინი კი „ბრალიანად” გაიძახოდნენ, ის სხვა ისინი, ჩვენზე უარესებიო. ამათ ნუგეშის ციცინათელები ესხათ სახეზე მნიშვე ყურძნის მტევნებივით, იმათ კიდევ თვალებში ბრტყელ-ბრტყელი აზრები და სხვისი ბალჩა. და, ალბათ,

შეკრებილნი უფრო ადრეც დაიშლებოდნენ, უკან ნასასვლელი გზის ფული რომ ჰქონოდათ, ან ვინ აცალათ ფეხით გასეირნება. ამოქოქეს ამათ და ბანი მისცეს იმათ. ამათ ხალხს მიმართეს, ჩვენ ყველაფერი თქვენი გულისითვის, თორე ჩვენი თავი და მომავალი ჩინ-მედლები ძალლებსაც წაუღიათო, ხოლო იმათ კიდევ, ხელისუ-ფალთ, თქვენ ცოტა ალაოდ ხომ არ ხართო? ისე, იცოდეთ, ეგეც ისევ თქვენი, მოქალაქეთა გულისითვის, თორე არც ჩვენ გვიღილოს დღევანდელი სავარძლები, ბევრის წადის ძახილადო. ხალხმა, გადი რა, ძალლი ვარო? ძალლებმა ისევ პოლიტიკოსნი ათრიონ, ჩვენ სახლში ხელგაშლილი სტუმარი მოგვენატრა და ახლა გარეთ ერთმანეთის უცურმარილო წახვასაც გვიშლითო? თქვეს და უფრო მეტად აღელდნენ. აღელდნენ და ახმაურდნენ, როგორც უთამადო სუფრიდან აშლილთ სჩვევიათ ხოლმე და წამოვიდა რეპლიკების კოკისპირული: წადი, მოდი, შენი, სხვისი, იმათი და ამათიცო, მა-გრამ, სამწუხაროდ, ვერც ახლა შეისმინა ვერავინ ხალხის გმინვა.

ჰოდა, აი, ზუსტად ის დლები იყო, ქალაქში რომ დიდი მღელვარებები დაიწყო და ჩემმა ძმაკაცმა, სამსახურში გამომიარა მანქანით, წამო პახმელიიდან გამოვიდეთო.

- აგაშენა ღმერთმა, შენ თუ მაგ სიკეთეს იზამ და ჩემს თავს დაიხსნი უსაზღვრო „თავსივობისგან”. - უმალ სახე გამინათდა და შვება ვიგრძენი.

- ბიჭო, სულ ჩემს ხარჯზე როგორ უნდა გამოდიოდე პახმელიიდან, ერთი შენი ფულიც დამანახე, რა ფერია. - გამკენნლა, თუმცა კი წინასწარვე იცოდა, რომ ის იხდიდა „საპახმელიო” ხარჯებს.

- კაი, რა, ძმაო, გუშინ ქორწილში ვიყავით და ხარჯი მაქვს ნანახი. ხელფასამდე ისეთ დღეში ვარ, ტრანსპორტში რომ ვინმე დამეგზავროს, იმისიც მეშინია. - ცოტა წავინუნუნე და გონებაში საჭირო დუქანს დავუწყე ძებნა.

- მორჩი ტირილს, წამო, წამო, შენზე უარესად თავი მე მისკდება და მაშინ შაბათის აბანო იყოს შენზე. - მაინც გამრია სამომავლო ხარჯებში და ვითომ სინდისის ქეჯნისგან დამიხსნა.

ჰოდა, წავედით და იქვე მდებარე, ერთ-ერთ საშუალოდ აშ-მორებულ სამიკიტნოში ამოვყავით თავი.

- ბიჭო, მე სამსახურში უნდა მივბრუნდე და ერთი კათხა ლუდი-სა და ჩიხირთმის მეტს ვერაფერს გეახლები. - ისე დამაჯერებლად ვუთხარი ეს ყველაფერი, რომ ჩემი თავის გამიკვირდა, როდის იყო

ერთი, პახმელიაზე ასე მსუბუქად მკურნალობდნენ-მეთქი.

- ეგრე იყოს. არც მე გახლავარ აქ გასკერდომის ხასიათზე, მით უმეტეს, რომ საჭესთან ვარ და წინა სიმთვრალის ქვითარი ჯერ კიდევ მანქანაში მიგდია. აბა, მარტო ჩემი ჯარიმების ხარჯზე ხომ არ უნდა შეივსოს ეს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი. – სიტყვა ნათევამი იყო და თითქოს ამის დასტურად, მიმტანს, ჯერ ორი ლუდი და მერე დანარჩენი რაღაც-რულაცეებით.

- ჰა, ბიჭო, რა აზრის ხარ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე? – ვკითხე და თან საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაც ვცადე, რაც არც თუ ისე კარგად გამომივიდა, რადგან მხრებზე ჯერ კიდევ ორი არნივის თავი მება, რუსეთის გერბის არ იყოს.

- რავი ამათი... - კონკრეტულად ვერ მივხვდი, ასე გამეტებით ვის აგინებდა, მაგრამ მისი გულალალობიდან გამომდინარე, ეჭვი არ შემპარვია, რომ მასაც ის ფეხი სტკიოდა, რომელიც სხვა დან-არჩენთ.

- მერე, მაშინ მე რას მიზიხარ აქ? წადი, ბიჭო, და შენც იქ დადე-ქი, სადაც ხალხი დგას და თავის პოზიციას აფიქსირებს.

- ჩემი შენ გითხარიო, შე მართლა ბელენგვერა. რომ დამდგარხარ და გაიძახი ბრტყელ-ბრტყელად სადლეგრძელოებს სამშობლო-სა და ხალხის სიყვარულზე, შენ თვითონ რატომ არა დგახარ იქ? თუ მარტო ჭიქით ხელში გიყვარს, ბიჭო, მამული?

- შენ კაიფობ, ძმაო, და ეს ამბავი ნაღდად არ არის სახუმარო. შენ გგონია, რომ ხალხს ნაღდად მოსწონს ეს მიტინგები და ხმაური? დარწმუნებული ვარ, რომ არა და იცი როგორ დაიღალნენ? ბიჭო, აბა, წარმოიდგინე, რამდენი მწარე მოგონება უკავშირდება ამდენი ხალხის ერთად თავშეყრას. თანაც ისევ იმ დასაწვავ ადგილზე, პარლამენტთან, სადაც კარგი არასდროს არაფერი მომხდარა. და იცი, რატომ იყო ყოველთვის ასე? იმიტომ, რომ ყოველთვის ვიღაც სხვისგან ვიმართებოდით და იმ სხვას კიდევ ყოველთვის ფეხზე ეკიდა ჩვენი გულისტკივილი და გუბერბად დამდგარი სისხლი.

ამასობაში მიმტანმა ყველი, პური, სალათა, ჩიხირთმა და ორი კათხა ლუდიც მოგვართვა. მეც, დროებით, ჩემი საინფორმაციო აპარატი ჭამა-სმის რეჟიმში გადავიყვანე და მივხვდი, რომ ძმაკაც-მაც ამოისუნთქა.

- ბიჭო, იცი რას გეტყვი, მოდი, პირდაპირ აღიარე, რომ გეშინია იქ მისვლა და ან კი საერთოდ ფეხებზე გკიდია ხალხის ეს მღელვა-

რება. – აშკარად ჩემი აგდება ჰქონდა გადაწყვეტილი.

- აუ, ვისაც ეშინოდეს, იმისი დედაც... ხომ ხვდები, ბიჭო, რომ ჰაერზე არ გელაპარაკები და უბრალოდ, მაგრა არ მინდა, ვიღაცის ხელში ბრმა იარალი გავხდე. თუ გეეჭვება და წამო, ძმაო, და ახლავე ორივენი იქ დავდგეთ. – მეც ვითომ ავუკრიფე და კოპები შევკარი, მაგრამ ბოლო სიტყვებზე თავი ველარ შევიკავე და გამეცინა.

- ბაზარი არ არის, წამო და დავდგეთ. მაგრამ მე უკეთესს გეტყვი. მოკიდე, ბიჭო, შენს ცოლ-შვილს ხელი და ჩადით სადმე, იქვე ეზოში. თქვენ, შეჩემა, იმდენი ხართ, რომ ერთ მიტინგს ეყოფით. – ამაზე ორივემ გულიანად ვიცინეთ და მერე ისევ სუფრას მივუბრუნდით.

ჩიხირთმა ჩავხვრიპეთ და ის კათხებიც ერთი ამოსუნთქვით გავცალეთ. თავში მობოგინე „დვიუროიც“ თითქოს ცოტათი დაიზეთა, მაგრამ სამაგიეროდ ახლა საღერღელი აიშალა.

- თითოც დავლიოთ, არა? ძლივს არ გამოვიხედე თვალები-დან?! ჰოდა, რას გეუბნებოდი იცი, ვერ ვიტან-მეთქი ამ მთავრობის სახლისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხალხი რომ იკრიბება. ამას წინათ ვიღაცამ მითხრა, რომ იქ, სადაც ახლა ეს „დარბაზი“ თუ „კარავი“ გაუმართავთ ჩვენ ხელისუფალთ, ადრე, თურმე, ძველთაძველი ეკლესია იდგა. ჰოდა, მერე ეს ეკლესია დაუნგრევიათ წითლებსა თუ თეთრებს და იმ ადგილას ეს მონსტრი შენობა აუშენებიათ. ისე, ხომ იცი, პრინციპში, შეიძლება სიმართლეც იყოს ეს ყველაფერი. აბა, მაშინ, რატომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში მომხდარ უბედურებათა უდიდესი წანილი ან იქ ხდება და თუ არადა, იქ იწყება?! – სიტყვა გავასრულე და ხინკლით ხელდამშვენებულ მიმტანს თითებით ვანიშნე, ორი ლუდიც დაამატე-მეთქი.

- ისე, ამას ერთი ჰატარა თეთრიც მოუხდებოდა, არა? – ჯერ ხინკალს დახედა და მერე მე ჩამიკრა მაცდურად თვალი არყის ბოთლზე გამოსახული რასპუტინივით. მოგონილი წყენით შევხედე.

სამიკიტნოში კი საგრძნობლად ჩამოცხა. ჰაერი დაიხუთა და მონოტონურმა ზუზუნმა გაუღინთა იქაურობა. ხალხი შეზარხოშდა და აყაყანდა. ან თავიდანვე ზარხოშ-ყაყანებდნენ და უბრალოდ ჩვენი გადამწვარი რეცეპტორები ვერ აღიქვამდნენ ამდენ გამაღიზანებელს ერთდროულად. ანდა, თუნდაც, უფრო მარტივად, ლუდმა გაჭრა და ჩვენც ავიმღვრიეთ. მესამე ხინკლის ჩაკბეჩის შემ-

დეგ უნებურად საათისკენ გამექცა თვალი, იქნებ და, სამსახურის დედაც-მეთქი და თითქოს, დასტურ ჩემი ფიქრისა, ძმაკაცმა ხელში ავტომობილის გასაღებები შეათამაშა, აქაოდა, მაშინ მე მანქანის, ჯარიმის და ბიუჯეტისაცო. სწორედ ამ „არდალევის“ უტყვა ჭიდოლში ვიყავით ჩაბმული ორთავე, როდესაც გვერდზე მაგიდიდან ვიღაცის მჭექარე, ვაჟკაცური და თანაც საქმაოდ მუსიკალური ხმა შემოგვესმა.

- თქვენ გენაცვალეთ, ჩემო ძმებო და კაცურო კაცებო. თქვენი ჭირიმე ყველასი, ჩემო დევგმირებო და სამშობლოს სიამაყევ. ერთი ჭიქის შესმა მინდა და თუ დამანებებთ, ლამაზ ლექსებსაც ბევრს გეტყვით. ყველანი ძალიან მიყვარხართ და მინდა, რომ ყველას ბევრი მოგეფეროთ და მხრები დაგიკოცნოთ, ჩემო გმირებო. ამ ჭიქით ჩემი ლამაზი სამშობლოს სადლეგრძელო ვთქვათ და ვთხოვოთ: გულს ნუ გაიტეხ, მზიანო, მტერს არ მოვუშვებოთ შენზედა. ვუთხრათ: ნუ დაიდარდებ, ძვირფასო, ჩვენ გაგაბრწყინებთ და დაგიამებთ დაკანწრულ დაწვებს. მე მინდა, ჩემო რაინდებო და მგოსნებო, რომ ჩვენი სამშობლოს გამარჯვებისა შევსვათ. გაგიმარჯოს, მადლიანო და დალოცვილ იყავ მარადის! – სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ყელში მობჯენილი ბურთი გამისკდა და ცრემლად მომადგა თვალებზე. გარემოებათა უსიტყვო მორჩილებაში აღმოვჩნდით და როგორ გაჩნდა ჩვენ მაგიდაზე ბოთლი არაყი, დღემდე არ მახსოვს. აპა, რაღა დროს სამსახური და მისთანებზე წუნუნის უამი იყო, როდესაც აქ ასეთი სიტყვები ითქმებოდა. დავასხით, დავლიეთ და ვიგრძენით, რომ უმაღლ ზუსტად იმ ჯიგრიან ქართველებს დავემს-გავსეთ, რომელთაც ის კაცი ლოცავდა.

თამადა კი არ ჩერდებოდა და იქ მყოფთა დაჩიავებულ გულებზე დიდი ასოებით ანერდა დიდივე მამულიშვილების სახელებს: ვაჟა, აკაკი, ილია... სამიკიტხო კი სულ უფრო იხუთებოდა, უხილავი ძაფებით გაერთიანებული სუფრები სულ უფრო ხურდებოდა და თითქოს დროც, თითოეულ წარმოთქმულ სადლეგრძელოსთან ერთად, რამდენიმე საუკუნით უკან იხევდა. ფრთაშესხმული თამა-და ნელ-ნელა კილოს იცვლიდა და მსმენელი ჯერ გარე კახეთს გააქანა, მერე ქიზიყს მისწვდა და ბოლოს მთისაკენ გაინია. შემდეგ უცებ შედგა, სახე გაუნათდა და დასცხო საცეკვაო „ქუდი გვერდზე დაგიხურავს“... ტანში ურუანტელმა დამირბინა და გულში ბანი მივეცი. ვიღაცამ კი რაღა გულში, ბარემ ნატურშიონ და სიმ-

ღერაც აგუგუნდა. არც ტაშს დაუგვიანია დიდხანს და სულ მალე ვიღაც მაღალმა და ტანადმა მიმტანმა გოგომ ჯერ ხელები გაშალა და მერე კი თმები გაიშალა. უეცრად ეს ამდენი, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანი ერთი სუფრის თანამეონახედ იქცა. გაჩნდა განცდა ნაცნობობისა, სიახლოვისა და თანამოაზრეობისა.

- ბიჭო, რა მაგარი კაცია ეს ბიჭი, არა? თან რა მაგარი კაცური ხმა აქვს? აი, ისეთი, ურუანტელი რომ დაგივლის ტანში. ეჲ, მოდი, ერთი ჩვენც დავლიოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადლეგრძელო და ესე ვთქვათ, რომ ამ განსაცდელისათვისაც გაეძლოს და არც ჩვენ გავფუჭებულიყავით.

- გაუმარჯის ჩვენს ქვეყანას! ბიჭო, გუშინდელი ქორწილიდან მოყოლილი სერიოზული რამსი მაქვს არეული. აი, ახლაც იმისი განცდა მაქვს, რომ ეს ყველა ადამიანი ერთ პონტშია აქ შეკრებილი რა. ანუ, თითქოს ყველანი სამშობლოს სიყვარულისთვის ვიმყოფებით აქ.

- შენ უკვე მაგარი მთვრალი ხარ და ურევ რაღაცებს. მომისმინე, რას გეტყვი?! ჩვენ, ძმაო, აქ ვზივართ და ვჭამთ, ვსვამთ და ვქეიფობთ და ის ხალხი კიდევ ქუჩაშია გამოსული და ცდილობს, რომ თავისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს. მერე სამართლიანია, რომ ჩვენ, ჩვენი ნილი აღელვების გამოხატვის მაგიერ, ვსხედვართ აქ გალექსილები და ჭიქებს უჭახუნებთ ერთმანეთს?

- მართალი ხარ და მეტსაც გეტყვი, ახლა აქ ვინმე რომ შემოვარდეს და დედა გვაგინოს, რას დამჯდარხართ, თქვე უჯიგროებო, როცა ქარვასლა იწვისო, არც ეგ უნდა გვერდინოს, რადგან კაცი ყოველთვის იქ უნდა იყო, სადაც შენი ხალხია და არა გზისიქითა დუქანში. ხა... ხა... ხა...

ჩვენი რჩეული თამადა კი ახლა უკვე ლექსებს კითხულობდა, „ყორლანებიდან გნოლი აფრინდა“-ო, და გასუსული დარბაზი შიგ „სახისგულში“ ჩასჩერებოდა. არადა, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი პროვინციელი ბიჭი იყო. საშუალო ტანის, მხარბეჭიანი, მუქი კანის ფერის, ოდნავ შუბლთან თმაშეთხელებული და გატეხილი ცხვირით. თუმცა კი, მისი ნათქვამი „პური ვჭამოთ“, ბევრად უფრო მართალი და ნაღდი იყო, ვიდრე ჩემი „უფალო, შემინყალე“.

- ბიჭო, უორა, ნავიდეთ მიტინგზე?

- არ ვიცი, ლეხო, გეხვეწები, ნუღარ დამაწყებინებ ყველაფრის თავიდან ახსნას. ნაღდად არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე ასეთ

დროს. წესით, ალბათ, უნდა წავიდეთ.

- აბა, ისინი და ესენი მატყუარა პოლიტიკოსები და ეგეთებიო.

- ჰოდა, მაშინ არ წავიდეთ. ვიყოთ აქ, დავლიოთ და მერე ვთქვათ, ერთი იმათი და ამათი ძალით ჭკვიანი თავებიცო და სამშობლის კიდევ, ალბათ, ისევ ღვთისმშობელი მიგვიხდავს. აბა, ერთი მითხარი, როდის იყო, რომ ჩვენ, ხალხს, ერთმანეთის ჭამის მეტი რამე გაგვეკეთებინოს და ერთმანეთის სისხლის ღვრაზე უკეთ რამე გამოგვსვლოდა?!

- და მერე არ გაგვამტყუნებენ, როცა ჩვენ იქ, თქვენ მაშინ აქ?

- ალბათ... უეჭველი... მაგრამ დრო ხომ ჩვენზე ერთი ნაბიჯით წინ დგას და შესაბამისად, მტყუან-მართლის ყველაზე კარგი მოსარჩევე და განმეოთხავიც ეგ არის.

- მეზიზღება პოლიტიკა.

- მეც.

- ბიჭო, ამას არ სჯობდა, ხმლით ხელში გვებრძოლა მტერთან და იქ დავცემულიყავით?!

- კი, სჯობდა.

- მერე, განა ახლა არ კვდებიან სამშობლოსთვის?

- კვდებიან, როგორ არა, მაგრამ ჭირი ისა გვჭირს, რომ ეს ჩვენი სამშობლო ახლა სულ სხვა გრძემლზე დევს და მას ახლა სულ სხვა მჭედელი ჭედავს. და თუ ვისთვის ჭედავს, ეგ უკვე არავინ უწყის?!

მეორე დღეს კი, ეს ჩემი სიტყვები, ანუ „არავინ უწყის“, რომ გამახსენდა, ძალზე მნარედ ჩამეცინა. სწორედ ის უამი იდგა, როდესაც ქართველებს ერთმანეთისთვის უკვე გამეტებით ერტყათ კეტები და ქვები, ხოლო უსახელო ლიდერნი ორივე მხარისა კი განზე იცქირებოდნენ, აქაოდა, თქვენ გგონიათ, რომ ჩვენ არ გვტკივა თქვენი დასიებული ცხვირპირიო?! მე კი მაშინ დემოკრატიის სამჭედლო ქვეყნის აქაური „მტაბის“ სამსახურში ვიდექ და მახსოვს, როგორ დაგვიბარეს ყველანი შეკრებაზე და დიდი რუდუნებით გაგვანდეს, რომ იარების მოშუშების, გულის მოფონვისა და გატეხილი სახელის გამთლიანების დრო დაგიდგათო. გვითხრეს, რომ ეს ასე იქნება და ის ისეო. ჭირი იქა და ლხინი აქაო. ბევრი არაფერი შეიცვლება, მაგრამ ჭალას მომკვდარ ჩიტზე ჩვენ ნულარ გვატირებთ, რადგან ბდლვნად მაინც არ ლირდა ეგ უბედურიო. მაგრამ რაც ყველაზე „ჯერთქვენგულგასახარია“, ამ ყოველივეს სხვა დანარჩენი

ქვეყანა, თქვენგან განსხვავებით, რამდენიმე საათში შეიტყობსო (ვითომცდა, პატივი დაგვდეს, მიდით და თქვენ პირველებმა იჭორავეთო). „ვაი, შენს საქართველოს“ - მეთქი და წავიში ხელები. თურმე სად წყდებოდა ჩვენი ქვეყნის ბედი და იქ შეკრებილ ხალხს კი რას უჩვენებდნენ?! ასე ყოფილა თურმე ყოველთვის, ჩვენს ისტორიას უცხო უამთააღმნერელი წერდა და ჩვენ კი მუდამ ვჩერმულობდით, ღვთისმშობლის ნილვედრნი ვართ, ღვთისმშობელი გვიხსნის და ღვთისმშობელი დაგვიფარავსო.

და იქნებ, მართლაც, ღვთისმშობლისანი ვართ?

დაიბეჭდა უურნალში:

„ჩვენი მნერლობა“

№ 24; ნოემბერი 2008 წ.



შეუძლებელი

მკვდარს მოათრევდა ზურგით და რომ ჰკითხეს, სად მიგყავსო, სად და შენდობის სათხოვნელადო.

არავის ახსოვს ზუსტად, პირველად როდის წამოიკიდა ზურგზე ის უბედური და დაიწყო ასე შარა-შარა, სოფელ-სოფელ სიარული, მაგრამ გაზაფხულის ერთ მშენებელ დღეს კი გამოეცხადა თანასოფლელთ ასე მკვდარაკიდებული. გაზაფხული კი იმიტომ დაამახსოვრდათ, რომ ყველას გულში განაზებული მერცხები უფრიალებდნენ და ამან კიდევ გუნება მოუწამლა და თანაც — ზაფხულამდე. ზაფხულში კი გვამი აყროლდა, ფეხის თითები მოძვრა და მერე მარტო გუნება კი არადა, ჯანმრთელობაც შეერყათ.

დადიოდა ასე ზურგზე მკვდარაკიდებული და ყოველ შემხვედრს მიცვალებულის შენდობას სთხოვდა. დარი და ავდარი იმან არ იცოდა და დაღლით კიდევ მკვდარი უფრო იღლებოდა ამდენი ხეტიალით, ვიდრე ცოცხალი. გაიგებდნენ თუ არა სოფელში, ის მოდის და მკვდარს მოატორდიალებსო, უმაღლ დიდიან-პატარიანა შარაზე გამოეფინებოდნენ და იწყებდნენ ვაი-ვიშს. მაგრამ ვაივიშის გარდა, ყველას ცალ ხელში თითო კბილი ნიორი და მეორეში კი კიტრის წვერის საფეხნები ეჭირათ. აბა, როგორი ამბავი იყო, მკვდრის გახრნილი სუნი და თანაც იმის დაღრეჯილი პირისახის ყურება?! სწორედ ამიტომაც, გვამთან სამ ნაბიჯზე მოახლოებისას, იმ ერთ კბილ ნიორს ცალ ნესტოში იტენიდნენ და კიტრის საფენს კიდევ თვალებზე იდებდნენ. ის კი, მზიდავი, შეჩერდებოდა ყველასთან სათითაოდ და აი, უკვე მერამდენედ ეტყოდა, შეუნდეთ, ხალხო, ამ უბედურსო.

თავიდან ყველამ გაიკვირვა მაგათი მკვდარ-ცოცხალის ამბავი და მხრები აიჩეჩა, მერე შეწუხებდნენ და ცხვირები აიძზუეს, ხოლო ბოლოს გაგულისდნენ და მუშტების ქნევას მოპყვნენ. მართალია, ღმერთისაც სჯეროდათ და სიკვდილისაც, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. კაცო, ადამიანი არა ხარ? ღმერთის არა გნამს? მოასვენე ეგ უბედური და შენც დადექ ადგილზე. აბა, ვის გაუგია, სიკვდილის სიცოცხლემივე ზურგით ტარებაო, ეტყოდნენ სოფლის თავკაცები და დინჯად გატენიდნენ ყალიონს, მაგარმ ვინ უგდებდა ყურს? ამას ჯერ ყველასაგან შენდობა არ გამოუთხოვია და მიწაში ჩასადებად ცოდვააო, პასუხობდა მზიდავი და შუბლზე ოფლს იწმენდდა. შემ-

დეგ მიცვალებულს შეისწორებდა, უკეთ მოიგდებდა მხრებზე და გზას განაგრძობდა ტატ-ტატით. დედაკაცები კი კვლავინდებურად უტევდნენ, შე მართლა მიწა არდასაყრელო, სანამ სოფელში შავ ჭირს არ გააჩენ, არ მოისცენებო და ის კიდევ, მაგისი დარღი არ გქონდეთ, ამას მე, თქვენგან განსხვავებით, დღეში ორჯერა ვპან და თანაც ძმრითო. ბოლოს იქამდეც მივიდა საქმე, რომ მაგრადაც სცემეს ეგეცა და მაგისი მიცვალებულიც, თუმცა კი არც ამან უშველათ, რადგან ამას ურტყამდნენ და მკვდარი კი კვნესოდა, შეეშვით, ხალხო, ცოდოა ეგ ჩემზე უბედურიო.

ერთხელ კიდევ კაკლის ჩრდილში მძინალეს წამოადგნენ თავზე და მიცვალებული მოპარეს. ხევს იქით წაათრიეს, ძველ ნასოფლარზე და ერთ დამშრალ ჭაში ჩააგდეს. მაგრამ რად გინდა?! მეორე დილით ისევ ისე მკვდარაკიდებული გამოეცხადა სოფელს და სულის შენდობა ითხოვა. სუნით, სუნით მიაგნოო, გაიძახოდა ხალხი, თუმცა კი ვინ იცის, იქნებ, ესიზმრა კიდეც?! ეგ კი არადა, თავად მიცვალებულმაც ბევრჯერ სთხოვა, გამიშვი, კაცო, ჩემი ეშმაკებისა მე ვიცი, შენ ვინ დაგნიშნა ჩემი სულის მოურავადო, მაგრამ ამან მაინც არ დაანება. შენ რა იცი შენდობისა, შენ მართლა მკვდაროო, ქვემოდან ასძახა და ფეხზე ახალი ქალამნები ჩააცვა, რათა დარჩენილი თითებიც არ მოსძრობოდა მეტის მიწაზე თრევით.

ისე კი, ჩხუბითა და ლანძღვა-გინებით თავიდან, შეუჩვეველზე ერჩოდნენ, ისიც ნახევარი მონდომებითა და ღიმილიანად, თორქმ მერე მარტო დარიგებებსა და მოფერებაზე გადავიდნენ. საამისო მიზეზიც ჰქონდათ და საბაბიც. რატომო, იკითხავთ? რატომ და, ჯერ ერთი, რომ სეირი მოსწონდათ და მეორე კი, ის მკვდარი კაცი სიცოცხლეშივე ჭირივით სძულდათ. ახია მაგაზეო, იტყოდნენ სოფლის ქალები და მერე მოცყვებოდნენ პირჯვრის წერას, შეუნდე, უფალო, თორქმ სიმყრალისგან უკვე თვალებიც დაგვევსო. იმათი თვალების რა გითხრათ, მაგრამ გვამს კი „ნამეტნავად“ სანდომიანი სახე ჰქონდა. გაქუცული შავი თავი, გადმოკარკლული უსიცოცხლო თვალები, გვერდზე გადმოგდებული ენა და სანახევროდ გახრნილი სხეული. ვერაფერი შესაშური ამბავია. თუმცა კი ყველაზე დამთრგუნავი, ალბათ, მაინც მისი ზევით აწეული ხელი და გახევებული, ოდნავ მხრებში მოხრილი სხეული იყო. სხეული, რომელიც ისე გაშეშებულიყო, რომ მზიდავის ზურგის ფორმა მიეღო და მოკიდებული კი კურტანივით მჭიდროდ ეჯდა ბეჭებზე.

ცემით კი მხოლოდ ერთხელ სცემეს და ისიც მაშინ, როდესაც ქორწილს ჩაუარა და ჩვევისამებრ მოჰყვა ყვირილს, შეუზღეთ, ხალხო, ამ უბედურსო. შენდობა კი არადა, გამოცვივდა მთელი მაყარი და იმდენი ურტყეს, იმდენი, რომ ბოლოს, მკვდარი უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ცოცხალი. რაღა თქმა უნდა, იმ სუფრას ალარავინ მიბრუნებია და ნირნამხდარმა პატარძალმაც გაიშალა თმები, ეს რა მიყო, ქორწილი როგორ ჩამიშალაო?! განწინებული და ქმარს ალთქმა დაუდო, მე შენთან მანამ არ დავწვები, სანამ ის უბედური მიწაში არ ჩაწვებაო. პოდა, სწორედ ეგ სიძე იყო, გვამი რომ მოპარა მზიდავს და ჭაში გადამალა. თუმცა კი, იმ ერთი ღამის გარდა, ცოლს მაინც ვერაფერი გამოსტყუა, რადგან მზიდავი მეორე დილითვე გამოეცხადა სოფელს თავისი საღ-სალამათი გვამით. მას მერე იყო, რომ იმ ქმარს ის ცოლი აღარ უწვებოდა და მოსახლეობა კიდევ „შეუნდეს“ მოურიგდა, დიდი ლხინის დროს სოფელს თავი აარიდე და სხვა დღეებში კი, იცოცხლე, ააყროლე აქაურობაო. ამიტომაც, სანამ სოფლად სუფრა გაიშლებოდა, ჯერ კაცს აფრენდნენ შარაზე, რათა მკვდარს გზაზე დახვედროდა და ნინასწარ მორიგებოდა, ჩვენთან დღეს ლხინია და ხვალ გამოიარეო.

ისე კი ცემის გარდა, შთაგონებითა და დარწმუნებითაც ბევრს ცდილობდნენ მის დაყოლიერას. ხან ფული აძლიეს, ხანაც ღვინო ასვეს და ხან კი წინაპრების საფლავები აფიცეს, მაგრამ სულ ტყუილად. არ იშლიდა თავისას, ამან ჯერ ყველას კიდევ ვერ გამოსთხოვა შენდობა და მაგისი დამარხვა არ იქნებაო. ბოლოს მღვდელიც მიუყვანეს და იმან ლამის მთელი სახარება ნაუკითხა „თავზე“, თუმცა კი მაინც ვერ დააჯერა, მიწა ხარ, მიწად იქცევიო. ის ისევ ჯიუტად თავისას გაიძახოდა, პანაშვიდები და სულის მოსახსენიერებელი მერე გადაუხადეთ, მაგებისთვის ეგ ჯერ მზად არ არისო. ხალხმა, აბა, მაშინ ჩვენ რაღას გვერჩი, რად გვიწამლავ სიცოცხლეს? იმან კიდევ, მე არას გემდურით, მაგრამ ეს რომ სიცოცხლეში გერჩოდათ, მაგის შენდობას ვითხოვო. და ამათმა, განა კი დარჩა ვინმე, ვინც არ შეუნდო მაგ სულში ძალლმიმკვდარსო? მზიდავმაც, ალარავინ რომ აღარ დარჩება, მაგას თქვენ ჩემზე პირველები შეიტყობთო.

ისე, მართალიც იყო, რადგან იმ მკვდარი კაცის კარგი საქმე ისე არ ახსოვდა ვინმეს, როგორც ზაფხულში წამოსული თოვლი. მყრალი იყო, ბოროტი და მარტოხელა. საკუთარ ბოსტანს ვერ უვლიდა და სხვისაში კი შარდავდა. საქონელი არ ჰყავდა და სხვისას

კი ვირის პიტნას აჭმევდა მუცლის გახეთქვამდე. ცოლი არა ჰყავდა, მაგრამ ისეთს მიაწყევლიდა გამვლელ-გამომვლელს, რომ ჯეელებს საფეთქლებთან თმა უჭალარავდებოდათ, ხოლო ხნიერთ კი — წარბები. შვილი არ ებადა და სხვის ბალლს ჭინჭრით დასდევდა, ყრმას — სახრითა და ყმაწვილთ კი ღვინის მაგიერ ძმარს ასმევდა, ამაზე უკეთესს რას დალევთო. არც სახლი ჰქონდა და ზვინში ეძინა. მეზობლებს კი უთვლიდა, თქვენ რომ ჭერი გადგათ, ერთხელაც იქნება და ზედ დაგეხმობათო. ასრულებდა კიდეც დანაპირებს და ამიტომაც ხან ვის სახლს გამოაცლიდა ბოძს და ხან კი — ვისას. მოკლედ, ნამეტანი უვარგისი და მავნე კაცი იყო და ერთადერთი, რატომაც უთმენდა სოფელი, ალბათ, ისევ მისი ასაკი და უსაზღვრო სიძულვილი იყო, თორემ, აბა, სხვას ვის რას აპატიებდნენ ამდენს. უფროსი კაცია და უხერხულია, მაგას პასუხი როგორ მოვთხოვოთო. ეგ ისეთია, ან სიცოცხლეშივე ჯადოს გაგვიკეთებს და ან კიდევ მკვდარი გამოგვეცხადება და გაგვგუდავსო?

როდემდე გაგრძელდებოდა ეს ამბავი, არავინ იცის და ალბათ, არც მერე მომხდარს დაიჯერებდა ვინმე, ერთ მშვენიერ დღეს, წყაროსთან შეკრებილ ხალხს თავისი თვალით რომ არ ენახა, ზურგზე აკიდებული ცხედარი თავისით როგორ ჩამოქვეითდა და როგორ აღაპყრო ზეცისკენ მეორე გახევებული ხელიც. მადლობა, ხალხო, შენდობისათვის, ახლა კი, მართლა უნდა მოვკედეო, ჩაილაპარაკა და ჩანჩალით გაუყვა სასაფლაოსკენ მიმავალ გზას. მზიდავმა კი ჩემი ჭირიც წაგილიაო. ნეტა, ერთი რომელი იყავით, აქამდე რომ მანვალეთ და ამ კაცს შენდობა არ მიეცითო, წყრომით გადახედა იქ შეკრებილთ და მეზობელი სოფლისაკენ დაეშვა სიტყვებით, ყიამყრალა გოგია მომკვდარა და წავალ ერთი, მოვიკითხავ, ნეტავი, როგორ არისო? ეგ ისეთი კაცი იყო, სიცოცხლეში შენდობას არავის გამოსთხოვდა და ვგონებ, ვერც ეგ ვერ გავა ფონს ჩემი დახმარების გარეშეო.

დაიბეჭდა უურნალში:

„ლიტერატურა და ხელოვნება“

№ 4; აპრილი 2009 წ.

ბითური

ტყუილი არ არის სწორი, მაგრამ გაბითურებული ადამიანის მდგომარეობა უარესია.

მზე დედასავით ეფერებოდა სახეზე. გარშემო მყოფი ხალხის მზერა კი ნაზად ათბობდა. ხალისი, ხალისი კი უდიდესი იყო და განსაკუთრებული, რადგანაც ქორწინების სახლთან იდგა. სხვისი ქორწილი იყო, მაგრამ მაინც უხაროდა. ბევრი წყვილი ელოდა თავის რიგს, რომ ოფიციალურად დაემოწმებინათ თავიანთი სიყვარული და ისიც, მხიარული, ამ დიდი სიხარულის შემხედვარე ღიმილს არ იშურებდა.

— სიგარეტი არა გაქვს? — შემოესმა ზურგს უკნიდან ხმა და როდესაც მიტრიალდა, აღმოაჩინა, რომ მთხოვნელი ჩვეულებრივი, ძუნძგლიანი ციგნის ქალი იყო. ანუ „მამაძალლი“.

— აგერ, გამომართვი! — დაუშურებლად მიაწოდა სიგარეტი და კმაყოფილი მიუბრუნდა მეგობარს. ბოლო-ბოლო, ისიც ხომ ადამიანი იყო.

— შენ კარგი ბიჭი ხარ! ღმერთს უყვარხარ და გიფრთხილდება. ბევრ რამეში გიმართლებს ცხოვრებაში, გარდა ხალხისა. ხალხი გღალატობს. მე შენი ფული არ მინდა, უბრალოდ, მოდი და ერთიორ სიტყვას გეტყვი, რომ იცოდე სიმართლე. — ყველაფერი ეს ისეთი გატეხილი ქართულ-რუსულ-ქურთულით წარმოთქვა, რომ აზრი ძლივს გამოიტანა.

— კარგი, მითხარი! — გაკვირვებული დაეთანხმა და გვერდზე გადგა, ხალხისგან მოშორებით.

— მე შენი ფული არ მინდა, არაფერი არ მინდა, ოღონდ ქალალდის ფული მათხოვე, რომ შეგილოცო, — მის სიტყვებში იმდენი დამაჯერებლობა იყო, რომ უყოყმანოდ გაუწოდა ლარიანი. ქალმა ბევრჯერ გადაკეცა ფული, შემდეგ დააფურთხა, მასაც დააფურთხებინა და რაღაცის ბუტბუტს მოყვა.

— თორმეტ საათზე სასაფლაოზე გახვალ ტიტველი, იქ მთვარის შუქზე ქალს იპოვი და ის იქნება შენი ბედი. ამ ლარიანს კი

კარაბადინისთვის დავიტოვებ შესანირად.

— კაი რა, მაგის დედა ვატირე, რატომ მატყუებ? ჯერ ერთი, რომ მე ქრისტიანი ვარ და კარაბადინი არანაირად არ მეხება და, მეორეც, ტიტველი სასაფლაოზე კი არა!?. — თითქოს მიხვდა რომ ატყუებდნენ, მაგრამ რატომლაც მაინც არ გაეცალა.

— ხატზე, ხატზე შესანირი ფულია. აუცილებლად წადი. მითხარი, მითხარი შენი გოგოს სახელი?

— არა მყავს! — რატომლაც რომ მისთვის გადაეხსნა გული.

— მაშინ თქვი, რომ ის, ვინც მე მინდა, ჩემი გახდეს, — ქალი სასწაულად „ახვევდა“ და ისიც სულელივით იმეორებდა მის ნათქვამ სიტყვებს.

— შენი სახელი მითხარი, — არ ეშვებოდა მკვირცხლი ციგანი.

— გიორგი! — უკვე ინანა, რომ მასთან დაიჭირა საქმე.

— მანახე, მანახე, რაც კი ფული გაქვს. შენ დაიჭირე ხელში, მე არ მომცე — ბედი რომ გაეხსნას. — ქალი იმდენად ემოციურად ამბობდა ამ გატეხილ სიტყვებს, რომ მანაც გულუბრყვილოდ ამოიღო დილიდან რის ვაივაგლახით გადანახული ათლარიანი. თანაც იმ ქალის თვალები... საზიზლარი თვალები...

— მომეცი, მომეცი ეს ფული, უნდა შემოგატარო და შევულოცო. — ქალმა თითქმის ძალით გამოსტაცა ხელიდან ფული და უჩვეულოდ მოჰყვა ხელის თამაშს. გაუგებარ სიტყვებს იძახდა და თან წარამარა სასქესო ორგანოზე „ეტანებოდა“ ხელით.

— ხელი, ხელი გასწიე! — უხერხულობა იგრძნოდა რატომლაც შეეშინდა კიდევაც, რადგან გაგონილი ჰქონდა, რომ ციგნებს ჯადო ეხერხებოდათ.

— ეხლა ადექიდა შეუბერე! — ქალმა ხელიგაუწოდა, რომელზეც ფული ედო და სული შეაბერინა. შემდეგ, შემდეგ კი ხელი გაშალა და ყველაფერს ფარდა აეხადა. — „ვსიო“, ბედი გაგეხსნა და შენი ფული წაიღო! — მან სიმწრით დახედა ცარიელ ხელს და მძიმედ მიხვდა, როგორ გააბითურეს.

— ეე?.. რას შვრები? დამიბრუნე ფული! — ბრაზი მოერია, მაგრამ ხელი მაინც ვერ შეახო.

— მე არა მაქვს შენი ფული, გაქრა... ბედმა წაიღო... წადი ეხლა და რაც გითხარი, ის გააკეთე.

— მოდი აქ, შენი დედას შე... — ტუტუცივით ცდილობდა დაკარგული ფულის დაბრუნებას.

— წადი, წადი, თორე დაგწყევლი, მე კუდიანი ვარ. თუ წამართევ ფულს, კაცობას დაკარგავ. — უეჭველი იყო, ქალი ფულს აღარ დააბრუნებდა.

— ეგ არა ქნა!.. ფუ, თქვენი ჯიში მო... — ხელი ჩაიქნია გაბითურებულმა და ხალხის მზერას გაერიდა.

დაიბეჭდა უურნალში:

„ცისკარი“

№ 8, ავგისტო 2001 წ.



გიორგი

— გამარჯობა, გიორგი!

— გაგიმარჯოს, გიორგი!

— როგორა ხარ? იმედია, არაფერი გიჭირს? მე მგონი, ორ თვეზე მეტი გავიდა, რაც ერთმანეთს არ შევხვედრივართ და გვისაუბრია? ასე არ არის? ალბათ, ჩემი ბრალია ასეთი უყურადღებობა. თუმცა ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს!

— მე კი კარგად ვარ, მაგრამ შენ რას შვრები? რას საქმიანობ? რა განწყობაზე ხარ? რამის სათხოვნელად მოხვედი თუ, უბრალოდ, უნდა მესაუბრო? ისე კი, იცოდე, შენ მნახულობ იშვიათად, თორემ მე ყოველთვის შენ გვერდით ვარ. რამ შეგანუხა ამჯერად?

— არა, არაფერმა. უბრალოდ, იმ განწყობაზე ვარ, აი, შენ რომ გესაუბრები ხოლმე.

— მერე, რა უნდა მითხრა ისეთი, მე რომ არ ვიცოდე? თუ არ ვცდები, ჯერ არ გასხივოსნებულხარ? ასე არ არის? კარგი, მიდი, ჩამოთვალე, რა გჭირდება ცხოვრებისგან, რომ კმაყოფილად ჩათვალო თავი და ნევროზიც აიცდინო?

— არა, არაფერი. მე, უბრალოდ, მინდა, იცოდე, რომ მტკიცედ ვდგავარ. თვითდაჯერებულობა მომემატა და გარკვეულწილად თვალთახედვაც შემეცვალა. თხოვნით კი არაფერს ვითხოვ.

— ეგ ყველაფერი კარგია. მაგრამ ნუ მოგერიდება, ითხოვე, ხომ იცი, ყველაფერს მაინც ვერ მიიღებ და იქნებ რამე აზრიანი მოგივიდა თავში.

— მე არაფერი მინდა. მსურს კი, რომ ყოველთვის გვახსოვდეს ერთმანეთი.

— ეჱ, კაცობრიობა ვერაფერმა გამოასწორა და შენგან არც არაფერი უნდა გამიკვირდეს, თუმცა კი შენ წარმოიდგინე, მიკვირს. ისე, ბევრჯერ ნიშანიც მოგეცი, მაგრამ არა, შენ არ მომისმინე. გაკვეთილი მაინც თუ მიიღე?

— კი, ბევრი რამე ვისწავლე. ყოველდღიურადაც ძალიან ბევრს ვსწავლობ. ისე კი, მიკვირს, ამ ძალიან ბევრს ბოლო თუ აქვს? თუ არა აქვს და რა საჭიროა? იქნებ ცოტამაც დამაკმაყოფილოს? ვგრძნობ, რომ შიგნიდან ვიზრდები და რომ მარტო არა ვარ. შენც ხშირად გხედავ ხოლმე, ოღონდ ვერ გცნობ და არ გესაუბრები.

— მომიყევი, მომიყევი. შენ მაინც მესაუბრე გულახდილად. ეჱ,

შენ არ იცი, რა ხალხთან მაქვს კავშირი? ხანდახან მეშინია კიდევაც მათი. შენ კი... არა, ვერ გეტყვი, ძალიან განსხვავდები-მეთქი მათ-გან, მაგრამ რაღაც მაინც არის შენში. მომიყევი, აბა, მომიყევი.

— დიდი არაფერი, მაგრამ თავიდან ძალიან შემეშინდა. ყველაფერი იმდენად უცხო იყო, რომ პირველად ისიც კი მეგონა, ვკვდები-მეთქი, მაგრამ გადავრჩი. უბრალოდ, ის მომენტი დავაფიქსირე, როდესაც სიფხიზლიდან სიზმარში გადავედი. სიზმარში ვიყავი, ვიცოდი და ვფიქრობდი ამ მდგომარეობაზე. შემდეგ რატომლაც ძალიან შემეშინდა. შემეშინდა, რომ სიზმარი რეალურში შემეშლებოდა და გამოფხიზლება ვცადე. ტალღებად და საფეხურებად გამოვდიოდი სიზმრიდან. ვიცოდი, რომ ყოველი მომდევნო საფეხურით და ტალღით უფრო ფხიზლი ვიქნებოდი. შემდეგ კი შოქში გამეღვიძა. ლოგინზე ვიჯეექი, ძალიან შეშინებული ვიყავი და გული მქონდა აჩქარებული. საზარელია უეცრად გაღვიძება. სივრცეში მონავარდე ასტრალური სული მტკიგნებულად უბრუნდება ლოგინში დარჩენილ ხორცს. აფექტში გეღვიძება და გეშინია. ასე ძალიან ხშირად მემართება, ოღონდ გამოვდიძებას აღარ ვცდილობ და რეალურ სიზმრებს ვხედავ. ძნელად მამახსოვრდება, მაგრამ ძილშივე ვიაზრებ მათ. გარდა ამისა, ძილ-ბურანში ხმები მესმის გარკვევით და თვალწინ ნათელ სურათებს ვხედავ. რატომლაც გაპარვის მეშინია ხოლმე. აი, ეს არის, რისი თქმაც მინდოდა.

— ხომ... მე არ შევმცდარვარ. შენ კიდევ ძალიან ბევრ თვისებას აღმოაჩენ შენს თავში. ალბათ, ამიტომაც გესაუბრები ასე თავისუფლად. ეჲ, მეც მინდა, ბევრი რამე გითხრა, მაგრამ არ გამოდის. თანაც მაგდენს ნამდვილად ვეღარ მიხვდები. შენ, სჯობია, შენ თავზე იმუშაო და მერე სხვებზე. ასე უფრო გაგიადვილდება. ისე, არ დამივიწყო და მეც შეძლებისდაგვარად დაგეხმარები ხოლმე. კარგი?

— დიდი მადლობა. კარგად იყავი, გიორგი.

— კარგად, გიორგი.

სანთელმა თითები დაუწვა. შანდაბზე მიამაგრა, პირჯვარი გადაინერა და გამოვიდა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიდან.

დაიბეჭდა უურნალში:
„**ცისკარი**“
№ 8, აგვისტო 2001 წ.

შეზირული ცხვარი

მარიამობის წინა დღე იყო, როდესაც გადავწყვიტეთ, ცხვარი გვეყიდა. ვიფიქრეთ, საქმეს წინ წავიგდებთ, ცხვარსა და „პრიპასებს“ წინადღით შევიძენთ, ზედ მარიამობას რომ არ მოგვინიოს ქვაბებითა და აბლავლებული პირუტყვით რახარუხი-თქო. ამ საქმის, ანუ „დიდი გახსნილების“, უსტაბაში მე გახლდით, რადგან თუ საქმეს ერთხელ ითავებ, შემდგომ მასში აღარავინ შეგეცილება. ჩემს შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა. რამდენიმე წლის წინ მოვიფიქრე, მარიამობადღესასწაულს ცხვარი დაგვეულა და მარხვა ჩაქაფულით გაგვეხსნილებინა. ეს აზრი მეგობრებმაც მოიწონეს და ჰოდა, მიდი და მიხედეო. მეც ავდექი და მივხედე. ჩამოვაყალიბე სტრატეგიული გეგმა, მოვხაზე კულტურულ-შემეცნებითი გასვლის მარშრუტი და შევადგინე „სმეტა“. იმათაც მალადეც, რა კარგი ბიჭი ხარო, მანქანა და ფულის აგროვება ჩვენზე იყოსო. ასე გაჩნდა ერთგვარი ტრადიცია, რომ ყოველ წელს, მარიამობას, ცხვარს ვკლავდით და ვქეიფობდით. ამას ისიც დაერთო, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო, მე ერთ ჩათქმულ ცხვარს ჩემწილ ვყიდულობდი და ვუშვებდი ხოლმე, ხოლო მეორეს კიდევ საზიაროდ ვიძენდით და ვქაფავდით. ანუ ვყიდულობდით ორს, ერთს მე ვუშვებდი და მეორეს კი, საზიაროს, ველავდით. რაღა თქმა უნდა, მე განსაცდელი არ მელეოდა წლიდანწლამდე და ჯიქურ ცხვრის შეწირვით ვებრძოდი ამ ჩემს წინააღმდეგობებს, ხოლო მეგობრებს მადა ხომ არ წაუხდებოდათ ყოველი გახსნილებისას და ამიტომაც საქმეც სულ წინ მიდიოდა. აქედან გამომდინარე, ყოველ მარიამობას, მშვენიერი კულტურულ-განმაძლობელი ღონისძიება გამოგვდიოდა. კულტურულში იგულისხმებოდა სალოცავში მისვლა და ცხვრის გაშვების რიტუალი, ხოლო განმაძლობელში, თავადაც მიხვდებით — ჩაქაფული.

ამ კულტურულ-განმაძლობელ მოვლენათა მიმდინარეობა კი შემდეგნაირი გახლდათ: ოცდარვაში დილაადრიან ავიყრებოდით, ასე თხუთმეტ კაც-ქალ-ბავშვამდე და დატვირთული მანქანებით მივემართებოდით სალოცავისკენ. გზად რომელიმე სამწვადეში შევივლიდით და წინასწარ შეთანხმებულ ყასაბს დავუტოვებდით საზიაროდ ნაყიდ ცხვარსა და ტარხუნით გატენილ ქვაბებს. ყასაბი კი, რაღა თქმა უნდა, გარკვეული თანხის საფასურად, დათქმულ

დროს გვახვედრებდა ერთ ქვაბში სამწვადესა და მეორეში კიდევ ჩაქაფულს. ამის მერე, მეორე ცხვარს მივარბენინებდით ეკლესი-ისკენ, რათა შენირული გაგვეშვა და ჩვენ კი მოგველოცა. მივადგე-ბოდით ხოლმე, უნახავთა ურდოსავით, რომელიმე ქალაქგარეთ მდებარე საყდარს და ხმაურითა და ყაყანით მოვილოცავდით იქაუ-რობას. მე ჩემს შენირულ ცხვარს სამჯერ შემოვატარებდი წალმა-უკულმა ეკლესიას და მერე ჰაიდა, ეგრევე ვიღაცის კუჭგასახარე-ბლად ვუშვებდი. რაც შეეხება წალმა-უკულმა სიარულს ეკლესიის გარშემო, ეს იმით იყო განპირობებული, რომ სულ მერეოდა სწორი მიმართულება, ანუ რომელი მხრიდან უნდა დამერტყა წრე ეკლე-სიისათვის და ამიტომაც ძირითადად კარგი ექვსი წრის შემოვლა მიწევდა ფეხებგაჩაჩეულ ცხვართან ერთად. კუჭგასახარებლად კი იმიტომ ვუშვებდი, რომ შევხსნიდი თუ არა თოქს ამ ჩემს „ცოდვათა საზღაურს“, ის უმაღლ ვინმე უცხო მამაკაცის მკლავებში აღმოჩნდე-ბოდა ხოლმე და მადლობის მთქმელიც არავინ გახლდათ. მერე კი იყო ბევრი სანთლების დანთება, ღმერთო, შენ შეგვინყალეს ძახილი და ულამაზესი ხედებით ტკბობა. ბოლოს, ერთად შეკრების მრავა-ლი უშედეგო მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, თავს ვიყრიდით მანქანებთან და გეზს ვიღებდით ზემოხსენებული სამწვადისაკენ, სადაც გველოდა უგემრიელესი ჩაქაფული და ახალდაკლული სამ-წვადე. იქ მისულნი კი ვდებდით იმ უშედებელ ქვაბს საბარგულში და გადავდიოდით წინასწარ შერჩეულ საქეიფო ადგილზე, სადაც იყო წყალი, ჩრდილი და ბევრი შეშა. მერე კი ინყებოდა „დიდი გახ-სიილება“ და ჩვენც გვიანობამდე ვგუგუნებდით. ვაშიშხინებდით მწვადებს, ვმდეროდით უცნობ-ნაცნობ სიმღერებს, უზომოდ ვს-ვამდით ღვინოს და საერთოდ, ძალიან ვხალისობდით. ამ ჯერზეც თითქოს ყველაფერი სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, როგორც წინა წლებში, მაგრამ ერთი რამ კი მაინც ხინჯად მქონდა გულში, რაც მოსვენებას არ მაძლევდა. მთელი მარიამობის მარხვა ისე შევ-ინახე, რომ ეკლესიაშიც კი არ მივსულვარ, აღსარება-ზიარებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მეც ასე უმსგავსოდ, იმის მაგივრად სი-ნანულში ჩავვარდნილიყავი და ცოდვებზე მეფიქრა, მარიამობის დღესასწაულის წინა დღესაც კი ჩაქაფულზე ვდარდობდი და წი-ნასწარ მადაალძრული ნერწყვებს ვყლაპავდი. და, ალბათ, სწორედ აქ მივქარე კიდეც, რადგან...

იმ დღეს, ანუ მარიამობის წინადღეს, დილიდანვე ძალიან ცხ-ელოდა. ჩრდილშიც კი ოფლი სახეზე სულ წურნურით ჩამოგვ-

დოდა, მაგრამ ჭამა-სმის გულისთვის კაცი რას აღარ აკეთებს და არც ჩვენ ვიყავით გამოხაკლისი. ჯერ ბაზარი და ტარხუნის ამბები მოვითავეთ და შემდეგ კი პირუტყვის საყიდლად წავედით. ისეთი ლამაზი ცხვარი შევარჩიეთ, ცქერით ვერ გაძლებოდი, მაგრამ, აბა, მარტო ცქერა რას გვიშველიდა ხორცს დანატრებულებს. ავდე-ქით და ეგრევე საბარგულში მოვათავსეთ ეს ჩვენი ჯერ ვერჩაქ-ფულად ქცეული მეგობარი და აგარაკისკენ გავსწიეთ, საიდანაც, მეორე დღისით, უნდა დაგვეწყო „დიდი გახსნილების“ რიტუალი. ვერ გეტყვით, იმ წელს არაფერი მქონდა ჩათქმული, თუ უბრალ-ოდ ფული დამენანა, მაგრამ მეორე, გასაშვები ცხვრის ყიდვას კი თავი ავარიდე. ვიცოდი, უზიარებელი ვრჩებოდი იმ მარხვაში და თითქოს სინდისის ქენჯნას რომ გავქცეოდი, ცხვრის გაშვებაზეც უარი ვთქვი. აბა, ეგ რა მორჩმუნეობა იქნებოდა, ახლა დიდის ამ-ბით ცხვარი გამეშვა და მე თვითონ კიდევ ეკლესიაში ერთხელაც არ ვყოფილიყავი ნამყოფი. მერე ჩემი ცოლის ყბიდან რაღა ამოვი-დოდა, შენ თუ ეგეთი მაგარი მორჩმუნე ხარ, ეკლესიაში გევლო და ზიარებოდი, ამ ცხვრებს რომ დაარბენინებ წინ და უკანო. მოკლედ, ვცდილობდი ნაკლები მეფიქრა ამ ჩემს მანკიერებებზე და მეტი ყურადღება დამეთმო ჩაქაფულისთვის. სწორედ ამ ყურადღებიდან გამომდინარე, ვინაიდან და რადგანაც, საბარგულში მოთავსებულ ცხვარს აუცილებლად უნდა მოენელებინა საკვები და შემდეგ შიძი-საგან თვალებგაფართოებულს უპირობოდ უნდა „გადაეკურკლა“ იქაურობა, მეგობართა უმაღლესმა საბჭომ ამ საქმისთვის გამოყო ერთი დაფეხვილი და ვგონებ, ასაკითაც ჩვენზე უფროსი ავტომო-ბილი. შედეგად კი ის მოხდა, რომ აგარაკზე ასვლისას, მაღლა და მიხვეულ-მოხვეულ გზებზე მოძრაობისას, ეს ჩვენი სულაც ვერ-ნაქები მანქანა გაჯავრდა, თუ გაჯორდა და წყალი აადუღა. იმ ხვატში ახლა ჩაის დასაყენებლად არავის გვცხელოდა და დავუწყ-ეთ ლოდინი წყლის განელებას, „იქნებ თავზე მაინც გადავივლოთ-თქო“. გადმოვედით გახურებული ავტომობილიდან და გზისპირა ჩრდილში მივეყარეთ. ვიღაცამ თქვა, ისე ცხელა, სუნთქვა ჭირსო და სწორედ ამ სიტყვებზე საბარგულში ჩაკეტილი ცხვარი გამახ-სენდა, რომელსაც სიმართლე ითქვას და კარგა ხანია კრინტი არ დაუძრავს. ვიფიქრე, ცოდოა და საბარგულს მაინც ავუხდი, არ გაიგუდოს ეგ უპატრონო-მეთქი. არა, მართალია, ამ ჩვენს ახალ მეგობარს, დიდხანს ცხოვრება მაინც აღარ ეწერა, მაგრამ მწვალე-ბლები ხომ არ ვიყავით, დაკვლის მაგიერ, გაგვეგუდა. ავდექი და

საბარგული გავხსენი, მაგრამ თურმე იმ სამგლეს ფეხებზე თოკი გახსნოდა და რომ ავხადე „ბაგაუნიქს“, ცხვარი ფეხზე დამდგარი არ დამხვდა?! უკანა ჩლიქები იქვე მოთავსებულ ქვაბში ჰქონდა ჩაყრილი და დაბნეული ბლაოდა. შევწუხდი ამ დრამატული სცენის შემხედვარე, საწყალმა, ალბათ, უკვე წინასწარ იცის თავისი უკანასკნელი ნავსაყუდელის შესახებ-მეთქი და გადავწყვიტე, ქვაბი მანქანაში გადამედო, რათა ჭურჭელი საბოლოოდ არ წაბილნული ყო ცხვრის კურკლისაკან.

სწორედ იმ დროს, როდესაც მე ქვაბს ჩავაფრინდი ორთავ ხელით და მის ამოღებას ვლამობდი, ამ ჩვენმა ყოჩალმა ცხვარმა, არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ ჩემი იღლის ქვეშიდან ისკუპა გზატკეცილზე. ატყდა ერთი ყვირილი, ცხვარი გაიქცა, დაიჭირეთო, მაგრამ რად გინდა?! მანქანა ზედ გზის პირზე იდგა და იქ კიდევ საკმაოდ დატვირთული მოძრაობა იყო. ჩვენმა „ცხვარჯაფულმა“ კი, ეს ამბავი ეტყობა არ გაითვალისწინა, ან უბრალოდ უგულებელყო და გადმოხტა თუ არა, უმაღ მანქანას შეუვარდა ბორბლებქვეშ. როგორ? როგორ და დახტა თუ არა ასფალტზე, დაადო თავი და ეგრევე ზევით გაგაზა. იქიდან კიდევ მანქანა მოჰქონდა, არცთუ პატარა სისწრაფით და ეს ჩვენი გაქცეული ტუსალი, სულ მცირე სამ მეტრზე ისე გასტყორცნა, რომ მუხრუჭებიც კი არ უხმარია. ცხვარმაც, გამოცდილ ტანმოვარჯიშესავით, ჯერ ორი ვირტუოზული მაღაყი შეასრულა ჰაერში და მერე, ცოტა უკეთ რომ დაშვებულიყო მიწაზე, უეჭველი უმაღლეს ქულებს დაიმსახურებდა თვალებგაფართოებული შიურის წევრთაგან. სამწუხაროდ, ბეჭებზე დაენარცხა და ბეერო... ამოიგმინა. ჩვენ კიდევ, ეგრეთ წოდებული შიურის წევრები, ვიდექით ასე პირდაფჩენილები და შევცექროდით ამ სპეცეფექტებით გაჯერებულ ეპიზოდს, სანამ ეს ჩვენი ცოდვით სავსე ცხვარი ისევ არ წამოხტა ფეხზე და ახლა უკვე თავქვე არ დაეშვა?! ეეოოო... თითქმის ერთდროულად აღმოხდა ყველას, მაგრამ ჯერ სად ვიყავით, რადგან ეს ხომ მხოლოდ უურნალი იყო და ნალდი ფილმი კიდევ წინ გველოდა. აბა, თქვენ ჩვენი სახები უნდა გეხახათ, როდესაც ახლა ქვემოდან მომავალმა მანქანამ წყვიტა მოკუნტრუშე ბეკეკას და გზისპირა ბუჩქებში მიაგდო. ამ ამბის შემხედვარეთ, სიმართლე ითქვას, დაფრინილი პირები კიდევ რამდენიმე სანტიმეტრით ჩამოვენელა და ალბათ, აუტანელი სიცხე რომ არა, თავი ნალდად კინოში გვეგონებოდა. აშკარა იყო, რომ ჩვენს შეუპოვარ ჩლიქოსანს მძღოლებში არ უმართლებდა და

ვგონებ, იმ წუთას ისევ ყასბის დანიანი ხელი ერჩივნა, იმ გვემას, რაც მას იქ უნია. სანახაობითი თვალსაზრისით კი, ეს ყველაფერი იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ მე პირადად, ისიც მომეჩვენა, თითქოს ცხვრის ჰაერში ფრენის სცენები ოდნავ შენელებული და განელილიც იყო. აი, ზუსტად ისე, მძაფრისუუეტიან ფილმებში რომ არის ხოლმე. მაგრამ ყველაზე სახალისო, ალბათ, მაინც ავტონ-ციდენტის მონაწილე მძოლების გაფითრებული სახეების ხილვა იყო, რომლებიც ადგილზე გათავდნენ, სანამ მიხვდებოდნენ, რას დაარტყეს. დაიხოცნენ საწყლები, ვიდრე გაიაზრეს, რომ თეთრი ქულა, რომელსაც დაეჯახნენ, არა ღრუბლებრივი ცხვარი იყო. აბა, ღრუბლის გატანა იქნებოდა ახლა ასეთ გვალვაში?! ჰოდა იმათაც, რა მოვიდნენ გონის, ეგრევე გადმოცვიდნენ თავიანთი ავტომობილებიდან და თვალიერება დაუწყეს საკუთარ ფოლადის რაშებს, აქაოდა, რამე ხომ არ დაუშავდათო. ჩვენ კი, ძალიან დაბნეულები, რატომდაც ზედ შეა გზაზე ვიდექით და მანქანების პატრონებს ვარწმუნებდით, რომ ინციდენტი ჩვენი კი არადა, თავნება ცხვრის ბრალი იყო და მკვდარი პირუტყვი კიდევ, ნალდად ვერ აანაზღაურებდა ჩამტვრეული „ფარების“ საფასურს. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს მოგვინევდა ზემოხსენებულ უხერხულ სიტუაციაში ყოფნა, რომ უეცრად ვიღაცას არ დაეყვირა, ეს მართლა სამგლე ნახე, რა დღეშიაო. თითქმის ერთდროულად ყველანი ბუჩქებისკენ შევტრიალდით, სადაც რაღაც ჯერ შეირხა, მერე თავი გამოყო, მეერო... დაიბლავლა და ბარდებიდან თავის დაღწევა სცადა. სასწაულია პირდაპირ, მაგრამ ეს ისევ ის ჩვენი ცხვარი იყო.

ჰე, ბიჭო, დაიჭირეთ ვინმემ ეგ ოხერი-მეთქი, შევყვირე და ბარდებში გახვეული ცხვრისკენ ვისკუპე. ეტყობა, ამ ჯერზე, იღბალი უკვე მის მხარეს იყო, რადგან მე ჯერ კიდევ ჰაერში ვიყავი, ცხვარმა რომ ბარდებს თავი დაალწია და ტყეში მიმავალ ბილიკს დაადგა. მაგრა არ მესიამოვნა ბუჩქებში თავით გარჭობა, მაგრამ რაღას ვიზამდი? ოში დაჭრილივით ამოვიგმინე, ბიჭებო, ჩემს თავს ნუ დაეძებთ, ცხვარს გამოუდექით-მეთქი. მანქანასთან მდგომი ოთხაციანი რაზმიდან კი ორმა ხმაბალალი სიცილი დაიწყო, ერთი შენიც და მერე იმ დამპალი ცხვრისაცო, ხოლო მეორე ორმა, მარტო ცხვრისო და ზლაზვნით გამოუდგნენ პირუტყვს. სანამ ა ისინი ბილიკს მიუყვებოდნენ, ვიფიქრე, მე გზას მოვჭრი-მეთქი და ბარდებში დავიწყე ფორთხიალი. ძლიერს დავძლიერ საკმაოდ მოზრდილი ფერდობი და ბორცვზე რომ ავძვერი, ისეთი დაღლილი ვი-

ყავი, ფეხზე ძლივს ვიდექი. გზა მართლაც მოვჭერი, თუმცა კი — უშედეგოდ. ცხვარმა ისევ სულ რაღაც წამებით გამასწრო და ახლა ჩემგან ხუთიოდ მეტრში იდგა ქანდაკებასავით. მდევრები არსად ჩანდნენ და ამიტომ კვლავ მე მომინია დადევნება. მოვიკრიბე რაც ძალი და ონე მქონდა და გამოვუდექი. მიუხედავად იმისა, რომ ცხვარი საკმაოდ ახლოს იყო ჩემთან, გადაადგილება იმდენად მიჭირდა, რომ ჩემს შორის არსებულ დისტანციას ვერაფრით ვამცირებდი. აუტანელი სიცხისაგან ფეხებს ძლივს მივათრევდი და სუნთქვა მეკვროდა. მცირე მონაკვეთში ისე ძლიერ დავიღალე, რომ რამდენჯერმე ისიც კი გავიფიქრე, წავიდეს ერთი მაგისიც-მეთქი, მაგრამ ყოველ ჯერზე ცხვრის სიახლოვე მხიბლავდა. ცხვარიც, როგორც კი მასზე დევნის შეჩერებას გადავწყვეტდი, თითქოს განგებ, ჩერდებოდა ხუთიოდ მეტრში, ტრიალდებოდა და იწყებდა ბლავილს მეეროო... ამის შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ის გარბოდა და მე მიესდევდი. მე ვჩერდებოდი და ისიც ხუთიოდ მეტრში დგებოდა. მესამე ჯერზეც რომ იგივე გააკეთა, უკვე სერიოზული ეჭვი გამიჩნდა, მგონი, ეს ცხვარი რაღაცას მიჩალიჩებს და სადღაც გადასავარდნში მივყავარ-მეთქი. ეს ფიქრი ძალიან არ მესიმოვნა, თუმცა კი ამჯერადაც ჯადოსნურად იმოქმედა ჩემზე ცხვრის სიახლოვემ და მეც კვლავ მივყევი. ამ სრბოლას კი დასასრული არ უჩანდა. ბოლოს ისე გავითანგე, რომ თუ არ ვალებინებდი, ნამდვილად აღარ მეგონა. აბა, როგორი საქმეა, თაკარა მზეში და თანაც აღმართზე სირბილი?! ვერაფერი შესაშური. არადა, თავის წილი, არც ის ცხვარი მეშვებოდა „სტიმულის ვარიანტში“. ბოლოს, კიდევ ერთხელ რომ გამიჩერდა წინ, ხუთმეტრიანი დისტანციის აღსაღენად, გულმა აღარ მომითმინა და შევაგინე, წადი შენი პატრონის დედაც-მეთქი. იმან კიდევ მეეროო... და ყურები ააბარტყუნა. ჰო, შენ-მეთქი. რა გინდა, რას გადამკიდებიხარ, თუ გაქცევა გსურს, წადი და გადაიკარე, მე რაღას მკლავ ამ უაზრო სირბილით-მეთქი. ის კი ისევ სდუმდა და თავს მრავლის მეტყველად აქანცარებდა. მე ფეხზე დგომის თავიც აღარ მქონდა და ეგრევე მუხლებზე დავეცი ენაგადმოგდებული. მორჩა, აღარ შემიძლია-მეთქი. ვგრძნობდი, რომ ცოტაც და გული წამივიდოდა დახუთულობისგან. გონებაში კი ისევ ის წელანდელი აზრი ამომიტივტივდა, მე მგონი, ამ ცხვარს, მართლაც სადღაც მივყავარ-მეთქი და უფრო მეტად დავითრებუნე. მცირე პაუზის შემდეგ, იმედით გავაპარე თვალი ცხვრისკენ და თქვენ წარმოიდგინეთ, რა უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, როდე-

საც გავხედე და ის ისევ იქ, ჩემგან ხუთ მეტრში იდგა. მორჩა, აღარ-სადაც აღარ წავალ-მეთქი, გადავწყვიტე და მიწაზე წამოვწექი. შენ კი, თუ ეგრე გულით გინდა, იდექი მანდ და მელოდე, როდის და-ვისვენებ-მეთქი. სწორედ ამ დროს ჩემი ძმა წამომადგა თავზე და დამჩხავლა, რას შვები შეჩემა, ცხვარს რატომ არ იჭერ, აგერ არა დგას ეს დედა მო... ო. ჰოდა, ადექი, ძმაო, და შენ თვითონ დაიჭირე, აღარ შემიძლია, ის ჩაქაფული მარტო მე კი არ უნდა ვჭამო-მეთქი. იმანაც, ერთი შენიცო, ხელი ჩაიქნია და მიჰყვა ჩემს მწვალებელს.

ცხვარი კი ისე არხეინად წაკუნტრუშდა, თითქოსდა, ის არ ყოფილიყოს ორჯერ მანქანადანარტყამი და საბარგულში ნაჭანჭყარები. სანამ გაიქცეოდა, ერთი კი შემოტრიალდა და რაღაცნაირი ნაწყენი მზერა მტყორცნა, ვითომცდა, სულ ეგა ხარ, შეჩემაო. მეც ავდექი და მზერითვე ვუპასუხე, აბა, რომელი კენიელი მორბენალი მე მნახე, შე მართლა შეჩემისა-თქო. ეს ტელეპატიური დიალოგი მალევე დასრულდა, რადგან ჩემი ძმაცა და ცხვარიც თვალს მოეფარნენ. სამაგიეროდ, ჩემი მეგობარი გამოჩნდა ჰორიზონტზე, რომელიც დაოთხილი მოხოხავდა და დუშებს ყრიდა. რაღაცნაირი დანაშაულის გრძნობა გამიჩნდა, როდესაც გავიაზრე, რომ ჩემი უაზროდ ჰუმანური საქციელის გამო, ამდენი ადამიანი იტანჯებოდა. მივხვდი, რომ რადგან მე მეკუთვნოდა საბარგულის გახსნის იდეა, ამიტომ შედეგებზეც მე უნდა მეგო პასუხი. შენ მანდ იყავი-მეთქი, დიდის ამბით შევძახე დაოთხილ ძმაკაცს და რის ვაი-ვაგლახით წამოვდექი. მე მგონი, ის გზის გაგრძელებას საერთოდაც აღარ აპირებდა, მაგრამ ჩემი სიტყვებით დაიმედებული, უფრო შვებით წამოგორდა დაბალი ბუქების ძირას. მე კი ლასლასით გავუყევი ბილიეს და ხელების უშნო ქნევით სველი მაისური გავიძრე. რა იქნება, ახლა ამ მოსახვევს გავცდე და იქ კი, ჩემი ძმა და მის მკლავებში მოქცეული ცხვარი ვიხილო-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად. ოციოდ მეტრში, მარტო ჩემი ძმა დავინახე მიწაზე გართხმული ყოველგვარი პარტნიორის გარეშე. რას შვრები, ცხვარი სად არის-მეთქი? იმან კიდევ, მომწყდი ერთი თავიდან, მაგისი და შენიცო. რაღა მექნა, აშკარად ყველა ჩვენ, ანუ მე და ცხვარს, გვაგინებდა და გვადანაშაულებდა. სიმართლე ითქვას, მგონი, ვიმსახურებდით კიდევ და ალბათ, ამიტომაც, რაღაც მანქანებით შთაგონებულმა, ძალ-ღონე მოვიკრიფე და გზა განვაგრძე. უკვე აღარანაირი იმედი არ მქონდა, ცხვარს როდესმე თუ დავეწეოდი, რომ უცებ ჩემს წინ არ ამოისვეტა პატარა ბორცვზე შემომდგარი?!

მართალი გითხრათ, სულაც არ გამხარებია ახლა მისი ხილვა, რადგან მივხვდი, რომ სრბოლა გაგრძელდებოდა და ეს კი წაღდად არ იყო ჩემთვის სასიამოვო ამბავი. ვუყურებ და ვხედავ, რომ დგას ეს ჩემი „ცოდვების საზღაური“ იმ ბორცვზე და ბლავის გამეტებით. ძალიან გავპრაზდი და ბოლო-ბოლო, არ იტყვო, რა გინდა-მეთქი?! უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ამ ცხვარს არანაირი კავშირი არ ჰქონდა ბედის ორონიასა და იღბალთან. ის, ის სულ სხვა განზომილებიდან იყო მოსული და აშკარად რაღაც მისიას ასრულებდა ჩვენს პლანეტაზე, მაგრამ პირადად მე რას მიქადდა, ამას ჯერაც ვერ ვხვდებოდი. ცხვარმა პასუხად ისევ დაიბლავლა, ვითომცდა, მომყევიო და ბორცვის უკან მიიმალა. მაგრა გამიტყდა, რადგან ეგრევე ცარიელი ქვაბი, დამჭკნარი ტარხუნა და ამჟავებული ტყე-მალი წარმომიდგა თვალინი. რაღაცნაირად გული დამწყდა, რომ ფუჭად ჩაივლიდა „დიდი გახსნილების“ რიტუალი. ამან საერთოდ ამრია და მეც დაუთიქრებლად დავავლე ხელი იქვე დაგდებულ ქვას. „კაენის“ ცოდვით შეპყრობილმა ნაბიჯს ვუმატე და სიმართლე გითხრათ, ჩემთვის, ალბათ, აღარანარი აზრი აღარ ჰქონდა, ცხვარს ცოცხალს შევიპყრობდი, თუ მკვდარს, რადგან ეს უკვე პრინციპის ამბავი იყო.

ბორცვზე რომ ავედი, ქვა მოვიმარჯვე და მსხვერპლს დავუწყე ძებნა. სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ ის იქ აღარ დამხვდა. ამან ცოტა არ იყოს, დამაბნია, როგორ კაცო, აბა, ხუთმეტრიანი დისტანცია-მეთქი? თუმცა კი უფრო დიდი იმედგაცრუება წინ მელოდა, რადგან კარგად რომ შევათვალიერე იქაურობა, აღმოჩნდა, ჩემს წინ მიმავალი ბილიკი სამად იყოფოდა. ცივად დავაგდე ხელი-დან ქვა და ჩაფიქრებული ჩამოვჯეე იქვე. მაშინ ნეტავ რისთვის ეს ყველაფერი?! ნუთუ შესაძლებელია, რომ ცხვარმა ჯერ ფეხებზე თოკი მოიხსნას, მერე მანქანას შთაგონოს წყლის ადუღება და მე კი საბარგულის გახსნა, შემდეგ ორი ავარიული სიტუაციის შექმნა, მთლიან ჯამში ექვს მეტრამდე ჰაერში ფრენა და კილომეტრამდე აღმართში სირბილი, თანაც ბოლოს მდევრების ხელიდან დასხლ-ტომა და სამშვიდობოს გასვლა-მეთქი?! ამ მნარე ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც ჩემი ძმა და მეგობარი წამომადგნენ თავს. გაოგნებულებმა მკითხეს, რა ხდებათ? აბა, მე რა ვიცი-მეთქი. იმათ, როგორ თუ არ იციო? აი, ეგრე, აქამდე ვდიე და მერე გაქრა-თქო. აუჰო... თითქმის ერთდროულად ამოვიგმინეთ სამივემ და სიგარეტს მოვუკიდეთ დასამშვიდებლად. ყველას ერთი კითხვა

გვაწუხებდა — ახლა რაღა გვექნა? ცოტა ხანს ვისაუბრეთ და ბოლოს ორ წინადადებაზე შევჩერდით: „რა გაუძლებს დანარჩენების დაცინვას და უჩაქაფულო მარიამობასო“. მერე კი მანქანის სიგნალის ხმა გაისმა და ჩვენც თითქოს გამოვფხიზლდით. ეტყობა, ავტომობილში წყალი განელებულიყო და დაბლა დარჩენილი მეგობრები გვექებდნენ. აქა ვართო, შესძახა ჩემმა ძმამ და ყველანინამოვდექით, რათა გზისკენ დავშვებულიყავით. მაგრამ, უეცრად, ზედ თავზე, ზარების რეკვა შემოგვესმა და ადგილზე გავშემდით. ურუანტელმა დამიარა სხეულში და ყელში ეკლიანი გორგალი მომებჯინა. სადღაც გაგონილი ფრაზა, „პაკაისა, გრეშნიკ“, ამომიტივტივდა თავში და გამახსენდა ჩემგან უღირსად შენახული მარხვა. ადგილზე გავქვავდი და საფეთქლები ამენვა, აი, თურმე საით მივყავდი იმ ჩემი ცოდვით სავსე ცხვარს-მეთქი?! საშინელი სინანულის განცდა დამეუფლა და ლამის ავტირდი. უმალ მივხვდი ჩემს შეცდომას და ვიგრძენი, როგორ მომელრიცა სახე. მე უმსგავსოს, იმის მაგიერ, რომ სულის ცხონებაზე მეფიქრა, კუჭის ამოყორვას ვლამობდი. მთელი მარხვა ისე შევინახე, რომ აღსარება-ზიარება კი არადა, ეკლესიაშიც არ შევსულვარ, ვითომცდა, საყდარში წასასვლელად ხელი არ მეწყობა- მეთქი. თუმცა, როგორც კი ჯერი გახსნილებაზე მიდგა, არაფერი დამზარებია. ნიშნისამომგები იყო, როგორც ჩემი სიზარმაცე და სულსწრაფობა, ასევე ცხვრის საქციელი და ზარების რეკვა. დაბნეული და გაოგნებული გულის ძახილს მივყევი და გადავწყვიტე, იმ ეკლესიაში ავსულიყავი, სადაც ზარებს რეკავდნენ.

— თქვენ წადით. მე დავრჩები და ეკლესიაში ავალ.
— რომელ ეკლესიაში?
— ზარების ხმა ვერ გაიგეთ?
— ჰო, მერე?
— რაღა მერე, სადღაც აქვე, ზევით საყდარია, სადაც ლოცვა მიმდინარეობს.
— მერე იქ რა გინდა?
— რა ვიცი, იქნებ მოძლვარი ვნახო და აღსარება მაინც ვთქვა, თორემ ხომ ხედავ, არ გამოდის „დიდი გახსნილების“ ამბავი. აშკარად რაღაცაშია საქმე და მგონი, ახლა ვხვდები, რაშიც. იმის ნაცვლად, რომ თუნდაც დღეს მაინც ეკლესიაში ვმდგარიყავი და ლოცვა მომესმინა, აგერ დავრბივარ პირველყოფილივით ქვით ხელში და საწყალ ცხვარს დავსდევ მოსაკლავად.

— კარგი ახლა, მორჩი ეგეთებს. პროსტო, ცხვარი გაგვექცა და არ გინდა ეგ რელიგიური ზახოდები ნიშნებზე და განგებაზე. რომელი რჩეული შვილი შენა ხარ, ამდენი რაღაც მხოლოდ იმისთვის მოხდეს, რომ შენ ეზიარო. ხიბლში ნუ ვარდები, ბიჭო.

- რა შუაშია ხიბლი?! მე მაინც ვცდი ჩემსას.
- და სახლში როგორ მოხვალ?
- გამოყვები რამეს, ხომ დადის ტრანსპორტი?!?
- როგორც გინდა.
- კარგი, თქვენ მიდით, ადით და ჩემებსაც უთხარით, რომ ცოტა დამაგვიანდება.
- კაი აბა, შენ იცი. ოღონდ ნელა ქენი, რომ ფრთები არ ამოგივიდეს.

ისინი წავიდნენ და მე დავრჩი მარტო ჩემს ცრემლად მომდგარ სინაულთან ერთად. სველი მაისური ვადავიცვი და ნელი ნაბიჯით ვაუყევი ზევით მიმავალ ბილიკს. ფიქრი არ მეკარებოდა და მეც მხოლოდ ჩემს სუნთქვას ვუგდებდი ყურს. სულ რაღაც ათ წუთში, მთის წვერზე აღმართული საყდარიც გამოჩნდა და თითქოს, რაღაცნაირად გულს მომეფონა. მართალია, ძალიან მიჭირდა გათანგულსა და მწყურვალს აღმართზე სიარული, მაგრამ მომხდარის შემდეგ, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მამაოს ნახვა და აღსარების თქმა. მით უმეტეს, რომ ჩემი მოძღვრისგან კურთხევა მქონდა აღებული, ქალაქებარეთ ყოფნისას სხვა მღვდელთან მისვლაზე. ოც წუთში შემაღლებულ ადგილზე აგებულ ეკლესიამდეც მივაღწიე და მის ძირში შევჩერდი. რკინის დიდი ჭიშკარი შევაღე და მინაში გამოკვეთილ კიბეებს აუყევი. ზედ მთის წვერზე ულამაზესი პატარა საყდარი იყო აღმართული, რომელსაც ოთხივ მხრივ შესანიშნავი ხედი ერტყა. ეკლესია ახლად აშენებული იყო, მაგრამ ეტყობა, ძველი საყდრის ადგილას, რადგან კედლებში იმავ ძველი საყდრის ქვები ჰქონდა დატანებული. ის იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ მრევლის ნახევარი გარეთ, მზის გულზე იდგა და ლია კარიდან უსმენდა ლოცვებს. მეც იმათ მივეკედლე, ისე რომ ეკლესიაში შესვლა არც კი მიკდა, რადგან თავიდან ბოლომდე სველი ვიყავი. ვცადე ყურადღება მომეკრიბა, რათა მამაოს სიტყვები უკეთ გამერჩია. ძალიან მიჭირდა იქ დგომა და ლოცვის მოსმენა, რადგან საშინლად მცხელოდა და სახეზე შეუჩერებლივ ოფლი მადგებოდა. მერევილაც ღვთისნიერმა ქალმა წყალი ჩამოატარა და ერთი ჭიქა მეც მერგო. ცივმა წყალმა ცოტათი გამომაკეთა და ვცადე გონებაში ჩემი ცოდ-

ვების ნუსხა ჩამომეწერა. იმ დღით მომხდარი ამბის შემდეგ, სხვა რამეზე ფიქრი არ გამომდიოდა და თვალში სულ დილანდელი სურათები მედგა. ისე გავერთე ამ ფიქრებით, რომ ვერც კი შევნიშნე, როგორ გამოვიდა მამაო გარეთ და აღსარებების მიღება დაიწყო. ის საყდრის ერთ-ერთ კუთხეში დადგა და მრევლიც, ზედმეტი ჩოჩქოლის გარეშე, მის წინ ჩამწკრივდა. ესეც, ალბათ, იმიტომ მოხდა ასე, რომ იმ დღეს აღმსარებლები ცოტანი იყვნენ და ძალიან ცხელოდა, თორემ დარწმუნებული ვარ, აქაც დაალურჯებდნენ ერთმანეთს მუჯლუგუნების რტყმით, რიგში წინ ჩასადგომად. მალე ჩემი ჯერიც დადგა და მეც გაუბედავი ნაბიჯით მივუახლოვდი მოძღვარს. ძალიან ვნერვიულობდი, რადგან არ ვიცოდი, როგორ მომეყოლა ჩემი ამბავი და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ დავიბენი, როდესაც მის სახეზე სუსტი ღიმილი შევნიშნე. ადგილზე გავქვავდი და გონება დავძაბე. უმალ გამახსენდა მისი სახე, რადგან წარსულში კარგად ვიცნობდი. ადრე, როდესაც მონასტრები ვიყავი, ის მაშინ იქ ცხოვრობდა. ახალგაზრდა კაცი იყო, ბერობას შემდგარი და წინამძღვარს ეხმარებოდა წირვა-ლოცვის აღვლენაში. მსახურებისას ძირითადად ფსალმუნებს კითხულობდა, ხოლო ტრაპეზისას კი — წმინდანთა ცხოვრებას. მახსოვს, ძალიან მკაცრი იყო, ალბათ, წაწილობრივ, იქაური ტიპიკონიდან გამომდინარე და მუდამ შენიშვნებს მაძლევდა ჩემი დაუდევარი ქმედებებისთვის. ერთხელ, ლამის სახლშიც კი გამიშვა, როდესაც მონასტრის გარეთ შემამჩნია, სიგარეტს როგორ ვეწეოდი. გვერდზე გამიხმო და ბავშვივით დამტუქსა. შემპირდა, რომ კიდევ ერთხელ თუ შემამჩნევდა ამგვარ საქციელს, აუცილებლად გამაძევებდა მონასტრიდან. ახლა, ეტყობა, მღვდლად ეკურთხებინათ და აქ გაემწესებინათ წინამდღვრად. ერთი პირი გული გადამიქანდა, როდესაც წარმოვიდგინე, ეს იქ რეებს მიშვებოდა და აქ რომ ჩემს აღსარებას მოისმენს, მერე რაღას მიზამს-მეტეი?!? თუმცა კი, ჩემდა გასაოცრად, ძალიან თბილად შემხვდა. რუდუნებით გადამეხვია და მხარზე მემთვია. მომიკითხა და გულისყურით მოისმინა ჩემი ამბავი. მერე აღსარებაც მათქმევინა და ბოლოს იმითაც დამაიმედა, ხვალ დილით მოდი და ზიარებისთვის მოემზადეო. ამხელა მადლს ნამდვილად არ მოველოდი და ძალიან დავიბენი. ერთი მხრივ, მიხაროდა, რომ ზიარების საშუალება მეძლეოდა, მაგრამ მეორე მხრივ, მწყინდა, რომ უნებურად ეჭვი შევიტანე ღვთის მსახურის დიდსულოვნებაში. ის კი იდგა და სათნოდ იღიმებოდა. დიდება უფალს და დიდი

მადლობა თქვენ-მეთქი, მამაო, შევღალადე მოძლვარს და გასასვ-ლელისკენ დავეშვი. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი იმ ამბით, რომ ალსარების თქმასთან ერთად, მე უბადრუქს, ზიარების უფლებაც მომეცა. საუცხოო სულიერი სისავსე ვიგრძენი და გული იმედით ამეცო. ესე იგი, არ მომხდარა დღევანდდელი ამბავი ტყუილად და უფლის ნება ყოფილა, რომ მე ამ მარხვაში უზიარებელი არ დავრჩენილიყავი. აბა, ის ცხვარი რომ არ გამქცეოდა და ეკლესიასთან არ მივეყვანე, ალბათ, ახლაც სადმე ვირტენდი ტარხუნიანი ქვაბებით და არც კი ვიფიქრებდი ღვთის მადლის მიღებაზე-მეთქი. თითქოს ბოლომდე ვერც კი ვიაზრებდი მოვლენათა იმ დიდ ჯაჭვს, რომელმაც საბოლოოდ მე ეკლესიაში მიმიყვანა. თანაც, ეს ყველაფერი სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც აღარანაირი იმედი აღარ მქონდა, რომ აღსარების თქმას მაინც შევძლებდი მარიამობის მარხვაში. თავში ვერ ვალაგებდი ამდენ ერთდროულ დამთხვევასა თუ განგების ნიშნებს და ყოველ ჯერზე ფიქრებში ვიკარგებოდი: ცხვრის გაქცევა, შემდეგ მისი ავარიებში მოყოლა და გადარჩენა, მერე იმისი სირბილი ისე, რომ მე არ ჩამოვრჩენილიყავი და ბოლოს, ზედ საყდრის ბილიკთან გაქრობა. წარმოუდგენელია, არა? თანაც ეს ამბავი გვირგვინდებოდა ჩემს თავზე დარეკილი სინაწყლის ზარებითა და ზიარების მიღების უფლებით. გაოგნებულმა გადავინწერე პირჯვარი, ღმერთი, შენ შემიწყალე-მეთქი და გახალისებული გვეშურე სახლისკენ.

რაღა თქმა უნდა, მეორე დღეს, დილაადრიან ვეახელი ჩემი სულის მხსნელს. სრულად დავესწარი ნირვასა და პარაკლისს. სახარებაც მოვისმინე და ღვთის უდიდესი მადლი - ზიარებაც მივიღე. ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რომ ყველაფერი ასე ლამაზად დასრულდა. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ამბის შემდეგ, როგორ „საჩაქაფულედ“ ავენთებოდი?! ვიფიქრე, ახლა კი ნამდვილად ღირსი ვარ კარგი ჭამა-სმის-მეთქი და ორ საათში, საერთოდ ყველაფერი მოვაგვარე „დიდი გახსნილებისთვის“. ეკლესიიდან პირდაპირ ქალაქში დავეშვი და კიდევ ერთი ბატკანი ვიყიდე. მერე ის გზისპირა სამწვადის ყასაბს მივგვარე და იქვე, ბუნებაში საქეიფო ადგილიც შევარჩიე. ბოლოს დავრაზმე ოჯახობა-სამეგობრო და მოსალამოებულს ქეიფიც გაჩაღდა. მინდა გითხრათ, რომ ჩაქაფულიც დიდებული გამოვიდა და ბატკის მწვადიც. ისე კარგად შევირგეთ ყველაფერი, რომ თქვენი მოწონებული. ამ ყოველივეს კი განსაკუთრებით სასიამოვნოს ის ამბავი ხდიდა, რომ მე გულში

ხინჯი აღარ მქონდა და აღარ განვიცდიდი სინდისის ქენჯნას. ანუ ყველაფერი წესის მიხედვით ხდებოდა. დიდი ზიარების შემდეგ დგებოდა დიდი გახსნილების ჯერი და იყო ამაში რაღაც ღვთისა-გან კურთხეული.

გაიშალა სუფრა და დაიწყო ლხინი. იყო დროსტარება და ცეკვა-თამაში. ისმოდა სიმღერა და საუცხოო სადღეგრძელები. მაგრამ რატომდაც, დამსწრე საზოგადოება, ყველაზე მეტად, მაინც ჩემი გაქილიკებით ერთობოდა. განსაკუთრებით კი მოსწონდათ ხუმ-რობა იმაზე, მოყევი, აბა, ერთი ის ამბავი როგორ იყო, გასაშვებად შეწირული ცხვრის ყიდვა რომ დაგენანა და საზიარო გაგექცა და მაინც გაყიდინა კიდევ ერთი ბატკანი. მე კი გაბადრული სახით ვუსმენდი მათ და ისევ ჩემსას ვიმეორებდი ჯიუტად, ეგრე არ იყო ეგ ამბავი, ეს ყველაფერი ასე სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მე ღვ-თის მადლი არ დამეკარგა და მარიამობის მარხვაში ვზიარებოდი-მეთქი. მერე კი ყველანი გულიანად ვიცინოდით. ვიცინოდით კი იმიტომ, რომ ყველაფერს ორი მხარე აქვს და ამ ორ მხარეს ყველა იმ მხრიდან უყურებს, რომელიც უშუალოდ მას მოსწონს.

უფლის წყალობა განუსაზღვრელია და მე უმეცარს რომ მეგონა, მეტი რაღა მოწყალება უნდა მოიღოს ჩემზე უზენაესმა-მეთქი, ალმოჩნდა, რომ საქმე მთლად ასეც არ იყო და მე ნამდვილად ვერა-სოდეს განვსაზღვრავდი ღვთის წყალობასა და სიდიადეს. ამას კი კიდევ ერთხელ სწორედ მაშინ მივხვდი, როდესაც ერთი წლის შემდეგ ზემოთ აღნერილი ამბიდან, მარიამობა დღესასწაულს, მეორე ვაჟი, პატარა კონსტანტინე შემეძინა.

დიდება შენდა, უფალო!

დაიბეჭდა უურნალში:

„ლიტერატურა და ხელოვნება“

№ 11, ნოემბერი 2008 წ.

მოგილური

(სახალისო მოთხრობა)

მახსოვეს, ბავშვობაში, ერთი ძალზედ „მოგილური“ და „ზედ-მეტად“ საზრიანი მეგობარი მყავდა. ისე აეწყო, რომ ეს ჩემი მე-გობარი ჩემი ყრმობის მოგონებების ძალზედ დიდი ნაწილის ინი-ციატორი და სულის ჩამდგმელი იყო. მოკლედ, ეტანებოდა ყველას და ყველაფერს და არც იღბალი ტვირთავდა დიდად უილბლობის განცდით. კონტაქტურობა და „მარიფათი“ — აი, ის ორი ძირითადი თვისება, რაც მას უფრო მეტის უფლებას აძლევდა, სხვა თანა-ტოლებისაგან განსხვავებით. ჰოდა, ისიც სარგებლობდა საზოგა-დობის ამ ნდობითა თუ სიბრიყვით და ათასგვარ სისულელეს სჩა-დიოდა. რაღა თქმა უნდა, მეც სულ თან დამათრევდა, უბის გაცრე-ცილი წიგნაკივით და სწორედ ამ ქმედებების „გამოისობით“ იყო, რომ ჩემი შთაბეჭდილებანი და მოგონებანი იმდროინდელი მობი-ლური კავშირის მქონე კომპანიების დაფარვის ზოლივით იზრდე-ბოდა.

მაშინ, ალბათ, ასე ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისანი ვიქნებოდით. იმდროინდელ ყოფაში კი ეს, ანუ თინეიჯერული ასაკი, არც თუ ისე ადვილი საქმე იყო, რადგან ერთადერთი გასართობი ქუჩაში დგომა და ვიღაც გაურკვეველ ტიპებთან გაუთავებელი ჩეუბი და მერე საქმის გარჩევა იყო. ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, როგორი ფანტასტიკის სფეროდან უნდა ყოფილ-იყო ამ ჩემი მეგობრის იდეა და შემოთავაზება, საზღვარგარეთ დასასვენებლად წასვლაზე. შეუძლებელია-მეთქი და იმან კიდევ იმდენი იჩალიჩა, რომ ვიღაც მოცეკვავების ჯგუფში ჩაეწერა და რაღა თქმა უნდა, მეც თან წამიყოლა. ეგ კი არადა, ისეთი შეახვია იმ ჯგუფის ხელმძღვანელი, რომ ის კაცი აქეთ მადლობას უხდიდა არსებობისთვის და მეც კი გამიცინა რამოდენიმეჯერ. ისე, ამ ჩემი მეგობრის სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ ყრმობიდანვე ძალზედ ალღოიანი ყმანვილი იყო და ალბათ, წამალს რომ არ გაეფუჭებინა, დარწმუნებული ვარ, დღეს „კაკ მინიმუმ“ ადიგენის ოლქის გუბერ-ნატორი მაიც იქნებოდა. აი, ეგეთი ნატურა იყო რა, დღევანდელი ხელისუფალნი რომ არიან, მასაზე მომუშავე პიარისტები. მაგრამ ბარიგა რომ გადააგდო და დიდი ფაქტი დაითრია, აი, სწორედ იქ

დაენძრა და თანაც, მგონი, სამუდამოდ. მართალი ვითხრათ, ჩემში რა მოსწონდა, დღემდე არ ვიცი, მარგამ მაგრად კი ვძმაკაცობ-დით. ალბათ, რაღაც დონეზე ვჭირდებოდი და თან მეგობრულად ვუყვარდი კიდეც. მეც მისი ერთგული ძმაკაცი ვიყავი და უკან არაფერზე დამიხევია, მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმეჯერ მაგარ შარშიც გამხვია.

ათ წლამდე მოცეკვავეთა თუ რაღაც მაგდაგვარი წონითი კატ-ეგორის ბავშვების დასში ჩაგვწერა და იმას იქ სიხარულით შეხვდ-ნენ, რომ ზემოხსენებული ხელმძღვანელიც კი ახალ ილეთებს ჯერ მას უსრულებდა პირადად და მხოლოდ მისი მოწონების შემთხ-ვევაში, მერე უკვე ნორჩებს ასწავლიდა. მე რა სტატუსი მქონდა, იმ დასში, ნაღდად არ ვიცი. ალბათ, მასაუისტის ასისტენტი და ან კი უფრო რეალური, მგზავრობისას „მრნყეველ“ ბავშვებზე პარკის დროულად მიმწოდებელი. მგზავრობით კი ავტობუსით ვიმგზა-ვრეთ და ეს უკვე ცალკე ამბავია, რადგან მთელი გზა ისეთი მონეუ-ლი ვიყავი, რომ მიუხედავად რამოდენიმედლიანი რყევისა, შუაგულ ევროპაში რომ ჩავედით, თავი ჯერ კიდევ იგორეთთან მეგონა.

დილის რვა საათი იქნებოდა, მთელი ქუჩა რომ მანქანის გაბ-მული სიგნალით აიკლო. ძალიან მეზარებოდა გალვიძება, მაგრამ წინასწარვე ვიცოდი, რომ რამე ახალ, ფათერაკებითა და თავგა-დასავლებით აღსავსე ისტორიაში მხვევდა და, აბა, მაგ სიამოვნე-ბაზე უარს როგორ ვიტყოდი? საკმარისი იყო მის მანქანაში ალ-მოვჩენილიყავი და ის დღე სად დაგვიღამდებოდა, წინასწარ კაციშ-ვილი ვერ გათვლიდა: მთა, ზღვა თუ მოძმე რესპუბლიკის გაშიშის გამყიდველის სტუმართმოყვარე ოჯახი. ყველაფერი კი მიახლოე-ბით, აი, ასე ინყებოდა:

- ბიჭო, ერთ კვირაში მივდივართ და ფული უნდა ვიჩალიჩოთ.
- სად მივდივართ?
- რა სად, საზღვარგარეთ.
- მართლა? როგორ?
- როგორ, არ მითქამს? მოცეკვავებს მივყვებით.
- ვაა, მართლა? საიდან?
- ვიჩალიჩე რა და შენც ჩაგწერე.
- კაი ნაშობა ჩითავს?
- არა, რა ნაშობა. ბავშვების ჯგუფს მივყვებით, მაგრამ მაგრა იაფად. ორას დოლარად ორი კვირა, თავისი გზითა და ცხოვრე-ბით.

— ვაა, მერე ფული?
— სახლში არ მოგცემენ?
— საიდან, ტო? მაქსიმუმ პაესტკის ფული გაქაჩონ და იქ სახარჯიც ხომ გვინდა?

— ჰოდა, მაშინ დანარჩენს ჩვენ თვითონ ვიჩალიჩებთ.

უკანასკნელ სიტყვებზე ხერხემალზე სასიამოვნო ქრუანტელმა დამიარა, რადგან ეგრევე მივცვდი, რომ გეგმა უკვე შემუშავებული ჰქონდა და ერთადერთი რაც იყო საჭირო, საქმის მოკლე განხილვა და მისი იღბლის ერთგულება გახლდათ. მერე კი მოვლენები ელვის სისწრაფითა და ჩემი სწრაფი გულისცემით ვითარდებოდა ხოლმე. თითქმის ყველა იდეა, რაც არ უნდა იდიოტური ყოფილიყო, ბოლომდე მიჰყავდა და ყველაფერი გამოსდიოდა. მართალს გეუბნებით, ცხოვრებაში წიგნი არ გადაუშლია და ლექტორები კი აქეთ რჩევას ეკითხებოდნენ, ყმანვილო, შვილიშვილებისთვის რომელი ხიზილალა სჯობიაო. და ისიც, მეორე დილით, ხუთ ქილა ხიზილალას ახვედრებდა მაგიდაზე, რაღა თქმა უნდა, ჩათვლის წიგნაკთან ერთად. სად შოულობდა ამ ხიზილალას, დღემდე აზრზე ვერ მოვდივარ?

— ბიჭო, ახლა, კარგად მომისმინე.

— მიდი, აბა, თქვი. შენ ისეთი სახე გაქვს, უეჭველი რაღაცა გექნება მოფიქრებული?!?

— მამაშა უნდა გადავაგდოთ.

— ვინ?

— მამაშა, შეჩემა, ბოზების უფროსი რა.

— რაა.. გამო.....ი, შეჩემა. ბოზები უნდა ავახიოთ თუ ტაქსის მძღოლი?

— არა, ტო მობილური. ძალიან მაგარი, ხუთას დოლარიანი მობილური.

— უბერავ არა? ბიჭო, ეგენი ძალლებთან არიან შეკრულები.

— დაიკიდე. შენ ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც მე გეტყვი და მობილურსაც თავად ჩაგიდებენ ხელში და შეიძლება ნაშებიც გამოგაყოლონ. — არც იტყუებოდა. ნალდად იცოდა, რასაც აკეთებდა და გეგმაც იდეალურთან მიახლოვებული ჰქონდა.

— კაროჩე, მოკლედ გეტყვი რა... - და იმდენი ილაპარაკა, რომ მანქანის მინები შიგნიდან დაორთქლდა და მე კი მთქნარება ამიტყდა. მართალია, საკმაოდ დამაჯერებლად საუბრობდა, თუმცა ძირითადად თავისთვის, რადგან ჩემამდე მხოლოდ სამმა ფრაზამ

მოატანა და ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტ. — „შენ ცოტა უნდა გაიქცე“, „მე ტელეფონზე დავებაზრდი“ და „შენ უფრო კულტურული როჟა გაქვს“.

იფ, რა მაგარია – ვფიქრობ ახლა ჩემთვის და მეღიმება. – ისევ რაღაცას მატყუებს რა?! როგორც ვხვდები, ამან ტელეფონზე უნდა იბაზროს და მე კიდევ დედის გინებით უნდა ვირბინო?! თან მკერავს, კულტურული როჟაო და რამე. პირდაპირ თქვას ამ ჩემისამ, რომ გასიებული საჯდომი უშლის ხელს სირბილში. რას დადაობს?! ისე, რომელი მორბენალი მე მნახა, რომ ნახევარი ქალაქი ვირბინო გაუჩერებლივ. ვიცი მე მაგისი ცოტა. უეჭველი კილომეტრზე მეტია. რას არ მოიგონებს, ტო?!

— ეხლა დეტალურად აგიხსნი ყველაფერს და კარგად მომისმინე. — მოკლე ხომ პატარა მოცულობის იყო და ახლა ვრცლადო. მგონი, დისერტაციის დაცვას აპირებს ეს ჩემისა. — კაროჩე, ამას წინათ ვიყავი მაგ ქალთან რა და რო გააძრო ის ტელეფონი, პირი დავაღე. ერთი ოცი ცალი თუ იქნება ჩვენთან ეგეთი. სერიოზული მამაშა და ეტყობა, მაგარ ფულსაც ღუნავს. იმენნა, თავისი კლიენტები ყავს და უცხოებთან არ ურთიერთობს, მაგრამ გაკერვა შეიძლება. დავურეკავ ვინმეს სახელით და რაღაცეებს დავაბოლებ, ვითომ ძალლებთან ერთად ვარ მაგასთან ნამყოფი და მაგარს შევეხვენები, რომ ქალები გააძროს. ახლა, რა ხდება?! რაც მთავარია, ვურეკავ ქუჩებში რომ ახალი ტელეფონები დააყენეს იქიდან. იმ ყველა აპარატს თავისი საკუთარი ხომერი აქვს და ემთხვევა იმ უბნის ინდექსს, რომელ უბანშიც ეგ ტელეფონები აყენია. ანუ ვიყიდი ამ ტელეფონის კომპანიის ბარათს და დავურეკავთ იმ უბნიდან, სადაც სავარაუდოდ ჩვენი ბათით და შესაბამისად საუნაც უნდა იყოს. აი, ის საუნა, ხომ იცი, უკანა მხრიდან პარალელურ ქუჩაზე რომ აქვს კიბით გადასასვლელი.

— და მანდ რატომ?

— რაღა რატომ? რომ დაახევ ტელეფონს, მანდედან უნდა მოხიო.

— ააა...

— ჰოდა, მისმინე და ნუ მაწყვეტინებ. ყველაფერი ისე იქნება, თითქოს სახლიდან ვურეკავ. მერე რამე მისამართს მოვუგონებ რა, აბანოსთან ახლოს და ჯერ სახლში მოყვანაზე გავკერავ, მერე კი საუნაზე. ეგრევე საუნაზე არ დათანხმდება და ამიტომ ჯერ ბაითზე გავაჯაზებ. დავაბოლებ, რომ ვითომ მშობლები სადმე მიდ-

იან და სახლში მარტო ვრჩები. დაბადების დღეზე ბიძაჩემმა ფული მაჩუქა და ქალებში მინდა წასვლა. იმენნა, უნდა დავაჯერო, რომ მაგარი დედიკოს ბიჭი ვარ, რომელმაც შემთხვევით ააგდო სახლი და ფული. მერე უკვე დროზე და ადგილზე რომ შევთანხმდებით, ვურეავ მეორედ, სტრელამდე ნახევარი საათით ადრე და ვეუბნები, სახლის პონტი გაიმაზა-მეთქი, რადგან მშობლები დაჩაზე აღარ წავიდნენ. კაროჩე, ვტირივარ და ვეხვეწები, რომ იქნებ იქვე, სახლთან მდებარე საუნაში მოიყვანოს ქალები. მიხვდი, რა ბაზარიც არის? მაგარი გოთვერანია და ისე არ მოიყვანს, თუ არ დაიჯერა, რომ რაღაც შარში არ გაეხვევა. საბოლოოდ, დამთანხმდება რა, აბა, რას იზავს? სად აქვს ეხლა მაგას დასაკარგი ორასი დოლარი. მერე ვეუბნები, რომ ორნი ვიქნებით და საუნასთან დავხვდებით. იქ კი უკვე მარტო შენ იჩითები, მიდიხარ, ეცნობი და ეუბნები, რომ მე ვიგვიანებ და ცოტას მსახიობობ. ენევი, გზისკენ იყურები, იქვე მდგომი კორპუსისკენ, რომელშიც ვითომ ბაითი მაქვს, ხელს იშვერ და ნერვიულობ რა. ნერვიულობ კი იმიტომ, რომ ფული მე მაქვს ჯიბეზე. მერე ყველას რომ გბეზრდებათ ლოდინი, შენ თხოვ, ჩემთან დაგარეკინოს სახლში. ეგება მშობლები აღარ მიშვებენ და ან რამე პრობლემა ხომ არ მაქვს. ისე, შეიძლება თვითონვე გითხრას დარეკეო. მოცდენა არც მაგას აწყობს. საათივით აქვს ან-ყობილი ყველაფერი. შემდეგ ტელეფონს გაძლევს ხელში და შენც იმ ჩვენი ქუჩის აპარატის ნომერს კრიფავ, ან იმას აკრეფინებ და იწყებ ნერვიული ბოლოს ცემას. მერე კი როდესაც დაიგულებ, რომ მიწაზე მყარად დგახარ და მობილურიც შენს ხელშია, ეგრევე პლეტი. რაც მთავარია, ეგ ანუ ტელეფონის ნომერი არ უნდა შეგეშალოს, თორემ დამახსოვრებული ექნება და რომ აგერიოს, ეგრევე რამეს ისქესებს. მერე კი უკვე საქმე შენზე და შენ ფეხებზეა. ერთი რივოკი გინდა და ხუთას დოლარიანი ტელეფონი ჩვენია. არაფერი რთული. არბიხარ იმ ხის კიბეზე, აი, საუნის გვერდით რომ ადის და მერე მირბიხარ პატარა ჩიხებით. ზუსტად ორ წუთში პარალელურ ქუჩაზე ხარ და იქ კიდევ მე დაგხვდები მანქანით. ფეხით შენ ის ქალი ვერ გამოგეერდება და არა მგონია, რომ ქუსლებზე შემდგარი ბოზები დაგადევნოს. მანქანით კიდევ, რომც მოტვინოს საითქენ გარბიხარ და მოინდომოს იმ ქუჩაზე გადმოსვლა, სადაც შენ უნდა გამოხვიდე, ერთი ათი წუთი მაინც დასჭირდება იქ მოსასვლელად. შემდეგ კი, რაღაც დავამატო და იმ ტელეფონს გავყიდით და საზღვარგარეთ წავალთ დასასვენებლად. გაიგე?! ჰა, გაუსწრებ ბებერ ბოზს სირბილში?

— და მე რატომ უნდა ვირბინო?

— ბიჭო, შენ რა როუა ხარ, ტო? ჯერ ერთი, რომ მიცნობს სახეზე და შეიძლება გამიხსენოს, ვისთან ერთადაც ვიყავი. მეორე კიდევ, მე, ძმაო დანარჩენ ბაზარს შევუსრულებ რა. მაგრამ თუ ძალიან გინდა, ჯანდაბას, მე გავიქცევი და შენ ეჩალიჩე იმ ქალს რომ იქ მოვიდეს და ტელეფონი ხელში დამაჭერინოს? დაებაზრები მაგდენს?

— კარგი, მერე?

— რაღაც მერე, ხვალევე უნდა შევუსრულოთ, რომ ტელეფონის გაყიდვა მოვასწროთ, სანამ ის ჯგუფი გავა.

მართლაც უმნიკლოდ შეასრულა ყველაფერი, რაც მას ეხებოდა. იყიდა ტელეფონის ბარათი და მთელი დღე ებაზრა იმ მამაშას მობილურზე ქუჩაში მდგარი აპარატიდან. თან ატყუებდა, ხმაური იმიტომაა, აივაზზე ვდგავარ, მშობლებმა რომ არ მომისმინონ. ტვინი წაულო, დათოს ახლობელი ვარ, წითელი სემი რომ ყავს და შსს-ში რომ მუშაობსო. ეგეთი კლიენტი კიდევ რამდენი ჰყავდა იმ „ბიზნესვუმენს,“ ვინ მოსთვლის? მოკლედ, იმდენი ებაზრა, რომ იმ ქალმა, მართალია, შვილო, ფორმაში აღარ ვარ, მაგრამ თუ გინდა, მეც დაგნებდები, ოღონდ კი შენ დაოკდიო. მერე, როგორც დაგეგმილი გვქონდა, შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე დაურეკა და უთხრა, მშობლები სახლში დარჩენენ და ბაითი გაიმაზაო. ცვეტში ტიროდა, ამ სიტყვებს რომ ეუბნებოდა და მერე უცებ, თითქოს გამისავალი იპოვაო და აი, სახლთან რომ საუნაა, მოდი მაშინ იქ შევხვდეთო. მართალია, იქ მაგარს ვხარხარებდი, ამ საუპარას რომ ვუსმენდი, მაგრამ მთელი დღე, დალამებამდე იმ ტელეფონის აპარატთან რომ მოგვინია გატარება, იმის შიშით, ვაიდა, არ გადმორეკოსო, აი ეგ უკვე მაგრად გამიტყდა და სულაც აღარ მეცინებოდა. მოსალამოვებულს კი უბრალოდ ნერვებმა გვიმტყუნა და ყველმილი ჩამოვალი გადასახლის გარეთ. ნუ მოკლედ, ბოლო-ბოლო, ეტყობა, იმ მამაშასაც შეეციდა გოიმი და თანაც ორას დოლარიანი ბავშვი და კარგი ჯანდაბას, მოვალო. ოღონდ გაითვალისწინე, რომ ეს ყველაფერი დათოს ხათრით, თორემ ჩვენ ეგეთ ადგილებში არ დავდივართო. ისეც მაგათი... ალბათ, არარსებული დათოს გულის მოგებასაც აპირებდა, ისევე როგორც არსებული „ფრანკლინისა“. საბოლოოდ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა და ისინი, ანუ მამაშა, ტაქსისტი და ორიც ბოზი ზუსტად დათქმულ დროს მოვიდნენ საუნასთან. იქ კი მარტო მე დავხვდი და

ჩემი სოლო პარტიის შესრულებაც დავიწყე.

— გამარჯობათ, მე დათოს ახლობელი რომ გელაპარაკათ, იმისი მეგობარი ვარ.

— თვითონ სად არის?

— არ ვიცი, იცით, იგვიანებს. ალბათ, მალე გამოჩნდება?!

— მოდი, მანქანაში დაჯექი.

ადიდასის მოკლე შორტებსა და ჯორდანის „ბრეტელებიან“ მაკაში ჩაცმულ სუბიექტში მამაშამ აშკარად ვერანაირი საფრთხე ვერ შენიშნა და სრული კონსპირაციისთვის ევრევე მანქანაში ჩაჯდომა შემომთავაზა. ეს ჩემი ჩაცმულობაც ვითომ გეგმის ნაწილი იყო, არადა ისედაც სულ ეგრე ვმოძრაობდი, მაგრამ იდეათა „დეგენერატორმა“ ასე ჩაცმა მირჩია, უფრო დაგიჯერებენო. მეც არ გავუტეხ და ხელში რომ კალათბურთის ბურთი მჭეროდა, ალბათ, ის „კახპათმპყრობელი“ მანონსაც შემომთავაზებდა. თავიდან, რა თქმა უნდა, ვიუარე მანქანაში ჩაჯდომა, აქაოდა, ეს ჩემი მეგობარი სადაცაა გამოჩნდება-მეთქი და ინსცენირებული ნერვიულობა დავიწყე. ვწიე პაპიროსი, ვქაჩე თვალები და ვითურთხე უმისამართოდ. არადა მართლა ვნერვიულობდი. აბა, როგორი საქმე იყო, ქალისთვის უნდა ნამერთმია ტელეფონი, არა, მამაშასთვის და ეს უკვე მორალურ უფლებასაც მაძლევდა, რადგან სხვისი სხეულით ვაჭრობით ფულის შოვნა არც მაშინ იყო კანონიერი შემოსავლის წყარო. მინი არსენა ვიყავი რა, ოღონდ საკუთარი ინტერესებით მოტივირებული. ეს ნერვიულობა კი იმდენად ნატურალურად გამომივიდა, რომ ჩემი მდგომარეობით შენუხებულმა ბებერმა ბოზმა, განაზებული ხმით, კიდევ ერთხელ დამპატიუ მანქანაში, ჩაჯექი, შვილო, შეგცივდებაო. ეტყობა, ვარჯიშიდან ახალი მოსული ვეგონე და შევეცოდე. მეც, ამ ჯერზე ველარ გავუძელი ცდუნებას და ჩავჯექი. თან ნამეტანი მაინტერესებდა, ნეტავი ერთი, როგორი ქალები ჰყავს მოყვანილი, თითოში რომ ას დოლარს ითხოვს-მეთქი. მაშინ, ძმაო, ეგ თანხა რამოდენიმეჯერ აღემატებოდა მამაჩემის წლიურ ხელფასს. იქ კიდევ, მართლაც, ისეთი ქალები დამხვდნენ, რომ ნერწყვი გადამცდა და ლამის გავიგუდე. ჩვენსკენ მოიწი, პატარავ, კი არ ვიკინებითო, დამიყვავეს ტურფებმა და მეც ეგრევე ავმჩატდი. გავთამამდი, მაგრამ რა გავთამამდი?! ისე გავერთე მათთან ჭუკჭუკში, რომ მანქანიდან გადასვლა და საქმის ბოლომდე მიყვანა აღარც კი გამხსენებია. აი, შველივით ქალებიაო, მაგათზე იყო ნათქვამი. თან ჩემხელები და ისეთ ვიდზე, აი, ქუჩა-

ში რომ შემხვედროდნენ, ერთი შეხედვითაც კი თავს დავდებდი მაგათ პატიოსხება-კდემამოსილებაზე. მაგრად გამიტყდა, როცა გამახსენდა, რა საქმეზეც ვიყავი და თანაც ჯიბეში კაპიკი ფული არ მედო. ერთი პირი, ისიც კი გავიფიქრე, იქნებ ნალდად აგვიან-დება ამ ჩემს ძმაკაცს და რომ მოვა ფულს მოტანს-მეთქი, მაგრამ ოცნებაც აღარ მაცალეს. მამაშა ნელ-ნელა მოთმინებას კარგავდა და უეცრად თავად არ შემომთავაზა, მიდი ერთი, იმ შენს ძმაკაცს დაურევე, რაო. მეც ინსტინქტურად მანქანიდან გადმოვედი, ვი-თომცდა, ჩემი საუბრით რომ არავინ შემენუხებინა და პოი, საო-ცრებავ, აკრეფილი ტელეფონი არ მომანოდა? ხომ ეს არის სახლის ნომერიო, მიმანიშნა ეკრანზე. კი, ტო, ეგ არის-მეთქი. არადა, ისეთი ავიჭერი მანქანიდან გადმოსვლისას, რომ ქუჩაში მდგარი ტელე-ფონის აპარატის ნომერი კი არა, საკუთარი სახელიც აღარ მახს-ოვდა. ბოლოჯერ გადავხედე სევდიანი მზერით მანქანაში მჯდომ „მერძევებს“ და უკან მოუხედავად მოვხიე კიბისკენ. ე, მოიცა, სად გარბიხარ, შე ნაბიჭვარო, დამიბრუნე ტელეფონიო, ერთი კი ჩამეს-მა სასონარ კვეთილი მამაშას კივილი, მაგრამ გვიანდა იყო?! მე იმ ტელეფონის დამბრუნებელი აღარ ვიყავი და რომც დავეჭირე, არა მგონია, ვინმეს შესძლებოდა ჩემი ხელიდან იმ აპარატის წართმევა, რადგან ისეთი ძალით ვიყავი ჩაფრენილი ჩემს საშვეს საზღვარგა-რეთ, რომ თითებიც კი დამილურჯდა. წადი, ერთი შენი დედაც-მეთქი, მივაძახე და სულ რაღაც წამებში უკვე პარალელურ ქუჩა-ზე ვიყავი. იქ კი, სამშვიდობოს, მოუთმენლად მელოდა მანქანაში მონრიალე ჩემი ძალზედ „მობილური“ და „ზედმეტად“ საზრიანი მეგობარი. მელოდა და თან ცბიერად იღიმებოდა, რადგან თურმე, როგორც მერე აღმოჩნდა, ამასობაში, ანუ სანამ მე ვარჯიშზე ვი-ყავი, მას უკვე ტელეფონის მყიდველიც ეშოვნა და ახლა უკვე ახალ გეგმებს აღაგებდა. სასწაულია პირდაპირ, მაგრამ კიდევ ერთხელ განვმეორდები, ეგ ბიჭი წამალს რომ არ გადაყოლოდა, ძალიან მაგარი კაცი იქნებოდა და თანაც თანამდებობის პირი.



პველი ახალი წელი 2001

ისევ მოკიდა კალამს ხელი და ისევ გადაწყვიტა, დაეწერა. კი, უყვარდა წერა, მაგრამ ამ ბოლო დროს ძლიერ ერიდებოდა. რატომ? ყოველთვის, როცა წერას იწყებდა, ფიქრებში იძირებოდა და პესიმისტური განწყობა უფლებოდა. ასე დამძიმებულს შეეძლო საათები მიეძლვნა თავისი საყვარელი საქმისთვის, მაგრამ, სამაგიეროდ, არ შეეძლო სხვა რამის კეთება. დადიოდა უჟმური და თავში რაღაც გაუგებარ აზრებს თხზავდა. წერდა, გამუდმებით რაღაცას წერდა.

ახლა, ახლა კი ახალი წელი იყო კარს მომდგარი და მასაც რაღაც არ ასვენებდა. ასე ემართებოდა ყოველი ახალი წლის დადგომის წინ. გაუგებარი მიზეზის გამო ბავშვივით ნერვიულობდა. არც ჭამის თავი ჰქონდა და არც სმის. გაუფუჭდებოდა ხასიათი და მთელ დღეს იმაზე ფიქრს ანდომებდა, თუ რა გაუხარდებოდა ან, საერთოდ, რა სურდა. ტრადიციის მიხედვით, ახლაც იგივე განწყობა დაუფლებოდა. ახლაც წამხდარი ჰქონდა გუნება და მუავე სახით შესცეროდა კედლის საათის ისრებს. თითქოს რაღაცას ელოდებოდა. არა, არც უხაროდა და არც სწყინდა. ეშინოდა? არა, არ ეშინოდა მომავლის და არც წარსულზე წყდებოდა გული, უბრალოდ, ახალი წელი დგებოდა. დიახაც, სწორედ ახალი წელი დგებოდა და ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.

ჰმ... არადა, პრინციპში, ახალი წელიც არ იყო. კარიბჭესთან ე.ნ. ძველი-ახალი წელი იდგა. თამაში? თამაში თუ მაზინჯი ტრადიციები? ჭეშმარიტი მართლმადიდებლისთვის ახალი წელი სწორედაც რომ 13 იანვრის ღამეს დგება და, ალბათ, ისიც ამიტომ განიცდიდა ასე.

არა, მაინც რა უცნაური რამ არის ეს ძველით ახალი წელი. წარსული, მაგრამ ამავდროულად უკვე დამდგარი მომავალი. ასფექციაში დაბადებულ ბავშვს ჰგავს. წყალნაყლაპს, კისერზე ჭიბლარ შემოხვეულს და ყვითელს, ყვითელს, სიდამპლეში გადასული ლიმონივით. თავისი თავი გაახსენდა. გადმოცემით იცოდა, თურმე ისიც სწორედ ასე მოევლინა ამ ქვეყანას. ასფექციაში, ძველი-ახალი წელივით.

— გამარჯობა! მე ვარ ძველი-ახალი წელი. აი, ახლა გესაუბრებით და უკვე წარსულია, რადგანაც ყოველი მომდევნო წამი

მომავალია და მე დროს ვერ გადავასწრებ. არადა ამავდროულად მომავალი ვარ. მომავალი ვარ, რადგანაც არ ვჩერდები, არ ვსვამ წერტილს ყოველი სიტყვის შემდეგ და ვაყოლებ მომდევნო სიტყვას. მე ვიზრდები, ჩემშიც არის ზრდისა და მატების კოდი ჩადებული, მომავალში დანახული წარსული ვარ...

აი, სწორედ ასე ემართებოდა ყოველთვის, მისცემდა თავს ფილოსოფიურ განსჯებს და მანამ არ ეშვებოდა, სანამ შვებას არ იგრძნობდა. რა თქმა უნდა, წერა შველოდა და ისიც სულელივით ახალ წლამდე წახევარი საათით ადრე იწყებდა წერას. არადა, ხანდახან როგორ ძნელია კალმის ხელში აღება, სიტყვების მოძებნა და აზრის სწორად წარმართვა? წამდვილად ძნელია.

— აჲა, რამდენიმე წუთში ძველი-ახალი წელიც დადგება. მერე რა, რომ დადგება. დადგეს. მე არ ველოდები. მე არ მომითხოვია. მე... მე არ მინდა ახალი წელი. არც ძველი და არც ახალი. მე მგონი, არ მიყვარს. დიახაც, რომ არ მიყვარს ახალი წელი, არც ძველი და არც ახალი.

არადა, იცოდა, რომ ინერვიულებდა, ინერვიულებდა და, თორმეტი საათიც ისე შემოეპარებოდა, რომ ვერც კი შეამჩნევდა. და აი, გაისმა კედლის საათის პირველი მძიმე „ბომ“. მას მოჰყვა დანარჩენიც. ისარი ხმაურიანად შეინძრა და ჭრიალით გადააბიჯა მომდევნო წელინადში. შუშხუნა შამპანური და გაზს გაყოლილი სევდა. თითქოს არც არაფერი ყოფილა. თითქოსდა ყოველთვის ახალი წელი იყო. მხიარული, ლამაზი და, რა თქმა უნდა, საუკეთესო.

აი, სწორედ ასეა ყოველი ახალი წელი, ცრემლივით მოგადგება, დაგისიებს თვალებს და როგორც კი ლოყას შეეხება, შვებას გაგრძნობინებს. ასეა ძველი ახალი წელიც.

დაიბეჭდა უურნალში:

„ციხკარი“

№ 8, აგვისტო 2001 წ.



მპიტხაობა

- გინდა, გიმკითხაო?
- არ ვიცი!
- რატომ? ხომ არ გეშინია?
- არამგონი. უბრალოდ...
- რა, რა უბრალოდ?
- უბრალოდ, არ ვიცი, რამდენად მჭირდება ახლა იმის ცოდნა, თუ რა მელოდება მომავალში.
- რატომ? რა იცი, და სწორედ ის მოისმინო, რაზეც ოცნებობ ყოველი ძილის წინ.
- მომავალი ის ნაყოფი არ არის, რომელიც დამწიფებამდე იჭმევა. დროზე ადრე თუ გასინჯავ, შეიძლება, ისე დაგისუსხოს ენა, რომ ცხოვრებაში ვერ აღიდგინო პირის გემო.
- და იქნებ სწორედ ის ტკბილი ნაყოფია, რომელსაც დღეს ერთხელ ჩაკერძ, ისიამოვნებ და დარწმუნდები იმაში, რომ მთელი ცხოვრება ამ ნაყოფით მოგიწევს პირის ჩატკბარუნება? ჰა?.. კარგად დაფიქრდი...
- გიმკითხავია ვინმესთვის?
- კი. თანაც რამდენისთვის.
- მერე?
- რა მერე?
- კმაყოფილები რჩებოდნენ?
- ვინ როგორ... რამდენიმემ, შენ წარმოიდგინე, ისეთი სისუსტე გამოიჩინა, რომ თავიც მოიკლა... მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც იმდენად გახარებულები წასულან, რომ ცხოვრებაში აღარაფერზე წაბორდიკებულან და დეპრესიის მაგარი განცდაც კი აღარა ჰქონიათ.
- საკმაოდ მაცდური წინადადებაა, მაგრამ არ ვიცი! არ ვიცი, რა გავლენას მოახდენს ეს ყოველივე ჩემზე! რამდენად შეცვლის ჩემს ცნობიერებას. რამდენად შემბოჭავს და რამდენად გამანთავისუფლებს. არ ვიცი, რამდენად მინდა, ვიცხოვრო იმ აზრით, რომ ვიცი, რა მოხდება ჩემს მომავალში. მით უმეტეს, რომ მე არ ვიცი, რა მომავალი შელის.
- მე დაგეხმარები და გეტყვი, თუ რა გელის მომავალში.
- იქნებ ის არის?.. მე, წელში მოხრილი, ცხოვრების ქარტეხ-

ილებისაგან!.. არაფერი უკან და არაფერი წინ... აუხდენელი ოცნებები, მიუღწეველი მიზნები... ასაკი, ასაკი, რომელიც აღარაფრის საშუალებას არ გაძლევს... ველარაფრის, ველარაფრის მიღწევას ველარ ასწრებ... ტყუილად, სულ ტყუილად გიცხოვრია... ვერ აყვავდა შენი ხე და ვერ მოისხა ტკბილი ნაყოფი! ფუჭი, ფუჭი ყოფილა ახალგაზრდობა და მისი ენერგიული იმედები. მერე... მერე რაღა ვქნა?.. ჰა?.. რა ვქნა?

— ეგ უკვე შენი საქმეა... მაგრამ იქნებ სულაც არ არის შენი მომავალი ასეთი ჩამუქებული. იქნებ ცხოვრების ავ-კარგის ალბათობამ სწორედ შენ გარგუნა ნათელი მომავალი? შენ, შენ გიჭირავს ხელში სავსე ფიალა და ლოცავ შენ ბედნიერ ცხოვრებას და იღბალს?

— არა ვარ პესიმისტი, მაგრამ მაინც მეშინია. არ მკლავს იმის ინტერესი, რომ ვიცოდე, როგორი იქნება ჩემი მომავალი. იქნებ მონოტონური და მომაბეზრებული, პასმელიაზე მომდგარი ფიქრივით, თუ სუფთა, სკოლაში მიტანილ საშინაო დავალებასავით და ასპროცენტიანი, ქვეშ მიწერილი წითელი ხუთიანივით?.. არ ვიცი... არ ვიცი...

— შეიძლება, არც გქონდეს მომავალი. იყოს მარტო საფლავის ქვა, ქვეშ მიწერილი თარიღი და წითელი სააღდგომო კვერცხები. კვერცხები, რომელსაც დაგიგორებენ ჭირისუფლები, რათა რაღაცით მაინც გაგაიგივონ იესო ქრისტესთან. მაგრამ ისიც შეიძლება, რომ შენ იმდენს მიაღწიო, იმდენად ჩასწვდე საკუთარ თავს და შენი მეს საფუძვლებს, რომ სულაც განსხივოსნდე, იგივე იესო ქრისტესავით.

— არა! არ მინდა, რომ მთელი ჩემი მომავალი ცხოვრება ერთი დიდი აზარტული ჟინის ნაყოფად ვაქციო. კონზე დავდო ყველაფერი და ვიცოდე, რომ ველარაფერს შევცვლი.

— შენი გადასაწყვეტია... მე ვერაფერს გირჩევ.

— მოდი, მიმკითხავე.

— აი... უყურე!.. ეს, ეს არის შენი მომავალი!

— მე... მე ამდენზზე... მა... მართოთ... ლა არ... მიფიქრია... ააა... ააა

დაიბეჭდა უურნალში:
„ცისკარი“

№ 8, აგვისტო 2001 წ.

ძამები და სიშიშვლე

ყველა, ყველა შემოსილი დადიოდა. ბევრი, ძალიან ბევრი ძა-
ქები ჩაეცვათ. ცდილობდნენ, დაუინებით ცდილობდნენ, თავიანთი
სხეული დაემალათ სხვისგან ან, პირიქით, თვითონ დამალვოდნენ
თავიანთ სხეულს.

— მე, მეარ ვარ რომელიმე სექტანტური მოძრაობის წარმომად-
გენელი. არც რომელიმე გარკვეულ ჯგუფს მივეკუთვნები. მე, მე,
უბრალოდ, მსიამოვნებს სიშიშვლე... და არა იმიტომ, რომ ყველა მე
მიყურებს, არამედ იმიტომ, რომ მე ვუყურებ ყველას ჩემი შიშველი
სხეულით. სწორედ ასე ან მიახლოებით ამდაგვარად პასუხობდა
იგი ყველას, როდესაც სხვები მას აკრიტიკებდნენ ექსცენტრიული
გამოხტომების გამო.

დაიარებოდა დედიშობილა და ვერავინ ამოიკითხავდა მის სახ-
ეზე უხერხულობას. არ არსებობდა მოკრძალება და სიშიშვლე იყო
მისთვის სრულყოფილება. მას არ უყვარდა თავისი სხეული, იგი,
უბრალოდ, ამაყობდა მისით.

ის არ ცდილობდა ყურადღების მიპყრობას, არამედ ის აკვირდ-
ებოდა ყველას ყურადღებით. აკვირდებოდა და უკვირდა ამ ძაძებ-
ში შემოსილი ხალხის, რომელნიც გაუცხოებულიყვნენ როგორც
სამყაროსაგან, ასევე საკუთარი თავისგანაც.

— მე არ ვცდილობ, დავემსგავსო პირველყოფილ ადამიანს. არ
ვცდილობ, დავუბრუნდე ბუნებრივ მდგომარეობას. არ ვბრუნდები
უკან, არამედ მივინევ წინ ჩემი სიშიშვლით და ვცდილობ, შევერწყა
სამყაროს. მე არ ვცდილობ, შევენინააღმდეგო ვინმეს; არც იმას
ვცდილობ, დავიყოლიო ვინმე, მე, უბრალოდ, მსიამოვნებს სიშიშ-
ვლე.

— გეშინოდეს ღმერთის... ცოდვილო... შენ, შენ ცდილობ,
გარყვნა სამყარო... სატანის, სატანის მოციქული ხარ შენ, ეშმაკი-
სეულო, — ლანძღავდა მონაზვნის ძაძებში შემოსილი, კაცური ნა-
კვთების მქონე ქალი და გამეტებით ცდილობდა, ეძგერებინა მის-
თვის კლანჭებივით შემართული ფრჩხილები. ტანს უხოკავდა და
გაცხოველებული ცდილობდა, მის სასქესოს მიწვდენოდა. სურდა,
ხელში ჩაეგდო და სამაგიერო გადაეხადა ამდენი... გაუცნობიერ-
ებელი ქალური შური. მამაკაცის... მონაზვნის ძაძები და მისი შიშ-
ველი ასო. სულიერი შფოთი, ასე ნანატრი შეხვედრა და ყველაფრის

მიზეზ-მიზანი. ეს, ეს უნდა გადაელახა მას, რომ გამხდარიყო მონ-
აზონი... არადა, საიდან ამდენი შიში, ზიზღი და ლტოლვა ამ სიშიშ-
ვლისკენ... რა?.. რატომ?.. სად?

— ტანზე ჩაიცვი, შე ნაბიჭვარო. შენს გარდა აქ სხვებიც არ-
იან... ქალები... ბავშვები... დედები... უხ, მე შენი დედა მოვ...

ისე ურტყამდა წიხლებს ეს ახალგაზრდა ბიჭი, თითქოს ცდი-
ლობდა, მასზე, სწორედ მასზე ამოენთხია მთელი ის ბოლმა, რაც კი
მის სულმი დაგროვილიყო მრავალი წლის განმავლობაში. სცემდა
და სადღაც თავის თავს ნაკლოვანადაც გრძნობდა მასთან შედარე-
ბით. ის შიშველი იყო... ის სურვილს წარმოადგენდა... ყოველ ქალს,
შეიძლებოდა, მოსვლოდა „რაღაც“ მისი სიშიშვლის დანახვაზე...
მას კი ტანთ ეცვა... რაღაცით ჩამოუვარდებოდა მას და რაღაცით
მასზე დაბლაც იდგა. ის სიშიშვლეს აგებებდა თითოეულ შებოჭილ
გონებას, მას კი... ტანთ ეცვა... ამაზრზენია... სწორედ ამიტომაც
ურტყამდა ასე გამეტებით... ის უნდა დაეჩრდილა... სისხლით...
სისხლის გუბებით უნდა დაეფარა, რათა აღედგინა თავისი შე-
ლახული თავმოყვარება.

— დაიჭირეთ... დაიჭირეთ... არ გაუშვათ.

— ჩაქოლეთ... დაასამარეთ... ცოცხლად დამარხეთ.

— დაიჭირეთ... დააპატიმრეთ... საგიჟეთში ჩასვით.

ისმოდა შეძახილები და მრავალი ბინძური ხელი ეტანებოდა
მის სამყაროსთან შერწყმის მსურველ შიშველ სხეულს. მართლაც
დაიჭირეს, ჩაქოლეს, დააპატიმრეს, დაასისხლიანეს, დახოკეს და
ტყავიც კი გააძრეს ტანიდან. ყველამ, ყველამ ჩაიხშო და დაიკაყ-
ოფილა სიშიშვლისადმი გაუცნობიერებელი სწრაფვა. ყველამ, ყვე-
ლამ გადმოანთხია საკუთარი ნაკლოვანებებით აღსავსე აგრესია.
ყველამ ერთხმად მოსპო სიშიშვლით გამოწვეული საშიშროების
ჩანასახი.

დაიბეჭდა უურნალში:
„ციხკარი“

№ 8, აგვისტო 2001 წ.



სცენარი ვიდეორგოლისთვის

“ნარკომანია ვიზრო ხედვაა!”

მოქმედება იწყება ცენტრალური კანალიზაციის ვიწრო და ნახვრად განათებულ გვირაბში. სათითაოდ ჩანს ხუთი კაცი, რომლებიც დგანან ამ ბინძურ გვირაბებში (ცალ-ცალკე და სხვადასხვა გვირაბებში). ახლო კადრი თვალის დახუჭვის ეფექტით გადადის ერთიდან მეორე პერსონაჟები, რომელთა სახეებიც გამოხატავენ მოლოდინს. ყველა სხვადასხვანაირის ჩაცმული და სხვადასხვანაირ პერსონაჟს წარმოადგენენ. მუსიკის მაგივრობას ასრულებს როიალის კლავიშების ცალკეული ხმები(ოდნავ დამთრგუნავი). გამოსახულება არის შავ-თეთრი, რომელიც დაგადის მოყავისფროში.

პერსონაჟების მოკლე დახასიათება, რომელთაც კამერა ანახებს თანმიმდებრობით:

1. გრძელთმიანი და ფართხუნაშარვლიანი თინეიჯერი ბიჭი, რომელსაც ასხმული აქვს ბევრი ყელსაბამები და სამაჯურები;
2. სოლიდურად ჩაცმული, რესპექტაბელური იერის, ორმოცნლამდე მამაკაცი კოსტუმსა და ხალსტუხში.
3. შავებში ჩაცმული და ცვირსახოც ხელზეგადახვეული პროვინციული გარეგნობის ქერა და გაუპარსავი ბიჭი;
4. კარგად ჩაცმული და მუქსათვალიანი თბილისელი ახალგაზრდა, “კარგი ტიპის მანერებით”(მიხრა-მოხრა მოძველიჭო);
5. ძალიან გამხდარი და კბილებჩაცვენილი “ბუშლატიანი” სამოცნლამდე მამაკაცი. დანაოჭებული სახითა და შეშინებული მზერით.

იწყება ენერგიული მუსიკა, ხუთივე ადგილიდან წყდება და იწყებს გვირაბში წინ სირბილს. ყველაფერი ჩანს წინა ხედიდან. მირბიან ამ გვირაბებში თავქუდმოგლევილები და მოურიდებლად ტოპავენ ტყლაპოებში. ჯერ ჩანს როგორ გარბის ყველა სათითაოდ, მერე კი ეკრანი ხუთად იყოფა და ჩანს ყველა ერდორულად, როგორ გარბიან. გვირაბი ძალიან ბინძურია, უანგიანი, და ვიწრო. სირბილი

მოუხერხებელია და ამიტომაც მსრბოლელები ხშირად ეხახუნებიან კედლებს. სირბილის სცენა შიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ვიდეო რგოლისთვის არსებული დროის შეზღუდვების მიხედვით.

ამ სრბოლისას ყველას სათითაოდ წინააღმდეგობები ექმნება და ყველა მცირე დროით ჩერდება. ამიტომ ყველანი ისევ სათითაოდ ჩანან წინა ხედიდან და სათითაოდ არის ნეჩვენები მათი წინააღმდეგობები. პერსონაჟიდან პერსონაჟზე გადასვლა ხდება კვლავ თვალის დახუჭვის ეფექტით. ანუ ხუთად გაშლილი ეკრანი ერთიანდება და თანმიმდებრობით აჩვენებენ პერსონაჟების წინააღმდეგობას:

გრძელთმიანი და ფართხუნაშარვლიანი თინეიჯერი ბიჭი – ჩერდება(მუსიკაც ჩერდება და ისმის გულის ცემა), წელში იხრება და აღებინებს(ეს სცენა ჩანს უკანა ხედიდან). მკლავით იწმენდს პირს(წინა ხედი) და ისევ გარბის(მუსიკაც გრძელდება). მას თვალები აქვს დანითლებული და სველი თმა ეკრობა ნატანჯ სახეზე.

სოლიდურად ჩაცმული, რესპექტაბელური იერის, ორმოცნლამდე მამაკაცი კოსტუმსა და ხალსტუხში – მობილური ურეკავს და ისიც ჩერდება(მუსიკაც ჩერდება და ისმის ქოშინი). იღებს ტელეფონს და ესმის ქალის ხმა “სად ხარ?”. მამაკაცი კი პასუხობს ქოშინითა და აგრესით - მზე უნდა ვნახო. თიშავს ტელეფონს და აკანკალებს. მერე ისევ გარბის და სახეზე ოფლი სდის წურწურით(მუსიკაც გრძელდება).

შავებში ჩაცმული და ცვირსახოც ხელზეგადახვეული პროვინციული გარეგნობის ბიჭი - ჩერდება(მუსიკაც ჩერდება და ისმის აუტანელი წურილის ხმა). იკუზება(ჩაჯდება), ხელებს წინ გაიშვერს, მძიმედ სუნთქვას ღია პირით და იწყებს გინებას(ისმის გინების მხოლოდ პირველი სიტყვები და მერე ტუუუუ). ხელების დახმარებით დგება და ისევ გარბის არეული ნაბიჯით(მუსიკაც გრძელდება). წამოდგომისას თვალებს ატრიალებს, პირს აღებს და სახე ეწელება.

კარგად ჩაცმული და მუქსათვალიანი თბილისელი “კარგი ტიპი” - ჩერდება(მუსიკაც ჩერდება და ისმის მუცლის ბუყბუყის ხმა). ხელებს იკიდებს ხან მუცელზე და ხანაც უკანალზე. სახე აქვს გაფითრებული და მოსდის სიმწრის ცრემლები. მუცლის ბუყბუყის ხმა წყდელა. მას წამიერად სახე ემანჭება და შემდეგ ისევ მოწყდება.

ყვეტით გარბის(მუსიკაც გრძელდება). უკანა ხედიდან ჩანს მისი დასვრილი შარვალი, რომელიც ცალი ხელით უჭირავს.

ძალიან გამხდარი და კბილებჩაცვენილი, „ბუშლატიანი” სამოც წლამდე მამაკაცი – სირბილისას ფეხს წამოკრავს რაღაცას და ტყლაპოში ვარდება სახით (პირი აქვს ლია). მუხლებზე დგება(მუსიკაც ჩერდება და ისმის წყლის წვეთებისა და ტყლაშუნის ხმა) და პირს(ერას) იწმენდს ბინძური ხელებით. აფურთხებს მღვრიე წყალს და მერე მუხლებზევე ხოხვით აგრძელებს სვლას. სახე აქვს ძალიან საწყალი და უმწეო.

ამ სცენების დროს წინა ხედიდან ჩანს როგორ გარბის ჯერ ერთი პერსონაჟი და როგორ ჩერდება. შემდეგ წარმოჩნდება ზემოთ აღნერილი სცენა(ანუ მისი წინააღმდეგობა) და მერე კამერა, ისევ თვალის დახუჭვის ეფექტით გადადის მომდევნო პერსონაჟები და მის სცენა-წინააღმდეგობაზე.

შემდეგ სცენაში, გვირაბის შუაში, ჩნდება რკინის კიბე, რომელიც ადის ზევით (ისეთივე კიბე და მიახლოვებითი გვირაბი, როგორებიც არიას საკანალიზაციო ჭებში). მუსიკა ჩერდება და ისმის ნაბიჯების ხმა(წყალში ტყაცუნი). უცებ ყველანი ერთად აწყდებიან ამ კიბეს და ცდილობენ მასზე აცოცებას(როგორ აღმოჩნდნენ აქ, ან როგორ გაერთიანდა გვირაბები ეს არა ჩანს). ეს ყველაფერი ჩანს გვერდითი ხედიდან და გვირაბის მომგვალებული ეფექტი შენარჩუნებულია, ოღონდ გვირაბი აქ უფრო განიერია და მაღალი. ყველანი ერთმანეთს ხელს უშლიან კიბეზე ასვლაში. ზემოთ მდგომნი წიხლებს ურტყამენ ქვემოთ მდგომთ, ხოლო ისინი კი თავის წილ მუშტებს სცემენ ზემოთურთ. იწყება საშინელი ყვირილი და ხმაური. ზემოთ აღმოჩნდებიან 2 და 3. ქვემოდან უტევენ 1 და 4. 5 ძირს წევს და საწყლად იშვერს ხელს დანარჩენებისაკენ. ითხოვს დახმარებას და ბუტბუტებს “მიშველეთ”. უცებ ხმაური წყდება, იწყება მელოდიური მუსიკა და პერსონაჟთა მოძრაობები ნელდება, იწელება და ამ დროს 2 წელამდე გადის კიბის ბოლოს მოთავსებული ხვრელიდან და ნაწილობრივ თავს აღწევს ამ ქაოსს. ამით ეს სცენა მთავრდება.

შემდეგ ზემოთა ახლო ხედიდან ჩანს გაშლილი მდელოს კადრი(ყველაფერი ისევ მოშავთეთრო-მოყავისფროა). ჩანს ორმო

და როგორ ამოდიან(და ან დგანან) იქიდან პერსონაჟები. ყველანი ადგილზე ქვავდებიან და გაოგნებული სახეებით მისჩერებიან ცას(ამ შემთხვევაში კამერას). კამერა ნელნელა შორდება მათ, ისინი პატარავდებიან და მდელო კი უფრო იზრდება. შემდეგ ჩანს მათი თვალით დანახული ფერადი ცის ძალიან პატარა ნაგლეჯი. ანუ სიბნელე და ცის პატარა ლაქა(ეს არის კულმინაციური წერტილი, ანუ ჭოგრიტივით შეკრული თითებიდან დანახული ცის ერთი ბეწო ნაგლეჯი, რომელიც მთელი კლიპისაგან განსხვავებით აუცილებლად უნდა იყოს ფერადი). ყველაფერი სრულდება და მუქ ეკრანზე დიდი ასოებით იწერება “ნარკომანია ვინრო ხედვაა!” მამაკაცის ხავერდოვანი ხმა იმეორებს იგივე ფრაზას.



სარჩევი

მონასტერი.....	3
ჩემი პირველი უცხო(გ)ელი.....	67
ავტობიოგრაფია.....	75
ირონია.....	77
სხვისი ცხოვრება.....	79
მიზის გამყიდველი.....	109
მიზანი – არ მიზან წარიდო.....	113
ანიმა.....	115
„დათისმარბლისანი“.....	118
შეუძლე.....	126
გილერე.....	130
გირგი.....	133
შემორული ცხვარი.....	135
მოგილური.....	148
მგელით ახალი წელი 2001.....	156
მკინეაობა.....	158
ძალები და სიჭირვლე.....	160
სცენარი ვიდეორბოლისთვის	162

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ვერიკო ზამთარაძე**

ოპერატორი: თამუნა ტყაბლაძე

დაიბეჭდა გამომცემლობა “ეროვნული მწერლობის”
სტამბაში. მხატვრის ქ. №4
ტელ. 31-70-47
32-73-62
E.male
litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com